

ISSN 1512-0546

ბერეზოვის განაკვეთი

აართაშორისო სამუშაოები-არაპრესული შერლატი აგვისტო, 2011 წ. №4



საბოლოო გერაშე

N4, 2011

სამთავრობო რეფირინგული
სამეცნიერო-პრაკტიკული
ჟურნალი

ANNALS OF FORESTRY
#4, 2011
INTERNACIONAL REVIEW
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ËÅÑÍÎÉ ÂÅÑÒÍÈÊ
¹4, 2011
ÌÅÆÄÓÍÀÐÎ ÄÍÛÉ ÐÅÔÅÐÈÐÎ ÂÀ ÍÍ Û É
Í ÀÓ×ÍÎ-ÏÐÀÈÒÈ×ÅÑÊÈÉ ÆÓÐÍÀË

UDC (უაკ) 630 (051.2)
ს-307

დამფუძნებელი,
რეგისტრაცია

მთავარი რედაქტორი
თამაზ აციაძე

სარედაქციო კოლეგია: გიმინა თავამა, ელდარ ლობშანიძე, ჯუმახან კუჭუხიძე, რეგაზ ჩაგელიშვილი, ტოგო ბერიზაშვილი, ანზორ ჩაფიძე, ნოდარ სამხარაძე, მაღონა უსპივაძე, იულონ ტოლიაშვილი, ნათია იორდანიშვილი, ლერი ჭოჭუბა, ელუარდ ლობშანიძე, ავტორ დუდუა, ტრისტან ჩერქეზიშვილი, ჯუმახან ლომიძე, წეგზარ გერსაძია, ნონა ლაბაძე (კასუსისგვამლი მდივანი), გიორგი კუპრაშვილი.

სამმართველო-საკონსულტაციო საბჭო: შოთა ჭალაგანიძე, არცოლდ გეგეჭ-კორი, თმიმურაზ კალებაძე, მირიან გვირიტიშვილი, არჩილ სუპატაშვილი, ლევან გვაზავავა, გივი ჯაფარიძე, ირაკლი ნოსელიძე, გია გაგოშიძე, გიორგი ყუფარაძე, ბორის ბოჭოლიშვილი, ნიკა გურდული, ლავით გიგაური, მერაბ დვალი, ზაურ ბალამორავშვილი, შოთა ჯაფარიძე, ვანო ააკუნიძე, ვახტანგ ვარდიაშვილი, ილაზ ჩაგელიშვილი, კონსტანტინე სარაჯიშვილი.

რეგიონული კორესპონდენტები: ზურაბ მაცევლიძე, კონსტანტინე თავარით-შილაძე, ნოდარ მაშავეიშვილი, ივონ მაზმიშვილი, მიხეილ ზედელაშვილი, რეგაზ იმნაძე, რეზო გაბედავა, გურამ თევდორაძე, ლემან ბლიაძე, იური ლომიძე, ურა ჯაფარიძე, მაღაზაზ სამადაშვილი, გია აშოთია, მარსელ მაჭაგარიანი, ბესარიონ გაგელაშვილი, გოგი ლაზარებიანი, გიმინა ენესმაზვილი, ია მამულაშვილი, ელისო ულილაშვილი.

გამომცემელი იულონ ტოლიაშვილი ტელ.: 599 40-52-37, 96-00-67
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა მასურაშვილი ტელ.: 593 50-42-44

ტექნიკური მენეჯერი: ჯონი გევარიძე.

რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი: რობერ დვალაძე.

სარედაქციო კოლეგიის და სამმართველო-საკონსულტაციო საბჭოს ფერმანი, რეგიონული კორესპონდენტები და სხვა მუშაკები მოწვეული არიან საზოგადოებრივ საფინანსებრი (აცავდაურების გარეშე).

საკონტაქტო ტელეფონები:

რედაქციის მისამართი:

დამუშავებელი – 593 24 75 27

თბილისი, დიდგორის ქ. №167

მთავარი რედაქტორი – 599 10 75 44

ი.მ. იულონ ტოლიაშვილი ქურნალი „ეთნოკოლიტიკა“
დაიბეჭდა შპს „მდვაცე ველში“
ფასი 6 ლარი

ტირაჟი 200 ეგზემპლიარი

გარეკანის პირველ გვერდზე: ზემო სვანეთის ხედი
გარეკანის მეოთხე გვერდზე: რაჭის ტყეები

ქართველი

MANANA CHKOIDZE ANALYSIS OF THE FOREST HARMFUL INSECTS AND INNOVATIVE METHOD OF SAFE CAMPAIGN	76
IV. მარეალურობისას, ტყეების ათვისებისა და გამოყენების პროცესები	
კლდარ ლობასიძე, პიძინა თავაძე, არჩილ სუაბაშვილი, ტოგო ბაროზაშვილი, ციხაიძის ლარიცების / <i>Larix sibirica</i> Lebed./ საუკუნეოვანი მერქანი - სტრუქტურა, თვისებები, მდგრადა	
Y.A. ELEAÆÄÍEÄCÅ, A.È. ÖLÄÄÄÄCÅ, Å.Ø ÑÖÍÀØÄØÄÈÈÈ, ÖÍ ÅÍ ÅÄDÍCÀØÄÈÈÈ Äðååññèíà ñèåéðñèíé èèñöååñíèòü /<i>Larix sibirica</i> Ladeb/ ååéí åíé äàåíñòè, -ñòðóéòòðà, ñäíéñòåà, ñòò è éí ñòü	
E.D. LOBZHANIDZE, B.L. TAVADZE, A.SH. SUPATASHVILI, TOGO BEROZASHVILI	
Century old wood of Siberian Larch / <i>Larix sibirica</i> Ladeb/, - structure, property, firmness	81
ც. მოსულიძევილი, ზ. ბალაშვილი, რ. გურაძე	
მოსულიძევილი თვითმეტვითთავი აგრეგატის გრძელი მდგრადობის გამოკვლევა უკრძალის პრიტიტული დახრის კუთხის მიხედვით	
Å. ïññöèøäèè, Ç. ÅÄÈÀØÄØÄÈÈÈ, È. ÅÄÈÀØÄÈÈÈ, I. ïäðèìäèøäèè,	
D. ÖEÄÌÄEÄÄCÅ	
Èññëåäíäàíèå ïðî à ïëüííé óñöíé × è å ïñòè öðäëåäåí× í î åí ñà ïíííä ðóæäþùååí ääðäääöå ïò í ïñèøäëüíí óäëå ïäééííä ñééííä	
D. MOSULISHVILI, Z. BALAMTSARASHVILI, I. GELASHVILI, M. NARIMANISHVILI	
R. TKEMALADZE A study of the longitudinal stability of skidding is most of the immersing aggregate relative to the angle of the slope	85
ლამარა არგანაშვილი	
გავუფრთხილეთ საქართველოს მკინვას მერქნიან სახეობებს და გამოვიყენოთ რაციონალურად	
LAMARA ARGANASHVILI Let's save up expensive wood and it is used rationally	
Ëäìàðä åðäääíàøäèè ñäåðäååì àïðîååò ãðååññèí è èñïïëüçöåì ðäöèííäëüíí	90
V. ხა-ზეის დამუშავება და ავეჯის წარმოება	
მალონა ხუსაინავა	
სისძამუშავებელი მრეჭველობის მცირე საჭარბოთა ეკონომიკური ფუნქციონირების ანალიზი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვევებლები	
I.Ä.ÍÍÍÅ ÕÓÑÑÈÄÅÄÄCÅ àïäéèç è òåð ïèéí-ýéí í ñè÷åñééå ïíéåçåòåééé ýéí í ñè÷åñéí åí ðöñéöèííéðååíé ìäéñò ïðåäíðèýðéé äåðååííáðåååðååþùåé ïðññøëåííñòðè	
MADONA XUSKIVADZE Timber Industry Small Enterprises' Economic Operation Analyses of and their Technical-Economy Indexes	92
VI. საბეჭო საბეჭო დარგის წარმატებული კალატონები	
ეგა არგანაშვილი – ორმოცი ზელი მერქნის დაცვის რესაუბლიკურ სამართველოში	104
VII. მოციონალური გვევა	
ზურაბ ჩიხურავა	
შაორის ფყალსაცავის მიმღებარე ტყეების ხიბლი	106
VIII. ლიგანატურულ-კალიფისტური გაცემულება	
კარა-ფშაველა - 150	
სმელი ზიველდი	108
IX. მოციონალური გვევა	
ლევან გომილი	
მოავალი ან მფარება, ადეა საერთოდ არ არის	111
X. ტრისტან წარმატები	
ლია ტერილი «სატერო მოამბის» მთავარ რედაქტორს თამაზ აოთამეს	116
XI. დაცული ტერიტორიების გართვა	
ლევან გომილი	
გერმანელ-ქართული თანამშრომლობა პორჯომ-ხარაგაულის მროველი პარტის ფრონტისაბის საქართველო	120

X. სამკურნალო მცხვერებები	
მ. გეთის, მ. ქოხაძე, ჯ. ქუჩახეძე	
ხელშეკრულების საფინავლებელი და ამოსახველების სამკურნალო მცხვერებები ბალბისებრთა ოჯახიდან	126
XI. სამკურნალო მოღოცვები, ინფორმაციები...	
პეტრე დუდოვა-80	129
თეიმურაზ გადევლაძი - 70	132
კავაზ რაოლაძე ემცნიერის აღიარება	133
ვალოცავი: ღორგორის აკადემიური სარისკის მოპოვებას.	135
ჩიტივითი გაფრთხებილი ნახვაზი საუგუნე	135
XII. სახელმწიფო და ტყის მრეცველობის დარგების დაცლობის აღამიანია ცენტრა	
გრიფითი სარაიფვილი (1925-2011), ქართული სატყეო მეცნიერების დიდი დანაკლისი	138
რობარ გამალაძე (1940-2006), საქართველოს დამსახურებული მეტყველე, ღირსეული მამულიფვილი და მოძალაძე	141
ტრისტან ჩირქაზივილი	
იოსებ ჩოლიძვილი (1901-1993), საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგის დიდი ამაგლარი, მფვანე განმის დიდოსტატი	143
ლამარა ურბანავილი	
ზაქარია ჩხუბიანიფვილი (1903-1980), სატყეო მრეცველობის დიდი ამაგლარი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ცენგილი მეცნიერი და პედაგოგი	146
ანდრია ალექსის ემ იაცხეო-ხელვავსი (1909-1987 ჭ.ჭ.)	149
XIII. საინიციატივო ამავის სამყაროში	
ია ჩალაუაზივილი	
დათვი მხ სენილად მოვალინა (ნამდვილი ამბავი)	152
XIV. ახალი ცივები	
ელფარ ლორანიძე ტრისტან ჩერქეზიფვილი, ტყე და ადამიანი	154
ლევან გვაზავა, ტიგნები 1,2,3	156
იზა ჩუთლაშვილი შიგნები 1,2	158

I. ბეჭედის აღდგენის და კლანტის მიზანი

მათუავების პროცესის პრიგლები

რევაზ ობოლაძე, ტრისტან ჩირქეზიშვილი,
ბიძინა თავაძე, ლერი ჭოთავა

მიზნობრივი სატყეო კლანტაციები – ქართული ტყის გადარჩენის და აღორძინების უმნიშვნელოვანები ფაქტორი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს ტექნიკის მტაცებლური ექსპლუატაციისა და გაჩანაგების ფონზე, ქვეყნის ტყიანობის პროცენტი არათუ შემცირდა, არამედ გარეგულად გაიზარდა კიდევ; რაც ერთი შეხედვით თითქოსდა დადებით მოვლენად უნდა აღვიქვათ, სატირო და საგანგაშო რომ არ იქნება.

სინამდვილეში მოხდა ის, რომ ტყით დაფარული ფართობების ე.წ. „ზრდა“ გამოიწვია არა სატყეო სფეროს მესვეურთა წარმატებულმა ქმედებებმა, არამედ პირიქით, ქვეყანაში სოფლისა და სოფლის მეურნეობისადმი არასახელმწიფო ებრივმა, პასიურმა მიღებომამ და თვითდინებაზე მიშვებულმა პროცესებმა. რის შედეგად იწყო დაცარიელება, დაკინება ქვეყნის ეკონომიკის ბურჯმა – ქართულმა სოფელმა, ხოლო მოსახლეობის მიერ მიტოვებული სახნავი მიწები, ადრე ჩაის პლანტაციებით დაკავებული ფართობები, სათიბ-საძოვრები და, საუბედუროდ, საკარმიდამო ნაკვეთებიც კი, ტყებურქნარებმა გადაფარა და ტყის მტაცებელ ბინადართა სამყოფად აქცია.

მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული, ეკოლოგიური ინტერესების საზიანოდ, 1990-იანი წლებიდან დაწყებული, კვლავ გრძელდება ტყის შემქმნელი ძირითადი ჯიშების (წიფელი, მუხა, ნაძვი, სოჭი) მასობრივი ჭრა-განადგურება, ისე რომ არავინ ზრუნავს მის აღდგენა-განახ-

ლებაზე და შენარჩუნებაზე. უფრო უარესიც: ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე, თითქოსდა დააგადებული ხეებისაგან ტყის გაწმენდის ეგიდით, მავანი ფირმები შეესინ და მუსრი გაავლეს უნიკალურ, წითელ წიგნში შეტანილ წაბლნარებს ხარაგაულის, ზესტაფონის, ტყიბულის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებში. პატრონი და გამკითხავი კი არავინაა.

ტყეებისადმი ასეთი მგლური დამოკიდებულების შედეგებს უკვე დღენიადაგ ვიმკით: ყოველწლიურად წყალს და მეწყერს მიაქვს დასახლებული ადგილები, იტბორება და იხრამება სათიბ-საძოვრები, იზრდება ეკომიგრანტების და ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი. შემაშფოთებელ მასშტაბებს აღწევს ქვეყნისადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალი.

ბოლო ხანებში, გარკვეული ყურადღება იქნა გამახვილებული ტყეების ძალისმიერი მეთოდებით დაცვაზე, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შეძნაზე, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც მოიშალა ტყის მცველთა ინსტიტუტი და მეტყევეთა რაოდენობა მინიმუმადე შეამცირეს, ამ საქმემაც კრახი განიცადა. ამასთან, რაც მთავარია, ამ იდეის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ ტყის მეურნეობის გაძლიერების ფუძემდებლური (ძირითადი პრინციპი): ტყეების დაცვა-შენარჩუნება, ტყის რესურსებით უწყვეტი

სარგებლობა (და არა შეუსაბამო პარადიგმა „...მდგრადი განვითარება“) მიიღევა მხოლოდდამხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკურად დასაბუთებული და პრაქტიკით გამოცდილი კომპლექსური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების (ტყის გაშენება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვა, მოვლითი ჭრების წარმოება) ჩატარების საფუძველზე, რაც საერთოდ უგულებელყოფილია.

ამიტომ ამ პირობებში, როცა ხეტყეზე მოთხოვნილება განუხრევლად იზრდება (სამშენებლო ბუმი, ტყის ძირფასი სახეობების მერქნის საზღვარგარეთ გაზიდვის დაუოკებელი მადა, ადგილობრივი მოსახლეობის სათბობი შეშიოდაკმაყოფილება...) ტყის ჩეხვის შენელება მხოლოდ ტყეების დაცვის მოჩვენებითი გამკაცრებით და მორატორიუმებით თითქმის შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ეროვნული საუნჯის – ტყის შენარჩუნება და აღორძინება მხოლოდ ტყის რესურსების გონივრული გამოყენებით – დეგრადირებული, ჭრებით გამტხერებული, გაპარგახებული სატყეო ფართობებზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით და ხელოვნური ტყეებულ-ტურების, – ძირითადად სწრაფმზარდი, მიზნობრივი სატყეო პლანტაციების გაშენებით უნდა იქნეს მიღწეული.

სატყეო პლანტაციების გაშენება ისტორიულად ჩამოყალიბებული და მხოფლიოში ფართოდ აპრობირებული მეთოდია. სატყეო პლანტაციების შექმნა განსაკუთრებით აუცილებელი და საჭირო შეიქმნა იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც გადამტებული ექსპლუატაციის შედეგად თითქმის ამოიწურა ხეტყის ადგილობრივი რესურსები, ხოლო მისი შემოზიდვა სხვა ქვეყნებიდან ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზების გამო მიუღებელი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე სწრაფმზარდი ჯიშების გაშენებით მოკლე ვადებში მერქნული რესურსების მიღების ტენდენცია უაღმერნატივო აღმოჩნდა.

სატყეო პლანტაციური მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული სტიმუ-

ლი მისცა ევროპაში (უმეტესად დასავლეთ ქვეყნებში) მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გატარებულმა პროგრესულმა ცვლილებებმა სოფლის მეურნეობის პოლიტიკაში. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის მეტი აქცენტი (მოთხოვნილება) გადატანილი იქნა იმ, უფრო ნაყოფიერ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც დამატებითი კაპიტალის დაბანდების პირობებში, ე.ი. ინტენსიფიკაციის მეთოდების მომარჯვებით უზრუნველყოდნენ 2-3-ჯერ მეტი შედეგის მიღწევას, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო დაბალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. გამონთავისუფლებული, შედარებით ნაკლებარდიული უზრუნველყოდი მიწის ფართობების დამუშავება კი მიმართული იქნა უფრო სხვა მიზნით გამოყენებისათვის. ამ თვალსაზრისით ალტერნატიულად მიჩნეული იქნა სატყეო პლანტაციების გაშენება, რამაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო. შესაბამისად ფორმირებული იქნა ახალი სატყეო პოლიტიკა, რომელიც უპირატესად ხასიათდებოდა ტყეების გაშენების მიზანდასახელი წახალისებით. განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა პპოვა სატყეო პლანტაციების გაშენებამ ბელგიაში, დანიაში, ირლანდიაში, პორტუგალიაში, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში. ასევე ინტენსიურად წარიმართა მიზნობრივი ტყეების გაშენება აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებშიც.

სატყეო სანედლეულო პლანტაციების შექმნას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ აშშ-ში. ამერიკელი მეტყვევები მიიჩნევენ, რომ ე.წ. „მეორადი ტყე“ (ანუ პირველადი ტყის მოქრის შემდეგ ბუნებრივი განახლებით მიღებული კორომი) ხასიათდება დაბალი წარმადობით, მაშინ როდესაც ამავე პირობებში გაშენებული სატყეო პლანტაცია (ე.წ. „მესამეული ტყე“) იძლება 1 ჰა-ზე 3-4-ჯერ მეტ მერქანს.

შთამბეჭდავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1960 წელში ახალ ზელანდიაში მიღებული იქნა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სატყეო პლანტაციების ფოველწლიურ მატებას 8-12 ათასი ჰექ-

ტრის ოდენობით. ეს პროგრამა 2000 წლისათვის გადაჭარბებით იქნა შესრულებული. ამავე მიმართულებით ვითარდება ტყის მეურნეობის წარმოება ავსტრალიაში და ლათინური ამერიკის უმეტეს ქვეყნებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევებით (**FAO**, ეკონომიკური სატყეო ინსტიტუტი და სხვა) გაკეთებულია პროგნოზი იმის შესახებ, რომ თუ 2000 წელში მსოფლიოში ყველა სახის ჭრებით დამზადებული ხე-ტყის საერთო მოცულობაში ბუნებრივი ტყეების წილი შეადგენდა 56%-ს, ხოლო ხელოვნური ტყეებისა (პლანტაციები) – 34%-ს; მომავალი 2050 წლისათვის ხელოვნურად გაშენებული ტყიდან მიღწეული უნდა იქნეს ხეტყის დამზადების საერთო მოცულობის 75%-ის მიღება, მათ შორის სწრაფ-მზარდ ეგზოტიკებისაგან შექმნილ პლანტაციებიდან – 50%-ისა.

ვფიქრობთ, ზემოთაღნიშნული კომენტარს აღარ საჭიროებს.

სატყეო პლანტაციები (ტყის მერქნიან სახეობათა პლანტაცია) არის ტერიტორია, რომელიც დაფარულია სწრაფმზარდი, ტექნიკურად ძვირფასი სახეობებით (ან გარევული დანიშნულებით სასურველი, მიზნობრივი სახეობებით). სატყეო პლანტაციებიდან შეიძლება მიღებული იქნას მერქნის ძვირფასი პროდუქტები მათი შემდგომი ქიმიური და მექანიკური გადამუშავების მიზნით (სახერხი და საფანერე მორი, ქერქი, ტანინები, საღბავები, მერქნის მასა ქიმიური გადამუშავებისათვის, მერქანი ლამაზი ტექსტურით, ტოტები საკალათედ, კორპი, ნედლეული გუტაფისის მისაღებად, ეთერზეთები და სხვა ნივთიერებები).

პლანტაციების შექმნის (გაშენების) მიზანია პროდუქტის მიღების ვადების შემცირება, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ფართობის ერთეულიდან გამოსავლიანობის გადიდება (აგრეთვე პროდუქტის მოპოვების მოხერხებულობა და ადვილად მისაწვდომობა). ყოველივე ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების ინტენსივიკაციით – მეღიორაციით, მექანიზაციით, ხების და ბუჩქების განსაზღვრული სახეობების და ფორმების

შერჩევით. აგროტექნიკის ძირითადი სახეებია – ნიადაგის დარგებისწინა ინტენსიური დამუშავება სასუქების შეტანით, ნიადაგის შემდგომი მოვლა, მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, მოვლითი ჭრები, სასუქების შეტანა, საჭიროების შემთხვევაში მორწყვის განხორციელება.

პლანტაციების შექმნისას სასურველია ფორმირებულ იქნას მარტივი ფიტოცენოზები. ამ შემთხვევაში მეურნეობის წარმოება მეტეპერიოდიან გადადის ცალკეულ მერქნიან სახეობათა აღზრდაზე. პლანტაციები შეიძლება იყოს ყოველწლიური (წნელი ტირიფის და სხვა), მოკლევადიანი და ხანგრძლივგადიანი ექსპლუატაციის, შეიძლება იყოს ციკლური – პლანტაციის არსებობის (სიცოცხლის) მთელი პერიოდის განმავლობაში (კორპის მუხა) და შედარებით მოკლევადიანი როტაციით (ჭრის ბრუნვით), როდესაც მოსავლის მიღების კვალობაზე ხდება ახალი პლანტაციის შექმნა.

რეკომენდაციას ვიძლევით გაშენდეს:

- ა) აღმოსავლეთ საქართველოში – ჭადრის, პავლოვიას, ვერხვების პლანტაციები, ხოლო ბ) დასავლეთ საქართველოში – იაპონური კრიპტომერია, ზღვისირა ფიჭვი, ჭადარი, ხეტიტა (ლირიოდენდონი), აკაცია, ვერხვები.

აგაციის პლანტაცია 8-10 წელიწადში მოგვცემს საყრდენ მასალას, როთაც ხელი შეეწყობა მევნენახეობისა და მეუტერების განვითარებას. 3-4-ჯერადი ჭრების მონაცელებით, შემცირდება ჭრების ხანგრძლივობა და გაიზრდება მერქნის მარაგი ჰექტარზე.

ჭადარი – 20-30 წელიწადში მოგვცემს საბავშვო და საპარკეტე უმაღლესი ხარისხის მერქანს.

ვერხვები – 10-15 წელიწადში წარმართება სხვადასხვა სახის ნაკეთობათა დასამზადებლად და ქაღალდის მრეწველობისთვის. ჭრების მონაცელებით შეიძლება ყოველ 5-8 წელიწადში მერქნის მეტი რაოდენობის მიღება.

კრიპტომერია იაპონური – უნდა აღდგეს დასავლეთ საქართველოს ქარსაფრებში და წარიმართოს ასევე სამერქნედ დამზადებისათვის.

ფიჭვი ზღვის პირის – 10-15 წელი-წადში მოგვცემს ქანახშირის მაღაროებისთვის საბიგე მასალას. ცნობილია, რომ შახტებში ფიჭვის მერქანი უმჯობესია, ყველა სხვა სახეობის მერქანზე (როგორც ამბობენ, ავარიის წინ ფიჭვი იწყებს ჭრიალს).

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხეტიტა ჩვენი ქვეყნის აბორიგენ სახეობებთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება და ახასიათებს ბუნებრივი განახლების დიდი უნარი.

პავლოვნია – ყველაზე სწრაფმზარდი სახეობაა. რწყვის პირობებში – 5-6 მეტრი იზრდება წელიწადში, სასიათდება მსუბუქი მერქნით და თაფლოვანი ყვავილებით.

ყველაფერ ამას და საერთოდ, ქვეყნას ესაჭიროება მერქნიან სახეობათა სარგავი მასალის აღსაზრდელად საჭირო სანერგე მეურნეობები. მაგრამ ჯერჯერობით მცირე ზომის აღნიშნულ სახეობათა დროებითი სანერგებითაც შეგვიძლია დაგემოფილდეთ.

ფიჭვებს, კრიპტომერიას, ჭადარს, ხეტიტას, პავლოვნიას ესაჭიროება აღმონაცენის მზის პირდაპირი რადიაციისაგან დაცვა, ხოლო ჭადრის თესლი დასავლეთ საქართველოში ავადდება სოკოთი, ამიტომ იგი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში უნდა დავამზადოთ. რაც მთავარია, ამ საქმეში კონსულტაცია სპეციალისტისაგან უნდა მივიღოთ და არა დილეგანტებისაგან, რომელთაც ჭადარი ადამიანის მეგობრის ნაცვლად მტრად გამოაცხადეს და ათასწლოვანი მცენარე 60-70 წლის ასაკში დაბერებულად და გადასაჭრელად გაიმეტეს, თბილისში კი აღმაშენებლის გამზირზე ერთიანად ამოძირ კვეს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პლანტაციური მეურნეობის ანალოგიური ფორმის საქმიანობის წარმოება აღგილობრივი სახეობებისაგან წარმოშობილ ბუნებრივ კორომებში, საჭიროების შემთხვევაში გარკვეული სახეობის ხელოვნურად შეტანით. მსგავს საქმიანობას საქართველოში აქვს ხანგრძლივი ისტორია და ეს უპირატესად ხორციელდებოდა მოსახლეობის მიერ.

სოფლის მოსახლეობა ისტორიულად იყენებდა სხვადასხვა საჭიროებისათვის

მერქნის წვრილ სორტიმენტებს (წნელი, ჭიგო, სარი, ბოძი და სხვა). გარკვეული რაოდენობით მისი საჭიროება ამჟამადაც არის და მომავალ შიც იქნება. აღნიშნული სორტიმენტები არ შეიძლება მიღებული იქნეს დიდი ხეებისაგან. ისინი ძირითადად წარმოადგენდნენ ამონაფარს ძირკვებიდან, რომლებიც მიიღება დიდი ხეების მოჭრის შედეგად. რადგანაც ხეების მოჭრა ხდება გაფანტულად, ეს სორტიმენტებიც ტერიტორიაზე განლაგებულია გაფანტულად – ჯგუფურად. ყოველივე ეს ართულებს მათ მოპოვებას. თუ გარკვეული მცირე ზომის ტერიტორიებზე ვაკე აღგილებული მოხდება ხეების პირვერი მინდად მოჭრა, მომავალ ში მივიღებთ კომპაქტურად განლაგებულ ახალგაზრდა მოზარდის კორომებს. მათში განსხვავებული პერიოდულობით (1, 3, 5... და ა.შ.) ჭრის პირველი მინდად განხორციელების შემთხვევაში მივიღებთ სხვადასხვა სიმსხოს და სიგრძის პროდუქციას. განსაკუთრებით მიზანშეწონილია და მოსახერხებელია ზემოთაღნიშნული დონისძიების განხორციელება კოლხეთის დაბლობის ტყეებში. აქ ასეთ სორტიმენტებზე მესაქონლეობის განვითარების შედეგად მოთხოვნილება დიდია. ამ სახის მეურნეობის წარმოების გამოცდილება ქვეყნის ყველა კუთხეში არსებობს. ჭრის გამორჩების პერიოდის გაზრდის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს საშუალო ზომის სორტიმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ნაგებობებისთვის. აღნიშნული წესით მეურნეობის წარმოება გამართდებულია ეკოლოგიურად და ეკონომიკურად. ტერიტორია შეიძლება შერჩეულ იქნეს მცირე ფართობზე და ტერიტორია და მერქანი გამოყენებული იქნეს ეფექტურად. ზემოთაღნიშნული სახით მეურნეობა შეიძლება წარმოებული იქნეს თხმელის (მურენის) კორომებში. აქ 1 წლის ამონაფარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს წნელად, ძალიან მცირე პერიოდია საჭირო (ვინაიდან თხმელა საქმად სწრაფმზარდი სახეობაა) სხვა სორტიმენტების მისაღებად, ტერიტორიის ეფექტურად გამოყენების მიზნით ის შეიძლება დაიყოს ნეკვეთებად, რომლებშიც ჭრები ჩატარდება სხვადასხვა პე-

რიოდულობით და შესაბამისად მიიღება სხვადასხვა სორტიმენტები.

აღნიშნული ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს შედარებით ვაკე ადგილებში გავრცელებულ კელური თხილის კორომებშიც მცირე ზომის ნაკვეთებზე. ნაკვეთზე იქრება კელური ხელი თხილო ამონაყრის მიღების შემთხვევაში ტარდება ღონისძიებები სასურველი სახეობის მოზარდის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით. შემდგომ ჭრა ხორციელდება პირწმინდად სხვადასხვა პერიოდულობით (იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის სორტიმენტი გვჭირდება). შედეგად მიიღება შემდეგი სახის პროდუქცია: სარები ლობიოსა და პომიდვრისათვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტარები, კალათების დასაწნავი მასალა და სხვა. ვინაიდან თხილი ჩრდილის ამტანი სახეობაა, შესაძლებელია ტერიტორიაზე იყოს სხვა სახეობის 0,3-0,4 სიხშირის კორომი პირველ სართულში. ეს გაზრდის ფართობის ერთეულიდან მისაღები პროდუქციის როდენობას.

ბუნებრივი წარმოშობის კორომებში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ხელოვნურად შეტანილ იქნეს სხვა სახეობებიც, რომელთაც აქვთ ამონაყრის უნარი (აკაცია, კოპიტი, ნეკერჩხალი და სხვა). ეს უფრო მრავალფეროვანს გახდის პროდუქციის ასორტიმენტს.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭიროა კონკრეტულად მოსახლეობის ტრადიციების ცოდნა, მათი მოთხოვნილების დადგენა კონკრეტულ პროდუქციაზე და შემდგომ დადგენილი წესების მიხედვით შესაფერისი ტერიტორიების შერჩევა და გამოყოფა. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დადგენა. ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც შეიძლება არეგულირებდეს მოსახლეობის მიერ მერქნის წვრილი სორტიმენტების მოპოვებას. ეს ნორმები აუცილებელია იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყებში მეურნეობის წარმოების მარეგულირებელ დოკუმენტში. ტერიტორიების შერჩევა უნდა მოხდეს ტყების ფუნქციონალური ზონირებისა და ინვენტარიზაციის დროს მოსახლე-

ობასთან შეთანხმებით და უნდა აისახოს ტყების მართვის გეგმაში. კოველივე ამას ითვალისწინებს ტყის რესურსებით სარგებლობის საერთაშორისო პრაქტიკა.

ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები ტყებთან მიმართებაში (პრინციპი 3) და პლანტაციების საიმედო მართვა (პრინციპი 10) წარმოადგენს საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის – სატყეო სამეურვეო საბჭოს (Forest Stewardship Council - FSC) პრინციპებს (10 პრინციპიდან) ტყის უწყვეტი მართვისათვის. აღნიშნული პრინციპები გლობალურია – ისინი შეიძლება შექმნას ნებისმიერ ტყეს მსოფლიოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-3 პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ტრადიციული და კანონიერი უფლებებია: ფლობდნენ, სარგებლობდნენ და მართავდნენ მიწას, ტერიტორიებს, რესურსებს და ისინი უნდა იყონ აღიარებული და დაცული. ეს უფლებები აუცილებელი პირობაა მოსახლეობის არსებობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

პლანტაციების შექმნა, ჩვენი აზრით, სატყეო მიწების გრძელვადიანი იჯარით გაცემის წესის დამკვიდრების (დაკანონების) პირობებში ახლო მომავალში სატყეო-სამეწარმეო საქმიანობის ერთერთ წარმატებულ სფეროდ უნდა ჩამოყალიბდეს. ამ მიზნით უპირველესად უნდა გაიცეს ჯაგებით და ბუჩქნარებით დაფარული ის ფართობები, რომლებიც ადრე (საბჭოურ ხანაში) შედიოდნენ ე.წ. საკოლმეურნეო ტყის ფონდში და რომელთა გადაცემა გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ტყის ფონდში არ განხორციელებულა (170 ათას ჰა-მდე). მცირებაშეტაბიანი პლანტაციების შექმნისა და ფორმირებისათვის შესაბამისი პირობები უნდა შეიქმნას ფერმერულ და წვრილგლებურ მეურნეობებშიც.

ვფიქრობთ, რომ ქვეყნისათვის ამ მეტად საჭირო წამოწყების საწინდარი უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სუბსიდიების, თუ სტიმულირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რის ნათელ მაგალითს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა ქმედების, მათ შორის დასაგლეთ ეკორპის გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ÅÝÊ ÏÍÍ - Íåðñïåêðèâíïå èññëåäíàáíèå ï íéññííò ñåêðîðó Åâðïíû (äîêóíåíðó 120). Íñííâíïé äîêëää Íðääáíèçàöèý Íáúäæéíåííû Íàöèé. Aéáíåâà, 2005 áâ ä.
 2. Global Forest Resources-Assesment 2000, FAO - Forestry Paper, 140. Rome, 2001 (Main report).
 3. Sedjo R.A. From foraging to cropping: the transition to plantation forestry, and implications for wood and demand. Unasilsa (204), vol. 52, 2001/1 p. 24-32.
 4. ሙያደንግድ ደ. ዲ. ወიქ்க္ဂို ဂုဏ်သွေးကြ ပျော်ရွှေ „မြှောင်း နောက်လွှာဝါ“. ၎င်္ဂလာ 2008.
 5. Èåñíûå iëàáðàöèé (Óñëî ð å í íå âùðàøèåáíèý Åéë è ñíñíû). Íä ðåäàéöèé iðîôåñíðà Øóðíåâà), I. „Èåñíáÿ iðìíûøéåííñòü“. 1984.

„მიზნობრივი სატექო პლანტაციები – ჩართული ტყის გადარჩევის და აღორძინების უმნიშვნელოვანესი ფასტორი“

რეზიუმე

განალიზებულია ახლანდელი კატასტროფული მდგომარეობა საქართველოს ტყეებში. ნაჩვენებია ის ძირითადი მიზეზები, რამაც გამოიწვია (განაპირობა) ჩვენი ტყეების გაჩანაგება და გამჭერება. ტყის რესურსებზე მზარდი მოთხოვნილების პირობებში დასაბუთებულია ტყებუჩქნარებით დაფარულ, ეროზირებულ და დეგრადირებულ სატყეო მიწებზე სწრაფმზარდი მიზნობრივი სატყეო პლანტაციების შექმნის აუცილებლობა.

„Öåëåâûå Ëåñíûå iëàíòàöèé - âàæíåéøèé ôàèòîð ñïàñåìèý è åïc ðîæäåìèý ëåññâ Åðóçèé“

ÐÅÇÞÌÅ

Í ðíà í àëèçèðíâàíî ñääñ äíýùåå êäòåñòðíòè÷åññéî å ñïñòî ýíèå ëåññå Äðóçèè. Åûýäé å í û ïðè÷èíû äääðäæëðíâàíèÿ è ëííèæåíèÿ ïðíèçåíàëðåëüíñòè äðåâñòðíåå. Å óñëíâèÿö íåíïðåðûåííäñ ðïñòà íòðåðäæåíèÿ ìñòðíûñ äðåâññíûñ ðåñòðñíå, íáñííâàíà íåíáðí è è íñòù ñïçääìèÿ áûñòðíðåñòðóùëò öäéåâûñ ëåññíûñ íëàíðåöéé íà íñëðûòûñ êóñòàðíèëàíè è íèç ëí íòíûñíè íàññäæääíèÿïè càïëÿö ëåññíäñ ôííäà.

REVAZ OBOLADZE, TRISTAN CHERKEZISHVILI, BIDZINA TAVADZE,
LELI CHOCHUA

“TARGET WOOD PLANTATIONS - THE MAJOR FACTOR OF RESCUE AND REVIVAL OF WOODS OF GEORGIA”

SUMMARY

It is analysed näääfäýyüåå a catastrophic condition of woods of Georgia. The reasons äääðääèðiäàfëý and falls of productivity of forest stands are established. In the conditions of continuous growth of consumption of local wood resources, necessity of creation of fast-growing target wood plantations on covered with bushes and ièçëî i ïë í ìòíùìè by plantings the earths of wood fund is proved.

ენერგეტიკული მეტყევეობას: არსი, მიზნები და პროცენტები

ამჟამად მსოფლიოში ბიომასისგან ენერგიის წარმოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც განპირობებულია წიაღისეული ტიპის საწვავი რესურსების მოსალოდნელი ამოწურვით და ასევე გარემოს დაცვის გაუმჯობესების აუცილებლობით. აღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტურ საშუალებად მსოფლიოში განიხილება სწრაფმზარდი სახეობებისაგან გაშენებული ენერგეტიკული დანიშნულების მიზნობრივი პლანტაციები, რომლებიც უკვე გარკვეულ როლს თამაშობენ სხვადასხვა ქვეყნების ენერგორესურსების უზრუნველყოფის საქმეში.

ჩვენი აზრით, მსგავსი პლანტაციები მომავალში წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი ქვეყნის სოფლის მოსახლეობის სათბობ ნედლეულზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; შესაბამისად საფუძველი ჩაეყრება საქართველოში ენერგეტიკული მეტყევეობის განვითარებას.

ცნობილია, რომ წიაღისეულის ტიპის საწვავის გამოყენების შედეგად აგმოსფროში დიდი მოცულობით სათბური გაზები გამოირგვევა, რომელიც თავის მხრივ იწვევს გლობალური კლიმატის ცვლილებას და სერიოზული საფრთხეს უქმნის ჩვენს გარემოს. ამავე დროს იწურება წიაღისეული საწვავის ნედლეულის მარაგები და იზრდება მათი დირებულება. აქედან გამომდინარე ენერგიის სხვა წყაროების მოძიებას და კვლევას საკმარის დიდი ყურადღება ეთმობა. დედამიწაზე ენერგიის სხვადასხვა ალტერნატიული რესურსია, მათ შორის ძირითადია: გეოთერმული, ტალღის ენერგია, მზის, ქარის და ბიომასის. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის საფუძველზე, 1997 წელს ხელი მოეწერა კიოტოს პროტოკოლს, რომლის ფარგლებშიც რიგმა განვითარებულმა კონვენციის ქვეყნებმა მიზნად დაისახეს სათბურის ეფექტის მქონე გაზების გამოფრქვევის შემცირება და აიღეს წიაღისეული საწვავის ტიპის რესურსის განახლებადი ენერგიის რესურსებით შეცვლის ვალდებულება, მათ შორისაა ტექნიკის ენერგეტიკულ პლანტაციების მიღებით ნედლეულის გადაცვის მიზანი.

საკითხს მნიშვნელობა და აქტუალობა შესძინა ჯერ ჩერნობილში, ხოლო შემდგომ იაპონიაში რამდენიმე ატომურ ელექტროსაგდურზე მომხდარმა ავარიებმა, რის შედეგადაც გაჩნდა სერიოზული სკარენი მიზანი ამ ტიპის საწვავის გამოყენების განვითარების მიმართ.

საყურადღებოა, რომ განახლებადი ენერგორესურსებიდან ბიომასა ერთეული ნედლეულია, რომელსაც შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ენერგომომარაგებაში, შეამციროს სათბური გაზების ემისია, ნაწილობრივ მოხსნას ნავთობპროდუქტებზე დამოკიდებულება და ასევე შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები. რიგი მკლევარების ანგარიშით, ბიომასა (ძირითადად მერქნული საწვავი) შეადგენს პირველადი ენერგომატარებლების მოხმარების 14%-ს. მისი წარმოება დინამიურად ვითარდება უმეტესად ევროპის ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებს შორის ამ მიმართულებით ლიდერობს ფინეთი (23% პირველადი ენერგოშემცვლელების მოხმარებაში), შვედეთი (19%), დანია (12%), ავსტრია (12%).

კანადელი სპეციალისტების აზრით, ტექნიკის სახეობების მიზნობრივი პლანტაციები შეიძლება გახდნენ სათბობ-ენერ-

გეტიკული ბიო-მასის გამოულევ წყაროდ. დასავლეთ ევროპაში მსგავსი ტიპის ნარგაოებებს უკავია 1 მლნ ჰა. გარდა ამისა, ევროპავშირის მიერ მიღებულია №797/85 დადგენილება სწრაფ-მოზარდი მერქნითი სახეობების გაშენებასთან დაკავშირებით, მათი ბიო-ენერგეტიკაში გამოყენების მიზნით.

ამჟამად, სატყეო ბიო-ენერგეტიკაში ორი მიმართულება შეინიშნება: 1. ხეტყის ჭრის ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება ცენტრალურ ენერგო-დანადგარებში, რაც ძირითადად ხორციელდება სკანდინავიის ქვეყნებში, კერძოდ შვედეთში მერქნული ნარჩენების დასაწვავად მუშაობს 200 რაიონული თბოცენტრალი და 2. ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება საწვავის მიღების მიზნით.

აღნიშნული სექტორის განვითარება სტიმულირდება სამეცნიერო კვლევებითა და სათანადო სამთავრობო ღონისძიებებით. კვლევები ძირითადად ორიენტირებულია ახალი ტექნიკისა და დანადგარების შემუშავებაზე, მიღებული საწვავის გაშრობასა და შენახვაზე, სამუშაო დროს უსაფრთხოების პირობების შესრულებაზე და ასევე მიღებული ენერგიის თვითდირებულების შემცირებაზე.

ვფიქრობთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე მიმართულებები არატრადიცულ განახლებად ენერგორესურსების და მათ შორის ბიომასის გამოყენების მატებასთან დაკავშირებით საქართველოსთვის საყურადღებო და ამავე დროს მისაღები უნდა იყოს. მითუმებებს, რომ ქვეყანას აქვს მეტად მნიშვნელოვანი პერსპექტივები ენერგეტიკული პლანტაციების გაშენებისა და წარმოებული მერქნული ბიომასის გამოყენებისა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმეტებისა, როგორიცაა ენერგეტიკული ქარტის ხელშეკრულება და ენერგეტიკული ქარტის პლანტაციების ორ მთავარ ფორმას, კერძოდ ხანმოკლე და ხანგრძლივი როტაციის მეურნოებებს. პირველი მათგანისათვის როტაციის პერიოდი შეადგენს 2-4 წელს,

კიოტოს პროტოკოლი, რომელთა შესრულება უდაოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროპავშირში ინტეგრაციის პროცესს.

ქვემოთ მოყვანილია ძირითადი განმარტება ენერგეტიკული მეტყველების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო ტერმინთან:

ენერგეტიკული მეტყველება წარმოადგენს პლანტაციური წესით გაშენებულ მიზნობრივ სწრაფმზარდი და თვითადდგენადი ტყის სახეობების მეურნეობრივ ფორმას, რომელიც მცირე ფართობზე და უმოკლეს დროში უზრუნველყოფს ტრადიციულ მერქნულ ნედლეულთან შედარებით დიდი მოცულობით ბიოსაწვავის მარაგების წარმოებას.

ენერგეტიკული ტყეების პროდუქტიულობის საფუძველს წარმოადგენს სელექციური სამუშაოების განხორციელება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. პერსპექტიული სახეობების გამოყვანის მიზნით ასევე მიმართავენ გენურ ინიციატივასაც. აღნიშნული ღონისძიებები ტარდება 35 ქვეყანაში. კვლევები ტარდება 140 ხის სახეობაზე. მათ შორის ჩინეთშიც (შანდუნის პროვინციაში) 50 ათას ჰა-ზე გაშენებულია 1.4 მლნ. ვერხვის მოდიფიცირებული სახეობები.

მაგრამ არსებული პერსპექტივების მიუხედავად, ენერგეტიკის ამ მიმართულების განვითარება შეუძლებელი იქნება საკანონმდებლო ბაზაში სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, რაც გამოხატება ბიო-მასის, როგორც ენერგიის მიღების პრიორიტეტულ წყაროდ აღიარებაში როგორც სამრეწველო და ასევე საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასევე მეტად მნიშვნელოვანია კვლევითი სამუშაოებების დაფინანსება და ღონისძიებების განხორციელება ამ საწვავის ტიპის ეკონომიკური ეფექტიანობის პოპულარიზაციისათვის.

განასხვავებენ ენერგეტიკული პლანტაციების ორ მთავარ ფორმას, კერძოდ ხანმოკლე და ხანგრძლივი როტაციის მეურნოებებს. პირველი მათგანისათვის როტაციის პერიოდი შეადგენს 2-4 წელს,

ხოლო მეორეს შემთხვევაში კი – 8-20 წელს. მოკლე როტაციის მეურნეობის წარმოების შემთხვევაში მიღებული ბიომასა შემდგომში გამოიყენება ენერგიის მისაღებად, ხოლო ხანგრძლივი როტაციის შემთხვევაში მიღებული სათბობი მერქანი გამოიყენება სოფლად მოსახლეობის სათბობ ნედლეულზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საქართველოს პირობების გათვალისწინებით, ნათელია რომ მიზანშეწონილი იქნება ენერგეტიკული მეტყველეობის ხანგრძლივადიანი მეურნეობის ფორმის გამოყენება, რაღაც ხანმოკლე მეურნეობის დანერგვა დამოკიდებულია სათანადო ინფრასტრუქტურის და სოლიდური თანხების არსებობაზე, სწორედ ამიტომაც მისი განვითარება მხოლოდ სამოავლოდ გვესახება.

დადგენილია, რომ რეგიონულ ჭრილში შესაძლებელია ენერგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შედარებით მცირე ტერიტორიების გამოყენების გზით. კერძოდ, აფრიკას ამ მიზნებისათვის ესაჭიროება თავისი ტერიტორიის მხოლოდ 2%, აზიას – 9% და ცენტრალურ ამერიკას კი – 9%. მაგრამ, ამჟამად მსოფლიო მაშტაბით ის ფარ-

თობი, რომელიც განკუთვნილია მოკლე როტაციის მქონე ნარგაობათათვის არ არის საკმარისი, რათა დააკმაყოფილოს ენერგიაზე მზარდი მოთხოვნილება.

ენერგეტიკული მეტყველეობის მიზნები და ამოცანები:

- დროის მოკლე პერიოდში მოსახლეობის სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- დაბად პროდუქტიული მიწების უფექტური ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში;
- ტრადიციული მერქნული სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის გამოთავისუფლება და მისი შეცვლა შედარებით იაფი თვითაღდებენით ბიოსაწვავის რესურსებით;
- ადგილობრივი სანედლეულო ბაზის შექნის შესაძლებლობა
- ადგილობრივი განახლებადი წყაროების გამოყენება
- იმპორტირებულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება
- ატმოსფეროში სათბური გაზების გასროლის შემცირება;
- ენერგოეფექტიანობის ამაღლება;

ცხრილ 1-ში წარმოდგენილია ენერგეტიკულ პლანტაციებში ძირითად გამოყენებული სახეობები (1).

ენერგეტიკულ პლანატაციებში უმეტესად გამოყენებული სახეობები:

ცხრ.№1

სახეობები	საშუალო ყველწლიური შემატება მმ/ჰა/წლიწადი	სიმწიფის პერიოდი წლები	სწრაფ-მოზარდი პლანტაციების ფართობი ('000 ჰა)	ქვეყნები
Eucalyptus grandis; E. urophylla; E. camaldulensis; E. pellita	15-40	5-15	±3.700	ბრაზილია, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი, ინდოეთი, კონგო, ზიმბაბვე
E. camaldulensis; E. tereticornis; E. urohylia; E. robusta; E. pellita; E. deglupta	10-20	5-10	±1.550	ჩინეთი, ინდოეთი, ტაილანდი, კინგისტონი, მადაგასკარი, მუანგარი
Eucalyptes globules E. nitens	5-18	10-15	±1.900	ჩილე, პორტუგალია, ჩრდილოეთ-დასვენებით ესანგო, სამხრეთ აფრიკა, აფსტრალია, არგენტინა, ურუგვაი
Acacia mangium; A. Auriculiformis A. Crassicarpa	15-30	7-10	±1.400	ინდონეზია, ჩინეთი, მალაზია, კინგისტონი, ინდოეთი, ფილიპინები, ტაილანდი
Pinus caribaea var. hondurensis	8-20	10-18	±300	გენეველა სვაზილენდი კოსტა რიკა, მალაზია,
Pinus. Patula p/ elliotii Gmelina arborea	15-25	15-18	±100	სოლომონის კუნძულები
	12-35	12-20	±10	

ენერგეტიკული პლანტაციების გარე-
მოსდაცვითი სარგებელი მდგომარეობს
სათბურის ეფექტზე მის ნულოვან ზე-
მოქმედებაში, რადგანაც სათბურის გაზი-
ნახშიროვანგი, რომელიც გამოიყოფა ბი-
ომასის დაშლის პროცესში ექვივალენ-
ტურია იმ მოცულობისა, რომელიც სექ-
ვესტრიორებულია ბიომასიდან მისი
ზრდის პროცესში, ამგვრად ამ შემთხვევ-
ვაში ატმოსფეროში ადგილი არ აქვს
CO₂-ის მოცულობის ზრდას.

Salicaceae (ვერხვის) გვარის ზოგიერთ
სახეობას გააჩნია განსაკუთრებული მნი-
შენელობა, რაც გამოიხატება ნიადაგიდან
მავნე ნივთიერებების, მათ შოროს მყარი
მეტალების შთანთქმაში, როგორიცაა
ამიაკი, აქსტიციდები და რადიონუკლი-
დები და შემდგომ მათი ფესვებში დაგ-
როვებაში. სწორედ ამიტომაც ეს სახე-
ობები (2) გამოიყენება პლანტაციებში
შევდეთში, საფრანგეთში, ჩრდილოეთ
ირლანდიასა და საბერძნეთში. გარემოს-
დაცვითი სხვა სარგებელი გამოიხატება
გრუნტის წყლების გაუმჯობესებაში,

რაც დადასტურებულ იქნა (3) მთელი
რიგი მეცნიერებების მიერ.

დამატებითი სარგებელი ენერგეტი-
კული პლანტაციებისა ასევე მდგომა-
რეობს ბიომრავალფეროვნების გაუმ-
ჯობესებაში, ძუნებრივ ტყეზე ზეწოლის
შემცირებაში, ქიმიური ელემენტების
გამოყენების შემცირებაში, ვიღრე ეს
ხორციელდება ერთწლოვანი კულტუ-
რების შემთხვევაში (4), ასევე დეგრადი-
რებული ფართობების გაუმჯობესებაში
და წყალგამყოფების დაცვაში.

ენერგეტიკულ პლანტაციებს ასევე
გააჩნიათ მეტად მნიშვნელოვანი სოცი-
ალური სარგებელი, რაც გამოიხატება
ახალი სამუშაო ადგილების და სოცია-
ლური სტაბილურობის შექმნაში (5),
განსაკუთრებით კი სოფლად. სამუშაო
ადგილები იქმნება ბიომასის წარმოების
უკეთე ეტაპზე, მისი მოპოვების, ტრანს-
პორტირებისა თუ მისი ენერგიად გარ-
დაქმნის პროცესში.

ბიომასის ელექტროსადგურები ენერ-
გიის ალტერნატიულ სხვა რესურსებთან

შედარებით, გარემოს დაცვის თვალ-
საზრისით უსაფრთხოა.

ენერგეტიკული პლანტაციები, ასევე
ხელს უწყობს სოფლად ინფრასტრუქ-
ტურის გაუმჯობესებას. რაც დადებით
გავლენას ახდენს გარემოზე და ამცი-
რებს მიგრაციის პროცესს, სოფლად სო-
ციალური სტაბილურობის შექმნის გზით.

აღნიშნული ტიპის პლანტაციების გა-
შენებიდან 3 წლის შემდომ უკვე შესაძ-

ლებელია მერქნითი ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი მარაგების მიღება, ანუ 10-15 ტონა მშრალი ბიომასისა 1 ჰა-ზე, ეს მოცულობა საშუალოდ იძლევა გაპეტდეს 4-5 ტონა ნავთობის ეკონომია. დადგენილია, რომ ენერგეტიკული პლანტაციების გაშენებამ შვედეთის ტერიტორიაზე შესაძლებელია უზრუნველყოს ქვეყნის წლიური ენერგომომარაგების 2/3.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cristian Cossalter and Charlies Pye-Smith (2003) Fast-Wood Forestry
 2. Perttu, K. L. and Kowalik, P. J. (1997). Salix Vegetation Filters for Purification of Waters and Soils. *Biomass and Bioenergy*. 12(1): 9 – 19.
 3. Elowson, S. (1999). Willow as a vegetation filter for cleaning of polluted drainage water from agricultural land. *Biomass and Bioenergy*. 16: 281 – 290.
 4. Sage, R. B. (1998). Short rotation coppice for energy: towards ecological guidelines. *Biomass and Bioenergy*. 15(1): 39 – 47.
 5. 2003 Sustainable Production of Woody Biomass For Energy

Ò ÈÀÍÄÅËÀÈÈ, Ì. ÁÀ×ÈËÀÅÀ

ÝÍÅÐÃÅÒÈ×ÅÑÊÎÅ ÆÅÑÎÅÎÄÑÒÅÎ: ÑÓØÍÑÒÜ, ÖÅËÈ È ÇÀÄÀ×È

ĐÀO PHÌA

Ií íàøèì iðääñòåäé áíèýì, iëàíòåöèè áíàéíäè ÷ííâí òèïä á áóä óùåì íæíî ñíøíøí è ñííüçí áâòòù äëý öäí áæäðåíðåíèý iñòð åíñòåðé íâññäéíèý Äðóçèè á ðííiëèáííé äðåâññèíå è ñíòåòñòåäáííí áäñòù áíçí íñòù ðäçâèòëý ýíðäåðòë ÷ññéíí âí ëåñíâí áñòåð á Äðóçèè.

T.KANDELAKI, M.BACHILAVA

ENERGY FORESTRY: OBJECTIVES AND PURPOSES

SUMMARY

Nowadays, it's noticed growing interest to the use of biomass with purpose of energy generation, conditioned by the necessity of environment protection and depletion of fossil fuel as well. One of the effective solution of these problems is establishment of energy plantations with fast growing woody species, which already play an important role in the energy supply of different countries.

In our opinion, similar plantations can be effectively used in the future to meet demand on fuel wood in our country and consequently will be all favorable conditions for the development of energy forest in Georgia.

აღვადგინოთ სასპოლო სატყეობი

საკითხი სასკოლო სატყეობის აღდგენის თაობაზე, დიდი ხანია მაწუხებს. მისი აღდგენა განსაკუთრებით აქტიურად მიმართია ჩვენი გარემოსა და განსაკუთრებით ქართული ტყის დღევანდელი მდგომარეობის გამო. გასაგებია, რომ სასკოლო სატყეობისა და მის წევრებს არ შეუძლიათ შეაჩერონ ქართული ტყისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება, მაგრამ იმას მაინც შეძლებენ უკეთესად შეისწავლონ: ბიოლოგია, ბოტანიკა, ქიმია, გეოგრაფია, ისტორია და ის საგნები, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მცენარეულობასთან და მიწათმოქმედებასთან. გაიგებენ, რომ თესლის დათესვა ან ხერგის დარგვა, მხოლოდ მიწის „ჩიჩქა“ არა და მასში დევს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სულმნათი წინაპრების გამოცდილება და დიდი შრომა, რომ გადაერჩინათ და ჩვენამდე მოეტანათ ბუნებითა და სულიერად მდიდარი საქართველო.

დღეს, რატომდაც ქართული ტყე შემოსავლისა და ტურიზმის განვითარების ობიექტს წარმოადგენს. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ ტყე და მერქანი ულევი არაა. რომ ქართული ტყე სულ მაღალ გამოილევა და ეს იქნება საქართველოსთვის კატასტროფა, რადგან ჩვენი ტყეების უმეტესობა – 98% მთის ფერდობებზეა განლაგებული. ტყის საფარის გარეშე წყალი და ნიაღვარი წაიღებს ჩვენ ქვეყანას. აი აქ შეუძლიათ თავიანთი სიტყვა თქვან სასკოლო სატყეობმა და მისმა წევრებმა. მოაწყონ მცირე ზომის სანერგებში დაითესება მათი ზონებისათვის დამახასიათებელი და ძირითადად სწრაფმზარდი სახეობები, რადგან ჩვენი ტყეების შველა მათ შეუძლიათ, – მიზნობრივ და სწრაფმზარდ სახეობებს; გააშენონ დაცვითი ტყის ნარგაობები, იქ სადაც ეპოლო-გიური კატაკლიზმების მეტი საშიშროება

არსებობს. თითოეულ სასკოლო სატყეოს მუშაობა მოუწევს მცირე ფართობებზე, მაგრამ ნათქვამია „ძალა ერთობაშიაო“, რაც მეტი იქნება სასკოლო სატყეო, მით მეტი იქნება მათი წევრების რაოდენობა და მათგან შექმნილი შრომის შედეგი. რაც მთავარია, მთავრობა მიხვდება, რომ ტყეს არამარტო ჭრა, აღდგენაც ესაჭიროება.

ამ წერილის დაწერა უფრო ჟურნალ „რეიტინგში“ დავით სოკოლოვის წერილმა „უკაცრავად, მაგრამ ეს სახელმწიფო ოუ ექსპერიმენტების ჩასატარებელი ლაბორატორია?!“ – გადამაწყვეტინა.

ბატონი დავითი გულისტკივილით აღნიშნავს: „10 ადამიანი მაინც დამისახელოს ვინმემ, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა და კარგი სპეციალისტი გახდა...“

იგივე მინდა ვთქვა გულისტკივილით. მე 1954 წელს დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტი 60 კაცოან ერთად. დაუსწრებლადაც სწავლობდა ალბათ ამდენივე კაცი. დღეს კი... 2010 წელს სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე ჩაირიცხა მხოლოდ 4 კაცი. თითქმის იგივე განმეორდა 2011 წელსაც. ნუთუ ასე ჩაქრა ახალგაზრდებში ტყისადმი ქართველი კაცის ძირდველი მამაპაპისეული სიყვარულის გრძნობა? ეს ხომ კატასტროფა! ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ათეული წლების მანძილზე კ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყველების კვლევითი ინსტიტუტი იყო სამთო მეტყველების დარგში საბჭოთა კავშირის სათაო ინსტიტუტი, ხოლო სამთო მეტყველებას ჩინეთში ვასილ გულისაშვილის სამთო მეტყველების წიგნით სწავლობდნენ.

ბოდიშს ვიხდი საკითხიდან გადახვევის გამო.

როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დიდი ხანია ვფიქრობდი სასკოლო სატყეოების აღდგენაზე და არა მარტო მასზე. სატყეო მეურნეობის სისტემაში არსებობდა გამოჩენილი მეტყვის მიხეილ მურვანიშვილის სახელობის პრიზი, რომელიც ენიჭებოდათ დარგის სპეციალისტებს, ტყის აღდგენის საქმიანობასა და სარგავი მასალის გამოყვანის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის. აქევე მინდა მოვიყვანო მწერალ გიორგი ნატროშვილის სიტყვები: „მიხეილ მურვანიშვილი პროფესიონალ მეტყველე, ბრწყინვალე მცოდნე თავისი საქმისა, მაგრამ იგი მარტო მეტყველე კი არა, განხორციელებული სიკეთე და სათხოება იყო, საზოგადო მოწვანე ამ სიტყვის ყველაზე დიდი მნიშვნელობით“.

საწყენია, რომ დღეს მისი სახელობის პრიზი კი არა... მეტყველი ხსენება, მხოლოდ უარყოფითად შეიძლება. ასე იყო გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა სატყეო მეურნეობის სისტემას გადაეცა ჩამორჩენილი და გაუბედურებული კოლმეურნეობები, რომელთა ბაზაზე დაიწყო ე.წ. „წვენების“, უფრო ზუსტად „წყალწვენების“ წარმოება. მასში დასაქმებულები იყვნენ ძირითადად არასპეციალისტი „საქმოსნები“. საქმე „გასკვა“, დაიჭირეს „საქმოსნები“ და გაილანდნენ მეტყველები. ასეა დღესაც. სატყეო მეურნეობის სისტემაში დიდი უმრავლესობა არასპეციალისტია. აგადმყოფი კი... ერთეულები ყველგანაა... ოჯახშიც კი... დღეს სატყეო მეურნეობები აღარ არსებობს. აღარ არსებობს ტყეთმოწყობის საწარმო, რომლის გარეშე ტყეში საქმიანობა წარმოუდგენელია. არსებობს რაღაც „რეინჯერის“ სამსახური, რომელსაც სატყეო მეურნეობის საქმიანობის ე.ი. ტყის დაცვა-აღდგენის გარდა, ყველაფერი ხელეწიფება. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ქართულ ტყეს – ქვენის უპირველეს სიმდიდრეს, რომელსაც ქვენის 40,6% უკავია, ფაქტიურად პატრონი არ ყავს. ჩვენთან ტყის ჭრის ყველა სახე, მათ შორის „სამრეწველოც“ აღდგანითია. მაგრამ მას უნდა ჭრის სწორად და დროულად ჩამტარებელი. ერთი რამ საჭიროა

გაიგოს ყველამ, რომ ტყის დაცვა ძალითა და აკრძალვებით არ შეიძლება, ტყე უნდა დაიცვას ტყის კანონიერმა ჭრამ. „ტყე ცულითაა...“ ოდითგანვეა ნათქვამი და რაც მთავარია, უნდა მივეშველოთ მიზნობრივი პლანტაციების გაშენებით, ძირითადად, სწრაფმზარდი სახეობებით. აკაციის გაშენებით დაგზოგავთ მუხის კორომებს, ვერხვების გაშენებით მივიღებთ მსუბუქ და იაფ სამშენებლო მასალას, ჭადრის გაშენებით მივიღებთ უმაღლესი ხარისხის საავეჯო მერქანს და ა. შ.


საჭიროა ბავშვებში დავნერგოთ შრომის, დისციპლინის და სხვისი შრომის პატივისცემის სიყვარული. ყოველივე ამისათვის საუკეთესო საშუალებაა სასკოლო სატყეოების აღდგენა.

სასკოლო სატყეოების ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. მან მოიპოვა სათანადო მხარდაჭერა, როგორც ზემდგომ ორგანოებში, ასევე ადგილებზე. შეიქმნა რაიონებში მათ შორის თბილისის შემოგარენში, სატყეოები, რომელთაც არცთუ ხანგრძლივი დროის მანძილზე ათეულობით ჰქექტარზე გააშენეს როგორც წიწვიანი, ასევე ფოთლოვანი ტყის ნარგაობები, მოუკარეს სკოლების ახლომდებარე ტყის ნაკვეთებს. სამწუხაროდ, შემდგომ მათი საჭმიანობა აღარ განახლებულა.

ბედად, მე შემორჩენილი მაქს 1973 წელს გამოცემული სასკოლო სატყეოების შექმნის დებულება და მისი დამტკიცების ბრძანება იმუამინდელი განათლების მინისტრის ქალბატონ თამარ ლაშქარაშვილის და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ბატონ მიტროფანე კუჭავას ხელმოწერით. მაქს აგრეთვა, ყოფილი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბუკლეტი, „ბუნების სიყვარულით ვზრდით ახალგაზრდებს“, რომელშიც აღნიშნულია ბაგებისა და წყნეთის სასკოლო სატყეოების მიერ შესრულებული სამუშაოები და შესაბამისად გამომუშავებული თანხები.

სასკოლო სატყეოების აღდგენით

შევძლებთ მოსწავლეებს შევასწავლოთ
ჩვენთან არსებული მერქნიანი სახე-
ობები და მათი სახელები. მათგან მაინც
გაიგებენ მათი მშობლები, რომ ყველა
წიწვიანი მცენარე ნაძვი არ არის. რომ
ისინი განსხვავდებიან, როგორც გარეგ-
ნულად, ისე ცხოვრებისეული პირობებით
ისე, როგორც ქათამი ინდაურისაგან და
ბეღურა მტრედისაგან. რომ საქართვე-
ლოში ბუნებაში გვხვდება 400-ზე მეტი



მერქნიანი სახეობა, ხოლო შემოტა-
ნილთან ერთად 600-ზე მეტია და, რომ
ყველა მათგანს ესაჭიროება გაშენების
საქუთარი ბუნებრივ-კლიმატური პირო-
ბები და სხვა მრავალი.

ვიმედოვნებთ, ჩვენი ხმა მიწვდება
დღევანდელი საქართველოს შესაბამის
სახელმწიფო ორგანოებს და ვპოვებთ
შესაბამის მხარდაჭერას ამ საშვილთა-
შვილო წამოწყების ხორცშესხმის საქ-
მეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საქართველოს
სამაცხოვი კომიტეტი
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ ЛЕСНОГО ХОЗЯЙСТВА
СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზრდანება
ზოგადსაბანართლებლო სკოლებაში, სოფლა-ინტერნაციაში,
სპოლისახაზი და სხვა საგარეო დაწესებულებებში,
სასპოლო აგენტოს მიერთო უსაბამის

ПРИКАЗ
о создании школьного лесничества
в общеобразовательных школах, школах-интернатах,
внешкольных и других детских учреждениях

დებულება
სასპოლო საკავიოს მიერთო და მის მუშაობის
ორგანიზაციის უსაბამის
ПОЛОЖЕНИЕ
об организации школьного лесничества и его работе

თარიღი — თბილისი
1973

II. ტკის რესურსების მართვა

საქართველოს ორგანიზაციების გამოკვლევები



რეკომენდაციები საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ზონირებისა და ტყის ეკოსისტემების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ

შესაგალი

ტყეს, საქართველოს განახლებად ბუნებრივ რესურსებს შორის წამყვანი მრავალფუნქციონალური დანიშნულება გააჩნია. რთული რელიეფისა და კონტრასტები კლიმატური პირობების გამო საქართველოს ტყეები ქმნიან უნიკალურ, ჰარმონიულად ურთიერთშეხამებული ცოცხალი ორგანიზმების სახეობრივად განსხვავებულ მწვანე საფარს, რომელიც ტყის ფონდის სახითაა წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიის არანაკლებ 40%-ზე. საქართველოს ტყეებს რთული ოროგრაფიული, მორფოლოგიური და უხვი პიდროლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ბუნებრივი რესურსების ხარისხის და რაოდენობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებისა და გაზრდის საქმეში. ტყეების როლი დიდია ბუნებრივი სტრუქტური მოვლენების პრევენციის, შეჩერებისა და შერბილების საქმეშიც. ნებისმიერ ტყეს, სხვადასხვა სახით გააჩნია ეკოლოგიური და სოციალური დორებულება. ეს დირებულება წარმოადგენს მცენარეებისა და ცხოველების იშვიათ სახეობებს, ადამიანთა დასასვენებელ და სარიტუალო დანიშნულების აღილებს და ტყის პროდუქტებს, რომლებსაც მოიხმარს ადგილობრივი მოსახლეობა. აღნიშვნის გამო, საქართველოში ტყეებს სხვადასხვა სახით გააჩნია პირველ რიგში ეკოლოგიური და სოციალური, ხოლო შემდგომ - კომერციული დირებულება.

ტყეების ნაწილობრივ არაფუნქციონალური დანიშნულებით მართვისა და ტყის ფონდის ტერიტორიაზე კანონდარღვევების შედეგია ტყის ეკოსისტემების მდგრადობის შერევება და ბიომრავალფეროვნების გადარიბება. ტყის მდგრადი მართვის მთავარ ბერკეტს წარმოადგენს ტყეების ცალკეული ტერიტორიების ზუსტი ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბუნებათსაგებლობის ისეთი რეჟიმის დაცვა და სატყეო-სამეურნეო და სხვა ღონისმიერების ქმედებათა განხორციელება, რაც ტყეების ცალკეული უბნების ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისი მდგომარეობის შენარჩუნებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

საქართველოს ტყეების მართვის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის, 2008 წელს დაიწყო რეგიონალური პროგრამის „სატყეო სექტორში კანონადსრულებისა და მართვის გაუმჯობესება უკროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში“ (ENPI FLEG) განხორციელება. ეს პროგრამა ხორციელდება მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობით, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირთან (IUCN) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) პარტნიორობით ეკოლოგიურისა და სხვა ღონისმიერების ფინანსური მხარდაჭერით.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ განისაზღვრა ტექნიკური დავა-

ლება საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ზონირების საფუძველზე, ტყის გკოსისტებების მდგრადი და ინტეგრირებული მათვის მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ რეკომენდაციების შემცვებისათვის.

აღნიშნულის შესაბამისად, კონსულტაციმა მოიპოვა ინფორმაცია ტყის ფონდისა და ტყის რესურსების განაწილების შესახებ, ამჟამად მოქმედი სატყეო კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციონალური ზონების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის, არსებული გამოცდილების, სატყეო სამეურვეო საბჭოს (შემდგომ სსს, ინგლისურად – Forest Stewardship Council, FSC) ტყის მდგრადი მართვის პრინციპებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის მაღალი გარემოსდაცვითი დირექტულების ტყეების (შემდგომში მგლტის) გამოყოფასა და მართვაში საერთაშორისო გამოცდილების, საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნებისა და გარემოსდაცვითი მნიშვნელობის, სოციალური და ეკონომიკური დანიშნულებებიდან გამომდიმარე, განისაზღვრა საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე მგლტის ტყეების ტიპების (აღნიშნული ტიპები მოიცავენ ტყის ფონდის ფუნქციონალურ ზონებსაც) გამოყოფისა და საქართველოს ტყის გკოსისტებების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის მეთოდებისა და სახელმძღვანელო წესების შესახებ რეკომენდაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა დოკუმენტი, სადაც განისაზღვრა შემდეგი სტრუქტურა:

1. საქართველოს ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულების ზონებად ანუ ე.წ. ტყის კატეგორიების მიხედვით;

2. საქართველოს ტყეების ბუნებრივი გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დახმასიათება;

3. საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი;

4. საერთაშორისო მოთხოვნებისა და საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე, საქართველოში მაღალი გარემოსდაცვითი დირექტულების ტყეების ტიპების განსაზღვრა და მათი მართვის ზოგადი პრინციპები.

1. საქართველოს ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულების ანუ ე.წ. ტყის კატეგორიების მიხედვით.

საქართველოს ტყის ფონდის დაყოფას ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია. საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების ანუ კატეგორიების მიხედვით დაყოფაში საერთოდ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფ. ს. ქურდიანის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1923-24 წწ. შედგენილმა ტყის კოდექსმა, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის სრულყოფის თვალსაზრისით. ტყის კოდექსი ძალაში 1924 წელს შევიდა. კოდექსის საფუძველზე, საქართველოს ტყეები სახალხო სამეურნეო დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად დაიყო:

ა) საერთო სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებიც მერქანსა და ტყის სხვა პროდუქტებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის იყვნენ განკუთვნილი;

ბ) განსაკუთრებული დანიშნულების ტყეები, რომელთაც საეციალური მიზნები ჰქონდათ დაკისრებული (სასწავლო-საცდელი, დაცვითი, საკურორტო და სხვა);

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, განკუთვნილი ტყის პროდუქციით ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ასეთმა დაყოფამ 1931 წლამდე იარსება. კოფილი სსრ კავშირის სახელმსაბჭოს 1931 წლის

31 ივლისის დადგენილების – „სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ“ – შესაბამისად, სსრ კავშირის ტყეები ორ ზონად – სატყეო საკულტურო და სატყეო-სამრეწველო ზონად გაიყო. სატყეო-საკულტურო ზონაში ძირითადად მცირებებიანი რაიონების ტყეები მოექცა (სსრ კავშირის ეკროპული ნაწილის ცენტრალური და სამხრეთი რაიონები, უკრაინა და სსგა.) ამ ზონაში ტყის მეურნეობის წარმოების მიზანს სატყეო-საკულტურო და ტყის აღდგენა-განახლებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება წარმოადგენდა. მკეთრად შეიზღუდა მერქნით სარგებლობის ოდენობა და იგი მერქნის ქოველწლიურ ნამატს არ აღმატებოდა.

სატყეო-სამრეწველო ზონაში ტყით მდიდარი რაიონების – ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და კავკასიის ტყეები შევიდა, მათ შორის, სამწუხაროდ საქართველოს ტყეების ამ ზონაში ტყის მეურნეობის წარმოების უმთავრესი მიზანი სატყეო მრეწველობის განვითარებას დაექვემდებარა. ტყით სარგებლობა იმ მოთხოვნილების მიხედვით წარმოებდა, რომელიც სახალხო მეურნეობის განვითარების მთლიანი გეგმის მიხედვით განისაზღვრებოდა. აქ დაშვებულ იქნა ტყის პირწმინდა კონცენტრირებული ჭრა, რამაც ტყეებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაეკინა.

საქართველოს ტყეებში ზეინტენსიური უნებურ-ამორჩევითი ანუ სამრეწველო-ამორჩევითი ჭრების დაშვებამ და ჭრების ფართო მასშტაბით განხორციელებამ, მთელი რიგი რეგიონების (ცხინვალი, კახეთი, იმერეთი, სვანეთი, აჭარა და სსგა) ცალკეულ აღგილებში მაღალი სიხშირის ტყის მასივების მნიშვნელოვნად გამეჩერება-გაჩანაგება და სასაქონლო-სორტიმენტული სტრუქტრის, ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და შესაბამისად, დაცვითი და სსგა სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

სსრ კავშირის მთავრობის 1943 წლის აპრილის დადგენილებით, სსრ კავშირის ტყის ფონდი მისი დანიშნულებისა და ტყეებში დიფერენცირებული მეურნე-

ობის წარმოების უზრუნველსაყოფად სამ ჯგუფად დაიყო. აღნიშული დადგენილების საფუძველზე საქართველოს ტყის ფონდი საქართველოს მთავრობის 1945 წლის მაისის დადგენილებით პირველ და მეორე ჯგუფად დაიყო.

I ჯგუფში შევიდა მთის ფერდობებზე განლაგებული ტყის მასივები

II ჯგუფში ძირითადად კოლხეთის დაბლობის ტყეები იყო მოქცეული.

საქართველოს მთავრობის მიერ 1973 წლის 6 მარტს მიღებულ იქნა სახელმწიფო მნიშვნელობის დადგენილება: ქალაქების – თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოებისა და მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ, რომლის საფუძველზეც თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეების საერთო ფართობი 52 ათასი ჰექტარიდან 350 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. მწვანე ზონის ტყეები წარმოადგენს ქალაქისა და დასახლებული ადგილების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, გაჯანსაღებისა და კულტურული დასვენების (რეკრეაციის) შესანიშნავ კერებს. ამიტომ მათ, განსაკუთრებით კი ახლო ზონის ტყეებს, ხშირად ტყე-პარკის მნიშვნელობაც ენიჭებათ. საქართველოს ტყის კოდექსის (1999წ.) თანახმად, „საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი შედგება სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობისაგან“.

სატყეო ურთიერთობები ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოში რეგულირდება ქვეყნის კონსტიტუციით, საერთოშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით, საქართველოს ტყის კოდექსით და სსგა ნორმატიული აქტებით.

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. ტყის ფონდის საერთო ფართობი 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3007,6 ათას ჰექტარს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათას ჰექტარი) –

43,2%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარულ მიწებს) უკავია 2822,4 ათასი ჰექტარი, ანუ ქვეენის ტერიტორიის 40,6% (ტყიანობის პროცენტი). ეს საქმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მსოფლიოსთვის ეს მაჩვენებელი 27%-ია, ხოლო საქართველოს მეზობელი ქვეენების ნაწილისათვის 15%-ს არ აღემატება. ტყეებში მერქნის (ხეთა დეროების) საერთო მარაგი შეადგენს 454,5 მლნ მ³-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური ნამატი – 4,5 მლნ მ³-ს.

ტყის ფონდის 60% განეკუთვნება ზავი ზღვის აუზს, 40% – კასპიის ზღვის აუზს. ტყის ფონდის 97% წარმოდგენილია მთის ტყეებით და განლაგებულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ფერდობებზე (69% – მათ შორის 1,3% წყალგამყოფი ქედის განშტოებებზე) და მცირე კავკასიონის და სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთის მთათა სისტემების ფერდობებზე (28%), ხოლო 3% განეკუთვნება ბარის ტყეებს, აქედან 2% განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე, 1% – აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების მტკვრის, ქციის, ივრისა და ალაზნის ქვემო დინებების (ზღვის დონიდან 500მ-ზე ქვემოთ) მიმდებარე ვაკე რელიეფის ტერიტორიებზე.

თანხმად მოქმედი კანომდებლობისა, ამჟამად ისევე როგორც წარსულში საქართველოს ტყის ფონდი არის სახელმწიფო საკუთრება და მმართველობისათვის დაქვემდებარებულია შემდეგ უწყებებზე:

1. სატყეო დეპარტამენტი – 2523,6 ათასი ჰა, 83,9%;

2. დაცული ტერიტორიების სააგენტო – 312,9 ათასი ჰა, 10,4%;

3. გულისაშვილის მეტყევეობის ინსტიტუტი – 10 ჰა;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – 171,1 ათასი ჰა, 5,7%.

სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები ერთიანი სამეურნეო მიწების, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომოკური

მნიშვნელობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად (იხ. რუკა 1 დანართში):

1. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიები – 10,4%, მათ შორის:

- ა) სახელმწიფო ნაკრძალები – 4,6%;
- ბ) ეროვნული პარკები – 4,5%;
- გ) ბუნების ძეგლები – 0,3 ათასი ჰა;
- დ) აღკვეთილები – 1,1 %;
- ე) დაცული ლანდშაფტი – 0,2%.

2. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი – 89,6%, მათ შორის:

- ა) საკურორტო ტყეები – 4,0%;
- ბ) მწვანე ზონის ტყეები – 9,2%;
- გ) ნიადაგდაცვითი და წყალმარებულირებელი ტყეები – 76,4 %.

საკურორტო ტყეებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კურორტების სანიტარული დაცვის პირველ და მეორე ზონაში მოქცეული ტყეები. საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში მეურნეობის წარმოების ძირითადი რეჟიმი ამ ტყეების კურორტოლოგიური, სანიტარიულ-პიგიენური და ესთეტიკური პირობების გაუმჯობესებით განისაზღვრება. საქართველოს სამართლიანად უწოდებენ კურორტების ქვეყანას. აქ მრავლად მოიპოვება კლიმატური, ბალნეოლოგიური და სხვა სახის კურორტები, თუნდაც ისეთი სახელგანთქმული კურორტები, როგორიცაა: ბორჯომი, წალენერი, ცემი, ლიკანი, ბაგრიანი, აბასთუმანი, საირმე, შოვი, ბეჭუმი, ლებარდე, კვერეთი, ბახმარო, ჯავა, ნაბეღლავი, ახალი ათონი, ბიჭვინთა-მიუხერა, რიწა, გაგრა და სხვა. მათი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები ბევრადაა დამოკიდებული მათ გარშემო არსებულ ტყეებზე. საკურორტო ტყეებს ჰავის მარეგულირებელი, ესთეტიკური და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ისინი მოსახლეობის მკურნალობა-გაჯანსაღებისა და დასვენების მძლავრ პერებს წარმოადგენენ. საკურორტო ტყეებში მეურნეობის წარმოებისას, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ ამ ტყეებს აღნიშნული თვისებების გარდა სხვა სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების შესრულებაც აქვთ დაკისრე-

ბული, კერძოდ, ნიადაგდაცვითი, წყალმარებულირებელი (განსაკუთრებით მინერალური წყლების დებეტის რეგულირება) და სხვა. საკურორტო ტყეებში მეურნეობის ორგანიზაციისას ყველა ეს მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული ფუნქციების მაქსიმალური შენარჩუნება-გაძლიერებისათვის.

მწვანე ზონის ტყეებს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით ქალაქების, სამრეწველო ობიექტების და დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყეები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება და მოსახლეობის დასვენებისა და გართობის პირობების უზრუნველყოფა. მწვანე ზონის ტყეებში მეურნეობა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ჯანსაღი, მაღალმწარმოებლური და ესთეტიკური თვისებების მქონე ძვირფასი ტყის მასივები შეიქმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალაქებისა თუ დასახლებული ადგილების საპარაკო აუზების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებასა და ბუნების წიაღში მოსახლეობის მიზანდასახულ, ორგანიზებულ დასვენებას და მათი ჯანმრთელობის გაცავებას. მწვანე ზონის ტყეები სამრეწველო საწარმოთა, დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების გარშემო არიან გამოყოფილი. მათი უმთავრესი დანიშნულება ქალაქებისა და დასახლებული ადგილების საპარაკო აუზების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაჯანსაღება. მეურნეობის წარმოების მიზანს აღნიშნული ფუნქციებისა და ესთეტიკური პირობების შენარჩუნება და გაძლიერება შეადგენს. მწვანე ზონის ტერიტორიის ფართობი ქალაქის, სამრეწველო ცენტრისა თუ დასახლებული ადგილის მიზნებისა და სიდიდეზეა დამოკიდებული.

ნიადაგდაცვითი და წყალმარებულირებელი მნიშვნელობის მთის ტყეებში მეურნეობის წარმოების მიზანი ამ ტყეების ნიადაგდაცვითი და წყალმარებულირებელი ფუნქციების შენარჩუნებასა და გაძლიერებას ექვემდებარება. ამ ტყეების ძირითადი დანიშნულება მდგრ-

მარეობს ეროზიული პროცესების თავიდან აცილებისა და მდინარეებისა და წყაროების წყლის რეჟიმის მუდმივ შენარჩუნებაში. ამ ტყეებს დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გარდა, კორომების მაღალი მწარმოებლობის გამო, მერქნით სარგებლობის ფუნქციაც ენიჭებათ. აქ ერთმანეთთან შეხამებულია ტყეების, როგორც დაცვითი, ისე საექსპლოატაციო მნიშვნელობა. თუმცა ტყის ექსპლოატაციის მოთხოვნილებები უკველთვის ტყეების დაცვით ფუნქციებს ექვემდებარება. ამიტომ, მეურნეობის წარმოების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ეს გარემოება და ტყეების ექსპლოატაცია იმგვარად უნდა ვაწარმოო, რომ მან ამ ტყეების დაცვითი ფუნქციების გაუარესება არ გამოიწვიოს. ნიადაგდაცვითი და წყალმარებულირებელი ტყეების კატეგორია მოიცავს სამეურნეო საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის განსაკუთრებული ფუნქციონალური დანიშნულების და ლანდშაფტურ უბნებს, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 1 მლნ ჰექტარს (რელიქტური, ენდემური და წითელი ნუსხის სახეობებით გაბატონებული ტყის უბნები, სუბალპური მდელოების მიმდებარე 300 მეტრიან ზოლში არსებული ტყის უბნები. 35^o-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე განლაგებული ტყის უბნები, მდინარეთა ნაპირების და გზების დაცვითი ტყის უბნები და სხვა). ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ტყეები სამეურნეო ტყის ფონდში ნაწილდება შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

- ა) სუბალპური ტყეები – 1,1 %;
- ბ) ჭალის ტყეები – 4%;
- გ) ძვირფასი ტყის მასივები (წითელი ნუსხისა და სხვა ძვირფასი სახეობის ტყეები) – 8,4%;
- დ) სახელმწიფო დაცვითი ზოლები – 0,2% ;
- ე) უტყეო სივრცეებზე არსებული ტყის უბნები – 0,1% ;
- ვ) ზვავების მუდმივი კალაპოტების მიმდებარე ტყის ზოლები – 0,1%;
- ზ) ციცაბო ფერდობებზე განლაგებული ტყის უბნები – 22,7 %;
- თ) ბავშვთა ბანაკებსა და სამეურნალო

დაწესებულებების მიმდებარე ტყეები – 0,1%;

ი) მდინარის ნაპირების დაცვითი ზოლები – 0,1% ;

კ) გზების დაცვითი ზოლები – 0,1%;

ლ) მეწყერსაშიში ტერიტორიების მიმდებარე ტყეები – 0,1%.

აღნიშნული უბნების გამოკლებით ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები, სადაც დაშვებულია აქტიური ტყეთსარგებლობა, შეადგენს – 39,4%.

ტყის ფონდი შედგება ტყეებისა და ტყის ფონდის მიწებისაგან, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

- ტყეები სულ – 93,8%; აქედან: ხელოვნური ტყეები – 2,5%;

- ტყის ფონდის მიწები სულ – 6,2%, აქედან:

- სატყეო მიწები – 1,0%.

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები – 2,4%;

- სპეციალური დანიშნულების მიწები – 0,3%;

- გამოყენებელი მიწები – 2,5%.

საქართველოს ტყეების ძირითადი დანიშნულება მათი ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, საკურორტო და სხვა თვისებებით განისაზღვრა.

2010 წლიდან საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის ტყეების კატეგორიებად დაყოფა საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად აღარ განისაზღვრება. საქართველოს ტყის კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მდგომარეობის, მისი ბიომრავალფეროვნების, ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნების, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვის მიზნით, ტყის პრიორიტეტები ფუნქციური დანიშნულების, ისტორიული, კულტურული და სხვა ღირებულებების მიხედვით დგინდება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის საერთო ან განსაკუთრებული რეჟიმი. ხოლო ამავე კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, სატყეო დეპარტამენტის მართვისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაცვის განსაკუთრებული რე-

ჟიმის დადგენისა და ამ რეჟიმში დონისძიებების განხორციელების წესი დგინდება „ტყითსარგებლობის წესით”, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ტყითსარგებლობის წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, შემდეგი კატეგორიების ტყეებში იკრძალება მთავარი სარგებლობის ჭრა: განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნები – სახელმწიფო ტყის ფონდის (გარდა დაცული ტერიტორიებისა) მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტერიტორიები (აღნიშნული ტერიტორიების ნუსხასა და მასზე მიკუთვნებული კვარტალების ჩამონათვალს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს წარდგინებით კანონქვემდებარე ხორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი), ჭალის ტყეები, სხვადასხვა დანიშნულების დაცვითი ტყის ზოლები, ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი (სუბალპური ტყეები), უბეური სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ტყით დაფარული ფართობები, თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები, 35°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მდებარე ტყის უბნები, ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები, რკინიგზებისა და საგვრომბილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები, მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნები, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სამეურნეალო დაწესებულებების, მინერალური წყაროების ირგვლივ 1 კმ რადიუსში არსებული ტყის უბნები (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით).

2. საქართველოს ტყეების ბიომრავალუროვნების დახასიათება

ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველების და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებული არიან ბიოლოგიურად და გაგლებას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე. იგი ბუჩქებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში. საქართველოს ტყეების ბიოლოგიური მრავალფეროვნების მთავარი მიზეზი, გეოგრაფიული ლანდშაფტის ფარგლებში, რელიეფია: გორაკები, მთისწინები, მთები, მთაგრეხილები, დაბლობები, ტერასები და ზეგნები ისეთ ფონს ქმნიან, სადაც ტყეების სიცოცხლე, მათი წარმოშობა, ზრდა-განვითარება და ფორმირება მიმდინარეობს. ფერდობის დახრილობის მიმართულება (ექსპოზიცია), დახრილობის კუთხე, ზღვის დონიდან სიმაღლე და ა.შ. გასაზღვრავენ ტყემცენარეულობის მომარაგებას სითბოთი, სინათლით, წყლით და საკვები ელემენტით. აკადემიკოს ვ. გულისაშვილის მონაცემებით, საქართველოს ტყეები განლაგებულია 6 განსხვავებულ ბუჩქებრივ-ისტორიულ ტერიტორიაზე (ტყემცენარეულობის ოლქები), წარმოდგენილია როგორც ნახევრად უდაბნოების არიდული (ნათელი), ასევე კოლხეთის დაბლობის ჭარბებიანი ტყეები. ტყემცენარეულობის ტიპი გასხვავებულია აგრეთვე ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით, რის გამოც, გამოიყოფა მათი ვერტიკალური სარტყლები. ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით, ტყეები იწყება უშუალოდ შავი ზღვის პირიდან და ვრცელდება ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლემდე (სუბტროპიკული ზონიდან ალპურ მდელოებამდე). საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი კლიმატური პირობების, სხვადასხვა გენეზისის ფიტო-

ლანდშაფტების შესაყარზე არსებობა, განაპირობებს მცენარეული საფარის, მათ შორის, ტყეების შემადგენელი მერქნიანი სახეობების იშვიათ მრავალფეროვნებას. მეტად მრავალფეროვანია საქართველოს ტყის სახეობრივი შემადგენლობა. ტყეში ველურად იზრდება დაახლოებით 400-მდე სახევადასხვა სხეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გაგრსა და 56 ოჯახში. ბოტანიკოსების მიერ აგრეთვე აღწერილია ამ სახეობათა 182 ფორმა და 91 ვარიაცია. აღნიშული მერქნიანი სახეობებიდან:

- ხეებია – 153 სახეობა;
- ბუჩქებია – 202 სახეობა;
- ნახევარბუჩქებია – 29 სახეობა;
- ლიანებია – 11 სახეობა.

ტყეებისათვის დამახასიათებელია რელიეფურ სახეობათა სიუხვე და მერქნიან მცენარეთა მაღალი ენდემიზმი. დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია – 61 სახეობა, კავკასიის – 43. საქართველოს ტყეებში ახლაც არის შემორჩენილი ისეთი რელიეფი მერქნიანი სახეობები როგორიცაა: მძღვედევის არყი (*Betula Medwedewii*), პონტოს მუხა (*Quercus pontica*), იმერეთის ხეჭრელი (*Rhamnus imeretina*), ლაფანი (*Pterocarya ptherocarpa*), კავკასიის მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), პონტოს შეკერი (*Rhododendron ponticum*), წყავმაზა (*Phillyrea Vilmorieniana*), ხემარწევა (*Arbutus andranchne*), ჩვეულებრივი ხურმა (*Diospyros lotus*), ვეულებრივი ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), კოლხეული ჯონჯოლი (*St. colchica*), შავი ღვია (*Juniperus foetidissima*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვა მრავალი. ტყეებში წარმოდგენილია წიწვოვანი და ფოთოლოვანი, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი მერქნიანი სახეობები, მიწაზე გართხმული ბუჩქები და გიგანტი ხეები (60 მეტრამდე სიმაღლის და 2 მეტრამდე დიამეტრის), ლიანები, პარაზიტი მცენარეები. ტყის ფონდში წარმოდგენილია 40-მდე სახეობის ინტროდუცირებული ხეები და ბუჩქები.

საქართველოში გაბატონებული სახეობების მიხედვით წიწვოვან ტყეებს სულ უკავია ტყეების 16,4%, ხოლო ფოთლოვან ტყეებს – 83,6%.

ძირითადი ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობებით გაბატონებული კორომების ფართობების და მერქნის მარაგების პროცენტული განაწილება შემდეგია (ცხრილი 1):

ცხრილი 1: გაბატონებული სახეობების ფართობების და მარაგების განაწილება (%)

სახეობები	ფართობები	მარაგები
წიფელი	42,6%	51,7%
მუხა	10,3%	5,5%
რცხილა	10,3%	5,2%
თხელა	7,2%	3,6%
სოჭი	7,2%	17,4%
ნაძვი	5,0%	7,5%
ფიჭვი	4,2%	3,3%
წაბლი	3,8%	3,0%

დანარჩენი მერქნიანი სახეობებით (40-მდე სახეობის ხეები და ბუჩქები) გაბატონებული კორომების ფართობები შეადგენს: 9,4%-ს, მარაგი – 2,8%-ს. კორომების საშუალო ბონიტეტია III, საშუალო სიხშირე 0,6, საშუალო ხნოვანება – 93 წელი.

ტყეების მრავალფეროვნებაზე ნათლად მეტყველებს ვერტიკალური სარტყელების მიხედვით მთის ტყეების გავრცელება. თითოეული სარტყელი მცენარეებისა და ცხოველების მრავალრიცხოვან სახეობათა ერთობლიობაა გაერთიანებული დამოუკიდებელი ტყის ეკოსისტემაში, რომელიც გამოირჩევა ბიომრავალფეროვნების მდიდარი სპეცირით. ტყეების 70 პროცენტზე მეტი განლაგებულია ზღვის დონიდან 1000 მ. სიმაღლეზე ზევით.

ტყეები ზ.დ.-იდან ვერტიკალური სიმაღლის მიხედვით არათანაბრადა განაწილებული:

- ზღვის დონიდან 100 მ სიმაღლემდე მდებარეობს მთელი ტყეების – 2,3%;
- 101 მეტრიდან 250 მეტრამდე – 1,6%;
- 251 მ-დან 500 მ-მდე – 3,4%;
- 501 მ-დან 750 მ-მდე – 6,4%;
- 751 მ-დან 1000 მ-მდე – 13,1%;

- 1001 მ-დან 1250 მ-მდე – 16,8%;
- 1251 მ-დან 1500 მ-მდე – 18,7%;
- 1501 მ-დან 1750 მ-მდე – 17,8%;
- 1751 მ-დან 2000 მ-მდე – 12,9%;
- 2001 მ-დან და ზევით – 7,0%.

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ ტყეების მხოლოდ 7,3% მდებარეობს ზ.დ. 500 მ სიმაღლემდე; 501-1000 მ ფარგლებში – 19,5%; 1001-1500 მ - მდე – 35,5%, ხოლო 1501 მ-ის ზევით – 37,7%.

ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ცალკეული ბიოცენოზის ფარგლებში, აგრეთვე განსაზღვრავს მათი გავრცელების ხასიათი მთის ფერდობთა დაქანების სიმკვეთრის მიხედვით:

- 0-10⁰-მდე დაქანების ფერდობებზე განლაგებულია მთელი ტყეების 5,5%;
- 11⁰-იდან 15⁰-მდე – 6,8%;
 - 16⁰-დან 20⁰-მდე – 9,7%;
 - 21⁰-დან 25⁰-მდე – 16,6%;
 - 26⁰-დან 30⁰-მდე – 18,2%;
 - 31⁰-დან 35⁰-მდე – 19,6%;
 - 36⁰-დან 40⁰-მდე – 15,2%;
 - 41⁰ და ზევით – 8,4%

ტყეების დიდი ნაწილი (78,0%) ციცაბო (21⁰-35⁰- მდე) და ძლიერ ციცაბო (36⁰ და მეტი) დაქანების მთის ფერდობებზეა განლაგებული. ტყეების ასეთი არათანაბარი განაწილება ვერტიკალური სარტყელებისა და ფერდობთა დაქანების სიმკვეთრის მიხედვით მათი ბიომრავალფეროვნების ფართო სპეცირის ძირითადი განმსაზღვრულია.

ტყეების ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს როგორც წმინდა, ისე შერეული კორომების არსებობა. საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების მაღალ დონეებს აგრეთვე განსაზღვრავს ტყის ეკოსისტემების ანუ ტყის ტიპების მრავალფეროვნება. საქართველოში აღწერილია სხვადასხვა ძირითადი მერქნიანი მცენარეების ფორმაციის დაახლოებით 300-მდე ტყის ტიპი.

საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების ნიმუში ხელულებელი ტყეებია, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 500 ათასი ჰექტარია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი განაწილება გავლენას ახდენს მთის ტყეებში მეურნეობის წარმოებაზე, განსაზღვრავს მის სირთულესა და სპეციფიკას, რაც ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს. ასეთ პირობებში ტყის მეურნეობის გაძლიერებისას სულ მცირე შეცდომასა თუ დადგენილი წესებიდან გადახრას შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი უარყოფითი კოლოგიური ცვლილებები.

3. საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშულებით გამოყოფის კუთხით გარემოს დაცვის სფეროში საგანონმდებლო საფუძვლების მიმოხილვა

3.1. საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. თავი III, მე-15 მუხლი, მე-5 პუნქტი, ბ) ქვეპუნქტი – გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩნის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დაცვა.

3.2. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ თავი XII, მე-45 მუხლი, პუნქტი 2. „დაცვას ექვემდებარება – ა) ზღვის სანაპირო ზოლი; ბ) ჭაობი, წყალსატევები, მდინარეების სათავეები, მყინვარები, მდვიმეები; გ) სუბალპური ჭალის ტყეები; დ) ძვირფასი ტყის მასივები; ე) მწვანე ზონის ტყეები.

3.3. საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბმისად, ნიადაგის დაცვის მიზნით, იკრძალება ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება. ამავე პუნქტის თ) ქვეპუნქტით იკრძალება მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება.

3.4. საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ. ამ კანონის მე-2 თავის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენებასთან. მე-8 მუხლის მიხედვით, მეორე ზონაში

დაშვებულია მხოლოდ მოვლითი ჭრა. სანიტარული დაცვის პირველი ზონის საზღვრები დგინდება 15 მეტრიდან 300 მეტრამდე. მეორე ზონის საზღვრები რეგულირდება მინერალირი წყლების საბადოებისათვის ტერიტორიის გეოსტრუქტურულ და პიდროლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ხოლო სამკურნალო ტალახის საბადოებისათვის – ზედაპირული წყლების უახლოეს წყალგამყოფ ხაზზე. მე-2 ზონის საზღვრების სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 500 მეტრს პირველი ზონის საზღვრიდან. მესამე ზონის გარე საზღვრები დამოკიდებულია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ფორმირების გარე საზღვრებზე. ამ ზონაში დაშვებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და სამკურნალო ადგილების სანიტარულ მდგომარეობაზე.

3.5. საქართველოს კანონის წყლის დაცვის შესახებ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის სხვა ობიექტების ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების მოლამვის, წყლის ცხოველთა საბინადრო გარემოს გუარესების თავიდან ასაცილებლად, წყლის ჩამონადენის ცვალებადობის შესაბამისობად და სხვა, იქმნება წყლის დამცავი ტყის ზონები, აგრეთვე ტარდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, პიდრობექნიკური და სხვა ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

3.5.1 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წლის 7 მაისის № 59 ბრძანებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტიდან ორივე მხარეს მეტრებში შემდეგი წესით:

1. 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისათვის – 10 მეტრი;

2. 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისათვის – 20 მეტრი;

3. 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისათვის – 30 მეტრი;

4. 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის – 50 მეტრი.

ამავე დებულების მე-11 მუხლის მიხედვით, წყალდაცვითი ზოლის ტყეებში აკრძალულია ყოველგვარი ჭრა, გარდა მოვლითი ჭრისა და ნებადარულია მხოლოდ სატყეო სანეურნეო ღონისძიებების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტების დაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრობისგან დაცვას.

3.6. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 17 მაისის № 129 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლის შესახებ დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს მცირე მდინარეებს განეკუთვნება მდინარეები, რომელთა სიგრძე სათავიდან შესართავამდე არ აღემატება 75 კილომეტრს, რომელთა წყალდაცვითი ზოლი ანალოგიურია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წლის 7 მაისის № 59 ბრძანებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ დებულებით განსაზღვრული წყლის დაცვითი ზოლებისა. მცირე მდინარეების წყალდაცვით ზოლებში აკრძალულია ტყისა და სხვა მცენარეების მოჭრა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (დაავადება, გახმობა) გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვით.

3.7. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 132-ე დადგენილებით დამტკიცებული ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-8 მუხლის სალიცენზიონ პირობების, პირველი ჟუნქტის (ლ. ლ.ა) ლ.ბ), ლ.გ) ლ.დ) 6), ი), და პ) ქვეპუნქტების შესაბამისად, გამოცხადებულია როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვა, ასევე წყალდაცვითი ზოლის დაცვა.

ზემოთ აღნიშნული კანონებითა და ნორმატიული აქტებით, ერთი შეხედვით

განსაზღვრულია გარემოს დაცვა და ბიომრავლფეროვნების შენარჩუნება საქართველოს ტყეებში, მაგრამ კონკრეტულად არ არის განსაზღვრული წესების სახით, როგორ უნდა იქნეს დაცული, მაგალითად, ძვირფასი ტყის მასივები, როდესაც გასაზღვრული არა გვაქს რას წარმოადგენს ძვირფასი ტყეები ან ძვირფასმერქნიანი სახეობის ხეები, რომელთა მოჭრა ან დაზიანება უნდა აიკრძალოს. არ არის განსაზღვრული იშვიათი ტყის ეკოსისტემების იდენტიფიკაციის და მათი დაცვის მექანიზმები. ასევე არ არის განსაზღვრული აღგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გამოვლენა და შეთანხმება ტყეთსარგებლობასთან დაავშირებით. არ არის აგრეთვე განსაზღვრული კონკრეტულად როგორ უნდა დავიცვათ ტყეკაფებზე აღმოჩენილი საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მერქნიანი სახეობების ხეები, ან მათი ხეთა ჯგუფები დაზიანებისგან, სხვა მერქნიანი მცენარეებით სარგებლობის დროს. არ არის განსაზღვრული ტყეკაფების სხვადასხვა მონაკვეთზე აღმოჩენილი იშვიათი ბიოტოპები როგორ უნდა გამოვყოთ და შევინარჩუნოთ. საქართველოს ტყეებში დაახლოებით 150 სახეობის ფრინველთა საბინადრო გარემოა, რომელთა დიდი ნაწილი ხეების კენწეროებზე და სის ფუძუროებში იკეთებენ ბუდეებს, ასევე, ხელფრთიანებისა (დამურები) და სხვა წვრილი ძუძუმწოვრების ჰაბიტაციების მწიფე, გადაბერებული და სხვა ხნოვანების ხეების სიღრუეები წარმოადგენს. დიდი ურადღება უნდა მიექცეს ველური ფუტკრისა და სხვა ფუტკრისნარი მწერების საბინადრო გარემოს დაცვას, რომლებიც ასევე ბუდობენ ნედლი მერქნიანი მცენარეებისა და მდგრადი სმელი და სმობაში შესული მერქნიანი მცენარეების სიღრუეებში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფუტკრები, რომლებსაც გადააქვთ მცენარეების ყვავილების მტვერი, დამტვერვით ინარჩუნებენ და აძლიერებენ თაფლოვანი მერქნიანი მცენარეების (წაბლი, ცაცხვი, მაჟალო, ნეკერჩხალი, ვერხვი, ჯონჯოლი, მუხა, პანტა, სურო, ბალამწარა

და სხვა.) გენეტიკურ მდგრადობასა და მრავალფეროვნებას. ტყეთსარგებლობის წესის მიხედვით, პირველ რიგში, იჭრება მცენარეები, რომლებიც არც ბიომრავალფეროვნების დაცვისა და და არც ტყეთსარგებლობისთვის არის რენტაბელური. აღსანიშნავია, რომ იმ მოთხოვნების ძირითადი ნაწილის ვალდებულებები, რაც წაყენებული აქვს ლიცენზიანტებს, საერთოდ არ არის განსაზღვრული სხვა მოსარგებლებისთვის სოციალური და მოვლითი ჭრების დროს. მოვლითი ჭრების დროს თითქმის კველა სახეობის მერქნიანი მცენარის მოჭრა არის განსაზღვრული (გარდა წითელი ნუსხის სახეობებისა), რომელთა ჭრის ხნოვანების ზედა ზღვარი გავლითი ჭრების დროს განუსაზღვრელია, რადგანაც მთავარი სარგებლობის ჭრების დროს, მერქნიანი მცენარეების ხნოვანებას მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მთავარი სარგებლობის ჭრების ჩატარებამდე რომ იქნეს მიღებული და შენარჩუნებული ამ ჭრების შესაბამისად განსაზღვრული ტექნიკურად მწიფე წიფლის, ნაძვის, რცხილის, ვერხვისა და სოჭის ხები, მოვლითი ჭრის დროს შესაძლებელია მოიჭრას ასაკის ზედა ზღვარზე დაუდგენელი, ცაცხვის, იფნის, ნეკერჩხლის, ქართული მუხის, პანტისა და სხვა სახეობის მერქნიანი მცენარეები (ჩამოთვლილი მერქნიანი მცენარეები წარსულში ძირითადად ძვირფასმერქნიანი სახეობის მცენარეებს მიეკუთვნებოდნენ).

4. მაღალი გარემოსდაცვითი დირექტულების ტყეების ტიპების განსაზღვრა და მათი მართვის ზოგადი პრინციპები

საქართველოში მაღალი გარემოს-დაცვითი ღირებულების ტყეების (მგდტ) ტიპების განსაზღვრა და მათი მართვის ზოგადი პრინციპები უნდა განხორციელდეს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე. მთელ

მსოფლიოში ყოველწლიურად ტყეების 13 მილიონი ჰა ქრება. ეს დანაკარგები უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე: FAO-ს მონაცემებით, შესაძლოა ამან ტროპიკებში მიგრიუნანოს და შემდეგში 100-მდე სახეობის ცოცხალი ორგანიზმების გაქრობამდე. ტყე წარმოადგენს მილიონობით ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო გარემოს, ამდენად ტყეების განადგურება სერიოზულად ემუქრება სიცოცხლის განადგურებას მთელ პლანეტაზე. ტყეების დეგრადაციითა და გაქრობით აგრეთვე ზარალდება მოსახლეობაც, რადგანაც მსოფლიოში 1,6 მილიარდი ადამიანი დამოკიდებულია ტყეებზე, რაც აუცილებელია მათი ყოველდღიური მოთხოვნილებებისთვის: საკეთის, წყლის, საწვავისა და მედიკამენტების სახით. სინამდვილეში, ეს ზემოქმედება ბევრად უფრო მეტი ზიანის მომტანია, რადგან დაახლოებით 15% გაზებისა, რაც იწვევს სათბურის ეფექტს, სწორედ ტყეების გაქრობის შედეგად წარმოქმნება – რაც გლობალური დათბობის ერთერთი მიზეზია.

ყველა ზემოაღნიშვნი პროცესი ხდება რთულ კონფლიქტურ სამყაროში. ტყით მდიდარი მრავალი ქვეყანა განეკუთვნება ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ და უფრო მეტად, დარიბი ქვეყების რიცხვს. მათი მთავრობები ერთდროულად რამოდენიმე ამოცანის გადაჭრის წინაშე დგანან: სიღარიბის დაძლევა, ბუნების დაცვა და ეკონომიკური განვითარება. ტყეებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ თითოეული ამ პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ამავე დროს გარდაუვალია კომპრომისებიც. ტყეების შენარჩუნება უკიდურესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ხე-ტყის მოხმარება. სატყეო მრეწველობით მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი დაკავებული, რაც მათ აძლევთ საარსებო საშუალებას. ბუნების დაცვა და სატყეო მრეწველობის განვითარება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და უკვე არსებობს მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს ორივე. სატყეო სამეურნეო კომპანიები სულ უფრო მეტ და-

ინტერესებას იჩენენ ტყის მდგრადი მართვის საკითხებისადმი და ცდილობები მიიღონ შესაბამისი ინსტრუქციები. ამასთან დაკავშირებით გასაკუთრებულ სახეს მგლტ-ის გამოყოფა და მათი მდგრადი მართვა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, გარემოს დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია გამოვლინდეს ტყის ტერიტორიები, გამორჩეული ლირებულების ქქონე გასაკუთრებული თვისებებით. მათი გამოყენების მიზანია, ამ ტერიტორიების მართვის შესაბამისი საშუალებების დამუშავება და დანერგვა, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ და გავზარდოთ მათი მაღალი ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ლირებულება.

მგლტ-ის კონცეფცია პირველად იქნა შემოთავაზებული სსს-ს მიერ 1999 წელს, როცა მგლტ-ის შენარჩუნება გახდა სატყეო სამეურნეო კომპანიებისათვის ერთერთი იმ მოთხოვნათა შორის, რომელთაც სურდათ სსს-ს სერთიფიკატების მიღება. სსს-ს მე-9 პრინციპის მიხედვით სამეურნეო საქმიანობის წარმოება მგლტ-ში ხელს უნდა უწყობდეს იმ დამასასიათებელი თვისებების შეარჩუნებასა და გაძლიერებას, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ტყეების დირებულებას. ამ ტყეებთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით იქნეს დაგეგმილი და საგულდაგულოდ გათვალისწინებული შესაძლო ნებატიური შედეგები.

4.1 რა არის მგლტ?

მაღალი გარემოსთდაცვითი ლირებულების ტყეები – ეს იმ ტყეების ტერიტორიებია, რომლებშიც უნდა დავიცვათ ან გავზარდოთ მათი გარემოსდაცვითი დირებულება. მგლტ განისაზღვრება როგორც ტყეები, რომლებშიც სავალდებულოა შენარჩუნდეს და გაიზარდოს მათი ის დირებულებები, რომლებიც იქნა გამოვლენილი. გამოყოფენ მაღალი ლირებულების ტყეების 6 ტიპს და ქვე-

ტიპებს, რომლებიც ასახავენ ტყეების, როგორც ეკოლოგიურ ასევე სოციალურ მნიშვნელობას. მგლტ-ს 6 ტიპია:

მგლტ 1. მაღალი ბიომრავალფეროვნება, რომელიც მნიშვნელოვანია მსოფლიოს, ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე. მასში შედის:

1.1. დაცული ტერიტორიები;

1.2. იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობები;

1.3. ენდემური სახეობებით წარმოდგენილი ტყეები;

1.4. ცხოველთა სამყაროს საკვანძო სეზონური საბინადრო გარემო.

მგლტ 2. ტყის მსხვილი ლანდშაფტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მსოფლიოს, ეროვნულ ან რეგიონალურ დონეზე.

მგლტ 3. ტყეები, რომლებშიც შედის იშვიათი ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ეკოსისტემები.

მგლტ 4. ტყეები, რომლებიც ასრულებენ განსაკუთრებულ დამცავ ფუნქციას კრიტიკულ სიტუაციებში (წყლის რეჟიმის დაცვა იმ მხარეებში, სადაც არის წყალდიდობების მაღალი რისკი, ეროვნისგან დაცვა, და სხვა.) მასში შედის:

4.1. განსაკუთრებული წყალდაცვითი მნიშვნელობის ტყეები;

4.2. განსაკუთრებული ეროვნის საწინააღმდეგო მნიშვნელობის ტყეები;

4.3. განსაკუთრებული სანდარსაწინააღმდეგო მნიშვნელობის ტყეები.

მგლტ 5. ტყეები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი მოსახლეობის არსებობის უზრუნველყოფისათვის.

მგლტ 6. ტყეები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

მგლტ-ის კონცეფცია გამოიყენება კარგოგრაფიაში, ბუნებრივი რესურსების დაცვის, დაგეგმვისა და გამოყენების დროს, შესყიდვების პოლიტიკის დროს, რადგანაც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების (ტყის პროდუქციის მირითადი მომებარებლები) უმეტესობა ამჟამად ითხოვენ, რომ მათგვის მიწოდებული ხელის მასალები წარმოებული იყოს ლე-

გალური ნედლეულისგან, მდგრადი ტყეთსარგებლობის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ ტყეთსარგებლობა უნდა იყოს ეკოლოგიურად და სოციალურად გამართლებული. აღნიშნული იძლევა იმის გარანტიას, რომ ტყის პროდუქციის დამზადება არ შეუქმნის საფრთხეს ბიომრავალფეროვნებას, არ შეამცირებს ტყის პროდუქტიულობასა და ტყეების მიერ ეკოლოგიური ფუნქციების შესრულების სარისხს. უკანასკნელ წლებში, მგლტ-ის კონცეფცია გამოიყენება პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებაში და დისკუსიებში სახელმწიფო დონეზე. ამ კონცეფციის სწრაფი გავრცელება აიხსნება მისი გამჭვირვალებითა და სიმარტივით, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა ტყის განსაკუთრებულ ლირებულებას.

4.2 მგლტ-ის კონცეფციის ოთხი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი

კონცეფცია მეცნიერულად დასაბუთებულია – იგი ეყრდნობა საუკეთესო ხელმისაწვდომ ეკოლოგიურ და სოციალურ ინფორმაციას და ამით უზრუნველყოფს სისტემატურ საფუძველს მაღალი გარემოსდაცვითი ლირებულების გამოსავლენად. თუმცა საბოროლო გადაწყვეტილება იმის შესახებ, არსებობს თუ არა გარემოსდაცვითი ლირებულება, ლირებულია თუ არა ლირებული ლირებულების კონცენტრაცია, რათა ტყეს ეწოდოს მგლტ – მაინც სუბიექტურია.

კონცეფცია ვარაუდობს, დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობას მგლტ-ის განსაზღვრისა და გამოვლენის პროცესებში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ამ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებისას, მრავალი ექსპერტისა და მრავალმხრივი გამოცდილების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ ინტერესების ფართო წრე.

კონცეფცია შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი ტიპის ტყეებისათვის – ტაიგის, ზომიერი, ან ტროპიკული, ბუნებრივი ან ხელოვნურად გაშენებული კორომებისთვის, რადგან ტყეების მიკუთ-

ვნება მგლტ-ისთვის ეყრდნობა მხოლოდ იქ არსებული მაღალი გარემოსდაცვითი დირებულების ობიექტებს.

კონცეფციის დახმარებით, შეიძლება შევაფასოთ სხვადასხვა სიდიდის ტერიტორიები. მგლტ შეიძლება იყოს დიდი მასივის ან ტყის მართვის მთელი ტერიტორიის მცირე ნაწილი, – აგრეთვე სხვადასხვა მასშტაბებში – როგორც პატარა (ცალკეული ტერიტორიების დონეზე), აგრეთვე დიდი (ლანდშაფტებისა და მთელი ქვეყნების დონეზე).

4.3 სიფრთხილის პრინციპი

მგლტ-ის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს სიფრთხილის პრინციპის გამოყენება ტყის მართვაში. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ თუ ტყის გარკვეული უბინოსათვის დამახასიათებელია მგლტ-ის თვისებები, მაშინ ამ ტერიტორიაზე ტყის მართვა უნდა ეფუძნებოდეს იმ ვარაუდს, რომ ეს მგლტ-ა. შესაბამისად, ტყის ამ უბანზე სატყეო-სამეურნეო საქმიანობის ძველებულად წარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დირებულების შემცირება. ამ პრინციპის გამოყენება მაღალი გარემოსდაცვითი ლირებულების ობიექტების დაცვის გარანტიას იძლევა. ეს განსაკუთრებით მიშვნელოვანია, როცა სატყეო-სამეურნეო საქმიანობის გავლენა დიდია ტყის ყველა ელემენტსა და ფუნქციაზე, ან მისი დირებულების ნამდვილი მასშტაბი არასრულადაა განსაზღვრული.

4.4 აკრძალულია თუ არა ჭრები მგლტ-ში?

არსებობს განსაზღვრული დისკუსია თემაზე, უნდა იყოს თუ არა მგლტ დეპლარიტებული, როგორც სრულიად აკრძალული ჭრების ზონა, ან შეიძლება თუ არა იქ ხე-ტყის კონტროლირებადი დამზადება. კონცეფცია თავიდან შემუშავდა ტყის მდგრადი მართვის გზით და არ ითვალისწინებდა ჭრების სრულ აკრძალვას გარკვეულ შემთხვევებში. იგი უფრო მოიაზრებოდა როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ნებას მისცემს ტყის მართვის სპეციალისტებს, შეიმუშაონ გარემოსდაცვითი მნიშვნელობით გათვალისწინებული ტყის მართვის გეგმები.

მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ტყის მართვასთან დაკავშირებული უკელა გადაწყვეტილების მიღება მაღალი გარემოსდაცვითი დირექტულების დაცვის ან გაზრდის აუცილებლობის გათვალისწინებით და აგრძოვე სიფრთხილის პრიციპის გამოყენებით.

კონკრეტული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი: მგლტის ოფიციალური დაცვა, ან ჭრების გადის გადაწევა; სხვა შემთხვევაში – მდგრადი ტექსტსარგებლობა ხე-ტყის რეგულარული დამზადებით. გარდა ამისა, ტერიტორიებზე სადაც ჭრები შეზღუდვებით მიმდინარეობს, შესაძლებელია გარემოს დაცვის თვალსაზრისით გაკეთდეს ეკოლოგიური კორიდორები დაცულ ტერიტორიებს შორის.

4.5 მგლტ-ს კონცეფციის უპირატესობა

- კონცეფცია საშუალებას იძლევა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებიდან, როგორიცაა „დავუშვათ თუ არა ჭრები”, გადავიდეთ უფრო მნიშვნელოვან განხილვაზე – თუ როგორ შევინარჩუნოთ ან გავზარდოთ ტყების დირებული თვისებები, მათი სარგებლობის დროს.
- მგლტ-ის კონცეფციას გააჩნია მოქნილობა და არ აწესებს ერთმნიშვნელოვან, მკაცრ მოთხოვნებს ტყის მართვასთან დაკავშირებით.
- იგი ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებებსა და საჭიროებებს.
- კონცეფციის გამოყენება საშუალებას იძლევა ვისარგებლოთ უკვე არსებული მონაცემებით და იგი შეიძლება შეიცვალოს სხვა მიღგომით.

5. რეკომენდაციები საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიებზე მგლტ-ის ტყების გამოყოფასთან დაკავშირებით

საქართველოში ტყების დაცვის ტრადიციებს, შორეულ წარსულში მივყა-

ვართ. მაშინდელი დაცული ტყეები ამჟამად, შეიძლება შევადაროთ მგლტ-ის ტიპებს. მაშინაც, დაცვას ექვემდებარებოდა ტყეების ცალკეული უბნები, ისეთები, როგორიც იყო, ეგრეთ წოდებული „ხატის ტყეები“, საუფლისწულო სამონადირეო მიწები, ყორული ადგილები და სხვა. მე-20 საუკუნეში ასეთ ტყეებს ძირითადად სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების კატეგორიის სტატუსი პქონდა მინიჭებული და ძირითადად ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელ, საკურორტო, რეკრეაციულ და დაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ. აღნიშნული ტყეები ძირითადად შეესაბამება მგლტ-ის მე-4 ტიპის ტყეებს. ტყეების ნაწილი, რომელიც შეიძლება მგლტ-ის პირველ ტიპს მივაკუთვნოთ, ეს არის დღეს საქართველოს კანონმდებლობით დაცული, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყეები, ძირიფასი ტყის მასივების კატეგორიის ტყეები. აგრეთვე შესაძლებელია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები მიგმაჯუთვნებინა მგლტ-ის მე-5 კატეგორიისთვის.

დღევანდელ ეტაპზე ტყითსარგებლობის წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნის სტატუსის მქონე ტყეების შექმნა, სადაც განსაზღვრულია მხოლოდ მთავარი სარგებლობის ჭრების შეზღუდვა, არ მოიცავს სატყეო სამეურნეო ღონისძიებების იმ სრულ სპექტრს, რამაც უნდა უზრუნველყოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

დღევანდელ ეტაპზე, ზემოაღნიშნული დეკლარილებული სახით წარმოდგენილი ფუნქციონალური უბნების განსაზღვრული ტყეების სტატუსი ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ტყეების ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების დაცვას და სრულად ვერ ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა საქართველოში წარსულში და დღევანდელ ეტაპზე განსაზღვრული სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ტყეების შესაბამისობაში მოყვანა

საერთაშორისო დონეზე აღიარებული მგლტ-ის ტიპებთან და ქვეტიპებთან, საქართველოს ტყების მრავალფუნქციონალური დანიშნულების გათვალისწინებით.

5.1 მგლტ-ს ტიპები და ქვეტიპები საქართველოში

5.1.1 მაღალი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ტყეები (შოთვლით, რეგიონალური, ეროვნული დონე).

მიმდინარე ეტაპზე საქართველოში, აღნიშნული კატეგორია გულისხმობს განსაკუთრებულად მაღალი ღირებულებებით წარმოდგენილ ტყეებს, სადაც კონცენტრირებულია, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, იშვიათი სახეობები, ენდემური სახეობები, რელიქტური, ნაკლებად სახეცვლილი და ხელუხლებელი ტყეები და ცხეველთა სამყაროს დიდი კონცენტრაციის თავშეერის ადგილები. აღნიშნული ტყის მასივები, რომლებიც წარმოადგენს მგლტ-ს, შეიძლება შედიოდეს ეროვნული, საერთაშორისო რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის ტერიტორიებში (მაგალითად ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები).

გლობალური თვალსაზრისით, კავკასიის ეკორეგიონი ამერიკული ორგანიზაციის (Conservation International) მიერ შეკვანილი იქნა ბიომრავალფეროვნების „34 ცხელი წერტილის“ სიაში, რომელიც აერთიანებს განადგურების უდიდესი საფრთხის წინაშე მყოფ, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ტერიტორიებს. ხოლო ველური ბუნების მსოფლიო ფონდის მიერ კავკასია შეკვანილი იქნა 238 ეკოლოგიური რეგიონის სიაში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ გლობალურ დონეზე ბიომრავალფეროვნების დაცვაში. ეკორეგიონების შერჩევის საბაზო ინფორმაციის კრიტერიუმები ეყრდნობა ისეთ პარამეტრებს, როგორიც არის სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, უნიკალური ტაქსონომიური ჯგუფები, გლობალური იშვიათობის მქონე მთავარი ტიპების საბინადრო გარემო და სხვა.

საქართველო არის აღნიშნული ეკო-

რეგიონის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ნაწილი, სადაც კავკასიის თითქმის ყველა ტყის ეკოსისტემა, პაბიტაცი და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი. საქართველო პირველ ადგილზეა კავკასიაში 1 ჰექტარზე მერქნიან მცენარეთა სახეობრივი რაოდენობის მიხედვით, სადაც აჭარის ტერიტორიაზე კოლხეთის რელიქტურ ტყეებში 1 ჰექტარზე ზოგ ადგილზე გვხვდება არანაკლებ 25 სახეობის მერქნიან მცენარეთა თანასაზოგადოება.

ეკორეგიონი – გეოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ცნებაა. იგი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სიდიდის განსხვავებულ ლანდშაფტებსა და ეკოსისტემებს. ეკორეგიონებში შედის, როგორც ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული რეპრეზენტატური ადგილები, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრანსფორმაციის შედეგად წარმოდგენილი სახეშეცვლილი უტყეო სივრცეები, მეორადი ტყეები, ნახანდრალები და სხვა ტერიტორიები, რომლებმაც უკვე ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს თავიანთი გარემოსდაცვითი ღირებულება. მიუხედავად აღნიშნულისა, ტყითსარგებლობის დროს გასათვალისწინებელია არსებული დირექტულებების დაცვა. კავკასიის ეკორეგიონში, საქართველოს ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული მაღალი ეკოლოგიური დირებულების ტერიტორიების ერთიანი ქსელი, სადაც სხვა ტერიტორიებთან ერთად შესული იქნებოდა მგლტ-ს ტერიტორიებიც, სრულად არ არის იდენტიფიცირებული და გამოყოფილი.

დღევანდელ ეტაპზე კავკასიის ეკორეგიონში შერჩეულია მხოლოდ კრიტიკული ეკოსისტემები, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული ცხეველთა სამყაროს გაფრცელების პაბიტაციები, რომლებიც გაერთიანებულია სხვადასხვა საიტებში. აღნიშნული საიტები მოიცავენ, როგორც საქართველოს დაცველ ტერიტორიებს მათში შემავალი ტყეებით, ასევე საქართველოს ტყის ფონდის და მიწათსარ-

გებლობის სხვა ტერიტორიებს. სპეციალური საკანონმდებლო დოკუმენტი, აღნიშნული ტერიტორიების სტატუსთან და მათ მართვასთან დაკავშირებით, შექმნილი არ არის. გარდა აღნიშნულისა, საქართველოში WWF-ის ხელისშეწყობით შეიქმნა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებითა და გარემოსდაცვითი ღირებულებებით კრიტიკულად გამორჩეული დაცული ტერიტორიებისათვის შესაძლო სარეზერვო ტყის ფონდის ტერიტორიები.

აღნიშნული კატეგორიის ტყები შეიძლება მოიცავდნენ როგორც საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყებს, ასევე საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით (კონვენციებით), ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრულ ტერიტორიებს. ესენია: რამსარის, ზურმუხტის ქსელის, გაუდაბნოებისა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებით განსაზღვრული ტყები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ტყების კატეგორიები შეიძლება დაიყოს ქვეპატეგორიებად, რომლებიც აღწერილია მომდევნო ქვეთავებში.

5.1.1.1 ტყები, რომლებიც წარმოდგენილია დაცულ ტერიტორიებზე

საქართველოში ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული მგლტები ძირითადად წამოდგენილია დაცულ ტერიტორიებზე, სადაც, თანახმად დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონისა, წარმოდგენილია სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები, რომლებიც შესაბამისობაშია IUCN-ის მიერ კლასიფიცირებული I-V კატეგორიის დაცულ ტერიტორიებთან. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში წარმოდგენილია აღიშნული კატეგორიების 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტი, რომელთა საერთო ფართობი 495 892 ჰექტარია. აღნიშნული ტერიტორიების არანაკლებ 60%-ისა ტყით არის დაფარული.

5.1.1.2 ტყები, რომლებიც წარმოდგენილია იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით

ტყები, სადაც გარკვეულად წარმოდგენილია იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, უფრო მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების დცვის მიზნით, ვიდრე ისეთი ტყები, სადაც ასეთი სახეობები ან ძალიან იშვიათია, ანდა საერთოდ არ გვხვდება. იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები გამოირჩევიან თავიანთი მგრძნობიარობით, არამდგრადობითა და მოწყვლადობით, ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ისეთი ფაქტორების მიმართ, როგორიც არის ჰაბიტატების დეგრადაცია, საბინადრო გარემოს შეცვლა, სხვადასხვა დაავადებები, ნადირობა და სხვა. აღნიშნული ქვეტიპის ტყები იყოფა იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. ასეთ ტერიტორიებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს საკანძო ფლორისტული და ორნიტოლოგიური ტერიტორიები, ჭარბტენიანი ტერიტორიები.

2001 წელს „ფრინველთა მნიშვნელოვანი ადგილები“-ის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოში გამოვლენილი და აღწერილია 31 ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი, ტყებში იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და მათი იშვიათი თანასაზოგადოების ტყის ტიპები. საქართველოში, აღსანიშნავია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხეები და ბუჩქები, როგორიც არის ჰარტვისის მუხა, კოლხური ბზა, უთხოვარი, ძელქვა, ჩვეულებრივი ხურმა, ლეღვი, იმერეთის მუხა, ქართული ნეკერჩხალი, პონტოს მუხა, ხემარწყვა, კოლხური ჯონჯოლი, უხრავი და სხვა. საქართველოში ეს მცენარეები გვხვდება ცალკეული ხეების ან მცირე ჯგუფების სახით, იშვიათად ქმნიან მცირე ფართობებს (0,25 ჰა და უფრო მეტ ფართობებზე).

უთხოვარი წარმოდგენილია მდ. ბურსის, დურუჯის, სტორისა და ლეხურის ხეობებში, ლოპოტის ხეობაში, ღოლო-

იანის ხეობაში, გონჯახევში, ოქთონულებზე, შუამთის მიდამოებში, კოტეხის ხევზე, ჭერის ხევზე და კახეთის სხვა ხეობებში, მდინარე ყვირილას აუზში, არგვეთის მიდამოებში, წაღვერის მიდამოებში, დაბაში, დიდი მიტარბის თავში, ბაკურიანში – იაგორას ველზე, მდ. არაგვის ხეობაში – თვალივი, კაწალხევი, გუდამაყრის ხეობაზე, ქვეშეთი, მდევთა, გამსი (აქ არის დგის კორომიც).

უხრავი გვხვდება ხულოსა და ქედის მიდამოებში. ბორჯომის ხეობაში წარმოდგენილია წისქვილის ღელეზე, საყდრის ღელეზე, საბუღრაოს ტანას კლდეზე, ახალციხე, საფარა და ასპინძაში – ურაველის ხეობაში. სამეგრელოს კირქვულ რელიეფზე მდ. აბაშის, ტეხურის, ხობის-წყლის ხეობებში წარმოდგენილია ბზის, წაბლისა და სხვა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი წითელი ნუსხის სახეობები. გურიაში სოფ. ხაკაურასთან აღსანიშნავია პონტოს მუხის კორომი. ბზა გვხვდება მდინარე ილტოს ხეობაში და სტორის ხეობაში, ყვარლის რაიონში (ბზათაგორი). კაკალი და ლაფანი გვხვდება სტორის ხეობაში.

5.1.1.3 ენდემური და რელიეფური სახეობებით წარმოდგენილი ტყები

ენდემებს წარმოადგენენ შეზღუდული არეალის მქონე მცენარეები და ცხოველთა სახეობები. საქართველოს დენდროფლორის 26% (104 სახეობა) საქართველოსა და კავკასიის ენდემია. საქართველოს ფლორის შემადგენლობაში ჭურჭლოვანი მცენარეების 4100-მდე სახეობა არის აღრიცხული, აქედან 14%-მდე ენდემურია, რომელთა უმრავლესობა კოლხეთის ფლორისტულ ტერიტორიაზეა. მაგალითად, სამეგრელოში გავრცელებული მცენარეული სახეობებიდან 175-მდე – ენდემებია. აქედან 125-მდე კავკასიის ენდემია, ხოლო 50-მდე – საქართველოს ენდემი. რაჭა-ლეჩებუმის ფლორა მოიცავს 1198 სახეობას. აღნიშნულიდან 110 სახეობა კავკასიის ენდემია, 54 სახეობა – საქართველოსი, ხოლო 9 სახეობა – რაჭა-ლეჩებუმის ენდემია. საქართველოს წითელ ნუსხაში მცენარეების დიდი ნაწილი ენდემურ მცენარეებს წარმოადგენენ.

5.1.1.4 ცხოველთა სამყაროს მნიშვნელოვანი სეზონური საბინადრო გარემო

ცხოველთა სამყაროს მრავალი სახეობა დროის სხვადასხვა პერიოდში, ან თავიანთი ცხოვრების ციკლის მიმდინარეობის პერიოდში, იცვლის თავის საბინადრო გარემოს. ეს შეიძლება იყოს გეოგრაფიულად განცალკევებული სხვადასხვა საბინადრო გარემო, ან ერთი რეგიონის სხვადასხვა ეკოსისტემები. ასეთი ადგილებში მოიაზრება ბუტუმწოვართა და ფრინველთა გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანი სამიგრაციო დერეფნები. საქართველოში ასეთ ტერიტორიად შეიძლება მოიაზრებოდეს ლიხის ქედი, ჩლიქოსანი ცხოველების გადაადგილებისათვის. მაღალმომის ეკოსისტემების მობინადრე ჩლიქოსანი ცხოველების კონცენტრაციის ადგილები ზამორის პერიოდში არის: ბუნებრივი წარმოშობის სამარილები (სალოკაციო ადგილები), ფრინველთათვის არაგვისა და დარიალის ხეობა და აჭარის რეგიონის ზღვის სანაპირო ზოლთან მიბჯენილი მთისწინა კალთების ტყები. ასეთ ტერიტორიებში მოიაზრება მდინარე კინტრიშის, ტეხურისა და ხობისწყლის ხეობები, რომლებიც წარმოადგენენ შავი ზღვის ორაგულის სამიგრაციო ტერიტორიას ქვირითობის პერიოდში. ასეთი მდინარეების ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გასწვრივ არსებული ტყების დაცვას. საბჭოთა კავშირის პერიოდში ასეთ ტყეებს დაცვითი ფუნქცია ჰქონდათ და ძვირფასი სარეწაო მნიშვნელობის მქონე თვეზის საქვირითების დამცავი ტყეების სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული.

5.1.2 ტყის მოზრდიდი ლანდშაფტები, რომელებსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ მსოფლიო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე

აღნიშნული კატეგორიის ტყეები საჭიროა იმ ტყეების გამოსაყოფად, სადაც ბინადრობს სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების უმცესესობა ან პრაქტიკულად ამ რეგიონის ბუნებისთვის დამახასიათებელი ყველა სახეობა. ამ ტყეებს

მიეკუთვნება ისეთი ტყეები, სადაც ბინადრობენ ფართოდ გავრცელებული სახეობები იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სუბპოპულაციები არ არიან სიცოცხლის-უნარიანი გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს არის ტყეები, რომლების კოლოგიური პროცესებისა და კოსისტემების ფუნქციონირებაში ბოლო დროს ანთროპოლოგიურ ზემოქმედებას ნაკლებად, ან საერთოდ არ განიცდიდენ. ასეთი ტყეები, როგორც წესი, მასივების სახით, შედარებით დიდ ფართობებზე წარმოდგენილი. მათ მიმართ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ცივილიზაციის განვითარების ზემოქმედებამ იკლო, ამავე რეგიონის სხვა ტყეებთან შედარებით.

მთელ მსოფლიოში ტყეების მოზრდილი დანდშაფტები სულ უფრო იშვიათი ხდება, ბევრი მათგანი იმყოფება განაღებურების საფრთხის წინაშე, რაც ტყეების გაჩეხვის შედეგია. ტყის დიდი ბუნებრივი მასივები გავრცელებულია არათანაბრად სხვადასხვა ქაჟებში. იქ, სადაც დიდი მასშტაბით ხდებოდა ტყის ნარგავების რეკონსტრუქცია, მგლტ-ის ეს ტიპი, სავარაუდოდ არ არსებობს. აღნიშნული ტყეების კატეგორიებში, შეიძლება იგულისხმებოდნენ ხელუხლებელი და ნაკლებად სახეცვლილი ტყეები, სადაც მინიმალურად არის წარმოდგენილი ადამიანის სამეურნეო ზემოქმედება, რომლის სიღრმეში არ არის წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი დასახლებები, მოქმედი სატრანსპორტო კომუნიკაციები და სადაც არ არის გამოვლენილი თვალშისაცემი ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის შედეგები. აღნიშნული სიდიდის ტერიტორიები და მდგრადარეობა უზრუნველყოფენ ამ ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი მდგრადი სიცოცხლისუნარიანი სახეობების პოპულაციების შენარჩუნებას. ასეთ ტყეებში შეიძლება წარმოდგენილი იქნას მრავალფეროვანი მოზაიკა, სხვადასხვა კოსისტემებისთვის შეიძლება დამახასიათებელი იქნას ბუნებრივი ნახანძრალების დინამიკის ზემოქმედების კვალი.

საქართველოს მცირე ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე, ასეთი ტყეები იშვიათობას წარმოადგნს. თუმცა, ამა თუ

იმ სიდიდით ხელუხლებელი ტყეები წარმოდგენილია როგორც საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ასევე სახელმწიფო-სამეურნეო ტყის ფონდის ისეთ ტერიტორიებზე, როგორიცაა სამეგრელოს მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ტერიტორიების მიუდგომელი ტყის მასივები.

5.1.3 ტყეები, რომლებიც მოიცავენ იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მოვალე კოსისტემებს

იშვიათია ტყის ეკოსისტემები, რომლებიც მოიცავენ იშვიათ სახეობებს და უკავიათ შედარებით მცირე ფართობები. ტერმინ ეკოსისტემას ნაწილობრივ შექსაბამება მეტყველებაში გამოყენებული ტერმინი „ტყის ტიპი”, ან ტყის ტიპების ჯგუფები. ეკოსისტემა მოიცავს ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობას, რომლებიც ასე თუ ისე, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. აღნიშულიდან გამომდინარე, თუ გვაქვს ტყის ტიპები მსგავსი შემადგენლობისა და სტრუქტურის ტყეებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცოცხალი საფარით, ასეთი ტყეები სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემებს წარმოადგენს.

ტყეების იშვიათი ეკოსისტემების გამოყოფის დროს მნიშვნელოვანია არა მარტო ხეებისა და ბუჩქების შემადგენლობა, არამედ ბალახეული ცოცხალი საფარის შემადგენლობაც. ზოგიერთი ტყის ეკოსისტემები წარმოადგენს იშვიათს თავიანთი ბუნებრივი მდგრადებიდან გამომდინარე. მათი არსებობა დამოკიდებულია საეციფიურ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებზე. ზოგიერთი ეკოსისტემები იშვიათი გახდნენ ადამიანების სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია, მაგალითად, ბუნებრივი ეკოსისტემების აღროების სტემებად შეცვლით.

აღიშნული ტიპის ეკოსისტემები გამოიყოფა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ძირებული ტყის ეკოსისტემების დაცვის მიზნით. საქართველოში ასეთი ეკოსისტემები შეიძლება შეირჩეს რეგიონებსა და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიებიდან.

აქ შედიან ეკოსისტემების ის ტიპები, რომლებიც აღრე იყვნენ ფართოდ გავრცელებული ან დამახასიათებელი იყვნენ დიდი რეგიონებისთვის. ასეთი მცირე სიდიდის ტყის ეკოსისტემები, შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი თავიანთი გავრცელების არეალის კიდეებში, უკიდურეს ზღვარზე, მცირე ფრაგმენტების სახით. საქართველოს რეგიონების მიხედვით, შესაძლებელია ერთი ტიპის ტყის ეკოსისტემები ფონური სახით იყვნენ წარმოდგენილები ერთ რეგიონში მაშინ, როდესაც სხვა რეგიონში იშვიათობას წარმოადგენებ და ისინი შეიძლება წარმოადგენდეს იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ეკოსისტემას. ესეთია, მაგალითად, ნაძვნარი კორომების მცირე ფრაგმენტები არაგვის ხეობაში (კაწალხევი), წიფლნარები აბასთუმნის მიდამოებში, ფიჭვნარები ცივ-გომბორის მთების გარშემო, წიფლნარები წყავის ქვეტყით ილტოს ხეობაში, ფიჭვარები მარადმწვანე ქვეტყით, წიფლნარები ჩვეულებრივი მოცვისა და თაგვისარას საფრით, მუქწიწვიანი ტყეები ნაირბალახოვანი მცენარეების საფარითა და სხვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში კანონმდებლობით განსაზღვრული ძვირფასმერქნიანი ჯიშების ტყის კორომებსა და ხეთა ჯგუფებს, რომლებიც მართალია, წითელ ნუსხაში არ არიან გაერთიანებული, მაგრამ ძალზე მცირედ არიან წარმოდგენილნი. მაგალითად, წითელი ნუსხის წაბლის ტყის მასივებზე (105956 ჰა) იშვიათობას წარმოადგენს ცაცხის (3926 ჰა), პანგის (1549 ჰა), იფნის (9630 ჰა), ნეკერჩხლის (9070), მაჟალოს (423 ჰა), თუთის (41 ჰა), კუნელისა (175 ჰა) და სხვა სახეობათა ტყის კორომები.

5.14 ტყის ტერიტორიები, რომლებიც ასრულებენ განსაკუთრებულ დამტავუნების

ყველა ტყე ასრულებს განსაზღვრულ ბუნებრივ ფუნქციებს, როგორიცაა, წყლის ჩამონადენის რეგულირება და წყლის რეჟიმის დაცვა, ნიადაგის ეროზისაგან დაცვა. ტყის მეურნეობის კარგად მართვის შემთხვევაში, ეს ფუნქციები მუდ-

მივად უნდა იყოს დაცული, რაც ასახულია ტყის მართვის მრავალი სტანდარტების მოთხოვნებში. ტყეებში ამ ფუნქციების დარღვევამ ზოგ შემთხვევაში შეიძლება კატასტროფული სასიათის შედეგი მოიტანოს - მაგალითად, ჭრები ისეთ ტყეებში, რომელიც იზრდება მდინარის აუზში, სადაც მოსალოდნელია დამანგრეველი წყალდიდობებისა და ზარალის მიეკუთხების დიდი საფრთხე. ასეთი ტყე, შესაძლოა იყოს უკიდურესად მნიშვნელოვანი დატბორვის თავიდან აცილებისათვის.

აღნიშნული ტიპის ტყეებში გაერთიანებული უნდა იყვნენ საქართველოში, წარსულში არსებული ტყეების ფუნქციონალური დანიშულების მიხედვით ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეების კატეგორიები და განსაკუთრებით ამ კატეგორიებში გაერთიანებული განსაკუთრებული ეკოლოგიური მომსახურეობით მნიშვნელოვანი დაცვითი ტყის უბნები და ტყის დაცვითი ზოლები. აღნიშნული ტყეების ტიპებში უნდა შედიოდნენ სპეციალური დანიშნულების ობიექტების გარშემო არსებული ტყის უბნები და დაცვით ტყის ზოლებზე მიკუთვნებული ტყეები და სპეციალური სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ტყის უბნები. იმდენად, რამდენადაც არსებობს მრავალი სხვადასხვა ფუნქცია, რომლებსაც ასრულებენ ეკოსისტემები, ამ ღირებულების ტიპი იყოვა ქვეტიპებად, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

5.14.1 ტყეები წყალდამტავი მნიშვნელობით

ტყეები დიდ როლს ასრულებენ დატბორვის აღკვეთაში, წყლის ხარისხის დაცვასა და წყლის გადინების სტაბილურობაში. თუ მათ უკავიათ წყალშემკრები აუზის ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ მათ გააჩნიათ განსაკუთრებული როლი ამ ფუნქციის დაცვაში. ტყეების გავლენა გამოიხატება წლის განმავლობაში წყლის ჩამონადენის გათანაბრებაში. ჯერ ერთი, ხდება ტყეებში თოვლის დონების შეგვიანების ხარჯზე წყალდიდობების პერიოდის გაწელვა და წყალდიდობების ჩამოადენის შემცირე-

ბა; მეორეც, ტყის ნიადაგების ინფოლ-ტრაციის უკეთესი უნარის შედეგად, ხდება ჩამონადენის მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლა ზედაპირულიდან მიწისქვეშაში, რაც კიდევ უფრო ამცირებს უხვწყლიან პერიოდს და ზრდის მცირებულიანი პერიოდის ჩამონადენს. საქართველოში 26 060 მდინარეა და მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათას კმ-ია, რომელთა დიდი ნაწილი მთის მდინარეებს შეადგენს. საქართველოს მდინარეთა აუზის ტყიანობა, საშუალოდ, მერყეობს 10%-დან – 70%-მდე. საქართველოს მდინარეთა მყარი ჩამონადენი დიდი მოცულობებით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია მთიან რეგიონებში ეროვნული პროცესების ინტენსიურ განვითარებასთან, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ადამიანის არასწორი საქმიანობით გამოწვეული ტყის უსისტემო ჭრა. აღნიშნული ქმედებები საქართველოში ღვარცოფების განვითარების ინტენსივობას იწვევს, რაც უფრო მაღალია დატბორვებისა ან გვალვების რისკი, ან რაც უფრო დიდია წყლით-სარგებლობა, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოცემული ტყე საკვანძო მნიშვნელობისაა ამ ფუნქციის დაცვაში, და მით მეტია მისი მიკუთვნების შანსი მგადრისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მდინარეების წყალშემკრებ აუზში ტყეების დაცვმ და მდინარეების გარშემო ტყეების დაცვითი ზოლების შექმნამ, უნდა უზრუნველყოს, როგორც მდინარეების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება, ასევე ტყეების ნატადამჟერი და წყალმარეგულირებელი ფუნქციებიდან გამომდინარე, მდინარეების სტიქიური მოვლენებით (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოვები) გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება.

გარდა აღნიშნულისა, დაცვითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ტყეებს, რომელებიც წარმოდგენილია საქართველოს ტბების, ხელოვნური წყალსაცავებისა და სამკურნალო მინერალური და ოქრომული წყლების გარშემო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 856 მცირე ტბა,

1400 სამეურნალო მინისტრი წყარო
და 44 სხვადასხვა დანიშნულების (კომპ-
ლექსური, ენერგეტიკული და სარწყავი)
წყალსაცავია, რომელთა ნაწილის გარ-
შემო მათი ჰიდროლოგიური რეჟიმისა
და გარკვეულწილად ბიომრავალფეროვ-
ნების დამცველი ტექნიკია წარმოდგენი-
ლი. ზემოაღნიშნულ ტექნიკს მიეკუთვნება
შემდეგი ფუნქციონალური დანიშნუ-
ლების მგლტები:

- მდინარეების გასწვრივ 200 მეტრიანი დაცვის ზოლი, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის ობიექტების გარშემო არსებული ტყის ზოლები;
 - მდინარეების გასწვრივ განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე თევზის საქვირითეების დაცვითი ტყის ზოლები;
 - ჭაობების, მდინარეთა სათავეების, წყაროსთავების, მყინვარების ენების გარშემო არსებული ტყის უბნები;
 - ღვარცოფული მოვლენების ფორმირების საწინააღმდეგო მნიშვნელობის ტყის ზოლები. ღვარცოფული მოვლენების საწინააღმდეგო მდინარის ნაპირდაცვითი ზოლები;
 - ჭალის ტყეები;
 - სამკურნალო მნიშვნელობის მინერალური და თერმული წყლების გარშემო არსებული ტყის ზოლები.

5.1.4.2 ტყევბი ერთზის საწინააღმდეგო მნიშვნელობით

ტყეების სხვა ბუნებრივ ფუნქციას წარმოადგენს ადგილის რელიეფის დაცვა, რაშიც შედის ეროზის, მეწყერების, თოვლის ზვავების აღკვეთა და ხალექების დაგროვება მდინარეების ქვედა დინებაში. ნებისმიერი ტერიტორია შეიძლება განიცდიდეს ეროზის ზემოქმედებას, მაგრამ საკმაოდ ხშირად ეროზის ხარისხი ან მისი წარმოქმნის რისკი დიდია არ არის და არც შედეგებია მნიშვნელოვანი. თუმცა, იქ სადაც ნიადაგების, მეწყერებისა და თოვლის ზვავების ეროზის შეუძლია ზარალი მიაუყოს გარემოს, მიგვიყვანოს პროდუქტიული მიწების დაკარგვამდე და ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვიოს, ამ დროს, ტყეებს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი დაცვითი ფუნქციები. ასეთ შემთხვევებში

ში ითვლება, რომ მათ აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა და მიეკუთვნებიან მგლტ-ს. აღნიშნულ ტყეებს მიეკუთვნება შემდეგი ფუნქციონალური დანიშნულების მგლტ-ბი:

- ზვავების ფორმირებისა და ზვავის სავალი გზების გარშემო არსებული ტყის ზოლები;
- ეროზიის საწინააღმდეგო განსაკუთრებული მნიშვნელობის ტყის ზოლები;
- მეწყრული მოვლენების საწინააღმდეგო დაცვითი ტყის ზოლები;
- მეწყერების, კლდეზვავების და ამონაშალების გარშემო არსებული ტყის უბნები;
- 300 მეტრიანი სუბალპური ტყეების დაცვითი ზოლები;
- ტყისპირების 50 მეტრიანი დაცვითი ზოლები;
- კირქვულ რელიეფზე და კარსტულ წარმონაქმნებზე და მათ გარშემო არსებული 100 მეტრიანი დაცვითი ტყის ზოლები. ბუნებრივი სიღრუეების გარშემო არსებული დაცვითი ტყის ზოლები;
- კლდეებზე, კლდის ქიმებზე და ლოდნარზე (ქვათა ნაყარზე) წარმოდგენილი ტყეები;
- ადგილად გადარეცხვადი და ქარისმიერი ზემოქმედების მიმართ არამდგრად გრუნტებზე არსებული ტყის უბნები;
- დრმა ხეობების, კანიონებისა და წევარამების გარშემო არსებული არსებული ტყის უბნები;
- რეკულტივირებული და მიტოვებული საბადოების კარიერების გარშემო არსებული ტყის უბნები;
- ნამქერებისა და ქარიანი ადგილების გარშემო არსებული დაცვითი ტყის უბნები;
- უტყეო სივრცეებში შექრილი ტყის ზოლები;
- უტყეო სივრცეებში წარმოდგენილი 100 ჰა-მდე არსებული ტყის უბნები;
- ტრავერტინებისა და ვოლუკლუზების გარშემო არსებული ტყის უბნები;
- ინვერსიულ განლაგებებზე არსებული ტყის უბნები.

5.1.4.3 სპეციალური დანიშნულების ობიექტების გარშემო არსებული ტყის უბნები

- კავშირგაბმულობის ობიექტების გარშემო არსებული დაცვითი ტყის უბნები;
- რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გარშემო არსებული დაცვითი ტყის უბნები;
- სასმელი წყლის სათავეების გარშემო არსებული დაცვითი ტყის უბნები;
- ჰიდროკვანძების და არხების გარშემო არსებული ტყის დაცვითი ზოლები;
- მილსადენების გარშემო არსებული ტყის დაცვითი ზოლები;
- ელექტროგადამცემი კომუნიკაციების ტყის დაცვითი ზოლები;
- საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების გარშემო არსებული ტყის ზოლები;
- საქონლის გადასარეკი ტრასები და მათ გარშემო არსებული ტყის ზოლები.

5.1.4.4 სპეციალური სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ტყის უბნები

- გადაბერებული ტყეები;
- ხელუხლებელი და ნაკლებად სახეცვლილი ტყის უბნები;
- მაღალი პროდუქტიულობის, ეტალონური და სარეპერო მნიშვნელობის (გენეტიკური რეზისუატები) მქონე ნაკლებად სახეცვლილი ან ხელუხლებელი ტყის უბნები;
- ტყეებში მუდმივი სანიმუშო ფართობების ადგილები და ეკომონიტორინგის ტყის უბნები;
- ტყის სათესლე პლანტაციები, სათესლე უბნები და პლიუსური ხეების კონცენტრაციის ადგილები;
- სატყეო-სამეურნეო დონისძიებების ექსპერიმენტაციური, ეტალონური ან სამოდელო უბნები;
- გეორაფიული და საცდელი ტყის კულტურების გაშენების ადგილები;
- მაღალი კატეგორიის დაცული ტერიტორიების (ნაკრძალები, ეროვნული პარკების) გარშემო არსებული 300 მეტრიანი დაცვითი ტყის უბნები;

- სამონადირეო მეურნეობის მუშადროებისა და აღწარმოების უბნები და მათ გარშემო არსებული 100 მეტრიანი დაცვითი ტყის ზოლები;
- ტყებადები და საპოვენი ტყების უბნები.

5.1.4.5 ტყეები განსაკუთრებული ხანდარსაწინააღმდეგო მნიშვნელობით

სანძრები წარმოადგენენ ბუნებრივი დინამიკის ნაწილს ტყის ბევრ ეკოსისტემაში. მიუხდავად ამისა, ტყის ხანძრები, რომლებიც გამოწვეულია როგორც ბუნებრივი მიზეზებით, ასევე ადამიანთა ქმედებებით, ხანდახან გადაიქცევა გამანადგურებელ, არაკონტროლირებად უბედურებად, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, მატერიალურ ფასეულებებს, ეკონომიკას, აგრეთვე საფრთხეს წარმოადგენს ეკოსისტემებისათვისა და ცალკეული სახეობებისათვის. მგლტ-ს მოცემულ ქვებიაში შედის ტყეები, რომლებიც ასრულებენ ბუნებრივ დამცავ ფუნქციას, წარმოადგენენ რა ხანძრებისას ბარიერს იმ ტერიტორიებზე, სადაც შედეგები შეიძლება განსაკუთრებულად გამანადგურებელი იყოს. აღნიშნულ ტყეებს მიეკუთვნება შემდეგი ფუნქციონალური დანიშნულების მგლტ-ბი:

- ხანდარსაწინააღმდეგო დანიშნულების მქონე ტყის უბნები;
- ხახანძრადების გარშემო არსებული ტყის უბნები.

5.1.5 ტყის მონაკვეთები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსახლეობის არსებობისათვის (სოციალური სარგებლობის ტყის უბნები).

- ტყის არამერქნითი რესურსების შეგროვების ადგილები;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის ველური ხილ-კეკრის შეგროვების ადგილები;
- მხალეული, სამწილე, სართავ-საკაზმ-სანელებელი მცენარეები და საჭმელი სოკოების შეგროვების ადგილები;
- საუკეთესო თაფლოვანი მერქნიანი მცენარეების კონცენტრაციის ტყის უბნები;

- ტრადიციული მეხეური მეფუტგრეობის ტყის უბნები;
- ქართული ენდემური ფუტკრის ბუდობების ადგილების ტყის უბნები;
- სამცურნალო მცენარეებით წარმოდგენილი ტყის უბნები;
- სათევზაო ადგილები;
- ტრადიციული ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო საგნების წარმოებაში, საყოფაცხოვრებო გარემოს გალამაზებისათვის გამოყენებული ველური მცენარეების ტყის უბნები;
- საღებავი და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველი მცენარეების ტყის უბნები;
- საკალათე, საწნავი, ასახვევი, საღოძე, საბალიშე, საჭილოფე, საცოცხე მცენარეებით წარმოდგენილი ტყის უბნები;
- მერქნითი რესურსებით სარგებლობის ტყის უბნები:
- განსაკუთრებული საშეშე მერქნითი სარგებლობისათვის განკუთვნილი ტყის უბნები ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ალტერნატიული გათბობის სხვა საშუალებები.
- სარეზერვო საშეშე მერქნითი სარგებლობისათვის განკუთვნილი ტყის უბნები, სადაც რესურსებით სარგებლობა დაშვებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრემალურ სიტუაციაში, ადგილობრივ მოსახლეობას დროებით არ ექნება ან საერთოდ შეუწყდება სათბობად გამოსაყენებელი სხვა ენერგორესურსები.
- სახოფლო სამურნეო და სარიტუალო დანიშნულებით გამოსაყენებელი სამასალე და საშეშე მერქნით სარგებლობისათვის გამოსაყენებელი ტყის უბნები მათ შორის ნაბელი მეურნეობისა და საყავრე დანიშნულების მქონე ტყის უბნები.
- საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და სხვა პირადი მოხმარების მიზნით სამასალე მერქნის მოპოვებისათვის განკუთვნილი ტყის უბნები.
- ტყეები რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ მოსახლეობისათვის როგორც რეკრეაციული, კლი-

- მატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, საკურორტო და სხვა თვისებებით;
- საკურორტო მნიშვნელობის ტყეები (კურორტებისა და საკურორტო ადგილების გარშემო არსებული ტყეები);
- დასასვენებელი სახლების, ბავშვთა ბანაკებისა და სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გარშემო არსებული ტყის ზოლები;
- ეროვნული და რეგიონალური მნიშვნელობის მქონე ტურისტული ბილიკების გარშემო არსებული ტყის ზოლები;
- ქალაქის შემოგარენის გარშემო არსებული სააგარაკო ნაკვეთებისა და დასახლებული პუნქტების გარშემო არსებული ტყის უბნები;
- მწვანე ზონის ტყეები.

5.1.6 ტყის უბნები, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

- ხატის ტყეები, წმინდა საკრალური ადგილები, ქველი სასაფლაოები, აქლდამები და ანატორები, ნასოფლარები, სარიტუალო ადგილები და სარიტუალო ადგილებისკენ მიმავალი ტყის ბილიკების გარშემო არსებული ტყის ზოლები; მიტოვებული სოფლები (ნასოფლარები), ქველი ადამიანების სადგომები, ბრძოლის ველები, ისტორიული შეტაკებების, ბატალიების, ბრძოლის დიდებისა და თავშეყრის ადგილები; არქეოლოგიური მნიშვნელობის ადგილები, ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური მნიშვნელობის ქველების გარშემო არსებული ტყის უბნები; ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი წყაროებისა და მათი სათვეების გარშემო არსებული დასასვენებელი და სანადიმო ადგილების გარშემო არსებული ტყის უბნები; რელიგიური დანიშნულების ადგილები (ადგილები, სადაც იზრდება წმინდა ხეები, საკულტო ადგილები, წყაროები წმინდა წყლებით, წმინდა ქვები, პატივმისაგები გორები, შესაწირი ადგილები,

- მითებთან დაკავშირებული ადგილები);
- საქართველოს საპატრიარქოსთვის მიჩნენით გამოყოფილი ტყის უბნები.

5.2 მგლტ-ს გამოყოფის პროცედურების რეკომენდაციები.

5.2.1 საერთო მოთხოვნები მგლტ-ის გამოყოფისათვის

ცნება მგლტ საქართველოს პრაქტიკაში შედარებით ახალია და თანამედროვე სატყეო კანონდებლობაში ეს ცნება არ არის შეტანილი. თუ ტყეთმოწყობის მიერ არის გამოყოფილი გდუ და გდბტ ან დაცვითი ტყეები, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ გამოყოფილია მგლტ-ამ უკანასკნელის სსს სტანდართებით გამოყოფისათვის, საჭიროა სპეციალური სამუშაოების და პროცედურების განხორციელება. ეს მოთხოვნები შემდეგია:

1. თითოეული ტიპისათვის (ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეტიპისა და დონისათვის) უნდა განხორციელდეს ცალკე სამუშაოები.
2. ყველი ტიპის (ქვეტიპის, დონის) არარსებობა უნდა იყოს დასაბუთებული.
3. შედგენილი უნდა იყოს კარტოგრაფიული მასალები მგლტ-ის შესახებ.
4. ყველა ინფორმაცია მგლტ-ის შესახებ უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

5.3 მგლტ-ის გამოყოფის პროცესი

5.3.1 საკვლევ ტერიტორიაზე მგლტ-ის გამოყოფის პროცესი

მგლტ-ის გამოყოფის სამუშაოები შედგება რამდენიმე ნაწილისგან:

1. საკვლევ ტერიტორიაზე მგლტ-ის ცალკეულ ტიპის აუცილებლობა.
2. ყველა მგლტ-ის გამოვლენა, ან მათი არარსებობის დადასტურება.
3. კითხვარებზე დადებითი პასუხების შედგენის პროცედურები.
4. სხვა აუცილებელი ქმედებები.

5.4 მგლტ-ის მართვა

მგლტ-ის მართვაში იგულისხმება სარგებლობის (ტყითსარგებლობა და სხვა სახეები ქმედებებისა) ისეთი რეზიმების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი მახასიათებლების შე-

ნარჩუნებას, ან თუნდაც მათ გაუმჯობესებას. კველა ღონისძიება დაგეგმილი უნდა იყოს განსაკუთრებული სიფრთხილით, სადაც ზუსტად უნდა იყოს გათვლილი შესაძლო ნებატიური შედეგები. ამისთვის აუცილებელია შემუშავებული იყოს სათანადო წესით დამტკიცებული თითოეული ტიპისთვის შესაბამისი სარგებლობის რეჟიმი.

სარგებლობის რეჟიმის ძირითადი ვარიანტები შემდეგია:

– მკაცრი დაცვა: ტერიტორიები, სადაც გამორიცხულია ნებისმიერი სატექო-სამეურნეო ღონისძიებები და სხვა ქმედებები, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აიკრძალოს კონკრეტული სხვა ქმედებების განხორციელება (ნადორობა, ოვეზაობა და სხვა) რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ბუნებრივი ობიექტების ღირებულებების შემცირება.

– სარგებლობის შეზღუდვა – ასეთი მიღომების მაგალითებია: ჭრების სეზონური შეზღუდვების შემოღება, ზოგიერთი სახეობის ჭრების აკრძალვა, ზოგიერთი სახეობის ხეების ჭრების აკრძალვა, გარკვეული ადგილების თვითმყოფადობის შენარჩუნება, გარკვეული ადგილსამყოფელის შენარჩუნება, ჭრის ბრუნვის განსაკუთრებული პერიოდის დაწესება, ინტენსიური ჭრების შეზღდვა, ხმელი, მოთხოვილ-მოტეხილი და ფაუტი ხეების მოტრის შეზღდვა ან აკრძალვა. შეზღუდვებმა უნდა გაითვალისწინო ყველა პოტენციური შედეგები, როგორც პირდაპირი (ხე-ტყის დამზადების ან ქიმიური ნივთიერებების გამოყენების), ასევე არაპირდაპირი (ზების მშენებლობა აუმჯობესებს ტერიტორიის მისაღომობას მონადირებისათვის, რაც გამოიწვევს სანადირო რეწვის ზედას). ტყით სარგებლობის შეზღუდვების შემოღებამდე უნდა გამოვლინდეს და ღოკუმენტაციურად დაფიქსირდეს კველა შესაძლო რისკი მგდღ-ის შენარჩუნებისათვის, რომლებიც დაკავშირდებულია განსახორციელებელისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებთან ან სხვა ქმედებებთან. შეზღუდვები უნდა მოქმედებდეს მანამ, ვიდრე არ იქნება შეგროვილი საკმარისი სარწმუნო დასაბუთება იმისა, რომ ნებატიური ზემოქმედების საფრთხე არ არის.

– ადგგენითი ღონისძიებები: ტყების ხელოვნური გაშენება ტყენაკაფებზე და ნახანდრალებზე, ფერდობების გამაგრება, უცხო სახეობების მცენარეების მოცილება. ტყის კონსისტებული გამოყენებული მიღების შეუძლებელია მნიშვნელოვნად განისაზღვროს სარგებლობის როგორი რეჟიმი შეესაბამება ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, გარემოს დაცვითი ღირებულების უკეთ შენარჩუნებისათვის. ამიტომ მგდღ-ის რეჟიმის შემუშავებისას, აუცილებელია, გამოყენებული იქნება სიფრთხილის პრინციპზე დაფუძნებული მიღომა (მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით). პრაქტიკაში ეს ნიშნავს შემდეგს: სატექო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმარება, ტყის მეურნეობის მართვა და მონიტორინგი იმ თვისებებისა, რომელთა საფუძველზე სატყო სამეურნეო სუბიექტი მიკუთვნებულია მგდღ-ზე, უნდა განხორციელდეს არსებული მეცნიერული ცოდნის და ადგილობრივი მოსახლეობის თვისებების და ტრადიციების ცოდნის საფუძველზე იმისათვის, რომ არ იქნება დაშვებული საფრთხე ამ თვისებების დაკნინების ან დაკარგვისა, ხოლო ნებისმიერი საფრთხე დაკნინების ან დაკარგვისა შემჩნეული იქნება იმაზე აღრე, ვიდრე ეს დაკნინება შეუძლებელი გახდება. იქ, სადაც, ასეთი საფრთხე შემჩნეულია, აუცილებელია მიღებული იქნება აღრეული პრევენციული ზომები, მათ შორის, სამეურნეო დონისძიებების შეჩერება, რათა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმადე დავიყვანოთ ეს საფრთხე.

5.5 რეკომენდაციები სხვადასხვა ტიპის მგდღ-ში სარგებლობის რეჟიმის შესახებ
კველა მგდღ-ში (იშვიათი გამონაკლისით) შესაძლებელია განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები, თუ ისინი არ არის აკრძალული მოქმედი ნორმატიული აქტებით:

- მოსახლეობის ყოფნა რეკრეაციის მიზნით (სადგომების მოწყობის და კოცონის დანოების გარეშე);
- ნადირობა, ოვეზაობა;
- ტყის არამერქული პროდუქტების მოპოვება (სოკოები, კენკრა, სამკურნალო მედების საფრთხე არ არის).

- მცენარეები, გირ ები);
- ყველა მგლტ-ში, გარდა ერთეული შემთხვევებისა იკრძალება:
- ნებისმიერი კაპიტალური ობიექტის მშენებლობა;
 - მაგისტრალური კომუნიკაციების გაყვანა;
 - სასარგებლო წიაღისეულის დაზერვა და მოპოვება;
 - ტერიტორიის პიდროლოგიური რეჟიმის შეცვლა;
 - მასიური ღონისძიებების განხორციელება;
 - ტყის დაცვის ქიმიური მეთოდების საშუალებების გამოყენება;
 - ცეცხლის გამოყენება (ტყევაფების ცეცხლით გაწმენდა);
 - ინტროდუცირებული სახეობების კულტურების შექმნა.

ყველა მგლტ-ში, გარდა ცალკეული შემთხვევებისა უნდა განხორციელდეს ხანდარსაწინააღმდეგო ღონისძიებები და კონტროლი ხანძრებზე.

5.6 მგლტ-ს მონიტორინგი

მონიტორინგი აუცილებელია იმისათვის, რომ პერიოდულად შეფასდეს, თუ როგორ არის შენარჩუნებული ძვირფასი ბუნებრივი ობიექტები. ამ ობიექტების მდგრმარეობა შეიძლება იცვლებოდეს, როგორც ადამიანის მიერ განხორციელებული სამეურნეო ღონისძიებების ზემოქმედებით, ასევე ბუნებრივი ფაქტორების შედეგად, როგორიცაა ტყის ხანძრები, მავნე მწერებისა და დაავადებების მასიური გავრცელება, ზვავები, მეწყერები, წყალმოვარდნები და სხვა. მონიტორინგის განხორციელების შედეგად შეიძლება დადგეს საკითხი განსახორციელებელ ღონისძიებათა სახეების დაზუსტების და მეურნეობის წარმოების და ტყითსარგებლობის გეგმებში შესაბამისი კორექტირების შეტანის თაობაზე ბუნებრივი ობიექტების შენარჩუნებისა და მართვისათვის.

მონიტორინგის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია იმ ინფორმაციის ხასიათზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ტყის მცველებისაგან, მონადირებისაგან, მეთევზებისაგან, მოსახლეო-

ბისაგან და ა.შ. და საწარმოს შესაძლებლობებზე და შეიძლება დამოკიდებული იყოს:

- კოსმოსური გადადების მასალების გამოყენებით განხორციელებულ მონიტორინგზე;
- ტყის მართვის ადგილობრივი ორგანოების მიერ ტყეების მდგრმარეობის ცვლილებების შესახებ ყოველწლიურად შეგროვილ მასალებზე;
- საველე პვლევების (ზოოლოგიური, ბოტანიკური, სატყეო პათოლოგიური და სხვა) მასალებზე.

ყველა ინფორმაცია, რომელიც შეგროვილი იქნება მონიტორინგის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტურობის შეფასებისათვის, თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზნები შემდგებ ძირითად საკითხებში: ტყეების მაღალი გარემოსდაცვითი დირებულების მახასიათებლების შენარჩუნება, ტყითსარგებლობისა და საერთოდ, მეცნიერების სისტემის შეფასება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პუთხით.

მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს ქვეყანაში არსებული გარემოს ერთიანი მონიტორინგის სისტემის ფარგლებში და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მას ახორციელებს სხვადასხვა ღონის სახელმწიფო ორგანოები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები ადგილობრივ სატყეო უწყებებთან თანამშრომლობით. ტყითმოსარგებლებმა მონიტორინგის შედეგები უნდა გაითვალისწინო სამეურნეო საქმიანობის გეგმის რეალიზაციის დროს, კორექტივები შეიტანონ დასახულ სამუშაოები ღონისძიებათა სახეებში, პარმეტებრებში, შეიტანონ ცვლილებები ტყეების მართვის გეგმაში. მონიტორინგის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ტყეების ინვენტარიზაცია და ფუნქციონალურ ხონირებაზე დაფუძნებული მართვის გეგმების შედეგნა.

ტყეების ინვენტარიზაციის დროს გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს ტყეების მცენარეულ ოლქებად (იხ. რუკა № 2) და გეოგრაფიულ რაიონებად (იხ. რუკა № 3) დაყოფის მონაცემები და

კვლევები ინვენტარიზაციის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს ლანდშაფტურ

- ეკოლოგიურ საფუძველზე.


6. ოქარმენდაციები საქართველოს ტყეების ფუნქციონალურ ზონებად დაყოფასთან დაკავშირებით


საქართველოს ტყეების ფუნქციონალური ზონირების პრინციპებზე დაფუძნებული მდგრადი მართვის განხორციელებისთვის, აუცილებელია შემუშავდეს მწყობრი სისტემა სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტების საფუძვლებისა, რომელიც უნდა იყოს დაფუძნებული საქართველოს ტყეების მნიშვნელობის, ბუნებრივ-ისტორიული პირობების, სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის, ტრადიციების და საერთაშორისო მოთხოვნებისა და გამოცდილების შესაბამისად განსაზღვრულ სტრატეგიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგი დონისძიებები:

1. „ტყის კოდექსში“ შევიდეს სათანადო ცვლილებები და დამატებები მგლტ-

ის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებით;

- 2. შეიქმნას დებულება ტყეების მგდტზე მიკუთვნების წესის შესახებ;**
- 3. განისაზღვროს ხელუხლებელი ტყეების კრიტერიუმები და მათი დაცვის პირობები;**
- 4. ჩატარდეს საქართველოს ტყეების კარტოგრაფიული ანალიზი ხელუხლებელი და ნაკლებად სახეცვლილი ტყეების გამოვლენის მიზნით;**
- 5. საქართველოს რეგიონების მიხედვით განისაზღვროს ის იშვიათი ძირებული ტყის ეკოსისტემები, სადაც შეიზღუდება ან აიკრძალება ჭრები;**
- 6. განისაზღვროს ძვირფასმერქნიანი მცენარეების სახეობების ჩამონათვალი და სტატუსი, რომელთა მოჭრა შეიზღუდება მათი მდგომარეობიდან გამომდინარე;**
- 7. მომზადდეს ტყეთსარგებლობის დროს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების წესების შესახებ დებულება.**





რუპა 3: საქართველოს გეობორნიკური რაიონები

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ბანმარტები

რუპებისადმი

რუპა №1

დაცული ტერიტორიები და
დაცვითი კატეგორიები საქართველოს
ტყის ფონდში

რუპაზე მოცემულია მოქმედი კანონ-
მდებლობის შესაბამისად დაფუძნებული
დაცული ტერიტორიები. აქვეა მოცემული
გეგმარებითი დაცული ტერიტორიები,
რომლებისთვისაც წინასაპროექტო სა-
მუშაოები განხორციელებულია და კა-
ნონპროექტები შემუშავებული, და სა-
რეზერვო დაცული ტერიტორიები, სადაც
მომავალში განხორციელდება წინასა-
პროექტო სამუშაოები დაცული ტერიტო-
რიების შესაქმნელად. ყველა ეს მახა-
სიათებელი მოცემულია 2011 წლის 1
იანვრის მდგომარეობით. დანარჩენი
მახასიათებლები მოცემულია 2003 წლის
1 იანვრის მდგომარეობით იმ პერიოდში
არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვეყნის ტყის ფონდის მთელ ტერიტო-
რიაზე მცირე ნაკვეთებად გაფანტუ-
ლობის გამო რუპაზე ვერ აისახა მთელი
რიგი ეგრეთ წოდებული განსაკუთრე-
ბული ფუნქციონალური დანიშნულების
უბნები (გფდუ). მათი დასახელებები და
ფართობები (%) ტყეების საერთო
ფართობიდან) თან ერთვის.

რუპა №2

საქართველოს ტყის მცენარეულობის
ოლქები

რუპის საფუძვლად გამოყენებულია
ვ. გულისაშვილის „კავკასიის ტყის მცე-
ნარეულობის ოლქების და ვერტიკალუ-
რი ზონალობის“ სქემა (ვ. გულისაშვილი,
ზოგადი მეტყველება. ობილისი, 1974) და
ლ. მახათაძის „ამიერკავკასიის ტყის ტი-
პები“ (ე. ა. ჟავახიშვილი, 1965). საქართველოსა-
თვის და მთულებელს ელექტორონული სა-
ხით რუპა შედგენილია პირველად. რუპა
შედგენილია ტოპოგრაფიული რუპის
(1:50000 მასშტაბის) საფუძველზე ზემოთ
აღნიშნული ავტორების სქემების გამო-
ყენებით. ტყის მცენარეულობის ოლქე-
ბის საზღვრები გატარებულია ბუნებრივ

მიჯნებზე (ძირითადად წყალგამყოფებ-
ზე). რუპის ახალ ვერსიაში დაზუსტე-
ბულია ტყის მცენარეულობის ზოგიერთი
ოლქის (ზემო და ცენტრალური ქართ-
ლის და კახეთის) საზღვრები და ოლქე-
ბის დასახელებები მოცემულია საქართ-
ველოს ტოპონიმების შესაბამისად. თი-
თოეული ოლქისათვის ვერტიკალური
ზონალობის მონაცემები ზღვის დონი-
დან სიმაღლეების მიხედვით მოცემულია
ცხრილში (თან ერთვის). ქვემოთ მოცე-
მულია ტყეების მცენარეულობის ოლქების
საზღვრების აღწერა რელიეფის ელემენ-
ტების მიხედვით.

I. კოლხეთის ოლქი

დასავლეთით ოლქს საზღვრავს შავი
ზღვა, ჩრდილოეთით - სახელმწიფო
საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან (მდ.
ფსოუ, კავკასიონის მთავარი წყალ-
გამყოფი ქედი), აღმოსავლეთით - რაჭის
და სურამის (ლიხის) ქედები, სამხრეთით
- მესხეთის (აჭარა-იმერეთის), არსიანის
ქედები და სახელმწიფო საზღვარი თურ-
ქეთის რესპუბლიკასთან. ფაქტიურად
ოლქი მთლიანად მოიცავს დასავლეთ
საქართველოს.

II. ზემო და ცენტრალური ქართლის ოლქი

დასავლეთით ოლქს საზღვრავს კო-
ლხეთის ოლქი, ჩრდილოეთით - კავკა-
სიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი
ქართლის ქედის დასაწყისამდე (მთა
ბორბალო), აღმოსავლეთით - ქართლის
ქედი კუნთას სერამდე (ნიშნული 1338,8
მ), აქედან საზღვარი მიუკვება სერს მდ.
რუსეთის მდებარეობის და შემდგომ რუსეთის მდ.
არაგვამდე, კვეთს მას და დასავლეთის
მიმართულებული მიუკვება რელიეფის
ჩადაბლებულ ადგილებს (ძირითად
სარწყავი არხების კოლექტორებს) მდ.
ქსნამდე, მიუკვება მას მდ. მტკვართან
შეერთებამდე და მიუკვება მდ. მტკვარს
აღმოსავლეთით სოფელ ძეგვამდე, აქედან
საზღვარი სამხრეთის მიმართულებით
მიუკვება მდ. დარბაზისხევის მარჯვენა
წყალგამყოფს ქედამდე (ნიშნული 1270
მ), მიუკვება სერს აღმოსავლეთით სათოვ-
ლეს მთამდე (ნიშნული 1188,8 მ) და სე-

რით ჩადის მდ. დიღმისწყლამდე (ძალაანთხევის შესართავთან), აქედან სერით ადის თრიალეთის ქედზე მთა ნათლისმცემელთან (1404,9 მ), მიუყვება თრიალეთის ქედს დასავლეთით მთა შიხანამდე (1916,6 მ), საიდანაც სამხრეთის მიმართულებით სერით ეშვება მდ. ალგეთამდე (მანგლისთან), აქედან სერით ადის მდ. ალგეთის მარჯვენა წყალგამყოფზე და მიუყვება მას დასავლეთით თრიალეთის ქედამდე და შემდგომ თრიალეთის ქედს მთა კოდიანამდე (2688,6 მ), აქედან საზღვარი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაუკლის წეროს ტბას და სერით ჩადის მდინარე მტკვართან (ნიშნული 800 მ), კვეთს მდ. მტკვარს, სერით ადის მდ. ლიკნის მარჯვენა წყალგამყოფამდე, მიუყვება ჩრდილოეთით ამ წყალგამყოფს, შემდგომ მდინარეების ბანისხევის და ქვაბისხევის წყალგამყოფს და ადის მესხეთის ქედამდე, აქედან საზღვარი მიუყვება კოლხეთის ოლქთან საზღვარს.

III. ხევის და პირიქითა ხევსურეთის ოლქი

ოლქი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია რუსეთის ფედერაციასთან სახელმწიფო საზღვრით, აღმოსავლეთით – აწუნის ქედით, სამხრეთით – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით.

IV. თუშეთის ოლქი

ოლქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია აწუნის ქედით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით - რუსეთის ფედერაციასთან სახელმწიფო საზღვრით, სამხრეთით – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით.

V. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ოლქი

ოლქი ჩრდილოეთით შემოსაზღვრულია კავკასიონის მთავარი ქედით (ხევის და პირიქითა ხევსურეთის, თუშეთის ოლქები) და კახეთის ოლქით, დასავლეთით – ზემო და ცენტრალური ქართლის მთავარი ქედებით, სამხრეთით – სახელმწიფო საზღვრით თურქეთის რესპუბლიკასთან, სამხრეთით – ზემოსაზღვრული მდ. ალაზნით.

და მესხეთ-ჯავახეთის ოლქებით, სამხრეთით – სახელმწიფო საზღვრით სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკისთან.

VI. კახეთის ოლქი

ოლქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია მდინარეების ალაზნის და ილტოს წყალგამყოფით, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით, აღმოსავლეთით – სახელმწიფო საზღვრით აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, სამხრეთით – მდ. ალაზნით.

VII. მესხეთ-ჯავახეთის ოლქი

ოლქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია კოლხეთის ოლქით, ჩრდილოეთით – ზემო და ცენტრალური ქართლის ოლქით, აღმოსავლეთით – ჯავახეთის და სამსარის ქედებით, სამხრეთით – სახელმწიფო საზღვრით თურქეთის რესპუბლიკასთან.

რუკა №3 საქართველოს გეობოტანიკური დარაიონება

რუკის შედგენის საფუძველს წარმოადგენს პროფესორ რევაზ ქვაჩაიძის მონოგრაფია „საქართველოს გეობოტანიკური რაიონები“. თბილისი, 2010. რუკის ელექტრონული ვერსია მომზადდა პირველად, ამასთან ძირითად (ავტორის ერთ) სქემაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება, სახელდობრ: დაზუსტებულია აფხაზეთ-სამეგრელოს, მთანი კახეთის, ლიახვ-რეხეულას და ივრის ანუ კახეთის ზეგნის რაიონების საზღვრები. გეობოტანიკური რაიონების საზღვრების დასადგენად გამოყენებულია ტოპოგრაფიულ რუკებზე მოცემული რელიეფის ელემენტები (ძირითადად წყალგამყოფები). „საქართველოს გეობოტანიკური დარაიონების სქემა“ (რ. ქვაჩაიძე, 1996) თან ერთვის. რუკებში მოცემული ოლქების და რაიონების შესახებ დაწვრილებითი მონაცემები შეიძლება იხილოთ ზემოთ აღნიშნულ შრომებში და იქ მოთითებულ წყაროებში.

ტყის მცენარეულობის გერტიკალური ზონალობა (სარტყლები) ტყის
მცენარეულობის ოლქების მიხედვით (სიმაღლე ზღვის დონიდან, მეტრი)

გერტიკალური სარტყლის დასახელება		ტყის მცენარეულობის ოლქები					
1	2	3	4	5	6	7	8
სუბტროპიკული	500-მდე						
დაბლობის, ჭალის მუხის და ვერხვის ტყეების						500-მდე	
უდაბნოს და ნახევრად უდაბნოს ტყეების					400-მდე		
არიდული ანუ ნათელი ტყეების					400-600		
წაბლის ტყეების	500-1000						
წაბლის და ქართული მუხის ტყეების						500-1000	
ქართული მუხის ტყეების		500-1000			600-1200		1000-მდე
წიფლის ტყეების	1000-1600	1000-1500	1300-1800		1000-1600	1000-2200	
ნაძვის და ფიჭვის ტყეების							1000-2200
მუქწიწვოვანი ტყეების	1600-2000	1500-2200					
აღმოსავლეთი მუხის ტყეები					1600-2000		
ფიჭვის და არყის ტყეების			1700-2100	1900-2300			
სუბალპური მეჩერების (გრძოლის სარტყელი)	1800-2200	2000-2300	2100-2300	2300-2500	1900-2300	2200-2500	2200-2500

საქართველოს გეობოტანიკური დარაიონების სქემა (ქვაჩაკიძე, 1996)

გეობოტანიკური არე	გეობოტანიკური ოლქი	გეობოტანიკური რაიონი
1	2	3
A. დასავლეთ საქართველოს	I. კოლხეთის ვაკე დაბლობის	1. დასავლეთის 2. აღმოსავლეთის
	II. კავკასიონის	3. აფხაზეთ-სამეგრელოს 4. სენანეთის 5. რაჭა-ლეჩხუმის
	III. მცირე კავკასიონის	6. აჭარა-გურიის 7. იმერეთის
	IV. ზემო იმერეთის პლატოს	8. წემო იმერეთის პლატოს
B. აღმოსავლეთ საქართველოს	V. ივერიის ბარის	9. ქიდა ქართლის ბარის 10. ქვემო ქართლის ბარის 11. ალაზნის ანუ კახეთის ვაკის 12. ივრის ანუ კახეთის ზეგნის 13. ელდარის ვაკის
	VI. კავკასიონის სამხრეთი კალთის	14. ლიახე-რეხეულას 15. ფშავ-მთიულეთის 16. მთიანი კახეთის
	VII. კავკასიონის ჩრდილოეთი კალთის	17. ხევისა და პირიქითა ხევსურეთის 18. თუშეთის
	VIII. მცირე კავკასიონის	19. დასავლეთი თრიალეთის 20. ცენტრალური თრიალეთის 21. აღმოსავლეთ თრიალეთისა და ხრამ-სომხითის
C. სამხრეთ საქართველოს	IX. ახალციხის ქვაბულის	22. მესხეთის და არსიანის ქედების 23. ერუშეთის მაღლობის
	X. სამხრეთ საქართველოს ზეგნის	24. ჯავახეთის ზეგნის 25. წალკა-დმანისის

საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევები რეზიუმე

საქართველოს ტყების მართვის მდგრადი გაუმჯობესებისათვის, 2008 წელს
დაიწყო რეგიონალური პროგრამის “სატყეო სექტორში კანონადსრულებისა და
მართვის გაუმჯობესება ევროპის სამეცნიერო პოლიტიკის აღმოსავლეთის ქვეყნებსა
და რუსეთში” (ENPI FLEG) განხორციელება. ეს პროგრამა ხორციელდება მსოფლიო
ბანკის ხელმძღვანელობით, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირთან (IUCN) და
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF) პარტნიორობით ევროკავშირისა და
სხვა დონორების ფინანსური მხარდაჭერით.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს ტყეების ფუნციონალური დანიშნულების მიხედვით ზონირების საფუძველზე ტყის ეკოსისტემების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ.

აღნიშნულის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ქვეყნის ბუნებრივი-სტორიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები. გამოყენებულ იქნა როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო გამოცდილება.

ÈÑÑÉÅÄÎÀÁÍÈÅ ÌÅÆÄÓÍÀÐÍ ÄÍÛÖ ÏÐÄÀÍÈÇÀÖÈÈ Đåçþìå

Â öåëýð ðéö÷øâíéý ñòðîé÷èâî ñòð è oïðâåäåíéý ëäññàìè Åðóçèè, â 2008 âï äö íà÷æ iñü iñóùåñðåäåíéå ðåäèiñàëüíîé iðîäðàììû «Ñiâåðøáíñðåâàíéå iðåâiiðèåíåíéý è oïðâåäåíéý â eäñiñ ñåðòiðå ñòðàí âï ñòi ÷iñâï iäiðåâæåíéý ååðñíäeñéï é iñëeðòeëè åiâðiññåñðòåâ è Dñññèè» (ENPI FLEG). Ääííay iðîäðàììâ iñóùåñðåäeyåðñý Åñâièðíûi áàíéï i â ñiððåäíé÷-åñðòåâ ñ lâæäoíåðñäíûi ñiþçîi iððàíü iððeðñäû (ÍNII) è Åñâièðíûi ðiñäiñ ïððàíü aëéïé iððeðñäû (ÅÅÔ) iððe ðeíàíññâï é iñääðæå Ååðiñiþçâ è äððåäð äiñðâ.

Â ðàìêàõ äàííé iðîãðàìû, êåâêàçñêî å iðåñòàâèòåëüñòåî ÂÂÔ ðàçðàáîòàë î ðåéî ììåíàöèè î åðîäàõ è iðèïöèÿð óñòîé ÷ èåî åî è éíòåðèðîâàíî åíðàâëåéý ëåñà ì è íà ïñííâà èõ óóíéöèíàëüíâå cííèðîâàíèý.

Iðè ðàcðàáìðeå óéàçàáíûõ ðåéí iìåíäöèé, áúëè iðåäóñìòðåííû ãñòåñòåå ííí-èñòíðè÷åñéèå è ñíòèäëüíí-ýéí í ñìè÷åñéèå ïñíåå ííñòé ñòðàíû. Áúë èñíïëüçî åàí éàé íàöèííàëüíûé òàé è ìåxäöíåðíäíûé iïíûõ.

DISQUISITIONS OF INTERNATIONAL ORGANIZATIONS SUMMARY

In order to achieve more sustainable management of forests in Georgia, regional Program “Improving Forest Law Enforcement and Governance in the European Neighborhood Policy East Countries and Russia” (ENPI FLEG) was launched in 2008. This Program is implemented by the World Bank, in partnership with International Union for Conservation of Nature (IUCN) and World Wide Fund for Nature (WWF) with financial support from the European Union and other donors.

In the framework of the presented Program, WWF-Caucasus Programme Office has developed recommendations on the methods and guidelines for sustainable and integrated management of forest ecosystems based on functional zoning of Georgian forests.

During the implementation of these recommendations, natural-historical and socio-economic peculiarities of the country were taken into account. National as well as international experience was also used.

ტყითსარგებლობის ეთნოეპოლოგიური კულტურა საქართველოში

2. ტყის გამოყენების ტრადიციული კულტურა

საქართველოს ბუნების კონტრასტულობა ისტორიულად განაპირობებდა ტყის განსაკუთრებულ როლს ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მისი მოვლა-პატრონობის მრავალფეროვან ტრადიციებსა და ზომიერი ექსპლუატაციის ფორმებს. ისტორიულად და ტრადიციულად უკეთ ქართული სოფელი ტყის გარემოცვაში ან ტყესთან ახლოს მდებარეობს. სოფლის დასახლების ტრადიციული ფორმა კარგად ჩანს ზეპირმეტყელებაშიც „სოფელი ტყისპირსა და წყლისპირსაო“. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ცხოვრებაში ტყის ყოველწლიური მოხმარება უამრავ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ხე უმიზნოდ არ იქრებოდა და ხალხური წესით ხის მოჭრა მის დაცვა-მოვლასაც ვარაუდობდა. ხალხში შემორჩენილი ემპირიული ცოდნა, რომელიც აქ გავრცელებული ჯიშების ზრდა-განვითარებას, ანატომიურ აგებულებას, მის ცალკეულ დაღებით ოუ უარყოფით თვისებებს რომ ეხება, ნათლად გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნდა ამ ჯიშების მოვლა-გამოყენების გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა. სწორედ გარემოსთან შეგუების პროცესში მივიდა ადამიანი მისი ეფექტური გამოყენების მეთოდებთან.

საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულმა ტყითსარგებლობის პრაქტიკამ ადამიანს საშუალება მისცა მისვის საჭირო ხე-ტყის თვისებები გამოეყენებინა სამეურნეო მიზნებისათვის. ამ მხრივ უკუდაგებია ხალხური გამოცდილება სამასალე ხის ჯიშების შერჩევის დროს.

ხის შერჩევის წესი ძველი დროიდან მიმდინარეობს. ყურადღება ექცეოდა მერქნის რაობას, ხის სისწორეს, ანატომიას: მუხის ხე გამოიყენებოდა ბოძებად, კოჭებად, ფიცრებად. ვისაც ბოძებად მუხა პქონდა ის სახელიან, სანაქებო ოჯახად ითვლებოდა. წიფლის ხე – ნივნივებად, ფიცრებად და ა.შ. ფიცრებად „ბებერ“ ზრდადასრულებულ ხეებს არჩევდნენ, ლარტყად – ხედლს, საწვავად – გამხმარ ხეებს და ა. შ.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტყის ექსპლუატაციის ხალხური წესების შესწავლამ გამოავლინა მოსახლეობის მიერ მისი გამოყენების რაციონალური მეთოდები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყის მასიური განადგურებისაგან დაცვის საქმეში. ტყის ხელაღებით გაჩეხვა ხალხური ცხოვრების წესს არ ესადაგებოდა. ტყის ექსპლუატაციის ხალხური მეურნეობა განაპირობებული იყო მისი მოხმარების პრაქტიკული ხასიათით. კერძოდ, ხის მოჭრა სამასალედ შეიძლებოდა მხოლოდ ზაფხულში და შემოდგომაზე, საშეშე – გვიან შემოდგომაზე „როცა ხე ფოთოლდაყრილია“, საავეჯე ხის – შემოდგომის დასაწყისში და ა.შ.

გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მოსახლეობა იცავს გარკვეულ წესებს წლის სეზონის, მთვარის ფაზების მიხედვით. მნიშვნელობა ენიჭება დღეს და რიცხვებსაც-მაგალითად, ხის მოჭრა არ შეიძლება ოთხშაბათ და პარასკევ დღეს, კარგ დღედ ითვლება ხუთშაბათი. ახალ მთვარეზე არ ჭრიდნენ, „ხე ზრდაშია და მაღე და-

ჭიათურებაო”. როგორც წესი, ხე იჭრებოდა ტყის შეაგულში. ტყის პირებზე, სოფლის ახლოს, სახლის თავზე – ტყის გაჭრა არ შეიძლებოდა.

ტყის დაცვის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყის დიფერენცირებულ განვითარებას, რომელიც ადრეული ხანიდანაა ცნობილი საქართველოში: სასარე ტყე, საკაფი ტყე, საჯალჯე ტყე, და ა.შ. სასარე მეურნეობის პროტოტიპია რაჭა-ლეჩხეუმში გავრცელებული საბელავი და ნამოშვარი ტყეები. ეს კორომები ერთობლივად ტყის დაცვას და მის ბუნებრივ განახლება-გაახალგაზრდავებას ემსახურება.

ნამოშვარ ტყეს თვალდათვალ დაყოფდნენ რამდენიმე ნაწილად. თითო ნაწილი თითო წელს პირწმინდად ძირზე გადაიჭრებოდა და საჭიროებისამებრ გამოიყენებოდა რამდენიმე წელიწადში ერთხელ ყველა ნაწილს მოუხდებოდა გადაჭრა. მის ადგილზე ახალი ხემცენარეები ამოიყრიდა. თაობათა ცვლის ასეთი პროცესი განაპირობებდა მცენარის სიცოცხლისუნარიანობას.

საბელავებად ბუნებრივ ტყეებსაც იყენებდნენ და ხელოვნურსაც. ხელოვნური ხრიოკ ადგილებში გაშენდებოდა. მნიშვნელობა ჰქონდა ხის ჯიშებსაც: მშრალ ადგილებში წიფელა, რცხილა, თუთა, იფნი, აკაცია და სხვ. გაშენდებოდა. ხოტიოში – ტირიფი, ვერხვი და სხვ. იცოდნენ ნედლი, გაუქერქავი სარების ჩარჭობაც, რომელიც ორ-სამ წელიწადში საბელავებად იქცეოდა. საბელავი ტყე საქონლის საძოვრად და სათიბად გამოიყენებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცნობილი „წერილი ტყეებიდან”, შეშა, სარი, ჭიგო, წნევლი გამოჰქონდათ და „მსხვილი ტყეები” – სამშენებლო მასალებისთვის გამოიყენებოდა. არაგვის ხეობაში, კერძოდ გუდამაყარში, ტყის ექსპლუატაციის ხალხური წესების შესწავლა ავლენს ტყესთან ურთიერთობის კულტურასაც.

კაცია წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: ჯაგიანი (კუნელი, ასკილი, კვინჩხი, ძახველი სოფლის ახლოს), აყრილი (მუხა, თამელი, თეთრცილა, შავრცხილა და სხვ – მაღალი ტყე) წვრიმიანი (მთაში არყიანის უწოდებენ).

აჭარაში ტყის მოხმარების ხალხურ ტრადიციაში საჩეხი ტყეების გეერდით ფართო გავრცელებას პოულობდა საფუტკრე ტყეები ქ.წ. „საბოგი ტყე”, ფუტკრის მოსაშენებლად. ტყე დაყოფილი იყო გავარების მიხედვით. იქ ტყის მოხმარება და უცხო პირის შესვლა აკრძალული იყო.

ქართლში გამოყოფილი იყო „სანახშირე ტყეები” სადაც მენახშირეები უძღვებოდნენ თავიანთ მეურნეობას და სხვა.

საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა იცავდა ტყის ფაუნას. ცნობდა და იცავდა იმ ფრინველებს, რომლებიც ხის ჭიებს ებრძვიან, კერძოდ არ კლავენ ხის ტილას, წიწანას, „ტყეს ჭია აფუჭებს, ორი წლის წინ აბლაბუდასაგთ მოედო მზომელა, გრძელდება, ფოთოლს ჭამს, შარშან მუხაზე გაჩნდა და მაისში სულ გაკაფი ტყე. ჭიპრია ფუდუროში ბუდობს, ჩირჩილა კანში უჩნდება, თეთრი მოზრდილი ჭია”. „მაჟაურა თეთრი ჭია ხისა – იმას კოდალა ებრძვის. შავი ჭიაც არის ჭინჭრის ჭიას გავს, ისინი უფრო პატარებია ფოთოლზე იცის. იმას ხის ტილა ჭამს” და ა.შ. ამრიგად, ტყის მოხმარების ხალხური წესების შესწავლა ავლენს ტყესთან ურთიერთობის კულტურასაც.

ხალხის პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე გამომუშავდა მრავალი საყურადღებო წესი, რომელიც შესაბამება არა მარტო საოჯახო ან სამეურნეო მოთხოვნებს არამედ უპირველესად, ტყის საფარის რაციონალურ გამოიყენებას და დაცვას, რაც შესანიშნავად გამოხსატა ქართველმა გლეხმა ზეპირმეტყველუბაშიც: „ტყეს როცა ჭრი, შენ შვილზე იფიქრეთ”.

ØÀÌÈËÀ ØÀÃÀÐÅÈØÂÈËÈ

ØÀ ÄÈÖÈÎÍÍÀ ß ÈÓËÜÒÓÐÀ ÈÅÑÎÏËÜÇÎÂÀ ÍÈß

ĐÀO CẨM

Їðè èçó÷åíèè íàðïäíûð ñiiññiâî âyéññëóàðàöèè èåñà áûýâéåíû ðàðèíìåëüíûð íàðïäû èñiïëüçñâàíèÿ èåñà, èäðäþùèå áíëüøóþ ðîëü á äåëå áâî çàùèòû ìò íàññiâîñ îóíè÷òíæåíèÿ. Íåññiòðÿ íà òî, ÷òî èåñ áûë íññiâíûì ñðääñòâîì ñòúâñòâîñàíèÿ, íàðïä íå äíñöñêèë íåðàçáîñ ÷èåñóþ áûðóáéó. Їðèáðååxíûð èåñà èìåëè áíèë ü ø íå çíà÷åíèå íå ðì èüëñ îæý ññëüññî ãî õçÿèñòâà, íí è ñ ðì ÷èë çðåíèÿ ïððàíü èåññâ. Èô èñiïëüçñ ààëè á ìñ ííâíñ äëÿ õçÿèñòâå íí ûð íóæä íåññåéåíèÿ, è ðàì ñàìûì çàþøøàëè ìò óíè÷òíæåíèÿ íðèññåëüññêå èåñà.

TAMILA TSAGAREISHVILI

TRADITIONAL CULTURE OF FOLK FOREST MANAGEMENT

SUMMARY

Study of folk methods of wood management have exposed rational methods for it, that played a great part in its survival, Though wood was the main means for subsistence, People never admitted its uncontrolled cutting down. Riverside groves were very important not only for agriculture but also from the point of view of survival of wood. They used to cut down wood basically for economical needs of population but woods close to villades were always protected.

ტყის მერქნული რესურსების სარგებლობის და კვლავშარმოების ეკოლოგიურ-კოსმიური და ეკონომიკური ასპექტები

ტყიდან მერქნით სარგებლობა ადამიანთა მოთხოვნილების დაქმაყოფილების მიზნით, საჭიროებს უაღრესად ფრთხილ მიღომას. დღეს არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული, ტყის ჭრის მრავალი მეთოდი და წესი, თუმცა არც თუ იშვიათია მათი დარღვევის ფაქტებიც. იქრება გაცილებით იმაზე მეტი, რაც დასაშვებია. ტყის ჭრის ნორმების გადამეტება კი აპირობებს ტყეების გამეჩერებას და გაჩანაგებას.

უოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა არა მარტო სარგებლობის ოდენობის მოწესრიგება, არამედ ტყეების პროდუქტიულობის ამაღლებაზე ზრუნვაც, რაც გლობალური დათბობის დაწყების დღვევანდელ ეტაპზე და ახლო მომავალში ეროვნული სატყეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს.

გლობალური დათბობის პრობლემა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ინგლისელმა ფიზიკოსმა უილიამ ტომპსონმა წამოწია და აღნიშნა, რომ ტექნიკური პროგრესი დროთა განმავლობაში კაცობრიობის „თბურ სიკვდილს“ გამოიწვევს. კერძოდ, ატმოსფეროში საგრძნობლად გაიზრდებოდა ნახშირორჟანგის რაოდენობა და შემცირდებოდა უანგბადის ოდენობა. დღვევანდელი მდგომარეობით, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ განუზომლად მატულობს მოსახლეობის რაოდენობა, ცხადია, „თბური სიკვდილის“ საშიშროება უდავოდ რეალურია. ამასთან დაკავშირებით რუსმა მეცნიერმა კ. ტიმირიაზეგმა აღნიშნა, რომ კაცობრიობას „თბური სიკვდილი“ არ ემუქრება მანამ, სანამ მწვანე მცენარე იქნებაო.

დღეს ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილია, რომ მწვანე მცენარე სიცოცლისათვის აუცილებელი კომპონენტების,

უანგბადის, აზოტის, ნახშირორჟანგის უშრეტი წყაროა. ტყე არეგულირებს კლიმატს, წყლის რეჟიმს, ნიადაგის ნაყოფიერებას, ასუფთავებს ჰაერს დაჭუჭყიანებისაგან და სხვა მრავალი. ამავე დროს მისი მერქანი ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორც ნედლეული და საწვავი შეშა. დღეს, როცა მწვანე მცენარეს, სამყაროს „მწვანე ფილტვებსაც“ უწოდებენ, ცხადია, მის მიმართ მეტი ცურალების გამოჩენაა საჭირო. იგი ხომ განახლებადი რესურსია და მასში ჩადებული ყოველი კაპიტალი უდიდეს მოგებას მოუტანს საზოგადოებას დროში. მიუხედავად ამისა, არც თუ იშვიათია შემთხვევები ტყისადმი უყაირაოთო მოპყრობისა.

დღეისათვის დადგენილია, რომ დუდამიწაზე ყოველ ერთ წუთში იქრება 20 ჰა ტყე, ტროპიკებში კი 40 ჰა. ყოველწლიურად კი იქრება დაახლოებით 14 მლნ. ჰა. ტყეების ასეთი მასშტაბებით განადგურება, ცხადია, კატასტროფას უქადის ცოცხალ არსებებს, არა მარტო ეკოლოგიურ-კოსმიურ-ეკონომიკურ, არამედ ენერგეტიკული თვალსაზრისითაც.

დღეს, მწვანე მცენარის „ეკოლოგიურ-კოსმიურ-ეკონომიკურ“ როლზე მრავალი მასალა მოიპოვება, ხოლო რაც შეეხება მის მნიშვნელობას მზის სხივების ენერგიის გამოყენების რეგულირების საქმეში, შედარებით მწირი ინფორმაცია არსებობს. ამდენად ამ პრობლემის წამოწევა, ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ცნობილია, რომ დედამიწის ზედაპირამდე წლიურად მზის სხივების ენერგიის დაახლოებით 10 მლდ. კბალ აღწევს ერთ ჰა-ზე. ისიც ცნობილია, რომ დედამიწაზე მხოლოდ მცენარეულ საფარს შესწევს უნარი მიიღოს მზის

ენერგია და გარდაქმნას ადამიანისათვის მისაღებ ფორმის სახით (ფოტოსინ-თეზი). ისიც დადგენილია, რომ სამრეწველო საქმიანობისათვის დაახლოებით 0,5-1% გამოიყენება.

მნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა კოლოსალური ენერგია თავისუფლდება ტექნიკის განადგურების შედეგად, როცა დაახლოებით 10 მლდ. კგალორია მოდის წლიურად ერთ ჰა-ზე და ამავე დროს დაახლოებით 14 მლნ. ჰა ტექნიკური უკველწლიურად.

იბადება კითხვა, რა ბედი ეწევა ფოთლებისა და წიწვების განადგურების შედეგად გამონთავისუფლებულ უკონტროლო „მოხეტიალე“ მზის სხივების ენერგიას? ვფიქრობთ, ეს ის „მოხეტიალე“ ენერგიაა, რომელიც აპირობებს გარემოში კლიმატის ცვლილებებს, რაც თავის მხრივ, ეკოლოგიური კატაკლიზმებისა, კატასტროფებისა და გლობალური დათბობის საფუძველი ხდება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვერსია ტექნიკური ხეების ჭრის შედეგად მწვანე ფოთლებისა და წიწვების არარსებობის შემდგომ გამონთავისუფლებული უკონტროლო „მოხეტიალე“ მზის სხივების ენერგიის გამანადგურებელი ძალის შესახებ, ვფიქრობთ, ყურადსაღებია, რაც კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, რომ ტყის ჭრა უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დღეს იმის განცხადება, რომ „დადგა დრო, როცა ტყებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს“ – რომელიც 2010 წლის დეკემბრის ოვეში იქნა გაკეთებული გაეროს გენერალური მდივნის ბ-6 პანგიმუნის მიერ, ვფიქრობთ განგაშის ტოლფასია და მისი განხორციელებისათვის საჭიროა დაუყოვნებლად შევუდგეთ კონკრეტული პირობებისათვის ტექნიკის ადგენის ღონისძიებათა პროგრამების შემუშავებას.

აღდენად ტყეში მეურნეობის წარმოების მოწესრიგება და მისი მრავალფუნქციონალური დანიშნულებით ეფექტურად გამოყენება, წარმოადგენს უდიდეს რეზერვს, ქვეყნის ეკოლოგიურ-კოსმიურ კონომიკურ სფეროში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტყე და მისი ბუნებრივი რესურსები ქვეყნის განვითარების სტრა-

ტეგიულ რესურსს წარმოადგენს, რომ არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების მოპოვების მიზნით, ქვეყნებს შორის ომებიც კი დაწყებულა, რასაც თან მოპყოლია არა მარტო რესურსების განადგურება, არამედ ეკოლოგიური კატასტროფებიც დღეს როცა სამყარო გლობალიზაციის პროცესებით იმართება, რესურსების მოპოვების არა ომები ანუ ძალის მიერი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ ამ რესურსების კვლავწარმოების საერთაშორისო პროგრამების შემუშავებაზე და მათ განხორციელებაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება. ასეთი ახლებური მიღვომა მთლიანად შეცვლის არა მარტო ურთიერთობებს ქვეყნებს შორის, არამედ თავიდან აგვაცილებს, როგორც ლოკალურ ისე რეგიონალურ და გლობალურ ეკოლოგიურ, კოსმიურ პრობლემებსაც კი. ცნობილია, რომ ომებმა განუზომელი მასშტაბების ზარალი მიაყენა ბუნებას, განადგურებული იქნა მილიონობით პა ტყის მასივები, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ეკოლოგიური კატასტროფების პროგორებას. დღეს კაცობრიობა იმკის მის მიერ ბუნებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულების მწვავე შედეგებს (გლობალური დათბობა, წყალდიდობები და სხვა მრავალი). თუ დროზე არ დავიწყეთ გლობალური მასშტაბების ბუნების აღდენითი ღონისძიებების განხორციელება, მერე გვიანი იქნება. ამ ღონისძიებათა მთავარ მიზანს კი ტყეების პროდუქტების ამაღლება წარმოადგენს, მასზეა დამოკიდებული, როგორც ეკოლოგიური, ისე კოსმიურ-ეკონომიკური ფუნქციების ეფექტურად შესრულების შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს ტყეების პროდუქტების 2-3-ჯერ ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ტყეების პროდუქტების მაჩვენებლებს. ასე მაგალითად, აგსტრიის ტყეების პროდუქტების ერთ ჰა-ზე (წლიური შემატება) 5-6 მ³-მდე აღწევს, მაშინ როცა საქართველოს ტყეების იგივე მაჩვენებელი 2 მ³-მდე ვერ აღწევს. შესაბამისად, ავსტრიის ტყეებში, კოველ-

წლირად მერქნით სარგებლობა 15 მლნ-მდე შპ-ს შეადგენს, ხოლო რაც შეეხება საქართველოს აქ ოფიციალური მონაცემებით ერთ მლნ/შპ არ აღმატება.

საქართველოს ტყეების პროდუქტიულობის ასეთი დაბალი მაჩვენებლები განპირობებულია ძირითადად ტყის კორომთა გამეჩერებით. საქციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტყეების ნახევარზე მეტი დაბალი სიხშირისაა და დაკარგული აქვს მასზე დაკისრებული მნიშვნელოვანი ეკოლოგიურ-კოსმიურ-ეკონომიკური ფუნქციების შესრულების უნარი.

ამდენად საქართველოს ტყეების პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, საჭიროა, ტყის მოვლითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მასშტაბების გაზრდა. რისოვისაც საჭიროა შედგენილ იქნეს ტყეების აღდგენის სახელმწიფო-თაშორისი საერთაშორისო პროგრამები, რომელთა დაფინანსებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო საფინანსო ორგანოებმა.

მერქნის ნიმუშების მიკროსკოპიული (ანაგრომიური) ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ წარსულში შენობის გადასახურავად გამოყენებული ხის სორტიმენტები მიეკუთვნება „ფოთლოვანას“ ანუ ციმბირის ლარიქსის (*Larix sibirica* Ledeb.) მერქანს.

ი. აბაშიძის (1959) მონაცემებით, ციმბირის ტყეებში ლარიქსის ფართობი 200 მილიონ ჰა-ს აღემატება, სადაც ის ქმნის როგორც სუფთა (მთებში), ისე შერეულ კორომებს. იზრდება გიგანტურ ხეებად სიმაღლით 40-45 მ, დიამეტრით 2 მ-დან. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა

შეადგენს 300-400 წელს, ნიადაგის ტენისა და მინერალური ნივთიერებების მიმართ დიდ მოთხოვნილებას არ იჩენს. ინვითარებს პლასტიკურ, ძლიერ ფესვთა სისტემას. მომთხოვნია სინათლის მიმართ და უადრესად ყინვაგამძლეა. სუბალპიური ადის 2500 მ-მდე. იგი არ მიეკუთვნება მარადმწვანე წიწვოვანებს, რადგან ფოთლოვანების მსგავსად შემოდგომობით წიწვები სცვივა, ამიტომ უწოდებენ მას რუსეთში „ლისტვენნიცას“ ანუ ფოთლოვანას.

ციმბირის ლარიქსი გულოვანი სახეობა. ხის დეროს გულის მერქანი მოწითალოა, თეთრი-მოყვითალო ცილა ვიწროა. ხის დეროს განივ ჭრილზე საზღვარი გულსა და ცილას შორის მკვეთრადა გამოსახული, ისე როგორც საზღვრები მერქნის წლიურ რგოლებსა და რგოლებში ადრეულა და გვიანა მერქნებს შორის (სურ. 1).

მერქნის ანაგრომიური დიაგნოსტიკური ნიშნებიდან ლარიქსისათვის დამახასიათებელია შემდეგი: განსხვავებით სხვა წიწვიანი ხეების მერქნისაგან (კედარი, ნაძვი, ფიჭვი, სოჭი), მერქნის წლიურ რგოლებში გადასვლა ადრეულა მერქნიდან გვიანაში მეტად მკვეთრია, რადიალური სხივები ერთოიგიანია, მერქნის პარენქიმა გვხვდება იშვიათად და ისიც მხოლოდ წლიური რგოლების საზღვრებთან და, რაც მთავარია, სხვა წიწვოვანების მერქნებისაგან განსხვავებით, ლარიქსის მერქანს ახასიათებს




Fig. 1 - *Larix Sibirica* Ledeb.

მერქნის ანატომიური სტრუქტურა დერის განვითარებული მრიულება გაღია და სიგრძის განვითარებული მრიულება

ჭრილება გაღია 75 და 105 x

მეტად მცირე რაოდენობით წვრილი ზომის ფისის სავალი მიღები, რომლებიც ძირითადად განლაგებულია გვიანა მერქნის ტერმინალურ ნაწილში. ამასთანავე, ეს მიღები ხის ღეროს მთელს გარშემოწერილობაზე არა თანაბრად განლაგებული, გაფანტულია და ძნელი შესამჩნევია, ისევე როგორც ერთრიგიანი რადიალური სხივები. ხის ღეროს ტანგენტალურ ჭრილში ფისის სავალი პორიზონტალური მიღები და რადიალური სხივები თითისგარისებური ფორმითა წარმოდგენილი (სურ. 1).

ლარიქსის მერქანი ხასიათდება მაღალი ტემპიკური თვისებებით, მძიმეა, მკვრივი და მტკიცე. მნიშვნელოვნად შეშრობადია. მედეგია გარემო ფაქტორების ზემოქმედებისა და ლპობის მიმართ. ძნელად მუშავდება მჭრელი იარაღებით. გამოიყენება პიდრო-ტემპიკურ ნაგებობებში, ხიმინჯებად და მშენებლობებში ისეთ სორტიმენტებად, რომლებსაც მოეთხოვებათ მაღალი მექანიკური თვისებები და ხანგრძლივი გამდლეობა.

მიკროსკოპიული ანალიზით დადგინდა, რომ გვიანა მერქნის შემცველობა

წლიურ რგოლებში შეადგენს 25-30%-ს და მისი სქელგარსიანი ტრაქეიდების კედლები (7-8მ) არაა დარღვეული, რაც განაპირობებს მისი მერქნის მაღალ ტექნიკურ თვისებებსა და ხანგრძლივ სამსახურს მზიდ კონსტრუქციებში.

არსებული ხის სორტიმენტების (კოჭები, ნივნივები) ვარგისიანობისა და შემდგომი გამოყენების შესაძლებლობის მიზნით, ჩვენს მიერ გამოკვლეულია აგრეთვე მედეგობა და ხარისხი იმ სორტიმენტების მერქნისა, რომელიც საუკუნეებე მეტხანს ემსახურა შენობის გადახურვას.

მერქნის მედეგობა არის მის მიერ რდევევისადმი გაწეული წინააღმდეგობის უნარი, რომელიც ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური (მწერები, ბაქტერიები, სოკოები) მიზეზებითა და სიძველით (დაღლილობით) არის გამოწვეული და განისაზღვრება მერქნის მოცულობითი წონით, რაც მისი სიმკვრივის მაჩვენებელია. მერქნის მედეგობა და მისი სამსახურის ხანგრძლივობა სხვადასხვა გარემოში – მიწაში, მიწაზე, წყალში და ჰაერზე – სხვადასხვაგვარია.

ლარიქსის მერქნის მედეგობის გამოსაკლევად შენობის გადახურვაში გამოყენებული კოჭებიდან და ნივნივებიდან, ამოვჭერით 10-20სმ³ მოცულობის რამოდენიმე ძელაკი, რომელთა მოცულობითმა წონამ 12% ტენიანობის პირობებში საშუალო შეადგინა 5,92გრ/სმ³ ანუ 592კგ/მ³.

აკადემიკოს ბ. უგოლევის (2005) მონაცემებით, ციმბირის ლარიქსის აბლადმოჭრილი მერქნის სიმკვრივე, დაფანილი 12% ტენიანობაზე, შეადგენს 665კგ/მ³, ხოლო აბსოლუტურად მშრალ მდგრმარეობაში – 635კგ/მ³ და მიუკუთვნება საშუალო სიმკვრივის მერქნებს (550-740კგ/მ³).

თუ ბ. უგოლევის მონაცემებს (665კგ/მ³) მივიჩნევთ 100%-ად, გამოდის, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული მერქნის სიმკვრივე (592კგ/მ³), საუკუნის მანძილზე სამსახურის შემდეგ, სავარაუდოდ 8-10%-ით შემცირებულა. მერქანი არ არის დაზიანებული ენტომოფაუნით და სოკოვანი დაავადებებით.

ამის საფუძველზე შეგვიძლია და-

ვასკვნათ, რომ წარსულში გამოყენებული ლარიქსის კოჭები და ნივნივები მომავალშიც გამოსადეგია შენობის გადახურვის მზიდ კონსტრუქციებში.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ პროფესორ ს. ვანინის (1936) მონაცემები, რომელიც კერძნობა რა მოტესის ტაბულას, აღნიშნავს, რომ დახურულ შენობანაგბობებში ციმბირის ლარიქსის მერქნის სამსახურის ხანგრძლივობა მუდმივი სიმშრალის პირობებში შეადგენს 1800 წელს, ხოლო მუდმივი ტენიანობის დროს – 600 წელს.

ა.იაცენკო-ხმელევესკი (1954) აღნიშნავს, რომ 400-500 წლის წინათ პოლონეთში ლარიქსის (*L. decidua*) მასალით აგებული კელესიები და შენობები დღემდე შემორჩენილი და რომ ჩრდილოეთში, ოქტორ ზღვაში თევზსაჭერი ნავები და სეინერები გასულ საუკუნეშიც კი ციმბირის ლარიქსისგან მერქნისაგან

მზადდებოდა. მისივე მონაცემებით, ვენეციაში, წარსულში შენობათა საყრდენად გამოყენებული ლარიქსის ხიმინჯები დღემდე შემორჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე განიცდიდნენ ჰაერისა და ტენის ცვალებად ზემოქმედებას.

A.Panshin (1980) და J.Flynn (2001) მონაცემებით, ანალოგიური გამოყენება აქვს დასავლეთის ლარიქსის (*L. occidentalis*) მერქანს ჩრდილოეთ ამერიკაში.

და ბოლოს აღნიშნავთ, რომ ციმბირის ლარიქსი – ეს გიგანტური და საოცარი ხე პოეტების შთაგონების წყაროც ყოფილა:

„განა ლექსს სიკვდილი დასძლევს?

პირიქით,

ცა, მიწა სავსეა მარადი ლირიკით,
ალვის ხე, მუხა, თუ „ლარიქს სიბირიკა“
– ეს არის ლირიკა და მხოლოდ
ლირიკა“ (გალაკტიონი)



სურ. 2. ცისფერი გალერეა ქ. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე



სურ. 3. ცისფერი გალერეის გადახურვის საანალიზო ხის კონსტრუქციები

ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი. დენდროლოგია მცენარეთა გეოგრაფიის ელემენტებით. ნაწილი 1, თბილისი 1959 წ.
2. ეს ახალი კატეგორია სამსახურის მიერ 2008 წელს.
3. ტერმინი სამსახურის მიერ 2005 წელს.
4. ტერმინი სამსახურის მიერ 2005 წელს.

5. James H., Flynn Jr., Holder Ch., A Guide to useful woods of the world. Madison, U.S.A. 2001.
6. Lobzhanidze E.D., Supatashvili A. Sh., Gabunia M.D. Test on the durability of Siberian Larch. International Journal "World of Wood" Vol. 63, no 5, USA ,2010.
7. Panshin A.J., Zeeuw C. Textbook of Wood Technology. Fourth Edition. U.S.A. 1980.

ელდარ ლობჟანიძე, ბიმინა თაგამე, არჩილ სუპატაშვილი,
ფოდო ბეროზაშვილი

ციმბირის ლარიქსის /Larix sibirica Ladeb/ საუკუნოვანი მერქანი
- სტრუქტურა, თვისებები, მედეგობა

რეზიუმე

დადგენილია, რომ ქ. თბილისში სამხატვრო გაღერების შენობის გადასახურავად ხის კონსტრუქციებში გამოყენებული ციმბირის ლარიქსის მერქანი საუკუნეზე მეტ ხანს ინარჩუნებს სტრუქტურასა და მედეგობას, რის გამოც შესაძლებელია მისი შემდგომი გამოყენება მზიდ კონსტრუქციებში.

Ý.Ä. ËÎÁÆÀÍÈÄÇÅ, Á. È. ÒÀÂÀÄÇÅ, À.Ø ÑÓÏÀÒÀØÂÈËÈ,
ÒÎÃÎ ÁÅÐÎÇÀØÂÈËÈ

ÄÐÅÅÑÈÍÀ ÑÈÁÈÐÑÊÍÉ ËÈÑÒÂÅÍÈÖÛ /LARIX SIBIRICA LADEB/
ÅÅÈÎ ÅÎÉ ÄÀÂÍÑÒÈ, - ÑÒÐÓÈÓÐÀ, ÑÂÎÉÑÒÂÀ, ÑÒÎ È ÎÍ ÑÒÜ

ÐÅÇÞÌÅ

Óñòà íî áëåíî, ÷òî ï îñëå ääêî áîé ñëóæáû â äåðåâýíû ð ëííñ ðòðóêëý ëåðåêëðèòëý ï ñâùåíèý êàðòëííé ääëåðåé à Õáèëèñè, äðåâñèíà ëèñòâåííèöû ñèáèðñëíé ñïðàíýåò ñòðóêðóðó è ñòî é îñòü, ííyôì òý âëýâòñý ïðèäí áííé äëý ääëüíâéøåäí ïðèìåíáíèý â ýòë ëííñ ðòðóêëý.

E.D. LOBZHANIDZE, B.L. TAVADZE, A SH. SUPATASHVILI,
TOGO BEROZASHVILI

CENTURY OLD WOOD OF SIBIRIAN LARCH /LARIX SIBIRICA LADEB/, -
STRUCTURE, PROPERTY, FIRMNESS

SUMMARY


In order to study Siberian Larch wood resistance to bacterial and fungal influence, age - related fatigue, and in-ground conditions, samples from a century old building were tested. The results have shown that after a century of use the wood density was reduced by only 8-10%. Stemmed from this, they are suitable for reuse. Moreover, they have not been damaged by insects and fungal diseases.

ც. მოსულიშვილი, ზ. ბალამარაქვილი, პ. ფუნდუა,
ი. გელაშვილი, გ. ნარიძენიშვილი, რ. ტყემალაძე

მორსათრევი თვითმატვირთავი აგრეგატის გრძელი მდგრადობის გამოპოლება ფერდობის პრიტიპული დახრის პუთხის მიხედვით

1. შესავალი

სტუ-ს მერქენული მასალების დამზადება-დამუშავების კათედრაზე, სპეციალური ტრაქტორის TT-4 ბაზაზე, დამუშავებული ტრაქტორის TT-4-ზე, სპეციალური ტრაქტორის გამომდინარების მიზნით საშუალებას უკონფიგური პირობების გაუმჯობესების მიზნით ხელშეკრუნვის გამომდინარების მიზნით მორთვევა ვაწარმოოთ მთლიანად დატვირთვულ მდგომარეობაში. ეს კი საშუალებას გვაძლევს, შოლტებისა და სორტიმენტების ნახევრადდატვირთვულ და მითუმეტეს ნიადაგზე მორთვევასთან შედარებით, გარემოზე ზემოქმედება, კერძოდ უარყოფითი გავლენა, მოზარდზე და ნიადაგზე მნიშვნელოვნად (3,5-9) შევამციროთ.



სურ. 1. მორსათრევი ტვირთმტვირთავი
აგრეგატი: 1 – ტრაქტორი TT-4; 2 და 3
ძარა-ანძის მექანიზმი; 4 - ჯალამბარი

ამასთან მთავრი მორსათრევი გადაწყვეტილია მნიშვნელოვანი პრობლემა – საქართველოს მთაგორიან პირობებში ციცაბო ფერდობებზე ტყის განახლება, სადაც მთა წარმოადგენს მოკლედისტანციურ თვითმავალ საბაგირო დანადგარს. მთა-თი აგრეგატი, მისი ძარა-ანძის მექანიზმით აღჭურვის შემდეგ, ხორციელდება მეტად მნიშვნელოვანი უნარებით ტექნოლოგიური პროცესი, ტყის


კაფიდან ნარჩენების გამოტანა, რითაც ის უზრუნველყოფს დამატებითი ნედლეულის მოპოვებას.

მთა-ს შექმნასთან დაკავშირებით ტრაქტორ TT4-ზე დამონტაჟდა ძარისა და ისრის მექანიზმები, საიდანაც გამომდინარე შეიცვალა სიმძიმის ცენტრის კოორდინატები და საჭირო გახდა ჩაგვებარებინა თეორიული გამოკვლევები მისი დინამიკური გრძივი მდგრადობის ზღვრული მნიშვნელობების დასადგენად, მთიანი ტყის ქანობებზე ექსტრემალურ პირობებში ექსპლუატაციის დროს.

2. მირითადი ნაშილი

მთა-ს გრძივი მდგრადობა ბალანსირებული დაკიდების დროს შენარჩუნდება თუ სრულდება შემდეგი პირობები:

– აღმართზე მოძრაობის დროს, დატვირთვულ მდგომარეობაში, სიმძიმის ცენტრის პორიზონტალური კოორდინატა (სურ. 2) მეტი უნდა იყოს წამყვანი ვარსკვლავას და უკანა მცირე ბალანსირის გეომეტრიულ დერძებს შორის მანძილზე, სატრაქტორო გზის პარალელურ სიბრტყეში I_3 .



სურ. 2. ძალთა მომენტების
განმსაზღვრელი სქემა

— დაღმართზე მოძრაობის დროს სიძმის ცენტრის პორიზონტალური კოორდინატა a ნაკლები უნდა იყოს წამყვანი გარსკვლავას და წინა მცირე ბალანსირის გეომეტრიულ დერძებს შორის მანძილზე, სატრაქტორო გზის პარალელურ სიბრტყეში l_s .

აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მთა შეიძლება ამოტრიალდეს დაკიდების უკანა ან წინა მცირე ბალანსირების, შესაბამისად, O_1 და O_2 დერძების გარშემო.

ფერდობის დახრის კრიტიკული კუთხის დასაღენად (აღმართზე ან დაღმართზე, დატვირთულ ან დაუტვირთავ მდგრმარეობაში) აუცილებელია გავითვალისწინოთ ტრაქტორის დაკიდების სისტემის დრეკადობის გავლენა. ცნობილია, რომ აღმართზე ან დაღმართზე მოძრაობის დროს ხდება რესორების დუფორმაცია, რის გამოც თავს იჩენს ამორტიზაციის გავლენა წინა მხრის დაკიდებაზე, რაც იწვევს სიმძიმის ცენტრის კოორდინატების ცვალებადობას. ამასთან ერთად სიმძიმის ცენტრის მდებარეობა ანუ მისი კოორდინატების სიდიდე წარმოადგენს მთა-ს გრძივი მდგრადობის კრიტერიუმს, რომელიც ტრაქტორის მოძრაობის დროს მცირდება, ამიტომ მთა-ს გრძივი მდგრადობისათვის ნებისმიერ პირობებში მუშაობის დროს დაქანობებზე, რომლებიც არ აჭარბებენ კრიტიკულს, ნომინალური მხები წევის ძალა B_{eff} , პირველ გადაცემაზე, არ უნდა იყოს მეტი მთა-ს საექსპლუატაციო წონის მდგრენელზე, რომელიც ზღვრულ ქანობზე მიმართულია სატრაქტორო გზის პარალელურად.

ფერდობის კრიტიკული დახრის α_k კუთხის დასაღენად (მაქსიმალურად დასაშვები დახრა, რომლის დროსაც მთა იცავს წონასწორობას) მთა-სათვის ვიგებთ გრძივი მდგრადობის მახასიათებელს, რომელიც დამოკიდებულია უკანა მცირე ბალანსირის O_1 დერძის მიმართ მოქმედ კველა ძალების მომენტზე:

$$L_s - l_3 = \frac{G[(a - l_3)\cos\alpha - (h - h_3)\sin\alpha] - P_{KH}h_3}{h_{ks}}, \geq 0 \quad (1)$$

სადაც L_s — დაწოლის ცენტრის საანგარიშო კოორდინატა; a, h — მთა-ს სიძმის ცენტრის კოორდინატები;

l_3 — წამყვანი გარსკვლავას და უკანა მცირე ბალანსირის დერძებს შორის მანძილი სატრაქტორო გზის პარალელურ სიბრტყეში;

h_3 — უკანა მცირე ბალანსირის დერძის დაშორება გზის ზედაპირიდან;

G — დატვირთული მთა-ს მასა;

α — სატრაქტორო გზის დახრის კუთხე;

P_{KH} — მთა-ს ნორმალური მხები წევის ძალა.

აღნიშნული მომენტების განსაზღვრის დროს წევის ძალა კაუჭზე P_k , ინერციის ძალა P_p , ინერციის მხები ძალების ჯამური მომენტი $M_{i_{\text{ჯამ}}}$ და პაერის წინააღმდეგობის ძალა P_w აღმართზე მოძრაობის დროს გამოირიცხება.

ფორმულის (1) მარჯვენა ნაწილის მრიცხველი წარმოადგენს მთა-ს სიმძიმის ძალის მომენტს O_1 დერძის მიმართ. α კუთხის გადიდებასთან ერთად მცირდება მხარი და თავისთავად ამ მომენტის სიდიდეც მცირდება. აქედან გამომდინარე საჭიროა გავიგოთ (1) ფორმულის მარჯვენა ნაწილის მნიშვნელობა და განვსაზღვროთ ფერდობის აწევის კუთხის α_k ზღვრული მნიშვნელობა, რომლის დროსაც მთა-ს სიმძიმის ცენტრში გამალი ვერტიკალი გაივლის უკანა ბალანსირის დერძში (სურ. 2).

მთა-თი მთლიანად დატვირთულ მდგრმარეობაში მორთრევის დროს გადაყირავება მოხდება უკანა მცირე ბალანსირის O_1 დერძის გარშემო, ხოლო დაღმართზე მოძრაობის დროს — წინა მცირე ბალანსირის O_2 დერძის გარშემო. ამასთან მთა-თი მთლიანად დატვირთულ მდგრმარეობაში მორთრევის დროს არა გვაქვს საბუქსირე რგოლზე მოქმედი ძალები და მხარი h_{ks} შეიცვლება უკანა მცირე ბალანსირის დერძის მხარით h_3 (ტრაქტორ TT4-სათვის $h_3 = 0,4$ მ). მაშინ (1) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$P_{KH1} \leq G \frac{(a - l_3) \cos \alpha - (h - h_3) \sin \alpha}{h_3} \leq f(\alpha) \quad (2)$$

ტრაქტორ TT4-ის წევის ძალას I გადაცემაზე ვანგარიშობთ ფორმულით

$$P_{KH1} = \eta_{M2} \frac{M_k}{r_k} = 0,912 \frac{32}{0,266} = 110 \text{ კნ,} \quad (3)$$

სადაც M_k – წამყვანი მომენტია და დამოკიდებულია: ძრავას ნომინალურ მძრუნავ მომენტზე M_H , რომლის სიდიდე ტრაქტორ TT4-სათვის ტოლია $0,492$ კნ; η_{M2} – ტრანსმისიის მაქ.კ.-ზე – $0,912$; ტრანსმისიის გადაცემის რიცხვზე $i = 71,11$; r_k – წამყვანი ვარსკვლავას დინამიური რადიუსი ტოლია $0,266$ მ.

$$M_k = M_H \eta_{M2} i = 0,492 \cdot 0,912 \cdot 71,11 = 32 \text{ კნ.}$$


პასპორტის მონაცემებით მხები წევის ძალა I სიჩქარეზე ტოლია $111,6$ კნ.

მთავარი მდგრადობის მახასიათებელს აღმართზე ვანგარიშობთ ფერდობის დახრის კუთხეებისათვის $\alpha = 0^\circ - 35^\circ$, 5° -იანი გრადაციით. ფუნქციის მნიშვნელობები შეგვაძველი იდენტური 1, რომლის მიხედვითაც ვაგებთ დიაგრამას (სურ. 3).

ცხრილი 1											
α°	0	5	10	15	20	22	22	22°55'	23	25	30
P_{KH1} კნ	349,7	302,4	250,4	197,1	143,2	120,5	111,1	109,6	85,1	30,8	

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ნომინალურ მხებ წევის ძალას, პირველ სიჩქარეზე, შეუძლია ამოატრიალოს დატვირთული მთა, რომელიც დასა პორნონგრალური გზის მონაკვეთზე ($\alpha = 0^\circ$), თუ ეს ძალა გაუტოლდება $349,7$ კნ-ს.

დიაგრამიდან სურ. 3 ვდებულობთ, რომ ფერდობის კრიტიკული დახრის კუთხე, რომელზედაც მთას შეუძლია მუშაობა გრძივი მიმართულებით აღმართზე არის $22^\circ 55'$.



სურ. 3. მთას გრძივი მდგრადობის დიაგრამა ქანობის დახრის კუთხისაგან დამოკიდებულებით

მოცემულ შემთხვევაში (1) ფორმულიდან დაწოლის ცენტრის კოორდინატა

მმ და გაივლის უკანა მცირე ბალანსირის ცენტრიდან 84 მმ-ით შიგნით, საიდანაც გამომდინარე მდგრადობის პირობა დაცელია $L_3 > l_3$ (984 > 900).

განვხაზღვროთ ქანობის კრიტიკული (ზღვრული) დახრის კუთხე, რომელიც ახასიათებს მთას გრძივ მდგრადობას დაღმართზე მოძრაობის დროს, მხები წევის ძალისაგან P_{KH1} დამოკიდებულებით

$$P_{KH} = P_f + P_i + P_j, \quad (4)$$


სადაც P_f – გორგის წინააღმდეგობის ძალა; P_i – აწევის წინააღმდეგობის ძალა; P_j – გაქანების (ინერციის) წინააღმდეგობის ძალა, რომელსაც სიმცირის გამო უგულებელვყოფთ.

გაანგარიშების შემდეგ მხები წევის ძალის მნიშვნელობები მთას დაღმართზე მოძრაობის დროს 0° -დან $22^\circ 30'$ -ის ჩათვლით შეტანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2											
α	0°	5°	10°	15°	20°	$20^\circ 30'$	21°	$21^\circ 30'$	22°	$22^\circ 30'$	
P_{KH1} კნ	75	59	42	25	7	5	4	2	0	-2	

ჩატარებული გაანგარიშების საფუძ-

ველზე ვაგებთ დიაგრამას (სურ. 4), რო-
მელიც ახასიათებს მთა-ს მდგრადობას
დაღმართზე მხები წევის ძალისაგან P_{KHI} ,
პრეც გადაცემაზე, დამოკიდებულებით.
დიაგრამიდან ჩანს, რომ ზღვრული



სურ. 4. ღამეართზე მთა-ს წევის
ნორმალური მხები წევის ძალის
დამოკიდებულების გრაფიკი

ქანობი დაღმართზე მოძრაობის დროს
 ტოლია 22° . 22° -ზე ზევით ნომინალური
 მხები წევის ძალა ტოლია ნულისა და
 მთა-ს შეუძლია გადაადგილდეს დაღ-
 მართზე სამუხრუჭე რეჟიმში: ტვირთოთ
 44° -მდე და უტვირთოდ 38°-მდე დახრი-
 ლობის ფერდობზე გადაყირავების გა-
 რეშე, რადგანაც დაწოლის ცენტრიდან
 სავალ ნაწილზე დაშვებული მართობი
 გაივლის წამყვანი ვარსკვლავას ცენტრი-
 დან 2,85 მ (ტვირთოთ) და 3,09 მ (უტვირ-
 თოდ) და მოთავსდება O_1 და O_2 ცენტ-
 რებს შორის, ე.ი. დაცული იქნება მდგრა-
 დობის პირობა $L_s < l_s$.

3. გასტრი

სპეციალიზებული ტრაქტორ TT4-ის
ბაზაზე შექმნილია მორსაორეგი თვით-
მმწვრთაგი აგრეგატი ახალი ტანხოლო-

გიური აღჭურვილობით, ძარა ანბის მე-
ქანიზმის სახით, რომელიც საშუალებას
გვაძლევს შოლტებისა და მორების მორ-
თრევისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის
ოპერაციები ვაწარმოოთ მთიანი ტყეება-
ფების ათვისების ტექნოლოგიის მოდი-
ანი დაცვით.

ჩატარებულია გამოკვლევები მთა-ს
გრძივი მდგრადობის ზღვრული შესაძ-
ლებლობების დასადგენად მთიანი ტყის
ქანობებზე ექსტრემალურ პირობებში
ექსპლუატაციის დროს.

იქიდან გამომდინარე, რომ დაწოლის ცენტრის კოორდინატის სიდიდე წარმოადგენს მთა-ს გრძივი მდგრადობის კრიტერიუმს, რომელიც აღმართზე და დაღმართზე მოძრაობის დროს მცირდება, მიღებულია, რომ მთა-ს გრძივი მდგრადობისათვის ქანობებზე, რომლებიც არ აჭარბებენ კრიტიკულს ხომინალური მხები წევის ძალა პირველ გადაცემაზე არ უნდა იყოს მეტი მთა-ს საექსპლუატაციო წონის მდგრენელზე, რომელიც მიმართულია გზის ზედაპირის პარალელურ მოძრავს.

ფერდობის კრიტიკული დახრის კუთხის დასადგენად განსაზღვრულია გრძივი მდგრადობის მახასიათებელი. აგბულია დიაგრამები და ნაპოვნია ფერდობის კრიტიკული დახრის კუთხის მნიშვნელობები, რომლებიც შესაძლებელია მთა-თი ხე-ტყის მთლიანად დატვირთულ მდგომარეობაში ტრანსპორტირება. აღმართზე მოძრაობის დროს ტგირთით ფერდობის კრიტიკული დახრის კუთხე ტოლია $22^{\circ}30'$, ხოლო უტვირთოდ $47^{\circ}30'$. დაღმართზე მოძრაობის დროს შესაბამისად 44° და 38° .

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କ

5. Å.I. Àíèñèìñâ. Èäñíûå ìàøèíû. «Èäñíàÿ iðñî úþ ø è á í íñòü», Íññâà, 1989 512 n.

6. Å.À. xóàæíâ. Ìàøèíñð fâíæå, yíøéëèíïáæè÷ññééé níðåâî ÷fèé. Óri II, Åññóäàðñôåâ í í fâ íð èçääàðåëüñðåâ ìàøèíñðòðèðåëüñíé èèðåðàðòðû. Íññâà, 1948, 457 n.

7. Å.I. Ìàðåâåééñ, Å.N. Ôåâåðåâî ÷éé. Òåð íieíæý è ìàøèíû è åñ íñâ÷íûõ ðàáîò ìèíñê, Ói «Òåðíñðèíò», 2002, 479 n.

**D. MOSULISHVILI, Z. BALAMTSARASHVILI, I. GELASHVILI,
M. NARIMANISHVILI, R. TKEMALADZE**

A STUDY OF THE LONGITUDINAL STABILITY OF SKIDDING IS MOST OF THE IMMERSING AGGREGATE RELATIVE TO THE ANGLE OF THE SLOPE

SUMMARY

Is created skidding most immersing aggregate with the new technological equipment in the form of the mechanism of body and arrow for the purpose of an improvement in the ecological conditions. For establishing of critical angle, inclination of slope, is developed the procedure, which determines the moments the longitudinal-behavior characteristics of aggregate, which depends on the moments of all acting forces relative to the arrangement of the axis of rear small beam during the motion to the lift, and relative to the axis of front small beam, during the motion to the descent. The diagrams, which reflect the measurements of normal tangential thrusts, are built depending on the angle of the alpha inclination of slope and rating values for the skidding most of the immersing aggregate the critical – maximum angles of alpha, with which the aggregate can work and be moved without the tilting with the descent and with the lift.

Ã. Ì ÏÑÓÈØÂÈÈÈ, Ç. ÁÀËÀÌØÀÐÀØÂÈÈÈ, È. ÃÅËÀØÂÈÈÈ, Ì. ÍÀÐÈÌÀÍÈØÂÈÈÈ, Ð ØÈÂÌÀËÄÇ

ÈÑÑÉÅÄÎÀÍÈÅ ÌÐÎ Ä ÏËÜÍÍÉ ÓÑÒÎÉ × È Å ÌÑÒÈ ÒÐÅÅÅÅÅÍ× ÍÎ ÄÎ
ÑÀ ÌÎÏÎ ÄÐÓÆÀÞÙÅÄÎ ÀÄÐÅÅÀÒÀ ÍÒÍÌÑÈÒÅËÜÍÍ ÓÄÆÀ ÍÀÊËÍÍÀ
ÑÉËÍÍÀ

ĐÀO CẨM GIÁ

Ñîçääì òðåëåâî ÷ íûé ñàìíïñäðóæàþùèé àäðåäàò ñ ííâûì òðåöííëïäè÷åñëèì ïñíàùåíèåì
â àèäå ìåõäíèçì à êóçí âà è ñòðåëü ñ öäëüþ öéó÷øåíèý ýéí ëïäè÷åñëèò óñëíâèé.

Äëÿ óñòàíîåéíèÿ êðèòè-åñêî áâ óäëà α_k , íàéëíà ñêëíà, ðàçðàáòàíà ìåðî äèêà, iiðåååéýþùàÿ òàðàéòåðèñòèè iðîâîëüíîé óñòîé-èåñòè àäðåàáòà, çàåèñýùàÿ îò iiñåòðå áäéñðåáþþèõ ñèë îò íñèòåëüíî ðàññîé íæåíèÿ ìñè çàåíåí îàéíà áàéàíñèðà iðè áäèæåíèè íà iiñåúåí è îòíñèðåëüíî íñè iðåðåäíåí îàéíà áàéàíñèðà, - iðè áäèæåíèè íà iiñóñê.

Í ñìñòð ïåíû àëàåðàììû, ïðíáðàæàþùèå èçìåíåíèý íîðì àëüíûðô êàñàðåëüíûð ñëë ðÿä, å çàåèñèìñòè ðóæà ðóæà a íåéëííà ñéëéííà è óñðàííåéåíû çíà÷åíèý äëý ððåéåâî ÷íîåí ñàíííà ðóæà þùåâî àåðåâåâðà êðèðòè÷åññêå-ïðåâåëüíûå ðóæù , ïðè ëí ðíðûð àåðåâåð ìæåà í ðåáíðåðòù è íðåâåëåðåðòù íå ðíðîéëåñâàíèý íðè ñíóñêå è íðè ííäúåíå.

გავუფრთხილდეთ საქართველოს ძვირზას მერენიან სახეობებს და გამოვიყენოთ რაციონალურად

ქართველ ხალხს მუსიკალური კულტურის დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოში უხსოვარი დროიდან ამზადებდნენ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. ინსტრუმენტების დასამზადებლად იყენებდნენ მრავალი ჯიშის ხის მასალებს, რომლებსაც მაღალი რეზონანსული თვისებები ახასიათებს. რეზონანსი ფრანგული სიტკვაა და ნიშნავს „ვებ-მაურები“ ე.ი. სარეზონანსო ფიცრები ბეგრას არა მარტო აღიქვამს, არამედ რეაგირებს და გამოძახილს იძლევა.

საკრავი ინსტრუმენტის დამზადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარეზონირებელი დეტალის შერჩევას, რომლის დანიშნულებაა ბეგრის გაძლიერება. დღემდე განსაკუთრებით მაღალი რეზონანსული თვისებებით ხასიათდება აღმოსავლეთის ნაძვის მერქანი. მითითებულია აგრეთვე კავკასიური სოჭის რეზონანსულ თვისებებზე, მაგრამ მისი მეცნიერული დასაბუთება არსად არ არის მოცემული და სოჭის მერქანი ამ მიზნისთვის არ არის გამოყენებული. სწორედ ამიტომ იქნა შესწავლილი კავკასიური სოჭის მერქანის ანატომიური, ფიზიკურ-მექანიკური და აკუსტიკური თვისებები.

აკუსტიკა არის მეცნიერება ბეგრის შესახებ, რომლის წარმოქმნის მიზეზია მკვრივი სხეულის გარკვეული სისტერი რხევა. მუსიკალური აკუსტიკა სწავლობს მუსიკალური ბეგრებისა და მათი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. მერქანის ვარგისიანობის წინაპირობაა მისი ანატომიური აგებულების მიკროსკოპიული შესწავლა. სპეციალურ ლიტერატურაში სოჭის მერქანის სტრუქტურა ამ მიზნისათვის არაა გამოკვლეული. ეს საკითხი შესწავლილი იქნა თბილისის სატყეო

მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. საჭირო იყო მიზეზობრივი კავშირის გარკვევა ანატომიურ აღნაგობასა და რეზონანსულ თვისებებს შორის, ამიტომ გამოკვლევები: ანატომიურ, ფიზიკურ-მექანიკურ და აკუსტიკურ თვისებებზე ერთსა და იმავე ნიშნებზე ჩატარდა. ამავე ნიშნებიდან დამზადდა ლენინგრადში პიანინოები და საკონცერტო როიალები „რასია“, რომელიც შემოწმდა მუსიკალურ კლავიშებიანი ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრთან“ არსებულ აკუსტიკურ ლაბორატორიაში. მათმა საექსპერტო საბჭომ დადასტურა ჩვენი კვლევის შედეგები. კავკასიური სოჭის მერქანს უფრო მაღალი რეზონანსული თვისებები აქვს, ვიდრე აღმოსავლეთის ნაძვის მერქანს, ხოლო ორივეს მონაცემები უმჯობესია საზღვარგარეთის სარეზონანსო ნაძვის შესაბამის მონაცემებზე. ეს ფაქტი არღვევს დღემდე დამკვიდრებულ წარმოდგენას ნაძვის მერქანის უპირატესობის შესახებ. კავკასიური სოჭის მერქნისაგან დამზადებული საკონცრაქტო როიალი შედარებული იქნა მსოფლიოში აღიარებულ ამერიკულ როიალ „სტენგეის“ შესაბამის მონაცემებთან, რამაც დიდი მსგავსება აჩვენა. როგორც მათი საექსპერტო საბჭო ამტკიცებს, კავკასიური სოჭის მერქნიდან დამზადებულ როიალს აქვს საგრძნობლად მაღალი ხმა, ბეგრის ხანგრძლივობა და ბრწყინვალე ხარნარა ტემპი. აღმოსავლეთის ნაძვის და კარელიის ნაძვის სარეზონანსო მერქნისგან დამზადებულ როიალთან შედარებით. ლენინგრადის კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრთან“ არსებული აკუსტიკური ლაბორატორია და საექსპერტო საბჭო ადგენს: „დღეს ჩვენ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, რომ კავკასიური

სოჭის მერქანი სარეზონანსოდ ვარგისია, არამედ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს არის ჩვენი ისტორულების ხმის ჟღერადობის სარისხის გაუმჯობესების დარგში გადადგმული დიდი ნაბიჯი“.

საქართველოს ძვირფასი სარეზონანსო ნედლული ამჟამად არ იხარჯება დანიშნულებისამებრ. მას ამზადებენ ჩვეულებრივ დახერხილ ხე-ტყის მასალად. ეს წამგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, მაშინ როცა 1მ³ სარეზონანსო ფიცრების დირებულება საერთაშორისო ბაზარზე 1000\$-ზე მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ 1მ³ სარეზონანსო ფიცრებიდან 20 პიანინოს დამზადება შეიძლება, ამდენად წამგებიანია მისი უმიზნოდ დახარჯვა.

სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვეთომა ინსტიტუტმა, მუსიკლაურ ინსტრუმენტების ფაბრიკის და ყოფილი ხაიშის სატყეო მუზეობის მუშაკებთან ერთად აღგილზე (სვანეთში) შეამოწმა სარეზონანსო მერქნის რესურსები. დახარისხებისას დადგინდა, რომ საბალანსოდ მოჭრილი ყოველი 1000 მორიდან 150 მორი, ანუ 15% სარეზონანსო მერქანია. აღნიშნული მერქნის პირველადი გადა-მუშავების შემდეგ მიღებულ იქნა 30-

35% სარეზონანსო დახერხილი მასალა, ხოლო მეორადი დამუშავებისას, როცა გადაირჩა სარეზონანსო ფიცრები მივიღეთ 30%. ეს მაშინ, როდესაც რუსეთიდან შემოტანილი სარეზონანსო ნაძვის გამოსავალი 10-15%-ს არ აღემატებოდა ობილისის მუსიკალურ პლატფორმის ფაბრიკაში (ეს ფაბრიკა ამჟამად აღარ მუშაობს).

ამექანიზმის მიზანია რომ ეს ძვირფასი ხედულები გავკასიურო სოჭის და აღმოსავლეთის ნაძვის სახით, აუცილებლად გამოყენებულ იქნას დანიშნულებისა-მებრ და არა უბრალოდ დამხმარე სამ-შენებლო მასალად, სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ეს ძვირფასი მასალა ამ მიზნით იხარჯება. საჭიროა აღმოსავლე-თის ნაძვის და კავკასიური სოჭის გამოყენების რაციონალური გზების დასახვა, მეცნიერული დასკვნები მჭიდრო კავ-შირში უნდა იყოს სახალხო მუსიკობის ინტერესებთან, რაც ბუნებრივი რესურსების სწორად და მიზნობრივად გამოყენებას გულისხმობს. ეს კი წინა პირობება მერქნის რაციონალურად გამოყენების და დიდი ეკონომიკური გვექმნის მიღების.

LAMARAARGANASHVILI

LET'S SAVE UP EXPENSIVE WOOD AND IT IS USED RATIONALLY

SUMMARY

The problem of the rational use of supplies of wood is considered to be one of the important tasks of timber industry and forestry.

The aim of our work is to give a scientific ground of applicability of the Caucasian silver fir and the eastern fir as resonance raw materials.

It should be noted that this type of wood is not used according to its intended purpose and is consumed as ordinary wood of coniferous trees that contradicts the interests of forestry and the national economy on the whole.

ËÀÌÀÐÀÀÐÃÀÍÀØÂÈËÈ

ÑÁÅÐÅÆÁÌ ÄÐÅÂÅÑÉÍÓ ÖÅÍÍÛÖ ÌÐÍ Ä È ÈÑÍÍÈÜÓÅÌ ÐÀ ÖÈÍÍÀËÜÍÍ

ĐÀO HỌC

Їðîæåéå ïà ðàöèíïäéüíïâì è ïïíëüçí ààðèý çàïàññâ ãðåââññèíû ýâéýðöñý íäííé èç ààæíåéøë ñàäà-éñññíé îðîñùþøéåíïñòè è éåññíïâ ðíçýéññòâå.

Öäęü íáøåé ðääñöü - íáó ÷íáâ íáññíàáíéå íðëæä á íññöè íëëööü êàâéàçññéé è åëè áî ñöî ÷ííé êàé ðääçññíáíññäññí áíññüü.

Ҫäjäðöè, -ði à fäññö iýùåå äðäîï yòà äðåââññé íå íå èññíññçöåðñý iý íåçfá-âíñéþ, à ðäññöñ äðåðñý êåë íåú-âåý ðöäîñé íåy äðåââññé íå, -ði áåçöññé íå, iðñðéâñðä-ðò èíðåðäññäì êåë ëåññíé iðñññøéåññíññðè, ðòæ è fäðñññäi Ԫçvýñðäà ñ ðäññé.

V. სი-ტექნიკური დამუშავება

მაცონა ხასკივაძე

ხისდამუშავებელი მრეწველობის მცირე საზარმოთა ეპონომიკური ფუნქციონირების ანალიზი და ტექნიკურ-ეპონომიკური მაჩვენებლები

მცირე საწარმოები ისეთივე ტექნიკურ-ეპონომიკურ მაჩვენებლებს გეგმავენ, აღრიცხავენ და ანგარიშობებს, როგორც მსხვილი და საშუალო საწარმოები. გეგმიანი ეკონომიკის დროს მეტი უკრადდება ეთმობოდა რაოდენობრივ მაჩვენებელთა შესრულებას, შედარებით ნაკლები - ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ წინა პლანზე წამოსწია საწარმოთა ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოების საქმიანობას და მათ სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს არა ის, თუ რა მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ ისინი, არამედ ის, თუ როგორი ხარისხისაა მათი პროდუქცია, როგორია ერთეული პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯები, საწარმოს რენტაბელობის დონე და უფრო მეტიც, საბაზრო ურთიერთობებმა ჩვენს ეკონომიკაში შემოგრანა ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენთვის სრულიად ახალი მაჩვენებლები. როგორიცაა მაგალითად საწარმოს საქმიანი აქტივობის, საბაზრო აქტივობის და ლიკვიდობის მაჩვენებლები.

ლიკვიდობის მაჩვენებლები ზოგად შტრიხებში ემთხვევა გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლებს, რომლებსაც გეგმიანი ეკონომიკაც იცნობს, საბაზრო აქტივობის მაჩვენებლები კი იანგარიშება მხოლოდ ისეთი საწარმოებისათვის, რომლებიც ფასიანი ქაღალდების (მაგ. აქციები) გამოშვებით არიან დაფუძ-

ნებული. ასეთი საწარმო სახელწოდებით „სააქციო საზოგადოება”, როგორც ცნობილია, გეგმიანი ეკონომიკის დროს არ არსებობდა, იგი საბაზრო ეკონომიკის პირმშობა. ბუნებრივია, გეგმიანი ეკონომიკა საბაზრო აქტივობის მაჩვენებლებს (ერთ აქციაზე მოსული მოგება, ერთ აქციაზე მოსული დივიდენტის და მოგების თანაშეფარდება, აქციის შემოსავლიანობა, აქციის საბაზრო ფასისა და ერთ აქციაზე მოსული მოგების თანაშეფარდება, აქციის საბაზრო და საბალანსო ლირებულების თანაშეფარდება და ა.შ.) არ იცნობდა.

ეკონომიკურ მაჩვენებელთა დანარჩენი ჯგუფები, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა ანალიზის ინსტრუმენტად იყენებს, რენტაბელობის მაჩვენებლები და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლები (ან კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები) გეგმიანი ეკონომიკის დროსაც იანგარიშებოდა იმ განსხვავებით, რომ ისინი ახლა საწარმოს წარმატებულ განვითარებაში გადამწყვეტი როლით განიხილებიან. გეგმიანი ეკონომიკის დროს კი მათ ასეთ მაღალ შეფასებას არავინ აძლევდა. ეს ეხება არა მხოლოდ რენტაბელობის და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლებს, არამედ ყველა ზემოთჩამოთვლილ მაჩვენებლებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკამ შემოიტანა. თუ ამ მაჩვენებლებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველა ისინი საწარმოს საფინანსო მეურნეობასთან არიან დაკავშირებული. ამიტომ მათ ფინანსური კოეფიციენტები ეწოდებათ. გამოდის, რომ საბაზრო

ეკონომიკის დროს საწარმოს საქმიანობა უპირველესად ფასდება მისი მუშაობის ფინანსური მაჩვენებლებით, განსხვავებით გეგმიან ეკონომიკის დროს მოქმედი საწარმოებისაგან, რომლის მუშაობა უპირველესად ფასდებოდა საწარმოო მაჩვენებლებით (პროდუქციის გამოშვება) და შრომითი მაჩვენებლებით (შრომის ნაყოფიერების ზრდა) და მხოლოდ ამის შემდეგ მოგებით და ოქნებაბეჭობის დონით.

საქართველოს ხისძამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები, ისე როგორც მთელი საქართველოს ეკონომიკა, საბაზრო ეკონომიკაზე გადადის. ფორმირების ხტადიაშია საბაზრო ურთიერთობები. საწარმოები, რომლებსაც ინიციატივიანი და ენერგიული მენეჯრები მართავენ, უფრო წარმატებულები არიან. ისინი უკვე ნერგავენ საბუღალტო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, ატარებენ საწარმოს ვერტიკალურ, ჰირიზონტალურ და ტრენდულ ანალიზს, ანგარიშობენ ფინანსურ კოეფიციენტებს, უფრადდებას აქცევენ ფულის ნაკადების მოძრაობას და ადგენენ ფულადი სახსრების, რეალიზაციის, დანახარჯების ბიუჯეტს და ა.შ. აგრეთვე ადგენენ პროგნოზებსაც. საქართველოში ასეთი საპროგნოზო ანგარიშგებების გამოქვენება არ ხდება. უფრო მეტიც, არა მარტო საწარმოები, არამედ ხტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც საწარმოების არათუ პროგნოზებს, არამედ საანგარიშო (ფაქტიურ) მაჩვენებლებსაც კომერციულ საქმიანობად აცხადებს. პარადოქსია, მაგრამ ასეა დაფიქსირებული კანონშიც „სტატისტიკის შესახებ“. ეს ფაქტი გვაიძულებს ვიფიქროთ რომ ყოველივე ეს საეციალურადაა გაკეთებული, რათა არ მოხდეს, ან შეფერხდეს საწარმოთა შორის ურთიერთობების დარეგულირება. ან როგორ უნდა მოახდინ საწარმოთა ათობით კონტრაგენტმა – მიმწოდებლებმა, მყიდვებლებმა, ბროკერებმა, ბანკებმა და სხვ. მათი საანგარიშო ასევე პროგნოზული მაჩვენებლების გაცხობა. რომ არაფერი ვთქვათ გარეშე დაინტერესებულ პირებზე. საბაზრო ურთიერთობების ფორმირების

დაჩქარების ინტერესებიდან გამომდინარე ეს შეზღუდვა უნდა მოიხსნას.

ინფორმაციულმა დეფიციტმა და ზემოადნიშნულმა დაბრკოლებებმა, იძულებული გაგვხადა დავკმაყოფილებულიყავით იმ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შეუფერხებლად იძლევა მცირე საწარმოთა ჯგუფზე (და არა ცალკეულ მცირე საწარმოებზე). ეს მაჩვენებლებია: პროდუქციის გამოშვება, მომუშავეთა რიცხვი, საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვის მოცულობა, დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა, მირითადი კაპიტალი და სხვა. გამოვიყენეთ აგრეთვე პირადი კონტაქტები დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში (იმერეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხეთი). შეგროვილი მასალა მოცემულია ცხრილებში.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „სტატისტიკური წელიწდებულები“ 2008წ. და 2009წ. კრებულებში მრეწველობა დაყოფილია სამ მირითად ქაჯგუფად. ესენია: სამთომოპოვებითი მრეწველობა; დამზუმავებელი მრეწველობა; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

ყველა ცდის მიუხედავად ჩვენ ვერ შევძელით აგვედო მცირე საწარმოთა მუშაობის ფინანსური მაჩვენებლები. საქართველოს პირობებში ყველაზე მეტად სწორედ ეს მასალა გასაიდუმლობული. რომელიც მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიხედვით საწარმოსათვის წინა პლანზეა წამოწეული.

ადსანიშნავია ისიც, რომ მცირე საწარმოების ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მათ პროფილურ საქმიანობის (მირითადი პროფილი) მაჩვენებლებს და იგი არ ეხება არაპროფილურ საქმიანობას, რომელიც თითქმის ყველა საწარმოს მეტ-ნაკლებად აქვს. ხისძამმუშავებელი წარმოება მრეწველობის ერთ-ერთი დარგია როგორც საწარმოთა რაოდენობით, ისე გამოშვებული პროდუქციით, მირითადი ფონდებით და სამრეწველო-საწარმო პოტენციალთ.

ხისდამმუშავებელ მრეწველობას ქვეყნის მრეწველობაში მაღალი ხვედრითი წილი ეკავა ყოველთვის. შპს „საქტემრეწვის“ მონაცემებით 1990 წლამდე ეს დარგი კონცენტრირებული იყო საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და გაერთიანება „საქქადალდმრეწვის“ სისტემებში. აერთიანებდა 37 სამრეწველო საწარმოს და ორგანიზაციას. მის წილად მოდიოდა რესპუბლიკაში წარმოებული ავეჯის და მუყაო-ქადალის პროდუქციის 95%. წარმოებები ძირითადად განლაგებული იყო სამრეწველო ქალაქებში და რაიონებში (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, ბათუმი, ახალდაბა, ახმეტა, ზუგდიდი) დარგის საწარმოო ტექნიკური პოტენციალი ასეთი იყო:

— საერთო დაკავებული ტერიტორია 180 კა. მათ შორის საწარმოო ფართი 370 ათ.მ²;

— ძირითადი სამრეწველო ფონდების ღირებულება (1988 წლის ფასებით) 270 მლნ. აშშ. დოლარი, მომუშავეთა საერთო რაოდენობა 14000 კაცი (1990წ.).

წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურა და მათი საწარმოო სიმძლავრები 1990 წლის მდგომარეობით შეადგენდა:

— ავეჯის წარმოების – 120 მლნ. დოლარი (1990 წ. ფასებით), (160 მლნ. მანეთი)

- დახერხილი მასალა – 350 მ³
- ანათალი შპონის – 17 მლნ.მ²
- შეწებილი ფანერის – 6 ათ.მ³
- მერქანბურბუშელოვანი ფილის – 18,7 ათ.მ³
- პარკეტი – 800 ათ. მ²
- სარკის და მინის წარმოებების – 350 ათ. მ²

— ლითონის მილებიდან საავეჯო (სასკოლო) კარგასების წარმოების – 1,6 მლნ. გრძ. მ.

— პენოპლიურეთანის რბილი ელექტრები – 150 ტონა;

- საწერი ქაღალდი – 20 ათასი ტონა;
- ჩაის ქაღალდი (ერთჯერადი პაკეტებისათვის) - 2 ათ. ტონა;
- მუყაოს ნაწარმი (შეწებილი, სატარე) – 40 ათასი ტონა;

— სასკოლო რვეულები – 120 მლნ. ცალი;

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით საქართველოში მზადებოდა ყველა კატეგორიის ავეჯი – კორპუსული, რბილი, ნახევრადრბილი, ცხაური, ლითონის კარგასებზე, მასიური მერქნის, მათ შორის მაღალმხატვრული ჭრის ორნამენტებით. დანიშნულების მიხედვით არჩევნობნები საყოფაცხოვრებო, საკანცელარიო, სამედიცინო, საკურორტო, სასკოლო, საბავშვო, საოფისე და ნებისმიერი არასტანდარტული ტიპის ავეჯის ნაწარმები.

დარგის მაღალი ტექნიკური დონის მაჩვენებელი 80 ერთეულს აღემატებოდა, ძირითადად იმპორტული მაღალმწარმებლური ავტომატური და ნახევრადავტომატური ტექნოლოგიური ხაზების არსებობა და საკუთარი ძალებით და სახსრებით შექმნილი განვითარებული ინფრასტრუქტურის და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ფართო ქსელი; ხის გადამმუშავებელი, ავეჯის და ქაღალდის მრეწველობის დარგი, რომლის წვლილი საქართველოს ეროვნულ პროდუქციაში 1990 წლამდე 5-6%-ს შეადგენდა.

ყოვილი საბჭოთა კავშირის სისტემის პერიოდში ხე-ტყის გადამამუშავებელი, ავეჯის და ქაღალდის მრეწველობა ჩართული იყო საკავშირო სამეურნეო დარგთაშორისი კოოპერირების საერთო ქსელში, რამაც იმ პერიოდისათვის ხელსაყრელი, პირობები შეუქმნა დარგს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების სფეროში. ასე მაგალითად: დარგი ყოველწლიურად ხე-ტყის ნედლეულის და მერქნის ნახევრადგაბრიკატების საერთო მოხმარების 95%-ზე მეტს (რაც მრგვალ მორზე გადაანგარიშებით 720-780 ათ.მ² შეადგენდა), დებულობდა რუსეთის ფედერაციიდან. გარდა ამისა, რესპუბლიკის გარედან, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა 600-ზე მეტი დასახელების მასალანედლეული, ტექნიკა, ჩარხ-დანაღგარები, ტრანსპორტი, მაკომპლექტებელი ნაკეთობები, სათადარიგო ნაწილები, მჭრელი იარაღები, ინსტრუმენტები და სხვა.

ასეთი სისტემის არსებობამ განაპირობა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში საერთოდ არ ვითარდებოდა ავეჯის და ქაღალდის წარმოებისათვის განკუთხილი მატერიალირ-ტექნიკური რესურსების ძირითადი ნომენკლატურის მწარმოებელი ბაზა, როგორიცაა: სინთეზური წებო, ლაქსალებავები, პარალონი, რბილი პენოპოლიურეტანი, ტექნიკური მინა, პლასტიკატი, დაზგა დანადგარები, თხელკედლიანი ლითონის საკარგასე მილები, ავეჯის მაკომპლექტებელი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობები, მხარევრული ფურნიტურა და სხვა.

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობებზე
გადასვლის და ქვეყნის ეკონომიკური და-
მოუკიდებლობის პირობებისათვის დარღი
მეტად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ასეთ
სიტუაციაში დარგის საწარმოებს ნედლე-
ულის და მასალების შეძენა უხდებოდათ
ინდივიდუალურად, არაორგანიზებულ
ბაზარზე, მცირე პარტიებად საცალო
ფასებით, რაც სულ მცირე 10-15%-ით
სჭარბობდა მსხვილ საბითუმო პარტიებით
(ქარხნიდან) შეძენილ მასალის ღირებუ-
ლებას. ეს კი შესაბამისად ზრდიდა პრო-
დუქციის თვითონიერებულებას.

ქეყყანაში მატერიალურ-ტექნიკურ
რესურსებზე შექმნილი მწვავე სიტუა-
ციის გარდა, უკანასკნელ წლებში მო-
ლმა რიგმა ცნობილმა მოვლენებმა და
ფაქტორებმა განაპირობეს სატყეო მრე-
წველობის კომპლექსის საწარმოო-ეკო-
ნომიკური პოტენციალის მკვეთრი დაქ-
ვეითება, ამიტომ დღეისათვის დარგის
ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად
მიგვაჩნია რესპუბლიკის სამრეწველო
კომპლექსის საწარმოებში დეფიციტური
და ახალი პროგრესული მასალების და
ნედლეულის წარმოება. კერძოდ: სინოე-
ზური წებოების და ლაქსალებავების-
რუსთავის ს/საზოგადოება „ქიმკომბი-
ნატში“, პლასტიკატის, პარალონის და
პენოპოლიურებანის - თბილისის რეზი-
ნა-ტექნიკური ნაკეთობათა ქარხანაში,
კონცერნ „საქმეტალურგმრეწვებში“ თხელ-
კედლიანი ლითონის საკარგასე მილე-
ბის, დეკორატიული და ბამბის ქსოვი-
ლების - მსუბუქი მრავწვლობის საწარ-

მოებში, ფურნიტურის და ავეჯის მაკომ-პლექტგბელი ნაკეთობების - ს/საზოგადოება „საავიაციო ქარხანაში”.

საქართველოში ხე-ტყის ნედლეულის
სათანადო რესურსების არსებობა მეტად
მნიშვნელოვან წინაპირობას წარმო-
ადგენს ხე-ტყის გადამამუშავებელი და
ავეჯის მრეწველობის სტაბილური ფუნ-
ქციონირების საქმეში. უნდა აღინიშნოს,
რომ მწვავე კრიზისის პერიოდში მხო-
ლოდ ადგილობრივმა მერქნის ნედლე-
ულმა შექმნა დარგის ტრადიციული
შრომითი კოლექტივების და სამრეწ-
ველო პოტენციალის შენარჩუნების
სელსაყრელი პირობები. ადგილობრივი
ხე-ტყის ნედლეულის ჭრილში დარგის
განვითარების უახლოეს ამოცანად მიგ-
ვაჩნია, მნიშვნელოვნად გადრმავდეს და
გაფართოვდეს ხის დამუშავების და
მასიური მერქნი-დან ავეჯის წარმოების
სამრეწველო-ტექნოლოგიური პლიტი-
კის სტრატეგია, რომელიც ძირითადად
უნდა განხორციელდეს ხე-ტყის ნედლე-
ულის ადგილზე დამზადების და ხის
დამუშავებელი მრეწველობის მჭიდრო
კოოპერაციის განვითარებისა და პარტ-
ნიორული ურთიერთობათა სამურნეო-
ეკონომიკური თანამშრომლობის პრინ-
ციპებზე, რომლის ერთ-ერთ (პრაქტიკაში
გამოცდილ) კლასიკურ ფორმად მიიჩ-
ნება ხე-ტყის დამზადებისა და გადამუშა-
ვების კომპლექსური სამრეწველო სამე-
ურნეო რეალების შექმნა.

2005 წლის მონაცემებით საქართველოს მრეწველობის მთლიან პროდუქტიში ხელის დამუშავებას და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებას, ავეჯის გარდა 1,23%, 2006 წელს 0,9%, 2007 წელს 0,8%, ხოლო 2008 წელს კი 0,7% ეკავა. ხისძამ-მუშავებელი მრეწველობის პროდუქციიდან 2007-ში 44,9%, ხოლო 2008-ში 29,3 % მოდიოდა მცირე საწარმოებზე. (ეს გაანგარიშებები გაპუთებულია შესაბამის ფასებში დღგ-სა და ძმიზის გარეშე).

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
საქართველოს ხიდამუშავებელი მრეწველობაში 1510 საწარმოა რეგისტრირებული, მათ შორის, 76 საშუალო და 1403 მცირე.

იმის გამო, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2009-2010 წლის ინფორმაცია ამ ჭრილში ჯერჯერობით დამუშავებული და გამოქვეყნებული არა ქონდა, ამიტომ ხისძამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა კონცენტრაციის დონისა და სტრუქტურის ანალიზს ვაგარებთ მხოლოდ 2009 წლამდე მაჩვენებლების მიხედვით.

ხისძამმუშავებელ მრეწველობაში საწარმოთა კონცენტრაციის დონის შესწავლის მიზანია მცირე საწარმოთა რაოდენობისა და საწარმოთა საერთო რიცხვში მათი ხვედრითი წილის გამოკვეთა და შემდეგ ხისძამმუშავებელ მცირე საწარმოების სახეობრივი, ქონებრივი, ტერიტორიული და სხვა სახის სტრუქტურის დადგენა.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ 2003წ. საქართველოს მრეწველობაში დამმუშავებელ მრეწველობის ხვედრითი წილი თითქმის 91% იყო. ხოლო ხე-ტყის დამუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოებას, ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოებას მთლიან მრეწველობაში დაახლოებით 10,6% ეკავა. 2007 წლისათვის ეს მაჩვენებლები შემდეგი იყო: დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან მრეწველობაში ისევ 91%, ხოლო დარგისა კი 12,8% გახდა.

საქართველოს მრეწველობაში დამმუშავებელ მრეწველობას საქმაოდ მნიშვნელოვანი აღილი უჭირავს. ბოლო ათი წელია, დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი საწარმოთა რაოდენობის მიხედვით მთლიან სამეწარმეო სფეროში წლების მიხედვით დაახლოებით 11,6%-დან 13,4%-მდე ინტერვალშია. ის ჩამორჩება მხოლოდ ვაჭრობას, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროს, რომელთა ხვედრითი წილი დაახლოებით 46%-ის ფარგლებშია. მართალია, ცხრილი 1-დან ჩანს, რომ დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი საწარმოთა რაოდენობის მიხედვით წლების მიხედვით თანდათან მცირდება, 2006 წელს 13,4%

იყო, ხოლო 2008 წელს კი 11,6% შეადგინა, მაგრამ გამოშვებული პროდუქციის მიხედვით მისი ხვედრითი წილი იმატებს 2008 წლისათვის.

იხ. ცხრილი 1. ცხრილი 2

პროდუქციის გამოშვება კერძო სექტორში 2007 წ. მეოთხე კვარტალში 490512,1 ათას ლარს გაუტოლდა, ხოლო სახელმწიფო სექტორში მხოლოდ 20301,6 ათასი ლარი შეადგინა. აქედან საშუალო საწარმოების წილად კერძო სექტორშე 297267,6 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო სექტორში 16331,0 ათასი ლარია. მცირე საწარმოების წილი კი კერძო სექტორში იყო 193344,5 ათასი ლარი, სახელმწიფო სექტორში კი 3970,5 ათასი ლარი. ხოლო 2008 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით მდგომარეობა ასეთია: პროდუქციის საერთო მოცულობამ მოიკლო 51703,5 ათასი ლარით, (რამაც ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 17,1% შეადგინა, რაც 10,1%-ით ჩამორჩება 2007 წლის მეოთხე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. 2007 წლის მეოთხე კვარტალში მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციის გამოშვებამ ბიზნეს სექტორის გამოშვების 19,0% შეადგინა). შემცირდა აგრეთვე კერძო სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვება 55810,6 ათასი ლარით.

იხ. ცხრილი 3

ცხრილი 3-დან ჩანს, რომ საწარმოთა რიცხვმა დარგში ამ ერთი წლის განმაჭლობაში მოიმატა, მაგრამ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ კი მოიკლო. მაგრამ თუ გადაგხედავთ ერთი წლის დინამიკაში, ნათლად გამოჩნდება, რომ პროდუქციის გამოშვება შემცირდა საშუალო საწარმოების ხარჯზე, ხოლო მცირე საწარმოთა პროდუქციის გამოშვებამ მოიმატა და მთლიან გამოშვებაში 38,6%-დან 46,2%-მდე ავიდა. ეს მაჩვენებელი მცირე საწარმოთა მაღალ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. თუმცა აქვეა მისანიშნებელი ის ფაქტი, რომ საქართველოს ხისძამმუშავებელ მრეწველობაში 2007-2008 წწ. მცირე საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების საშუალო მაჩვენებლები (2007წ. 1239,84

ცხრილი 1.

გამოკვლეულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	საწარმოთა რაოდენობა(ერთეული)	2005	2006	2007	2008
1	მთელი მრეწველობა	34934	28530	23137	21779
2	დამმუშავებელი მრეწველობა	4306	3835	2920	2532
3	დამმუშავებელი მრეწველობის წილი მთელ მრეწველობაში %-ით ჯამთან	12,3	13,4	12,6	11,6
4	ხე-ტყის დამმუშავება და მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა	540	399	216	194
5	ავეჯისა და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება	163	173	196	161
6	ხისდამმუშავებელ მრეწველობაში სულ(გრაფა4+გრაფა5)	703	572	412	355

ცხრილი 2

გამოშვებელი პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით
(სუბსიდიების ჩათვლით)

	პროდუქციის მოცულობა(მლნ.ლარი)				პროცენტობით ჯამთან			
	2005	2006	2007	2008	2005	2006	2007	2008
სამეწარმეო სფერო სულ	5838,3	7412,6	9645,4	10248,4	100	100	100	100
დამმუშავებელი მრეწველობა	1552,7	1919,1	2532,9	2804,5	27,1	25,9	26,3	27,4
ხისდამმუშავებელ მრეწველობაში სულ(მლნ.ლარი)	36,2	42	51,5	52	1,64	1,5	1,5	1,4
ხე-ტყის დამმუშავება და მერქნის ხისა და კორპის ნაწარმის წარ- მოება, ავეჯის გარდა (მლნ.ლარი)	27,1	25,3	27,6	26,5	1,23	0,9	0,8	0,7
ავეჯისა და სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი დანარ- ჩენი პროდუქციის წარმოება	9,1	16,7	23,9	25,5	0,41	0,6	0,7	0,7

ლარი, 2008წ. 1293,27 ლარი) მათი ზრდის მიუხედავად, რაც უგვე აღვნიშნეთ, საქმაოდ არის დაშორებული საქართვე-
ლოს კანონით - „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ” მცირე საწარმო-
ებისათვის დადგენილ საქონელბრუნვის ზღვრულ მოცულობას 500 ათას ლარს.

რაოდენობა, პროდუქციის გამოშვების და საქონელბრუნვის მაჩვენებლები სხვადასხვაა, მაგრამ რადგან მოცემულ დარგში მთელი გამოშვებული პროდუქცია რეალიზდება, ჩვენ ისინი თანაბარ სიდიდეებად ჩავთვალეთ. ბრუნვის ზემო-
ადნიშნული ლიმიტის (500 ათ.ლარი)

ცხრილი 3

მცირე საწარმოთა რაოდენობა და პროდუქციის გამოშვება საქართველოს ხისფამუშავებელ მრეწველობის საშუალო და მცირე საწარმოებში (როგორც მთლიანად, ისე ერთ საწარმოზე ანგარიშით).

წლები	პროდუქციის გამოშვება საშუალო და მცირე საწარმოებში საკუთრების ფორმების მიხედვით	პროდუქციის გამოშვება	პროდუქციის გამოშვება ერთ საწარმოში საშუალოდ (ლარი)
	მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა	(ლარი)	ერთ საწარმოში საშუალოდ (ლარი)
2007 მე-4 კვარტ.	412	510813,7	1239,84
2008 მე-4 კვარტ.	355	459110,2	1293,27
ცვლილება 2007-2008წწ			
ა)აბსოლუტურად ლარებში	- 57	-51703,5	+53,43
ბ)პროცენტულად (2008წ%-ად წელთან)	2007 86,17	89,88	104,31

მიმართ ამჟამად მოქმედ მცირე საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვება და შესაბამისად მისი რეალიზაცია (იგივე საქონელბრუნვა) შეადგენს 2005წ. 1,64%; 2006წ. და 2007წ. 1,5%; 2008წ 1,4%. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხისძამუშავებელი მრეწველობა შედგება მცირე და უმცირესი (უწვრილესი) საწარმოებისაგან, რომელთაც ფეხზე დაღვრმისა და გამართულად მუშაობისათვის კეთილსასურველი მაკროგარემოს შექმნა სჭირდებათ.

ზემოთ დასახელებულ კანონში - „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ არ არის მინიშნებული, მრეწველობის მცირე საწარმოსათვის დადგენილი საქონელბრუნვის სიდიდე 500 ათ.ლარი, საწარმოს ძირითად (პროფილურ) საქმიანობას ეხება, თუ კულტურული საქმიანობას ერთად. ჩვენი დასკვნები გამოტანილია მხოლოდ ძირითადი საქმიანობის საფუძველზე. ხოლო თუ კანონში იგულისხმება კულტურული საქმიანობა, მაშინ ჩვენი დასკვნები შეიცვლება, მაგრამ არა მნიშვნელოვნად. სტატისტიკურ კრებულებშიც სამეწარმეო სფეროში მონაცემები კონკრეტულ დარგებში - 2006 წლამდე მონაცემები ნაჩვენები იყო მხოლოდ ძირითადი საქმიანობის მიხედვით, ხოლო 2006 წელს


როგორც ძირითადი, ასევე არაძირითადი საქმიანობების მიხედვით. ამიტომ ზოგიერთ მაჩვენებლებში გარკვეული განხხვავებები არ სებობს.

იხ. ნახაზი 1

საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების მიხედვითაც დამმუშავებელ მრეწველობას წამყვანი ადგილი უჭირავს და პირველ ადგილზეა ქვეჯგუფებში. საქართველოს მრეწველობაში 2004-2008 წლებში სულ დასაქმებული იყო 85,4; 94,3; 90,3; 88,4 და 85,7 ათ.კაცი შესაბამისად. აქედან დამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული იყო 2004წ. 52,6 ათ. კაცი, 2005წ - 61,7 ათ. კაცი, 2006წ - 57,5 ათ.კაცი, 2007წ - 60,3 ათ.კაცი და 2008წ - 58,8 ათ.კაცი.

იხ. ცხრილი 4 და 5.

აღსანიშნავია, რომ დარგის მცირე და საშუალო საწარმოებში 2007 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემით დასაქმებულთა 1368 ერთეულიდან 172 ერთეული იყო ქალი. ხოლო 2008 წელს მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო შემცირდა და დასაქმებულთა 1059 ერთეულიდან 112 იყო ქალი. აქედან 2007 წ საშუალო საწარმოებზე მოდიოდა დასაქმებულთა 482 ერთეული (105 ქალი), ხოლო მცირე



ნახაზი 1. მცირე და საშუალო საწარმოების ხვედრი წილი საქართველოს ხისძამმუშავებელ მრეწველობის პროდუქციის გამოშვებაში

ცხრილი 4

საშუალოწლიური რიცხოვნობა

	2004წ	2005წ	2006წ	2007წ	2008წ
ხეტყის დამუშავება და მერქნის ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა(მდნ.ლარი)	2,2	3,5	2,7	1,8	1,8
ავეჯისა და სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი დანარჩენი პროდუქციის წარმოება	0,8	1,1	1,1	1,3	1,1
ხისძამმუშავებელი მრეწველობა სულ	3,0	4,6	3,8	3,1	2,9

ცხრილი 5

გამოსაკვლევ 2004-2008 წლებში ხისძამმუშავებელი დარგის საწარმოთა რაოდენობიდან გამომდინარე საშუალოდ ერთ საწარმოზე მოსულ მუშაკთა რიცხვი

	2004წ	2005წ	2006წ	2007წ	2008წ
დასაქმებულთა რაოდენობა (ათ.კაცი)	3,0	4,6	3,8	3,1	2,9
საწარმოთა რაოდენობა	310	703	572	412	355
ერთ საწარმოზე მოსულ მუშაკთა რიცხვი	9,8	6,5	6,6	7,5	8,17

ცხრილი 4 და 5 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე. იხ. სტატისტიკური კრებულები „მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში“ და სტატისტიკური წელიწლეული 2009წ.


საწარმოებზე 886 დასაქმებულიდან 68 ქალი. 2008 წლის მეოთხე კვარტალში მცირე საწარმოებში საშუალოსთან შედარებით ისევ უფრო მეტი დასაქმებული იყო 135 ერთეულით, მაგრამ ქალების რაოდენობამ გაცილებით მოიკლო და საშუალო საწარმოებში 55, ხოლო მცირე საწარმოებში 57 ერთეული შეადგინა.

საწარმოებში დასაქმებულთა მოლიანდა რაოდენობამ 2008 წლის მეოთხე კვარტალში 130982 პირი შეადგინა (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 39,3 %), რომელთაგან ქალია 44,9%. ქალთა ხვედრითი წილი 0,9%-ით მეტია 2007 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა მატება იყო მცირე საწარმოებში (57,6%), ვიდრე საშუალო საწარმოებში (42,4%). 2007 წლის იმავე პერიოდისათვის ეს მნიშვნელობები იყო - მცირე საწარმოებში 48,2%, ხოლო საშუალო საწარმოებში 51,8%. იგივე ტენდენციაა ქალთა სქესის დასაქმების მხრივაც. მცირე საწარმოებში მათი ხვედრი წილი იმატებს 6,6%-ით, ხოლო საშუალო საწარმოებში კი იკლებს 1,0%-ით 2008 წელს 2007 წელთან შედარებით.

ხისდამმუშავებელ საწარმოებში საშუალოდ 7-8 კაცია დასაქმებული. დასაქმების ზღვრულ ნორმად კი მათთვის 40

კაცია დადგენილი. ე.ი. ფაქტიური დასაქმება ზღვრული დასაქმების მხოლოდ 20%-ია. ეს მაჩვენებელი კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები დასაქმებულთა რიცხვითაც წვრილი საწარმოები არიან, ანუ ორგანიზაციული თვალსაზრისით მცირე საწარმოები განვითარების საწყის დონეზე დგანან.

ჩვენ ვიანგარიშეთ საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები და შევუდარეთ ისინი დარგის საშუალო საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს (ცხრილი 6). აღმოჩნდა, რომ მცირე საწარმოებში დასაქმებული ერთი მომუშავის საშუალო შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საწარმოებში დასაქმებულ ერთი მომუშავის შრომისნაყოფიერებას. მაგ. 2008 წელს ეს მაჩვენებელი მცირე საწარმოებში იყო 1370 ლარი, საშუალო საწარმოებში კი 6344 ლარი, ანუ თითქმის 4,5-ჯერ მეტი. მეტი იყო იგი წინა წლებშიც. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ დარგის მცირე საწარმოებში დაბალია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დონე, შრომის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, რაც ბუნებრივია ამცირებს შრომის ნაყოფიერების სიდიდეს. **იხ. ნახაზი 2.**



**ნახაზი 2 შრომისნაყოფიერების
სიდიდე მცირე და საშუალო
საწარმოებში**

ხის დამუშავების ცალკეული წარმოებების ჭრილში 1997 წელსაც შრომის ნაკოფიერება ძალზე დაბალი იყო ხის სამშენებლო კონსტრუქციების და დეტალების წარმოებაში (594 ლარი). 1998 წელს იგი 922 ლარამდე გაიზარდა, მაგრამ ამ დარგის შიგნით მაინც ყველაზე დაბალ დონედ დარჩა. იგივე მდგომარეობაა თითქმის დღესაც. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ხეზე მუშაობა ძირითადად ხდება ხელით, ანდა ხელის იარაღებით. 2008 წლიდან კი შეინიშნება შრომისნაციონალურების ზრდა. ეს გამოი-

ველობის მცირე საწარმოებზე ზოგი-
ერთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებ-
ლების (მაგ. პროდუქციის ოვითლირებუ-
ლების, საწარმოთა მოგება-ზარალის,
რენტაბელობის, ფონდურულების და სხვ.)
მოპოვება. ამის მიზეზი ისიც გახდა, რომ
მცირე საწარმოები გამარტივებული ბუ-
ღალტერიით მუშაობენ და მათ აღარ
ევალებათ ყველა იმ ანგარიშგბითი ფო-
რმების შექსება და სტატისტიკის დეპარ-
ტამენტში წარდგენა, რომელსაც გარ-
დაქმნამდე ადგენდნენ.

o.b. ცხრილი 6

ცხრილი 6

შრომის ნაკონფიდენციალურობის დონე და დინამიკა საქართველოს ხისძამმუშავებელ მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოებში 2007-2008წწ

	მცირე საწარმოები			საშუალო საწარმოები		
	პროდუქტის გამოშვების მოცულობა	დასაქმებულთა რიცხვი	ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება	პროდუქტის გამოშვების მოცულობა (ლარი)	დასაქმებულთა რიცხვი	ერთი მომუშავის შრომის ნაყოფიერება
2007 წ.	2147100	597	3596	2638600	482	5474
2008 წ.	1214700	886	1370	2931300	462	6344
ცვლილება 2007-2008 წლებში						
ა) აბსოლუტურად ლარებში	+932400	+289	-2226	+292700	-20	+870
ბ) პროცენტულად	56,57	148,4	38,09	111,1	95,9	115,9

წვია წარმოებაში უცხოური, თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზების დანერგვამ (მაგ. ქუთაისის ქარხანა „კავკასუს როუდ პროჯექტი“) და ბათუმის შპს „რანდი“ და სხვაგან).

მოშლილი სტატისტიკური აღრიცხვისა და იმ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერების გამო, რაც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს საქართველოში, ჩვენ ვერ შევძლით ხისძამმზაგებელ მრავ-

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ
ვთვლით, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული
მაჩვენებლებიც (პროდუქციის გამოშვება,
ბრუნვა, მუშაკთა რაოდენობა, საწარმოთა
რაოდენობა, შრომისნაყოფიერება, საშუა-
ლოთვიური ხელფასი) საშუალებას
იძლევიან დარგში მოქმედ მცირე საწარ-
მოების საქმიანობაზე გავაკეთოთ დასკ-
ვნები.

ბაზოფენებული ლიტერატურა:

1. შპს „საქტემრეწვის“ მონაცემები
2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. სტპ ტისტიკური წელიწლეული 2009.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ.: 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. სტატისტიკური წელიწლეული 2008. გვ.164
5. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. სტპ ტისტიკური წელიწლეული 2009.

მაღრია ხუსკივაძე

ხისდამშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა ეკონომიკური ფუნქციონირების ანალიზი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

რეზიუმე

საქართველოს ხისდამშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების სტადიაშია. წინა პლანზე წამოიწია საწარმოთა სარისხის მაჩვენებლები. საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს როგორი ხარისხისა მათი პროდუქცია, როგორია ერთეული პროდუქციის დამზადებაზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯები, საწარმოს რენტაბელობის დონე და უფრო მეტიც, საბაზრო ურთიერთობები ჩვენს ეკონომიკაში შემოიტანა ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენთვის სრულიად ახალი მაჩვენებლები. როგორიცაა, მაგალითად საწარმოს საქმიანი აქტივობის, საბაზრო აქტივობის და ლიკვიდობის მაჩვენებლები.

საქართველოს მრეწველობაში დამმუშავებელ მრეწველობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც გამოშვების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების მიხედვითაც.

ჩვენ ვიანგარიშეთ საქართველოს ხისდამშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები და შევუდარეთ ისინი დარგის საშუალო საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს. აღმოჩნდა, რომ მცირე საწარმოებში დასაქმებული ერთი მომუშავის საშუალო შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საწარმოებში დასაქმებულ ერთი მომუშავის შრომისნაყოფიერებას. დარგის მცირე საწარმოებში დაბალია შრომის მცნიერული ორგანიზაციის და შრომის ტექნიკური აღჭურვილობის დონე, რაც ბუნებრივია ამცირებს შრომის ნაყოფიერების სიდიდეს. საწარმოებს ფეხზე დაღვომისა და გამართულად მუშაობისათვის კეთილსასურველი მაკროგარემოს შექმნა სჭირდებათ.

მოშლილი სტატისტიკური აღრიცხვისა და იმ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერების გამო, რაც გარდამავალ პერიოდს ახასიათებს საქართველოში, გართულებულია ხისდამმუშავებელ მრეწველობის მცირე საწარმოებზე ზოგიერთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მოპოვება.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული მაჩვენებლებიც საშუალებას იძლევიან დარგში მოქმედ მცირე საწარმოების საქმიანობაზე გავაკეთოთ დასკვნები.

ÌÀÄÍÍÀ ÕÓÑÊÈÂÀÄÇÅ

ÀÍÀËÈÇ È ÒÅÖÍÈÊÍ-ÝÊÍÍÌÈ×ÅÑÈÈÅ ÌÎÈÀÇÀÖÄÈ
ÝÊÍÍÌÈ×ÅÑÈÍÂÍ ÔÓÍÈÖÈÍÈÐÍÂÀÍÈB ÌÀËÛÖ ÌÐÅÄÏÐÈBÒÈÉ
ÄÅÐÅÄÅÍÍÅÐÀÀÒÛÀÄ PÙÅÉ ÌÐÍÌÛØÈÅÍÍÑÒÈ
ÐÁÇPIÀ

Ì àèúå ïðääïðëýðèý ääðåâííåðåáàòûåâþùåé ïðññ û ø è å í îñòðè Åðóçèè íaðí äýðöñý åñòàæëè ô í ðì è ðíâåíèý ðûíñ÷íûõ äçàèííòííøåíèé. Íà íåðääíèé ëæíí âûñòðíèëè êæ-åñòåå ííûå ííêæçàðåéè ïðääïðëýðèé. Åæçíåñ íññ íáíñòðü ïðääïðëýðèé ïíðäääéýðô ðî, êæíí áí êæ-åñòåå èð íðääöéöèý, êæííåû èíäéåéäöåéüíûå çàòðåòû, íðíèçåäåáííûå íà èçåñ ði åéåíèöû íðíäöéöèé, óðíååííû ðåíðåàååéüíñòðe íðääïðëýðèý è åæéåð ðíåí, ðûññ÷íûå îññøåíèý å íàøö yéí íñ è éó ååäéè å íåéí ðiðûñ ñëó-àýð, äéý íàñ ñíååðøåííí ííåûå ííêæçàðåéè. êæé íaïðèíåð, ííêæçàðåéè ååéííñòðe íðääïðëýðèý, ííêæçàðåéè ðûññ÷íñ èåðèåíññòðe è eëéåéäíññòðe.

Íáðàáàòûâàþùàý íðñ û ø ë á ííñðü çàíéìåð çíà÷èðåëüíñå ìåñòî á íðñ û ø ë á ííñðøè ãðóçèè êåè íí ãûíóñêó íðñäðôèè, ðàè è íí ñïçääíþ ðàáí÷èð ìåñò è çàíýòî ñòè ìàñåëåíèý.

Îû ðàññ÷èðàëè ïîêàçàòåëè ïðîèçâî ãëòåëüíñòè ððóäà ìàëûõ ïðåäïðèÿðèé, ãäðåâîáðàåòûåþùåé ïðñ ûøë åííñòè Ððóçèè è ñðàáíèëè ëð ñ àíàëíãè÷íùìè ïíèàçàòåëÿè ñðåäíèö ïðåäïðèÿðòè ïððàññè. Îèàçàëñü, ÷òî ñðåäíÿý ïðîèçâîäèòåëüíñòü ððóäà òâííãî ðàáîòàþùåãî çàíÿðîãî íà ìàë ñ ïðåäïðèÿðòè çíà÷èòåëüí îòñòàåò ìò ïðîèçâî äèòåëüíñòð ððóäà òâííãî ðàáîòàþùåãî, çàíÿðîãî íà ñðåäíåíî ïðåäïðèÿðòè.

Í à iàéüô iðääïðèýðèý ðòðåñëè íèçêéé ðóñâáíü íáð-ííé iðääñëçàöè è ðòðää è ðåðíè-åññí é áî ðóæå í íñòðe ðòðää, ÷òî åñòåñòååíí ñíèæàåð ååëè ÷eíó iðîèçåí äèðåëüíñòè ðòðää. Äëÿ í iäíýðèý íá iññë è íæé íæåííé ðàáíòû iðääïðèýðèé íáññí äèíí ñíçäàíèå äëåññí æäéåðåëüííé ièéðíñôåðû.

Ââèäö ðâçëäâëë ñòàðèñòð-åñëî ãî ó-åðà è ìíîæåñòåà áþðîëðàðè-åñëèõ áàðüåðîå, ëî ðî ð û å õàðåéðåðèçó þò iåðåñí àí û è íå ðèïä à Äðóçèè, óñëïæíåí íðèíáðåðåíèå íåëî ðîðûñ ðåôíé ëí - ýéí î ïè-åñëèõ íïéëåðåëåé ìàëüõ íðääíðëýòèë åäðåâíåðåáàðåáàðûñ åàðüåðîå.

Íåñìîòðý íà ýòî, íû ñ-èòàåì, -òî íàìè èññëåâíàíûå îñèàçàòåëè äàþò áîçìîæíñòü ññååèàöü áûâî äû 1 äåÿðåëüíñòè ìàëüô ïðåäíðèÿðóè, äåéñòåðóþùèõ à îòðàñèè.

MADONA XUSKIVADZE

TIMBER INDUSTRY SMALL ENTERPRISES' ECONOMIC OPERATION ANALYSES OF AND THEIR TECHNICAL-ECONOMY INDEXES

SUMMARY

Timber industry has one of the most important roles in producing, job creation and employment in Georgian industry.

We calculated indexes of timber industry small enterprises' labor productivity and compare them with the same indexes of the same sector's medium enterprises' labor productivity. We found out that labor productivity of the worker, who is employed in small enterprise, is considerably law than theirs who works in medium enterprises. In small enterprises of the sector, labor scientific organization and labor equipment level is quite law, what decreases the amount of labor productivity. Enterprises need good specific micro-environment for smoothly working.

Because of bad statistical environment and many bureaucratic barriers, what is typical for transition period, finding of some technical-economy indexes of timber industry small enterprises are complicated.

In spite of this, we believe, indexes we found allow to make conclusions on activities of timber industry small enterprises.

VI. საზოგადო დარგის ნარმატება ული

ქალბაზონები

ევა არგანაშვილი - ორმოცი წელი მერქნის დაცვის რესპუბლიკურ სამმართველოში

„ავსა და კარგსა კაცისას
როდი ივიწყებს ქვეყანა“...
გაშა-შვაგელა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 1947 წელს ჩავირიცხვ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1951 წლის 28 ღეკემბრის გადაწყვეტილებით მომენტა სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაცია. სამუშაოდ გამანაწილეს მერქნის დაცვის რესპუბლიკურ სამმართველოში, რომელიც მაშინ ახლადდა-არსებული გახლდათ მერქანტიცოდნეობის სფეროში განთქმული სპეციალისტის პროფესორ იაცენკო ხმელევსკის მიერ.

რესპუბლიკური სამმართველო მერქნის დაცვის მრავალფეროვან საქმიანობას მოიცავდა. კერძოდ, ფუნქციონირებდა ანტისეპტიკური სსნარებით მერქნის დამამუშავებელი უბანი. ანტისეპტიკურ მასალებს ვიძენდით მოსკოვიდან.

თავდაპირველად მე სწორედ ამ უბანზე დავიწყე მუშაობა სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე. 1961 წელს გადამიყვანეს უბის უფროსად და ამ საქმეს კიდევ ოცი წელი ვემსახურე.

მოგეხსენებათ, რომ იმ დროს მშენებლობის ბუმი იყო და არ დარჩენილა მშენებარე ობიექტების სის კონსტრუქციები რესპუბლიკის მასშტაბით, ანტისეპტიკური დამუშავების გარეშე. შთამბეჭდავია, რომ ჩვენი სამუშაო აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახლდათ მთელი სამშენებლო პროცესისა, რის გამოც ჩვენს მიერ სამუშაოს ჩატარების და დასკვნის გარეშე შენობას სათანადო კომისია არ დებულობდა.

ჩვენი სამმართველო იმითაც იყო



გამორჩეული, რომ ვიმყოფებოდით თვითდაფინანსებაზე. ე.ი. ხელშეკრულების საფუძველზე მოგვქონდა ორგანიზაციებიდან შესაბამისი თანხა და ხელფასსაც გამომუშავებიდან ვიდებდით.

ჩვენი დაწესებულება არამარტო ხის კონსტრუქციებს ამუშავებდა, არამედ ახორციელებდა ექსპერტთა გარკვეული ჯგუფის მეშვეობით რუსეთიდან შემოზიდული ხეტებს რაოდენობის ვარგისიანობის და ხარისხის შემოწმებას.

გვყავდა ინჟინერ-გამომკვლევების ჯგუფი, რომელიც სისტემატურად ამოწმებდა აშენებულ შენობა-ნაგებობებს და იკვლევდა ხის კონსტრუქციების მდგომარეობას. ინჟინერ-მკვლევართა დასკ-

ვნების საფუძველზე ყოველთვიურად ფორმდებოდა გამოკვლევების შედეგები წერილობით. ამის საფუძველზე კი ხორციელდებოდა ანტისეპტიკია და ხანძარ-საწინააღმდეგო შესხურება შენობათა სახურავებში.

სამმართველო აგრეთვე ეწეოდა ხის პარაზიტებით დაავადებული ავეჯის მკურნალობას. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა განათლებული ენტომოლოგი ნაპოლეონ მიქაელიანი.

გაგვაჩნდა მაღალტექნიკურ დონეზე აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც მეცნიერულად მუშავდებოდა ობიექტებიდან მოტანილი დაავადებული მერქანი. ლაბორატორიას კურირებდა კვალიფიციური ქიმიკოსი, განათლებული პიროვნება – ლილი ოშაკმაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საქმიანობის შესწავლით დაინტერესებული იყვნენ კავშირის მასშტაბით შესაბამისი ორგანიზაციები. ვთანამშრომლობდით მოსკოვთან, ლენინგრადთან, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, რადგან მოთხოვნა დიდი იყო, სამმართველომ გახსნა დამატებითი უბნები სოხუმში, ბათუმში, გორში, რუსთავში, კახეთში და ფოთში. შემოგვემატა ახალი კადრები. საკადრო საქმიანობას წარმართავდა ნათელა ბუჩქური.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენს, მართლაც რომ ერთ გუნდად შეკრული, კოლექტივის წევრებზე.

თავდაპირველად სამსახურში მისვლისას ადგილზე დამხვდნენ ორი მეტყველი ინჟინერი – ვიქტორ აბულაძე და დიმიტრი ანტონოვი, – ორთავე მაღალკალიფიციური სპეციალისტი. 1953 წელს ჩემი რეკომენდაციით შემოგვემატა ჩემი მეგობარი – დოდო მეტრეველი, რომელთან

ერთადაც ვიმოღვაწე მთელი ორმოცი წელიწადი. შემდეგ მოვიდნენ რუსუდან გვიანაშვილი, ანა კარაგიოზოვა, მოგვიანებით – მარიკა გასვიანი, ალა მიქაელიანი, ანა ლომინაძე, კეტრე ნოზაძე, გოგი სარალიძე, შალვა თავდუმაძე, გიორგი გვახარია, ლევან გამყრელიძე, ნოდარ არგანაშვილი, მათე გვიანიშვილი, ნორა ნაცყებია, ელდარ ფხავაძე; ძალიან კარგ პროფესიონალად ჩამოყალიბდა უაღრესად განათლებული და კეთილშობილი პიროვნება – პეტრე ნოზაძე. დოდო მეტრეველი წლების მანძილზე მუშაობდა მთავარ ინჟინრად, ხოლო შემდგომ – პენსიაზე გასვლამდე – ინჟინერ-გამომკლევად.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვანაბლიზებ განვლილ ცხოვრებას, მეამაყება, რომ ასეთ კოლექტივში ჩემს მოგობრებთან ერთად ვემსახურე მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვიყავთ; გვიყვარდა ჩვენი საქმე, დავდიოდით ექსკურსიებზე, მივლინებებში მთელი კავშირის მასშტაბით, ერთმანეთს ვუდექით გვერდით ჭირშიც და ლხინშიც.

დაუვიწყარი ორმოცი წელი გავატარე ამ დაწესებულებაში და აქედან გავედი პენსიაზე.

მიმაჩნია, რომ მე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება კეთილშობილურ საქმიანობას მივუძღვენი: ჩამოვყალიბდი კარგ პროფესიონალად, შევქმენი ოჯახი, გავხდი კარგი მეუღლე, დედა და დიდება.

დასასრულს მინდა ავღნიშნო შემდეგი: აუცილებლად და საჭიროდ მიგვაჩნია პელაგ აღორმინდეს ქვეყანაში მერქნის დაცვის საქმიანობა, რომელიც სამწუხაროდ, რატომდაც დავიწყებას მიეცა და აღარ ხორციელდება.

VII. მარიშისალური ტემატი

ზაფრის ჩიხოცი

შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტყეების ხიბლი



ტყიბულიდან ამბროლაურისაკენ მი-
მავალ გზაზე, ნაქერალის უღელტეხილის
გადასვლის შემდეგ, შეიჭრებით ზღაპ-
რულ კარიბჭეში, საიდანაც იწყება სა-
ქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთ-
ხე – რაჭა.

მართლაც, საოცარი განცდა გეუფ-
ლება ადამიანს, როცა ოვალს შეავლებ-
ცამდე აზიდულ მთაგორებს, ტყით შე-
მოსილ ფერდობებს, ალპიურ საძოვრებს
და ლურჯად მოლივლივე შაორის წყა-
ლსაცავს.

წყალსაცავის ირგვლივ ტერიტო-
რიაზე ჰარმონიულადაა შერწყმული
ერთმანეთში ოვალწარმტაცი ტყები, მინ-
დვრები და მდელოები.

აღნიშნული სატყეო ფონდის მიწები
2007 წლიდან, ზემდგომი ორგანოების
გადაწყვეტილებით, გადავიდა ამბროლა-
ურის რაიონის მუნიციპალიტეტის და-
ქვემდგებარებაში და გამოცხადდა დაცულ
ტერიტორიად. მისი ფართობი სულ შე-
ადგენს 1595 ჰა-ს და გადაჭიმულია ნაქე-
რალის უღელტეხილიდან მდინარე ჩო-
ლაგსა და შაორის შესართავამდე, რო-
გორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს.
ტყეებში ძირითადად გაბატონებულია
ისეთი ძვირფასმერქნიანი სახეობები, რო-
გორიცაა წაბლი, ცაცხვი, წიფელი,
ნეკერჩხალი, მუხა, პანტა, მაჟალო და სხვა
ფოთლოვანები. წიწვიანი სახეობებიდან
აღსანიშნავია – კავკასიური სოჭი,

აღმოსავლეთის ნაძვი და კავკასიური (სოსნოვსკის) ფიჭვი. გვხვდება ასევე ფრაგმენტულად უძვირფასები მერქნიანი სახეობა, მესამეული პერიოდის რელიქტი – უთხოვარი.

ქვეტყის სახით ხარობს დიდი რაოდენობით კოლხური ბზა, წყავი, შქრი, მოცვი, მაყვალი, იელი და სხვა. ტყის ბალახეული საფარიდან გამოირჩევა ტყის მარწყვი, გვიმრა, ტყის პიტნა, დიყა და სხვა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ფართობები გადაეცა ამბორლაურის მუნიციპალიტეტს და გამოცხადდა დაცულ ტერიტორიად, აიკრძალა ხეტყის ყოველგვარი ჭრა და შეიქმნა შედარებით ნორმალური პირობები ფლორისა და ფაუნის დაცვისა და კვლავწარმოებისათვის.

შაორის წყალსაცავის შემოგარენში ურადღებას იმსახურებს ჯერ კიდევ გამოუკვლევი კარსტული მღვიმეები სოფლების – ნიკორწმიდისა და თლუდის მახლობლად. მათი შესწავლა და მისაწვდომობა აუცილებელია მოხდეს უახლოეს ხანში ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის კვალობაზე.

მოსაგვარებელია გარკვეული ეკოლოგიური პრობლემები: შაორის წყალსაცავის მიმდებარე სოფლების ახლო სატყეო უბნებში, არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს მოსახლეობის და მოაგარაკეთა მხრიდან ტერიტორიის დანაგვიანებას, რაზეც საჭიროა ადმინისტრაციული რეაგირება, მოსახლეობაში სათანადო ახსნა-განმარტების ჩატარება, სპეციალური სანაგვე ყუთების დადგმა, ნაგვის ორგანიზებულად გატანა და სხვა.

ტყით დაფარულ ფართობებში შეი-

ნიშნება ზეხმელი, გადაბერებული ხეთა უგზებლიარები, რომელთა დროული გამოხშირვა აუცილებელია ტყის სანიტარული მდგრადების გაუმჯობესების მიზნით.

დაცულ ტერიტორიაზე, ტყით დაფარულ მასივებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი უნიკალური, მაღალი წარმადობის მქონე კავკასიური სოჭის კორომები, რომლის მაღალლირებული თეხლი, სისტემატურად მზადდება და გაიზიდება ევროპის ქვეყნებში. დაცული ტერიტორიის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა აქტიურადაა ჩაბმული სოჭის თეხლის შეგროვების პროცესში, რაც სოლიდურ შემოსავალს აძლევს როგორც მათ ოჯახებს, ასევე რაიონის ბიუჯეტსაც. ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად ადგილი აქვს უკანონო ქმედებებსაც. ზოგიერთი უდიერი თეხლის შემგროვებელი ხეებს აჭრის უხვადმსხმოიარე აქნწეროებს და ცალკეულ ტოტებს, რაც განაპირობებს მომავალში ხის ფიზიოლოგიურ დასუსტებას, უნაყოფობას და ხმობას. ამ მიმართებით უნდა გამკაცრდეს მოთხოვნები დამაზადებელთა მიმართ ერთდროული ჯარიმების, აკრძალვების და სხვა ფორმების მეშვეობით.

ალბათ ახლო მომავალში დაცული ტერიტორია აქტიურად ჩაირთვება შაორის საკურორტო-ტურისტული კომპლექსის დაგეგმარების და განვითარების პროცესში, რის გამოც საჭირო გახდება წყალსაცავის მიმდებარე ტყის მასივების ხელახლი ინვენტარიზაცია და ტყის რესურსების მართვის ხანგრძლივადიანი გეგმის შემუშავება.

VIII. ლიტერატურულ-კულტურული განვითალება

ვეზუ-ფუკველი - 150

ხელი წილი

ყველას და, მათ შორის მეც, მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰურებს მზეს, ქვეყანას, იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნახს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაპფენია: — გაფცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსაო, — თითქოს დუდუნებს. საამურია, გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავდებიან. მიბუნებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!...

მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალწინ მიღება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისიც უღრანს ტყეში დგას, ერთის კლდის თავზედ. ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაპკვრია. ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან, თითქოს განგებ გაჭმორებიანო და ამაკად დასჩერებიან თავზე. ხმელის წიფელის ახლოს რამდენიმე ჟოლის ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკნეტის ფოთლებით. ისინი გადმომაბულან და გადმოსცერიან დაბლა მდინარეს, მის ფესვებში რამდენიმე ფეხი ძორტყებილა მოდის, ზამთარ-ზაფხულ მწვანე, დაკბილულფოთლებიანი. ხმელს წიფელს წასკლია სიცოცხლის ნიშანწყალი: სამი ტოტიდა შერჩენია შუა წელს ქვევით, ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩაჩხატულა, გახიდულა. ამ სამს ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუგა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამჭერარი, გაყვითლებული. სხვა ხეებს კი, რომ უყუროთ, დატვირთული დაგანან ბუნების მინიჭებულის სარჩოთ. არაფრად აგდებენ ხმელს წიფელს, ყუ-



რადღებას არ აქცევენ, მხოლოდ ზამთრობით, როცა თვითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად დაუახლოვდებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცემდებიან, ისიც გაკვრით... ეს მოხედება სწორედ მაშინ, როდესაც პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს: „რას გაშერებულსარ, საწყალო? ური დაუგდე, რას ამბობსო!“.

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს დრმა კვნესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხვებს ამ ამაყ მცენარეო, მაგრამ „ადგილის დედის“ ზღაპარს კი ყურს უგდებს; თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰდევრის.

საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯდული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა ასცილებოდა და თავის დიდონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს

ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენტეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას. ეხლა კი სულთამბრძოლს დაპფერებია, წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადებლი. ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგას უფრო გრძლად აჟყრია ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა; გვარნებათ, ხანჯალი დაუციათ და ნაწლავები გადმოუყრევინებიათო. ჭიაც ბევრი თუ აქვს ამ წიფელს, რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდალასა კევდავ. ეს დასაქცევი ერთოავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონეაქს, უბრაახუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდეც დასჭყვის, დაკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ რამდენს ადგილას ამოუღრუტნია წიფელი გულამის. საცაა გულსაც ფქას დაუწებს. წითელი დგას, დგას შეუშვორობად, წარბშეუხრელად; არც აგს ამბობს, არც კარგსა.

როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა; წინად კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით დელვას; მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ჭეხილივით ხმაურობას ასტებდენ. ხმელის წიფელის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდენ, ასე-დებოდენ. დიად ეხლა ქარს ვედარ მიჰყება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ვედარ უპყრობს ქარიშხალს. არ მოიდრიკება კი ხმელი წიფელი და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვსოქვათ... მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფეხსვები გამოჩნდებიან, აღმა თავაჭერილები, თითქოს ლოცულობენ, ლმერთს ევედობოდენ, შველასა სთხოვდენ. ზაფხულობით უფრო შესაბრალისა ხმელი წიფელი. სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლით, უქნებელნი, უდარდელნი; მათზედ ათასი ფრინველი სხდება საგალობლად, ქედნები ღუდუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაპკრავს დაუსრულებელს გალობას, წიპრია იკლებს სტვენით იმათ არემარეს და მოუსენრად გადახტ-გადმოხტის; ყელმოღერებული შველი და ირემი იმათ

იჩრდილავს. ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცექერიან ბეხავს ხმელს, იმისი ეწოთირებათ და ამბობენ: „ნეტავი შენ არ გვაუშხოებდეო!“ – არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი... სოფელში დღეში სამდერ მაინც მოიგონებენ ხმელს წიფელს, – სადა გყვანდათ დღეს საქონელიო? – მამამ რომ პკითხოს თავის შვილებს, ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს, გადმითს ან გამოღმითს, თავს ან ბოლოს.

– ხმელი წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხვი დაბუდებულაო, – ხმა არის სოფელში,

- ლეკვები დაუყრიაო. მონადირეებს ენახათ ხმელი წიფლის გარშემო დედა ვეფხის და იმის ლეკვების კვალიო.

– ეს სააბედე სოკო ხმელ წიფელს ავაჭერო, – ამბობს მეორე.

დიად, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწენია ხმელი წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმისი სიდიადე.

განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?!
ათასს ცოცხალსა ბევრჯელა
ათვერ სჯობს ერთი მკვდარია.
შენის დანახვით, ტიალო,
გულს დარდი მაწევს ცხარია,
რაპი გხედავ, რო ბეხავად
და უპატრონოდ ხარია, –
თითქოს დაპკრესო განგაში,
სამგლოვიარო ზარია.
მინდა, რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.
რისოვის მოსულსარ, ბეხავო,
არ იგლოვები მკვდარია?!
შენთვის არც წაწყმედა არი,
არსად ცხონება არია!
ვინ ან შაგიკრავს ქუბოსა,
ვინ ან აგინორს სანთელი?..
ვაჲ, რა მნელია, კვდებოდეს,
იკარგებოდეს სახელი!


დამდამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულმოკლული ძახილს: „ვერ იპოვეო?“ და, როცა ძახილით დაქანცელს შემოესმის: „ვერა, ვერა“, მოსაწყ-

ლებული თავს დაპკიდებს და „ღრუ, ღრუო“, ხმადაბლა გულს ჩასძახებს.

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის, შიმშილისაგან შეწუხებული. ხმელი წიფელი შეუშფოთრად სდგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, სდგას გაშტერებული; იმან არც სიბრალული იცის, არც სიმჟღვარე; არც სამტროდ

აუდუდდება გული, არც სამოკეთოდ; ფიჭრობს ხმელი წიფელი თავს თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქოს ღრმად ჩასჭედვია მწუხარება. ხანდახან გადმოაცეკერდება მის ერთს ფეხვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესლაა იმისი ნუგეში...

1888-1889 წ.წ.



ხმელი წიფელი, „შაორი“ დაცული ტერიტორია

მომავალი ან მწვანეა, ანდა საერთოდ არ არის

მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა ჩვენს პლანეტაზე. შეიძლება ითქვას, რომ მოხდა დემოგრაფიული აფეთქება. თუ XX საუკუნის გარიურაჟზე პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა ერთი (ან ცოტა მეტი) მილიარდი ადამიანით განისაზღვრებოდა, დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, იგივე მაჩვენებელმა შვიდ მილიარდს მიაღწია. უნებლივდ მასს ენდება მაღლუსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსახლეობა დედამიწაზე იზრდება გეომეტრიული პროგრესით, ხოლო საარსებო საშუალება არითმეტიკულით. ადამიანთა ერთი ნაწილისათვის, ისე როგორც სხვა ყოველივე, ეს თეორია მიღებული იყო. გამოითქმებოდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დედამიწას შეუძლია გამოკვებოს 30 მილიარდი და მეტი ადამიანი. ამ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. იმედი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ რეალურად ვითარება საპირისპიროდ იცვლება. შევე დღეისათვის კაცობრიობის ნახევარი სიღარაკის, შიმშილის ზღვართან ან მის ქვემოთ იმყოფება. ასე თუ გაგრძელდა, რა იქნება 30-50 წლის შემდეგ? პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ძნელია.

ახლა მოკლედ, გონების თვალით მიმოვისილოთ ის გზა, რომელიც კაცობრიობამ გაიარა ჩვენი ზრუნვისა და ფიქრის იმ სფეროში, რომელსაც ტყით სარგებლობა და მეტყველება პქვა. საერთოდ, ცნობილია, რომ ადამიანი წყალში გაჩნდა, ისე როგორც სხვა ყველა ცოცხალი არსება. შემდგომში განგებამ ბევრი არსება ისევ წყალში დატოვა, ბევრიც, მათ შორის ჩვენი შორეული წინაპარი, წყალში რომ არ ეყურეუმელავა მარადიულად, ოკეანეთა უკიდეგანო სივრციდან ხმელეთზე ამოიყვანა, ტყეს მიაბარა

გამოსაზრდელად. ტყე სიკეთეა. ტყემ ჩვენ კეთილ წინაპარს მისცა საკეთი, სითბო, ჩასაცმელი, სუფთა პაერი, ანუ ყველა სიკეთე, რომელიც მას გააჩნდა. ასე მეგობრულებად მოდიოდნენ ტყეც და ადამიანიც საუკუნეებისა და ათასი წლების განმავლობაში შეხმატებილებულები. მაგრამ მოსახლენი მაინც მოხდა. ევამ დაარღვია მიცემული აღთქმა და კაცობრიობის საუბედუროდ აკრძალული ხილი იგემა. უფალი განრისხდა და ადამიც და ევაც ტყიდან ანუ სამოთხიდან გამოაგდო. აქ მოხდა კიდევ ერთი საბედისწერო ამბავი. მათ გონება გაუნათდათ (თუ პირიქით), დაინახეს, რომ შიშვლები იყვნენ. დაიწყეს განისამოსის, საკვების, ბინის და სხვა ცხოვრებისათვის საჭირო საგნების ძებნა. სად იშოვიდნენ? მიადგნენ ისევ ტყეს და საკუთარ გამზრდელს წაუკენეს პრეტენზიები და მოთხოვნები. ტყემ, როგორც კეთილმა გამზრდელმა, მისცა მის შვილს რაც კი მოსთხოვეს. მაგრამ მოხდა კიდევ ერთი სასწაული. რაც მეტი გაპქონდა შვილს ოჯახიდან, ე.ი. ტყიდან, მას სულ უფრო მეტი და მეტი უნდოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან, ტყე ხეებით დაილია. სამაგიეროდ გამრავლდა ადამის მოდგმა. უსაზღვროდ გაიზარდა მათი ახალი საცხოვრებელი ადგილები – ქალაქები, დაბები, სოფლები. ამან გამოიწვია ტყის კაფვა, განეხვა და ბოლოს განადგურება. თუ ოდესაც დედამიწის ხმელეთი თითქმის მთლიანად ტყით იყო დაფარული, ბოლოს, რაც იყო, მხოლოდ მისი მცირე ნაწილი შემორჩა. ეს მცირე ნაწილიც ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში უმოწყვალოდ ნადგურდება. მიახლოებით დადგენილია, რომ ამ ასორმოცდათი წლის წინაპარი, ტყეს ეკავა 4.5-5.0 მილიარდი ჰექტარი. დღეისათვის ეს მაჩვენებელი 3.0 მილიარდამდეა ჩამოყვა-

ნილი. სპეციალისტებმა დაითვალიერეს, რომ ბოლო პერიოდში ყოველწლიურად იჩენება 15-20 მილიონი პექტარი ტყე. თუ ასე გაგრძელდა, ასი წლის შემდეგ დედამიწა ტყის გარეშე დარჩება. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, როგორც ამ საქმის სპეციალისტისათვის, ადვილი წარმოსადგენია რაც მოხდება. სულ უბრალოდ მოხდება ის, რაც ახლა ხდება, მხოლოდ ასმაგი უარყოფითი შედეგით. და ყოველივე ეს, როგორც გენიოსი გალაკტიონი წინასწარმეტყველებს („კოსმოსური ორკესტრი“), „გადალევავს ეხლა ხომ მაინც დაღუპვის ღირს კაცობრიობას“. კარგი ბატონი! დაიღუპოს ის, ვინც დაღუპვის ღირსია. მაგრამ ისმის კითხვა. რა დააშავა იმან, ვისაც ამ ბოროტებაში წვლილი არ მიუძღვის? ვის შეუძლია ამ კითხვაზე პასუხი გასცეს?! მიჩვენეთ ასეთი ადამიანი და მას უკანასკენელ პერანგს ვაჩუქებ. ასეთი კაცის ძებნაში დიოგენივით 25 საუკუნე რომ არ დავხარჯოთ (ცაიტნოტში ვართ), ისევ ჩვენ, მეტყველებმა, ვინც მთელი ჩვენი სიცოცხლე ტყის გადარჩენას შევალიერ, ჩვენ უნდა გავცეოთ პასუხი. მაშ ასე, საკითხი ასე დგას, ან ყოფნა ან არყოფნა. ამ მარადიული კითხვის პირველი ნაწილი ამოსახსნელია. მეორე ამოხსნილია. ე.ი. ყველაფერი უკვე გაკეთებულია იმისათვის, რომ არ ვიყოთ. უკელამ ვიფიქროთ იმისათვის, რომ ვიყოთ. დავიწყოთ წმინდა წერილით, ბიბლიით. უფალი გვასწავლის: „ვინც ბევრი აკრიფა ზედმეტი არასოდეს ქონდა. ვინც ცოტა აკრიფა არასოდეს აკლდა“. ამაზე უკეთესი რა უნდა თქვას კაცმა. პირველ რიგში საჭიროა ადამიანმა მოთოკოს უზომოდ გამდიდრების სურვილი. მოიმარა იმდენი, რასაც უფალი მისცემს. სხვის ყანაში არ გადავიდეს. გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმას ძმამ, მეგობარს მეგობარმა დახმარების ხელი უნდა გამოუწოდოს. თუ ადამიანი თავის გონებას შეატრიალებს სიკეთისაქნ, შეძლებს დაძლიოს ბოროტი. მშვიდობა მიღწეული იქნება, დედამიწაც განთავისუფლდება ამდენი ტანჯვისაგან. ბოლოს და ბოლოს ადამიანიც მოისვენებს და გაიხარებს. მაშ ასე, წინ, ადამიანო, სიკეთისაქნ!

მაგრამ საკითხავია, ვინ უნდა უშველოს და გადაარჩინოს მკერდში დაჭრილი ბუნება? ეს გლობალური პრობლემაა და გლობალური დათბობის აწ უკვე დაწყებულ პროცესში ეს საყოველთაო მისია ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის მოვალეობად უნდა იქნეს აღიარებული და გათვითცნობიერებული.

საწუხაოდ, საქართველოში მიმდინარე საუკუნის ბოლო ათწლეულში ეს ჭეშმარიტება უგულებელყოფილია. ტყეს ჩამოაშორეს მეტყველე-სპეციალისტები; აღარ ხორციელდება ტყის გაშენება, მოვლა, მავნებელ დაგვადგებათა წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა აუცილებელი დონისძიებები. კვლავ გრძელდება ტყეების არაგეგმაზომიერი ჩეხვა და გაპარტახება.

ტყის გაშენება ადვილი საქმე არ არის. მიუხედავად სიძნელისა, ქართველ სპეციალისტებს ათასობით და ათი ათასობით ჰექტარი ტყე აქვთ გაშენებული არც თუ შორეულ წარსულში. არც ახლა ან მომავალში გაგვიჭირდება ამის გაკეთება. საჭიროა მონდომება და პოლიტიკური ნება. ტყის გაშენება თესლის შეგროვებით იწყება. პარალელურად საჭიროა მოეწყოს სანერგე მეურნეობა. ჯანსაღი სანერგე მასალის მიღება რთულია, მაგრამ მეტყველეს არც ეს გაუჭირდება. შემდგომში საჭირო იქნება ტყის გასაშენებელი აღგილების მონიშვნა და მათი დამუშავება შესაფერისი აგროტექნიკის გამოყენებით. ამის შემდგომ მოხდება ნერგების დარგვა. მთავარი საქმე გაკეთებულია. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი ეტაპია ნარგაობის მოვლა, დაცვა. ნარგაობა სანამდის წამოიზრდება და წელში გასწორდება, უნდა გაიმარგლოს. საჭიროა დავიცვათ პირუტყვისაგან. გადაუდებელი დონისძიებაა მავნებლების და ავადმყოფობათა დროული გამოვლინება და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად შესაფერისი დონისძიებების დასახვა და ჩატარება.

ტყის კულტურების დაცვას, ისე როგორც სხვა დონისძიებებს, თავისი გამოცდილი სპეციალისტი ესაჭიროება. ტყის კულტურა შეიძლება დაზიანდეს წიწვის, ფოთლის, დეროს და ფეხვის როგორც მავნე მწერისაგან, ისე სოკოვანი

და სხვა დაავადებისაგან. ამ საქმეს უნდა მოემსახუროს უპირველესად მეტყვევე, ტყის დაცვის სპეციალისტი – მეტყვევე ენტომოლოგი და ფიტოპათოლოგი. წარმატებისათვის საჭირო იქნება პერიოდული მონიტორინგი და პროგნოზი, მავნებელ-დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით. მონიტორინგისათვის სასურველია გამოვიყენოთ მოედი ის გამოცდოლება, რომელიც დაგროვილია წარსულში ცნობილი სპეციალისტების მიერ.

მაღალხარისხოვანი ოქსლის და-სამზადებლად მეტყვევე სპეციალისტი კარგად უნდა ერკვეოდეს გირჩის ნაყოფისა და ოქსლის აქტიურ მავნებლებში. მაგალითად, ხშირად ფიჭვის გირჩები ზოანდება ფიჭვის გირჩის რკილით (*Eromobium abietinus* Gyll.). შედის ხეშეშფრთიანთა რაზმის რკილების ოჯახში. ხოჭო მურა-მოწითალოა. სიგრძე 3 მმ-ს აღწევს. ეს მავნებელი ფიჭვის კორომებში ყველგან გვხვდება. აზიანებს ფიჭვის გასული წლის გირჩებს. მატლი აზიანებს დეროსა და ოქსლს. დაზიანებულ გირჩებზე გამოიყოფა ფისის წვეთები და შემოღვმაზე გირჩები ნახევრად ცვივა. ამ მავნებლის ბიოეკოლოგია შესასწავლია. ასევე აქტიური მავნებლის კატეგორიას მიეკუთვნება ნაძვის გირჩის ფოთლისვევვია (*Laspeiresia strobilelia* L.). შედის ქერცლფრთიანთა რაზ-მის ფოთლისვევიების ოჯახში. პეპელას წინა ფრთებზე 6 დაკლანილი ზოლი აქს. ეს მავნებელი ნაძვის გავრცელების ადგილებში ყველგან გვხვდება. აზიანებს ნაძვის გირჩებს. მატლები აზიანებენ გირჩის დეროსა და ოქსლს. დაზიანებული გირჩები მოუმწიფებელი რჩება და იღუპება. ასევე მნიშვნელოვანია გირჩის ალურა (*Dioryctria abie-tela* F.). შედის ქერცლფრთიანთა რაზმის ალურების ოჯახში. პეპელა რუხი ფერისაა. გავრცელებულია წიწვიანი ტყის კორომებში. მატლი აზიანებს ნაძვის, ფიჭვის, კედრის და ზოგჯერ ხოჭის გირჩებსაც. შემდეგი მნიშვნელოვანი მავნებელია ფიჭვის გირჩის მეფიის ია (*Pissodes validirostris* Gyll.). შედის ხეშეშფრთიანთა რაზმის ცხვირგრძელების ოჯახში. გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში.

სავლის 70% იღუპება. ბაღის ჭიჭინობელა (*Stictocephala bubalus* F.). შედის თანაბარფრთიანთა რაზმის კუზიანთა ოჯახში. ამ მავნებელს დიდი უარყოფითი თვისებები აქვს, აზიანებს ახალგაზრდა ბაღებს, სანერგებებს და ტყის კულტურებს 70-80%-მდე. პოლიფაგია. აზიანებს აგრეთვე პანტას, მაჟალოს, კომშს, ნუშს, ჭერამს, ალუბალს, ბალს, ატამს, ხერმას, კალის ხეს, თელას, მუხას, იფინს, ვერხვს, აკაციას, გლევიჩიას და სხვ. რკოს ცხვირგრძელა (*Curculio glandium* M.). შედის ხეშეშფრთიანთა რაზმის ცხვირგრძელების ოჯახში. გავრცელებულია ყველგან მუხის კორომებში. მატლები აზიანებენ რკოს. ხოჭოები იკვებებიან მუხისა და სხვა ფოთლოვანი ჯიშების ფოთლებით. მეტად მნიშვნელოვანი მავნებელია. ზოგჯერ რკოს მოსავლის 90% ნადგურდება. თხილის ცხვირგრძელა (*Curculio nucum* L.). შედის ხეშეშფრთიანთა რაზმის ცხვირგრძელების ოჯახში. საქართველოში ყველგანაა, უმთავრესად გურია-სამეგრელოში. მატლი აზიანებს ძირითადად თხილს, იშვიათად – რკოს. ხოჭო იკვებება თხილის და მუხის კვირტებით. ზამთარს ატარებს ნიადაგში მატლის სახით, რომელიც იკვებება თხილის ან რკოს გულით. წაბლის ცხვირგრძელა (*Curculio elephas* G.). შედის ხეშეშფრთიანთა რაზმის ცხვირგრძელების ოჯახში. გვხვდება ყველგან წაბლისა და მუხის კორომებში. მატლი ძლიერ აზიანებს წაბლსა და რკოს, ნაყოფი სათეხლედ და საჭმელად უვარგისი ხდება. წაბლის მოსავალი ხშირად 50%-ით მცირდება.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ხდება ცნობილი, საქართველოში XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოდან (დაახლოებით 1927-1928 წწ.) დაიწყო ფართო მასშტაბის სატყეო მელიორაციული – ტყის კულტურების და სხვა ღონისძიებათა დიდი პროგრამების განხორციელება. საყოველთაოდ არის ცნობილი მეტყვევის მ. მურგანიშვილის სახელთან დაკავშირებული ისტორიული კულტურები ხაშურის, სურამის, ბორჯომის (მთა გვირგვინა და სხვ.) რაიონებში. მაგ., ხაშურის რ-ში კულტურებს აშენებდა ყველა ორგანიზაცია, მათ შორის დაწყებითი

სეოლების პედაგოგიური პერსონალი და მოსწავლე ახალგაზრდობა. ტყის კულტურების მშენებლობაში მე და ჩემმა თანაგრლებმა მონაწილეობის მიღება დავიწყეთ პირველი კლასის ასაკიდან. ადრეული ასაკიდან ჩაეყარა საფუძველი წვენს სიყვარულს ბუნებისადმი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მე და ბევრი ჩემი თანატოლი დღემდე ვემსახურებით სიცოცხლისათვის ესოდებ საჭირო საქმეს – ტყის მოვლას, გაშენებას, როგორც ჩვენთან, ისე მთლიანად დედამიწაზე. ის, რაც კარგი იყო უახლოეს წარსულში, აუცილებლად უნდა აღვადგინოთ. უნდა აღვადგინოთ სატყეო სკოლები და კოლეჯები. დიდი სამამულო ომის შემდგომ (1949 წ.) საქართველოში, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, დაიწყო ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განხორციელება. სულ რადაც 4-5 წლის განმავლობაში ათასობით გადამხმარი და უკაცრიელი ადგილი ვოლგისპირეთში და სხვაგან დაიფარა ხელოვნურად გაშენებული ტყეებით და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით. მათ შორის არც საქართველო იყო გამონაკლისი. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში 1949 წელს დაიწყო გრანდიოზული სამუშაოები თერთმეტი სახელმწიფო ტყის დაცვითი ზოლის მშენებლობისათვის. გეგმით გათვალისწინებული იყო 6.5 ათას ჰარტარ ფართობზე 500 კმ სიგრძის ზოლების მშენებლობა. პირველი სამი წლის განმავლობაში ტყის კულტურებით დაიფარა 2450 ჰექტარი ფართობი 230 კმ საერთო სიგრძით. საერთო გეგმის თანახმად, სხვა დონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ახალგაზრდა ნარგაობათა დაცვა მავნე ორგანიზებისაგან (მწერები და სხვ.). იმ პერიოდში ხელოვნური ტყეების ენტომოფაუნა არ იყო შესწავლილი სათანადო დონეზე. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელებას. აღნიშნული პრობლების შესწავლა დაევალა ქართველ მეტყველე საეციალისტებს. მათ შორის იყო ცნობილი და უაღრესად ერუდირებული მეტყველე ენტომოლოგი კონსტანტინე (კოტე) ხარაზიშვილი. ბატონმა კოტემ, ისე როგორც

ბევრმა სხვამ მისი თაობიდან, გმირულად გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის სიძნე-ლეები. გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში და გააგრძელა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, ტყის დაცვის მიმართულებით. იმ პერიოდში განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი სპეციალისტი, მეტყველე ენტომოლოგი შალვა სუპატაშვილი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბატონმა კოტემ და სხვა სპეციალისტებმა შეისწავლეს შემდეგი აქტუალური საკითხები: დაცვითი ტყის ზოლების სანერგების და მიჯრილი ტყის კორომების მავნე ენტომოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა. დაცვითი ტყის ზოლებისა და სანერგების მთავრი მავნე ორგანიზები; მავნე ენტომოფაუნის თანდათანობითი ფორმირების საკითხები. მათი შესაძლებელი კავშირი სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებლებთან. ბრძოლის დონისძიებათა შემუშავება დაცვითი ტყის ზოლების მავნებლების წინააღმდეგ.

მწვანე მშენებლობაში იმ პერიოდში გამოყენებული იყო 17 დასახელების მერქნიანი მცენარე, რომლებიც თავიანთი ბიოეკოლოგიური მონაცემებით შეუფეროდნენ დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებს. მათ შორის იყო: ფიჭვი, კვიპაროსი, კრიპტომერია, წაბლი, თეთრი აკაცია, ეკალიპტი, ნეკერჩხალი, მუხა, კაკალი, თელა, ვერხვი და სხვ. კვლევის დაწყებამდე, როგორც ბატონი კოტე აღნიშნავს, ამ მერქნიან მცენარეთა 17 სახეობაზე მანამდელი მკვლევარების მიერ უკვე გამოვლინებული იყო 101 სახეობის მავნე მწერი. თვითონ ბატონმა კოტემ 5 წლის კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვლინა 297 სახეობის მავნე მწერი. ამ საერთო რაოდენობიდან 158 სახეობა უშეალოდ აზიანებს აღნიშნული 17 სახეობის მერქნიან მცენარეს, ხოლო დანარჩენი 139 სახეობის მწერი საერთო მაგნებელია როგორც მერქნიანი სახეობისათვის, ასევე ბალახისათვის. ზემოთ აღნიშნული 297 სახეობიდან კვლევის არეალში პირველად იქნა გამოვლინებული 227 სახეობა. მათ შორის კონკრეტულად საქართ-

ველოს პირობებისათვის გამოვლენილი იქნა 10 უადრესად საშიში მავნებელი.

იმ პერიოდში ანალოგიური სამუშაოები ტარდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო ტყის ზოლების მშენებლობის დროს. სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობისას ასევე შესრულდა უადრესად საჭირო სამუშაოები მავნე ორგანიზმების გამოვლენისადა შესწავლის მიზნით.

საბედნიეროდ, ყოველივე ეს ძვირფასი მასალა ინახება შესაბამისი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებში. ასევე მთავარ წიგნსაცავში – საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში.

როგორც მეხუთე მცნება გვასწავლის, „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რამეთუ კეთილი გეეოს შენ“. ღმერთმა მეოთხე დღეს შექმნა ცოცხალი ბუნება და იგი ადამიანს ჩააბარა მოსავლელად. ყველას უნდა ახსოვდეს ეს. როგორადაც მივუზდავთ, იმდაგვარადვე მოგვეზდვება ჩვენ.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ეკოლოგიური განათლება, ბუნების სიყვარული ადამიანს პატარაობიდანვე უნდა შთაუნერგო. ყველა ადამიანი ვალდებულია დიდი სიფრთხილით მოექცეს დედაბუნებას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ტყესთან ურთიერთობისას. ტყე არის უპირველესი სიცოცხლის სათავე. ადამიანს საკვების გარეშე შეუძლია იცოცხლოს სამი თვე და მეტიც, წყლის გარეშე – სამი დღე. აბა, სცადე ჰაერის, უანგბადის გარეშე

გაძლი თუნდაც სამი წუთი. ვერ გაძლებ. ამიტომ ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს, ადამიანისათვის ყველა მეგობარზე დიდ შეგობარს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ბოლო პერიოდში ბუნების დაცვის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მსოფლიოს მასშტაბით. გაძლიერდა ბუნების დაცვის ღონისძიებები. მაგ., საქართველოში შეიქმნა რამდენიმე ეროვნული პარკი და მისი მსგავსი ტერიტორიები. მწამს, რომ ადამიანი დაუბრუნდება დედა ბუნებას. მაგ., ისე როგორც ეს დიდი პოლანდიელი მხატვრის რემბრანდტის ტილოზე „უძღბი შვილის დაბრუნება“ არის გამოსახული. სინანულის გრძნობით გამსჭვალული შვილი მუხლებზე დაცემული პატიებას სოხოვს მამას. მამა გახარებულია გონებაგანათებული შვილის დაბრუნებით და სიხარულით ეგებება მას. ასე უნდა მოხდეს, ასე უნდა მოიქცეს ადამიანი ბუნების მიმართაც. ადამიანმა ბოლომდე უნდა გაიაზროს ჩადენილი დანაშაული და ბოლოს მკურნალად მოეგლინოს ბუნებას. თუ ეს ასე არ მოხდა, „ბუნება უდიერ მოპყრობას არ გვაპატიებს“, – ეს სიტყვები მსოფლიოში ცნობილ დიდ მეცნიერს, მეტყველე-კოლოგს, საქართველოს ბუნების (და, პირველიგში, ტყეების) დაცვის დიდ მოამაგეს, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილს ეკუთხნის. დავიცვათ ბუნება და იგიც ათმა-გად დაგვიცავს ჩვენ.

ღია წერილი «სატყეო მოამბის» მთავარ რედაქტორს თამაზ ანთაძეს

ჩემო თამაზ! ეს ლია წერილი შენმა „მოცლილობის ჟამს“ ნააზრევმა „როდესაც ვირი ადამიანებს ჭკუას ასწავლის, ანუ ვიმუსაიფოდ აკაკისებურად“, დამაწერინა.

ჩვენი დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრობამ და გაზეთ „ეკოლოგში“ თანამშრომლობამ გამაბედინა შენობით მოგმართოთ. ოუკი ძველად მეფეს არ სწყინდა გლეხისაგან შენობა! დღეს რა დმერთი გაგვიწყრა, ამის ბრალი ხომ არ არის, რომ „ვირი ადამიანს ჭკუას ასწავლის“.

მოგეხენებათ, მე ქიზიფელი და თანაცნუკიანები ვარ. ვირი ჩვენთან ძველთაგანვე პატიოსანი, უწყინარი და თავზადუნული მუშა ცხოველი იყო. ჩვენში ყველაფერი ვირის დახმარებით კეთდებოდა. სახლისთვის ქვა-ქვიშა, შემა-ფიჩი, წყალსაც კი ვირი ეზიდებოდა, რადგან წყარო საკმაოდ შორს, ხევში გვქონდა და ვირის გარეშე წყლის მოტანა ძალიან ძნელი იყო. უჩუმრად და თავდახრილი ასრულებდა ოჯახის სამუშაოს და ეგი იყო, რომ ხანდახან მაღალი ხმით დაიჭროყინებდა. ხშირად შემცდებია ვირი, როცა ეს პატიოსანი ცხოველი მართლა „ვირისთვის“ რომ შეუდარებიათ.

ნათქვამია „ყველა თავისას ჩიოდა და მენახირე ბუზანკალსაო“. მე ჩემ თავს ნადდ მეტყველ ვთვლი და რა საკითხზეც გინდა იყოს საუბარი, მე მაინც მინდა ქართულ ტყესა და მის გასაჭირზე ვთქვა ჩემი სიტყვა. „ჩემი“, ზოგიერთმა შეიძლება პრეტენზიულად და ვირისგან ჭკუის სწავლებად ჩამითვალოს, მაგრამ მე მინდა ყველაფერი პირდაპირ, ქიზიფურად ვთქვა.

იყო დრო, როცა „ზვიადისტებს“ მებახოდნენ. ერთხელ, ერთმა ცნობილმა პიროვნებამ (ნება მომეცი სახელი არ გავამხილო) მითხოვა: შენზე ამბობენ, რომ თავგადაკლული „ზვიადისტიაო“. მე ვუ-

პასუხე „ისტებზე“ რაკია ლაპარაკი, მე საქართველოისტი ვარ-მეთქი. მაშ, ჩვენ ვინა ვართო? ეგ მე არ ვიცი, ეგ თქვენ უნდა იცოდეთ-მეთქი. როგორდაც, ბედად, შემდეგი შეხვედრისას მითხოვა: როგორა ხარ ჩარეცხილოო? მე ვუპასუხე, რომ ჩარეცხილებმა ისე მიიღეს, როგორც ქურდს ქურდი ეწვის-მეთქი. ისე, რომ ქვეყნის ავ-კარგზე საუბარი, განსაკუთრებით ბუნებაზე და ტყეზე, ვფიქრობ, რომ სპეციალისტთა და პრაქტიკოს მეტყველეთა საქმე უფროა, ვიდრე ძალით სპეციალისტებისა და თბილი სკამების პატრონების. ასე რომ არ იყოს, რა გახდა გაზეთ „ეკოლოგის“ შენარჩუნება, მაშინ, როცა ყველა ბუნებაზე და ეკოლოგიზე ლაპარაკობს, ფაქტიურად კი... ქალაქი გაუბედურებულ ტყეს დამსგავსეს. გადაჭრეს ყველაფერი, რაზედაც ხელი მიუწვდოთ. აღმაშენებლის გამზირზე ხე აღარ დატოვეს, ძველი გვინდა აღვაღებინოთო. რუსთაველზე პირველი – გალაკტიონის ხე მოჭრეს, რაღაც ჭადარი იყო. ბარათაშვილის გამზირზე დიდტანოვანი ჭადრები ქოლგის ტარებს დამსგავსეს. როგორდაც დიდტანოვან ხეს ვერ იტანენ. ჭადარი და ვერხვი თბილისში მოჭრესოდა ერთმანეთს ასწრებდნენ თელავსა და რუსთავში. თელავში, სადაც 900 წლიანი ჭადარი საამაყოდ დგას და რუსთავში, სადაც ზაფხულის სიცხეში თითოეულ ფოთოლს ოქროს ფასი აქვს.

ქვეყნის უპირველეს სიმდიდრეს ქართულ ტყეს, პატრონი ვერ მოუნახეს. ტყე, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 40,6% უკავია და უპირველესად ეკოლოგიურ ფუნქციებს ასრულებს, მხოლოდ მერქნად გამოაცხადეს და შეუერთეს ენერგეტიკის სამინისტროს.

დაავიწყდათ, რომ ტყე ხე-ბუზენართა მექანიკური ერთობლიობა არაა. იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც იტევს მრავალსახეობრივ მცენარეულობას,

ნადირ-ფრინველს, მწყრებს, ბაქტერიებს... მას ჩვენს პლანეტაზე არსებული ვერც-ერთი განახლებადი ბუნებრივი სიმდიდრე ვერ შეედრება. ტყე რომ ცოცხალი მთლიანობაა, ეს კარგად გამოხატა მწერალმა ლევან გოთუამ, იგი ამბობს: „არა, ტყე მარტო ხეთა სისმირე არ არის, ისე როგორც ერთ მარტო კაცთა სიმრავლე! არსებითად მეტია და თვითმყოფადი; სამყაროს ნიშანს ატარებს“...

ტყის უკეთესი შეფასება და ერთან შედარება ალბათ შეუძლებელია! ამიტომაა, რომ ტყე და საქართველო დღემდე განუყოფელია და დმერთმა არ ქნას, რომ კაცმა თუ უგუნურმა პატრონმა შესაძლებელი გახადოს მათი გაყოფა-განცალკევება, რის წინაშეც დგას დღვევანდელი ქართული ტყე.

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ რაღა დროს მარქსი და ენგელსიაო? მით-უმეტეს ქართულ ტყესთან დაკავშირებით, მაგრამ დააკვირდით რას ამბობდა ენგელსი: „იმ ადამიანებს, რომელთაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიასა და სხვაგან (ალბათ დღევანდელ საქართველოშიც) ტყეები ძირულესვიანად ამოაგდეს, რათა ამ გზით სახნავი მიწა ეშვონათ, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეწნების ახლანდელ გაუდაბონებას და ტყეებთან ერთად ამ ქვეწნებს ტენიანობის შეგროვებისა და დაცვის ცენტრები გამოაცალეს“.

მესოპოტამიაში, საბერძნეთში თუ მცირე აზიაში ტყეების შემცირების მიზეზი სახნავი მიწების გაფართოება მაიც გახდა, ჩვენთან კი... ყოველმხრივ პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ ჩვენცა და ჩვენი ტყე! რომლის ფართობი რაღაც 50 თუ 60 წელიწადში 36%-დან 40,6%-მდე გაიზარდა. ისევ და ისევ ჩვენი ბედოვლათობის გამო. ჩამოვასახლეთ მთის სოფლები ბარში... ძირითადად ქალაქებში და თბილისი ვაქციეთ თავკომბალად! „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებო!“ მიტოვებული სახნავ-სამოვარ-სათიბები კი ტყემ დაიკავა. მაგრამ ტყეების საერთო მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. ჭარის მთიანეთში, სოფლებთან ახლოს არსებულ ტყეებს ხალხი „საფარ ტყეებს“ ეძახოდა. მათში

ცულით შესვლა ყველასთვის აკრძალული კი არა, „არ შეიძლებოდა“. უკანასკნელ წლებში დაივიწყეს ეს ისტორიული წესი და... გახმირდა ეკომიგრაცია.

საქართველოში ერთ-ერთ ნაკლებ ტყიანი იყო სიღნაღის რაიონი – 7,3%, მაგრამ თვალსა და გულს ახარებდა ცნობილი ჭიაურის მუხნარი, ხირსასთან „ყარაღაჯის“ ტყე, ბოდბესთან „დაცული ტყე“, ჭოტორში წიფლნარი. დღეს კი... ჭოტორში წიფლნარის ადგილზე ჯერჯერობით ჩირგვნარია დარჩენილი, აღარ არსებობს ჭიაურის და ყარაღაჯის მუხნარები, დაცულ ტყეში კი ასი წელი მოგვიწვევს მუხის აღდგენა.

თიანეთში, ერთ-ერთ ტყიან რაიონში – 57,5%, ალბათ ყველაზე მეტი ხელოვნური ტყე იყო გაშენებული. დღეს კი... როგორც ამბობენ, სანოლით საძებარია სამამულე წიფლი. მსგავსი მდგომარეობაა ხაშურის რაიონსა და ყველგან, სადაც კი შემორჩა ძველი ტყესაზიდი გზები. რადგან დღეს ტყეში გზის გამკათებელი არავინაა და ყოველწლიურად იჭრება მისადგომი ტყეები. იჭრება ტყე ბალდადში, კურორტ საირმესთან თუ კურორტ აბასთუმანთან... და სხვაგან.

საუბედუროდ, ჭრების ინტენსივობაზე და მათ მდგომარეობაზე არავის არაფრის თქმა არ შეუძლია, რადგან ქართული ტყის ვაიპატრონებმა პირველად ტყეთმოწყობის საწარმო გააუქმეს, რომლის მოვალეობა იყო ტყეების მდგომარეობის აღრიცხვა და მათში ათწლიანი ღონისძიებების დაპროექტება დღეს ტყეთმოწყობის გარეშე ტყეში მუშაობა... მერქნის მოპოვებაა და არაფერი აქვს საერთო ტყის მეურნეობასთან. იცი „მდგრივ წყალში თევზის ჭერას ჰგავს“.

ამიტომაა, რომ მოჭრილი მერქნის დიდი ნაწილი შეშის სახელს ატარებს და რეალიზებული დახერხილი მერქანი თითქმის ორჯერ ჭარბობს ტყეში მოჭრილი მერქნის რაოდენობას... ამაზე დიდი ფოკუსისა თუ ფულის გაკეთება ცნობილ კიოსაც კი არ შეეძლო.

დღეს სატყეო დეპარტამენტის მხლოდ თავია დარჩენილი, ხოლო მისი ტანი, ანუ ვის ხელშიც უნდა იყოს ტყეების დაცვა, აღწარმოება და მეურნეობის

გაძლოლა აღარ არსებობს. ერთი ათად არის შემცირებული ტყის დაცვისა და მისი აღდგენის სამსახური. დარჩენილთა უმეტესობა არა მეტყველე, არა სპეციალისტი ან ძალად მეტყველეა. ძალად მეტყველე კი ყოფილ დალაქს ჰგავს, რომელსაც პირის გაარსვასთან ერთად დაზიანებული კილის ამოდებაც ევალებოდა. ეგ არის, რომ დღევანდელ ძალად მეტყვევებს ბენზომოტორიანი ხერხებიც დაურიგეს. ეს იგივეა, რომ დალაქისათვის ქირურგის დანა მიეცათ და ბრმანაწლავის ამოკვეთაც დავალებინათ. მით უმეტეს, რომ ძალად მეტყვევებმა არ იციან, რომ ტყე ცოცხალია და მას ისეთივე მიღომა უნდა, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს.

1953 წელს, როცა რეორგანიზებული იქნა საქართველოში სატყეო მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სატყეო მეურნეობის სამმართველო, მისი ტანისოფლის – რაიონის სატყეო მეურნეობებისა და სატყეოებისთვის ხელი არ უხდიათ. ისე, როგორც თამარ მეფის დროს ტყეს ტყისმცველი იცავდა და მათი ხელმძღვანელობა „ტყის მცველთა უხუცესს“ ევალებოდა.

დღეს შეიქმნა რაღაც... სატყეო სამმართველოები, გაუგონარი და არა ქართული „სარეინჯეროებით“ (რა დააშავა ტყის მცველმა) უთავბოლო ფუნქციებით...

1937 წელს, იმ ავბედით პერიოდში, საქართველოში დაარსდა „საქტყეთესლი“, რომელსაც ევალებოდა ხარისხოვანი ტყის მერქნიან სახეობათა თესლების დამზადება, ჯერ საქართველოსთვის, შემდეგ – თანდათანობით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის და საზღვარგარეთისათვის. „საქტყეთესლის“ ფუნქციები და შესაძლებლობები თანდათანობით ფართოვდებოდა, ბოლოს იგი „საქტყეთესლებექციად“ იქცა და... 2006 წელს ეკრაპაში გატანილი მაღალხარისხოვანი თესლების დამზადებისთვის ოქროს მედალი დაიმსახურა, მაგრამ ჩვენში ეს სამსახური უავა აღარ არსებობდა...

1891 წელი ითვლება საქართველოში პირველი სატყეოს – თბილისის საცდე-

ლი, სამთო საკულტურო სატყეოს დაარსების თარიღად, რომლის საქმიანობით საფუძველი ჩაეყარა წარსულში ოფიციალურად ხელოვნური ტყეების შექმნიდან ერთ დროს თბილისის წალკორი შემოგარენის, მგრის შემოსევებისა თუ მენახშირეთა განუკითხაობის შედეგად განადურებული და გახრიოკებული ფერდობების გატყევება-გამწვანებას.

მართალია ამ სატყეომ მხოლოდ 24 წელი იარსება და მხოლოდ 150 პექტარზე იქნა გაშენებული ხელოვნური ტყეები, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა მომავლისათვის. გამოჩნდნენ ენთუზიასტი მეტყვევები: მიხეილ მურვანიშვილი, იოსებ ჩოდრიშვილი, აბელ ჯაფარიძე, გორგი სიყმაშვილი, ილია გველეკაშვილი, გენადი გიორგაძე, შოთა მეფარიძე, გორგი ყურშაშვილი, თამაზ სულთანიშვილი და სხვა მრავალი, რომელთაც თითქმის 200,0 ათას პექტარზე გააშენეს ხელოვნური ტყეები, ქარსაფარი ზოლები და ეროზის საწინააღმდეგო ტყის დამცავი ნარგაობანი 80,0 ათას პექტარამდე და სხვა მრავალი. დიდი მასშტაბით განხორციელდა გამეჩერებული და დაზიანებული ტყეების აღსაღენი, ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელისშემწყობი ღონისძიებანი ათეულ ათასობით პექტარზე და სხვა.

ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა. 1998 წლიდან აღარ გაშენებულა ხელოვნური ტყე, თუ არ ჩავთვლით პატიოსანი, თავისი საქმის მოყვარული, ნაღდი მეტყვევების მიერ საკუთარი ინიციატივით შექმნილ სანერგებებსა და აღურიცხავ ტყის კულტურებს.

ჩემო თამაზ! შენ, შენ წერილში გაიხსენე, რომ ნაცხობისაგან შეურაცხყოფილმა სიცილი დაიწყე... მე მესმის შენი. პატიოსან კაცს შეურაცხყოფა არაფერს დააკლებს. შენი გაცინება მისთვის ალბათ ლაცვარი იყო...

რა ვქნა, დღეს მე ვერ გავიცინებ, რადგან შეურაცხყოფა მე კი არა და სრულიად საქართველოს ეხება. რადგან უტყეო საქართველო, საქართველო აღარ იქნება თავისი თვალწარმტაცი ლანდშაფტებით, კურორტებით თუ ტურისტული ბილიკებით, რითაც დღეს ყველა

იწონებს თავს.

შე მე მიცნობ, ჩასაფრებული კაცი არასდროს ვყოფილვარ, შემსრულებელზე მეტად მიხარია: გზები, სინათლე, წყალი და ყველა სხვა სიკეთე, მაგრამ რა ვქნათ, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ არ მომწონს გაუმწვანებელი გზები, დაუმუშავებელი მინდვრები, დღევანდელი სოფლის გაჭირვება და სხვა მრავალი. ღმერთმა დამიტაროს ჩასაფრებისა და გაი თუ კ.წ. ოპოზიციონერებისაგან, რომელთაც პოზიცია არ გააჩნიათ...

ვერ გავიცინებ იმისათვის, რომ ნათქვამია, „გინდ მგელს შეუჭამისარ და გინდა მგლისფერ ძაღლსაო“. როგორ შეიძლება გაიცინო ცუნამის მიერ წალე-კილ იაპონიაზე და როგორ შეიძლება

გაიცინო უტყეო და დვარცოფებისა თუ მეწყერებისაგან განადგურებული საქართველოს მომლოდინებ.

გადაწყვეტილი მაქვს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ბატონ ალექსანდრე ხეთაგურს მივართვა ჩემი ნაშრომი: „ის, რაც მესსიერებას შემორჩა“, რომელშიც მოხსენებული მყავს 1500-მდე მეცნიერი თუ პრაქტიკოსი მეტყველ და მათი ნალვაწი. იქნებ ჩემი ეს წერილი (თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული) და წიგნი გახდეს ერთი აგური დადებული ქვეყნისა და შესაბამისად სატყეო მეურნეობის აღორძინების გზაზე.

პატივისცემით და ძმური
სიყვარულით
ტრისტან ჩერქეზიშვილი

IX. დაცული ტერიტორიების მართვა

ლევან გოცირიძე

გერმანულ-ქართული თანამშრომლობა ბორჯომ-ხარაგაულის მროვნული პარკის ზორმირების საქმეში

ბორჯომის ხეობაში, 1990-იანი წლებიდან დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლეების ხანაში, კერძოდ, 1993 წელს, საფუძველი ჩაეყარა დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი კატეგორიის – ეროვნული პარკის ჩამოყალიბებას.

ეროვნული პარკის შექმნის საქმეში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჰართმუნდი იუნგიეს, გოიოც შულპოლცეს, გურამ რამიშვილს, პაარა შანშიაშვილს, გიორგი სანადირაძეს, ნუგზარ ზაზანაშვილს, კოდე ჯანდიერს, ზაზა გამცემლიძეს, ზვიად გოცირიძეს, ზურაბ ავალიშვილს და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ყოფილ დირექტორს, ლევან გოცირიძეს.

დაცული ტერიტორიების ისტორია საქართველოში, შეიძლება ითქვას, შეასაუკუნებიდან იწყება. ეს იყო ძირითადად მეფეთა და ადგილობრივ ფეოდალთა სამონადირეო ადგილი და საეკლესიო ტყეები, სადაც ზრუნავდნენ ნადირუნიველის მომრავლებაზე და იკრძალებოდა ტყის ჭრა.

გარემოს გაჯანსაღების ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნიდან, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

1862 წელს ამიერკავკასიაში მეფის ნაცვლად დაინიშნა რუსეთის მაშინდელი იმპერატორის მმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელსაც ძალიან მოეწონა ბორჯომის ოვალწარმტაცი ხეობა და აქ საზაფხულო რეზიდენციის აშენება გადაწყვიტა.

მიხეილ რომანოვმა ტყის დიდი ნაწილი შემოღობა და უნებართვოდ ხე-

ტყის მოჭრისა და ნადირობის აღსაკვეთად 1877-1878 წლებში, ეგერთა შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა. როლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ ფორმითა და იარაღით, ეძლეოდათ ხელფასი. ეგერთა რაზმი ქართველებთან ერთად ეჭვის რუსი და ორი ოსიც ყოფილა. მიხეილ რომანოვის ბრძანებით სხვადასხვა აღგილებში მონადირეთა სახლები ააშენეს, სადაც ეგერები ოჯახებით ცხოვრობდნენ. ასეთი სახლები იყო ბორჯომში, ლიკანში, ბასნისებეგში, ქვაბისებეგის მისასვლელებში, ლომის მთაზე, ოორში და სხვაგან.

ნაკრძალის გამგებლად დიდმა მთავარმა გერმანიდან სწავლული ბუნების მეტყველი იუტნერი ჩამოიყვანა, მისი ორსართულიანი ხის სახლი დღესაც დგას ბორჯომის ცენტრში. იუტნერის ინიციატივით ლიკანის მიდამოებში გაუშვეს ევროპიდან შემოყვანილი „დანიელკები“, ხოლო „მთის ხეობისა“ და „ცოფიანი დელის“ მიდამოებში – ლაგოდეხიდან გადმოყვანილი ჯიხვი.

მიხეილ რომანოვს ტყეში სატელფონო ხაზიც კი გაუყვანია, რითაც მორიგე ტყის მცველები საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. მეტყველებს ევალებოდათ ბრაკონიერებთან ბრძოლა, ტყის დაცვა-გაშენება, ველურ ხეზე კულტურული ხეხილის მყნობა, ხანძარსაწინააღმდეგო ლონისძიებების გატარება და სხვა.

ერთხანს დიდი მთავრის სამონადირეო საქმეს განაგებდა შტაბის-კაპიტანი ა. კალინოვსკი, რომელმაც 1900 წელს პეტერბურგში გამოსცა ილუსტრირე-

ბული წიგნი ბორჯომის სამონადირეო მეურნეობის შესახებ.

რუსეთის იმპერიის ნგრევის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პერიოდში (1918 წ.) ფაქტობრივად შენარჩუნებული იყო ტექნიკის დაცვითი რეჟიმი, ბრაკონიურობასა და ტყის ჭრას არ მიუღია სერო-ოზული მასშტაბები.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წ.) ცნობილი ქართველი მეტყველების ინიციატივით 1935 წელს რომანოვების კუთვნილი მამულის ნაწილი სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა.

დღევანდელ ეტაპზე დაცული ტერიტორიის ფორმირების ძირითადი პრიორიტეტებია:

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ბუნების დაცვა, სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, დასაქმების პროგრამის ხორცებისა, ტურისტული საქმიანობის გაფართოება, მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა – ამ და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებას ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში გერმანიის მთავრობის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური დახმარებით და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (FWW) ხელშეწყობით ეროვნული პარკების შექმნა.

დაიწყო შესაბამისი სამუშაოები ახალი სისტემის შესაქმნელად. შედეგად, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისის ინტენსიურმა მუშაობამ განაპირობა 2001 წლის აპრილში ოფიციალურად გახსნილიყო (პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონფერენციალი თანხმელებ პირებთან ერთად) კავკასიაში პირველი საერთაშორისო სტანდარტების დონის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის ცხოველთა და მცენარეთა ბევრი სახეობის და ისტორიულ-კულტურული ძეგლების თავშესაფრად შეიძლება განვიხილოთ.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს ოფისმა შეძლო პრაქტიკულად შექმნა საქართველოში ასეთი დაცული ბუნებრივი ტერიტორია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს, როგორც დედაბუნების გადარჩენა-შენარჩუნებას მომავალი თაობებისათვის, ისე მის დამხმარე ზონაში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც აღვნიშნეთ, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს სამირკველი 1993 წელს ჩაეყარა, ხოლო ოფიციალურად გაფორმდა 1995 წლის 28 ივნისის №447 დადგენილებით და 1999 წლის 10 ივნისიდან ფუნქციონირება დაიწყო: 1998 წელს საფუძვლიანად გადამუშავდა ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, რომელიც ერთის მხრივ, საერთაშორისო კრიტერიუმებს შეესაბამება (1992, და სხვა), ხოლო მეორეს მხრივ, ადაპტირებულია ადგილობრივ პირობებთან. გეგმა შედგენილია ახლებური კონცეფციის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ თვით დაცული ტერიტორიის ფართო ინფრასტრუქტურის დანერგვას. თანამშრომელთა ტრენინგს და სხვა, არამედ განსაკუთრებული ყურადღების მიქევას ეროვნული პარკის მიმდებარე ე.წ. ზონისათვის, სადაც პარკის ტერიტორიაზე მოსახლეობის სამეურნეო ზემოქმედების შემცირების მიზნით მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი ლონისძიებების განხორციელებაა განზრაბეული.

საერთო აღიარებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი კავკასიის ეკორეგიონში ერთადერთი დაცული ტერიტორიაა, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს ამ დაცული ტერიტორიის კატეგორიის საერთაშორისო კრიტერიუმებს.

პარკის დირექცია შემდეგ საქვეუწყებო დაწესებულებებს მოიცავდა:

- ა) დაცვის სამსახურს;
- ბ) კვლევა-მონიტორინგსა და კონსერვაციის პროგრამების სამსახურს;
- გ) ეკოლოგიური განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;

დ) ვიზიტორთა სამსახურს;

ე) დამხმარე ზონის სამსახურს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ველური ბუნების ამ მშენებინერი მონაკვეთის შესანარჩუნებლად არის შექმნილი. მისი მცენარეული საფარი მრავალ სასიამოგნო სიურპრიზს, უამრავ ლამაზ აყვავებულ მცენარესთან შეხვედრას გვპირდება.

თვალწარმტაცი გარემო ვიზიტორთა მხრიდან გაფრთხილებას და სათუთ მოპყრობას მოითხოვს. პარკის ტერიტორიაზე მოზარდ ხე-მცენარეებს კანონი იცავს და მათი რაიმე სახის დაზიანება დაუშვებელია.

სამწუხაოდ, საზოგადოების უმეტესი ნაწილი ნაკლებად ან საერთოდ არ არის ინფორმირებული იმ მოქმედი კანონ-მდებლობის შესახებ, რომლითაც რეგულირდება გარემოსდაცვითი საკითხები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ჩამოყალიბების პროგრამა სამ კომპონენტს მოიცავდა:

ა) ინფრასტრუქტურის დანერგვა;
ბ) ეკოლოგიური განათლების ტრენინგი;

გ) დამხმარე ზონის პროგრამები;

ეროვნული პარკის დამხმარე ზონის საზღვარი ბორჯომის, ახალციხის, ხარაგაულის, ბაღდათის, ხაშურისა და ადიგენის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებს ემთხვევა.

ვინაიდან ეროვნული პარკი საქართველოს ექვსი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მდებარეობს, ამიტომ იგი ისტორიულად სამ ეთნოგრაფიულ მხარეს განეკუთვნება. ესენია: შიდა ქართლი (ბორჯომისა და ხაშურის რაიონები), სამცხე (ახალციხისა და ადიგენის რაიონები) და იმერეთი (ბაღდათისა და ხარაგაულის რაიონები).

ეროვნული პარკის მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს სიმდიდრე და მრავალფეროვნება მისი ფიზიკურ გეოგრაფიული, განსაკუთრებით კლიმატური პირობების ნაირგვარობით არის განკირობებული. პარკის ჩრდილოეთი ნაწილი მოქცეულია კოდენტის ტენიან ნახევრადსუბტროპიკულ არეალში. ცენტრალური მცირე კავკასიის ოლქში, ხო-

ლო სამხრეთი მესხეთ-ჯავახეთის მშრალი ჰავის გავლენის სფეროში მდებარეობს. ეროვნული პარკის ტყეებში, სუბალპურ და ალპურ მდელოებზე მრავალი ენდემური და რელიქტური მცენარე იზრდება. აგრეთვე, მრავლად გახვდება ცხოველთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობები. აქ არსებული ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი ნაწილი პირგველქმნილი სახით არის შემორჩენილი, რაც უამრავ ტურისტს იზიდავს.

მენეჯმენტის გეგმისა და შესაბამისი დებულების მიხედვით ხორციელდება პარკის და ნაკრძალის ერთიანი მართვა, თუმცა ნაკრძალს შენარჩუნებული აქვს სათანადო დამოუკიდებელი სტატუსი. ტერიტორია დაყოფილია ზონებად. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი მკაცრი დაცვის ზონის ფუნქციას ასრულებს (ნაკრძალისა და პარკის ერთიანი ტერიტორიის დახმარებით 26%), ველური ბუნების ვიზიტორთა ზონას უმეტესი ტერიტორია უჭირავს (64%), ტრადიციული გამოყენების ზონა ძირითადად ზაფხულის საძოვრების არეს მოიცავს (9%), მცირეა აღდგენის ზონის ფართობი (0,5%). დროთა განმავლობაში ეროვნული პარკის ზონირების სქემა და ფართობები შეიძლება შეიცვალოს მენეჯმენტის აქტიური მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან საბოლოო მიზანია, რომ მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდეს IUCN-ის I და II კატეგორიის შესაბამისად, მდგრადი რეემი. საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი აღმასრულებელი ჯგუფის მოვალეობის შესრულება და დაეკისრა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის FWW საქართველოს წარმომადგენლობას. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის „დიდ პროგრამა“ მოიცავდა ორ კომპონენტს. ესენია: საქუთრივ ეროვნული პარკის მოწყობა და პარკის დამხმარე ზონის ინფრასტრუქტურის განვითარება.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკისა FWW და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საკოორდინაციო საბჭოს მემორანდუმის მიხედვით (12 მაისი 2000 წ.) განისაზღვრა ეროვნული პარკის დამხ-

მარე ზონის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებელი: ა) კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები; ბ) დასაქმების პროგრამა დამხმარე ზონაში; გ) გზების შეკეთება; დ) მცირე და საშულაო ბიზნესისთვის ხელშემწყობი საკრედიტო ხაზი; ე) ხარაგაულის რაიონში ყოფილი საკოლმეურნეო ტექნიკის ბაზაზე ადგილობრივი დაქვემდებარების სატყეო მეურნეობის შექმნა.

დამხმარე ზონის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები მიმართულია რაიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მოგვარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. პროგრამის ასეთი ხასიათი განაპირობა არა მხოლოდ რაიონში არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ, არამედ იმანაც, რომ პარკის მდგრადი განვითარება დაკავშირებულია მიმდინარე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე. ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ დამხმარე ზონაში გათვალისწინებული პროგრამები, გარდა მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამისა, ფინანსდება არა კრედიტით, არამედ აბსოლუტურად უსასყიდლოდ ანუ კრანტის მეშვეობით.

განხორციელდა დამხმარე ზონის „დასაქმების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს დამხმარე ზონის დასახლებულ პუნქტებში გარკვეული სასიცოცხლო ობიექტების რემონტსა და რეაბილიტაციას. „დასაქმების პროგრამის“ ფარგლებში ზონად უკვე დასრულდა ცალკეული ობიექტების მშენებლობა, „დასაქმების პროგრამა“ ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას პროგრამის მსვლელობაში. მხედველობაშია მისაღები, რომ თოთოეული ობიექტის რეაბილიტაცია ითვალისწინებდა მოსახლეობის მხრიდან წვლილის შეტანას მთელი მოცულობის 5-10 პროცენტის ოდენობით. შერჩეული ობიექტი წარედგინა საკონკრეტული საბჭოს აღმასრულებელ ჯგუფს, რომლის თანხმობის შემთხვევაში მოეწყო ტენდერი საპროექტო სამსახურების და მშენებლობის გამოსავლენად.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსება აშერად წარმატებულ ქართულ-გერმანულ პროექტთა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა ნებისმიერ ქვეყანაში პირველ ეტაპზე გარკვეულ სირთულეებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას და ამ დროს ძალზე მნიშვნელოვანია ურთიერთნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ინფორმირებულია იმ განსაკუთრებული როლის შესახებ, რაც აცარკის დაარსება და მისი დამხმარე ზონის განვითარებაში ასრულებს გერმანიის მთავრობა, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს პროექტი მხოლოდ ერთი რგოლია ქართულ-გერმანული თანამშრომლობის იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იდებს სათავეს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ დგაწლის შესახებ, რაც გერმანულ ხალხს მიუძღვის საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ-ეკონომიკურ სფეროში.

დაცული ტერიტორიების სისტემა – ნაკრძალი, ეროვნული პარკები, აღკვეთილები და საკურორტო სატყეო მეურნეობის ტყის მასივები – საქართველოს სიმდიდრე და სიამაყეა: ჩვენთან ჯერ კიდევ დაცულია ველური ბუნების ხელუხლებელი მონაკვეთები, რაც განაცვიფრებს უცხოელ საეციალისტებსა და ტურისტებს. განსაკუთრებით ევროპელებს, სადაც ბუნებრივი ეკოსისტემები თუ სამყოფელები უმეტეს წილად ძლიერ სახეცვლილია. ამ სისტემის დაცვა-განვითარება საშვილიშვილო საქმეა, ერთს ჩამოყალიბება გარკვეულ ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობს და ამ პირობების რღვევა უარყოფითად აისახება მის ეთნოფსიქოლოგიურ სიჯანსადეგზე, დაცული ტერიტორიები კიდევ მრავალ სიკეთეს მოგვიტანს ჩვენ და მომავალ თაობებს, თუცი შესაძლებელი გახდება სისტემის და მისი შემაღებელი ერთეულების გამართული მენეჯმენტის უზრუნველყოფა.

ამიტომ დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვების, უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, ვფიქრობ

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნების დაცვა საქუთარი ოჯახის დაცვის ტოლფასია, საზოგადოსა და ეროვნულის გადარჩენისას ხომ საქუთარსაც ვშველით.

დმერთმა ისე ინება, რომ ეს პირველი ეროვნული პარკი ჩვენი ქვეყნის შეაგულში ბაჯაღლოსავით ჩასმული აღმოჩნდა, იგი შეიძლება მომავალში ქვეყნის განვითარების ერთგვარ სიმბოლოდ მივიჩნიოთ.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ სხვადასხვა სახელმწიფოებმა ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის საქმეში.

ვინაიდან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე ჩამოყალიბდა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 3 სექტემბრის №354 ბრძანებულებით იგი შემდეგი რედაქციით დაფიქსირდა და მას ეწოდა „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის აღმინისტრაცია“, რომლის საერთო ფართობია 76426 ჰა, მ.შ. ტყით დაფარულია 66.057 ჰა. აღნიშნული ფართობები შექმნილია ბორჯომი ნაკრძალის – 17.948 ჰა, ბორჯომი ს.მ/მ – 4001 ჰა, ხაშურის – 10848 ჰა, და ახალციხის – 13825 ჰა. აღიგენის – 10848 ჰა, და ბაღდადის – 4559 ჰა, გადმოცემული (რაიონების) სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის და საძოვრების ფართობებიდან, ხოლო 2006 წლის 1 ოქტომბრიდან ბორჯომ-ბაკურიანის ს/მ-ის ტყის ფართობიდან ეროვნულ პარკს გადასცა ახალდაბა-ნედვის სატყეოები, 9.100 ჰა რომლის მთლიანი ფართობი 85000 ჰა-ს შეადგენს.

რაც შეეხება ბორჯომის რაიონში სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება. მენეჯმენტის გაგმის მიხედვით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ტურიზმის განვითარებას უნდა ემსახუროს, რომელიც დიდ შემოსავალს მისცემს პარკის აღმინისტრაციას და დამხმარე ზონის რეგიონების ბიუჯეტს, პირველ რიგში ბორჯომისა და ხარაგაულის რაიონებს.

ტურიზმს, როგორც მეურნეობის დარგს ბუნებრივი რესურსების გამოყენების აშკარად გამოხატული ორიენტაცია აქვს.

ტურიზმის ერთ-ერთი საყურადღებო და საყოველთაო მნიშვნელობის ამოცანაა – ადამიანებს ასწავლოს და შეაყვაროს ბუნება, გააცნოს მატერიალური კულტურის ძეგლები და მისი კანონები, მოცუროს მას შეგნებულად და სათუთად.

ამჯამად მოქმედი ტურისტული მარშრუტები სხვადასხვა სიგრძის, ხანგრძლივობისა და სირთულის არის, რაც ტურისტებს ხელს უწყობს გემოვნების, პროფესიული ინტერესებისა და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით შეარჩიონ სასურველი მარშრუტი. ბილიკები აყვანილია საქართველოს სამაშველო-საგამყიდველო სამსახურის აღრიცხვაზე, რაც ზრდის ტურისტთა უსაფრთხოებას ბილიკებზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათვის ოპერატორს სამაშველო და საგამყოლო მომსახურეობის გაწევას.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაარსებული პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში. იგი შეიქმნა 1995-1999 წლებში ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის – WWF-ის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულმა პარკმა თავისი ბუნებრივი ფასეულობებით და ტურისტული პოტენციალით კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 2006 წელს იგი გახდა PANPARK-ების საერთაშორისო ქსელის წევრი.

PANPARK – ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელია. იგი ჩამოყალიბდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) და ჰოლანდიური ტურისტული კომპანიის მოლეკატენის მიერ 1997 წელს. PANPARK-ების მიზანია ევროპის კულტურული ბუნების დაცვა, შენარჩუნება და მდგრადი ტურიზმის განვითარება.

PANPARK-ის ორგანიზაციის ყურადღება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულმა პარკმა განსაკუთრებით იმით მიიპყრო, რომ იგი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, გააჩნია იურიდიული

სტატუსი, რომელიც მას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს, ეროვნულ პარკს გააჩნია მუშაობის კონკრეტული პროგრამების და ევროსტანდარტების შესაბამისი სტრუქტურა, და, რაც მთავარია, ტერიტორიის დაცვისა და კონტროლის შესაბამისი მექანიზმები, აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნულ პარკს აქვს თავისი ლოგო, რაც მნიშვნელოვანია ეკო-ტურიზმის და საერთოდა პარკის პოპულარიზაციისათვის.

PANPARK-ების წევრობა დაცული ტერიტორიის უმაღლეს დონეზე კონტროლის დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტიაა.

PANPARK-ებში დღეისათვის გაწევრიანებულია შემდეგი ეროვნული პარკები: ბიეშადის ეროვნული პარკი (პოლონეთი), ცენტრალური ბალკანეთის ეროვნული პარკი და როლას ეროვნული პარკი (ბულგარეთი), მაივლას ეროვნული პარკი (იტალია), ოულანკას ეროვნული პარკი

(ფინეთი), რეტეზატის ეროვნული პარკი (რუმინეთი), ფულუფიალეტის ეროვნული პარკი (შვედეთი), პანაიაგრის ეროვნული პარკი (რუსეთი) და ამიერიდან, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიც (საქართველო).

რას მოუტანს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს და მის რეგიონს PAN-PARK-ებში გაწევრიანება? – ეს არის ბუნების გაუმჯობესებული დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების კონკრეტული საშუალება, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს ადგილობრივი მცირე ბიზნესის განვითარებას, გაუმჯობესებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, საერთაშორისო აღიარებას, საერთაშორისო მარკეტინგს და რეკლამას, რაც მზარდი მასშტაბით ტურიზმის განვითარებისა და გარანტიაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და მის რეგიონში.

ლიტერატურა:

1. ბიბაშრი ბიორბი, საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება, 200 წ. თბილისი.
2. ბოცირიძე ლევანი, მეურნეობის განვითარება, ნაკრძალის შექმნა და ეროვნული პარკის ჩამოყალიბება ბორჯომის ხეობაში. WWF-ის გამომცემლობა. 2001 წ. თბილისი.
3. ბოცირიძე ლევანი, ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური მდგრადობა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წლებში, 2003 წ. თბილისი.
4. ბოცირიძე ზვიადი, ბორჯომ-ხარაგაულის – ეროვნული პარკის ნაძვნარების ბუნებრივი განახლება ნაძვის დიდი ლაფნიჭამიით და მბეჭდავი ქერქიჭამიით დაზიანებულ და გამეჩხერებულ კორომებში. 2006 წლის საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. XXXIV. გვ. 88-90.
5. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მეგზური.

X. სამკურნალო მცენარეები

მ. გითია, მ. ჯოხეაძე, ჯ. ჩუქუხიძე

ხველების სატინააღმდეგო და ამოსახველებელი სამკურნალო მცენარეები ბალბისებრთა ოჯახილანი

სასუნთქი ორგანოების დაავადებათა მრავალგვარი ეტიოლოგიისა და კლინიკური მიმღინარეობის გამო, ხველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელ საშუალებთა ძიება დღემდე აქტუალურ საკითხად ითვლება. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სამკურნალო საშუალებთა უკნებლობის, მასთან მიზევისა და დამოკიდებულების საკითხების შესწავლას.

მცენარეული წარმოშობის ხველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელ საშუალებას ხშირ შემთხვევაში უპირატესობა გააჩნია ასეთივე მოქმედების სინთეზურ პრეპარატებთან შედარებით. მაღალი ბიოლოგიური აქტივობა, დაბალი ტოქსიკურობა, სუსტად გამოხატული გვერდითი მოქმედებები მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა დაღებითი მახასიათებელია [9,10] ბალბისებრთა (Malvaceae) ოჯახის ზოგიერთი წარმომადგენლის სამკურნალო საშუალება სწორედ ასეთი მოქმედებისაა.

ბალბისებრთა ოჯახი აერთიანებს დაახლოებით 80 გვარს და 1600-მდე სახეობას. ჩვენში იზრდება 22 სახეობა, რომლებიც 10 გვარს განეკუთვნება [1].

ოჯახის წარმომადგენლები ფართოდაა გაგრცელებული მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით უხვად გვხვდება სამხრეთ ამერიკაში. უმრავლესობა ბალახი ან ბუჩქია, იშვიათად გვხვდება ხეები (ტროპიკულში). მათი ფოთლები მარტივია, მორიგეობით განლაგებული, თანაფოთლებიანი, ზოგჯერ ვარსკვლავისებრი ბუსუსებით სქლად შებუსვილი. მრავალი წარმომადგენელი პოლისაქარიდებითა (ლორწო) მდიდარი, რომელიც ცალკეულ უჯრედში – იდიობლასტებშია ლოკალიზებული.

ამ ოჯახის ცნობილი სამკურნალო მცენარეა ტუხტი (*Althaea officinalis*) და ხომეჭი (*A. armeniaca*). ორივე მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. მათი ფესვები და მიწისზედა ნაწილი შეიცავს პოლისაქარიდებს (ლორწო). ფესვების ნაყენი, მშრალი ექსტრაქტი და სიროფი როგორც ამოსახველებელი, დამარბილებელი და ანთებისაწინააღმდეგო საშუალება გამოიყენება სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის კატარალური მოვლენების შემთხვევაში.



ფესვების ფხვნილი შედის პრეპარატი – „ტონზილგონის“ შემადგენლობაში, რომელსაც ახასიათებს ანტისეპტიკული, ანთებისაწინააღმდეგო, ანტივირუსული, იმუნოსტიმულატორული აქტივობა.

ბალახიდან მომზადებული პრეპარატი – „მუკალტინი“ როგორც ამოსა-

ხველებელი საშუალება გამოიყენება ბრონქიტების, პნევმონიების და ბრონქოექტაზების სამკურნალოდ [11].

გვარი ბალბას (ალვა) სახეობები სალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი სისტემების ანთებითი პროცესების დროს; აგრეთვე როგორც გარეგანი საშუალება ბლეფაროკონიუქტივიტების, პაროტიტებისა და სხვა სახის ჩირქოგანი იარების სამკურნალოდ [4-8].

საქართველოში გავრცელებულია ბალბას 5 სახეობა: *Malva silvestris* L., *M. pusilla* Smith, *M. neglecta* Warll, *M. ambigua* Guss da *M. erecta* C. Presl. [1]



ჩვენს მიერ შემუშავებულია ბალბის (*Malva silvestris* L.) მიწისზედა ნაწილიდან პოლისაქარიდების ფრაქციონირების მეთოდიკა. გაზური ქრომატოგრაფირების მეთოდით დადგენილია მათი მონოსაქარიდული შედგენილობა. აგრეთვე წყალში სხნადი პოლისაქარიდების ჯამის ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებები [2]. წყალში სხნადი პოლისაქარიდების გასუფთავებული ჯამის საფუძველზე მიღებულია ამოსახველებელი მოქმედების შემსუნა ტაბლეტები, რომლის მუკოსეკრეციული და მუკოლიზური აქტივობა შედარებულია პრეპარატ „მუკალტინთან“ [3]. ფარმაკოლოგიური კვლევები ჩატარდა თსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფარმაკოლოგისა და ბიოლოგიური კვლევების განყოფილებაში.

დადგენილია, რომ ბალბას (*Malva silvestris* L.) წყალში სხნადი პოლისაქარიდების გასუფთავებული ჯამი, მუკალტინის მუკოსეკრეციული და მუკოლიზური აქტივობის მსგავსია. კვლევების შედეგები საფუძველს იძლევა დავასხვნათ, რომ შემსუნა ტაბლეტები ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სასუნთქ გზებში კატარალური მოვლენების სამკურნალოდ.

რეზიუმე

შესწავლილია საქართველოში გავცელებული გვარი ბალბას (*Malva*) სახეობები: *Malva silvestris* L., *M. pusilla* Smith, *M. neglecta* Warll, *M. ambigua* Guss და *M. erecta* C. Presl. პოლისაქარიდების შემცველობის თვალსაზრისით. შემუშავებულია პოლისაქარიდების ფრაქციონირების მეთოდიკა და დადგენილია მათი მონოსაქარიდული შედგენილობა. *M. silvestris* მიწისზედა ნაწილიდან გამოყოფილი წყალში სხნადი პოლისაქარიდების ჯამის საფუძველზე მიღებულია ამოსახველებელი მოქმედების შემსუნა ტაბლეტები; შემუშავებულია მისი სტანდარტიზაციის მეთოდები. დადგენილია მათი მუკოსეკრეციული და მუკოლიზური აქტივობა.

M. GETIA, M. JOKHADZE, J. KUCHUKHIDZE

THE PLANTS FROM FAM. MALVACEAE WITH ANTITUSSIVE AND EXPECTORANT ACTIVITIES

SUMMARY

The content of polysaccharides has been examined in the plant of Mallow species. Have been determined fractional and monosaccharide constitutions of the polysaccharides. Were received effervescent tablets on the base of water soluble fractions, which has a mucous-litic and mucous-secretory activities. Is studied the methods of standardization of the effervescent tablets.

ÇÀÂIÄÛ ÎÒ FAM. ÌÀËÜÂÎAÛÅ ÑÎ ÑÐÅÄÑÒAÏÌ ÏÐÎÒÈÂ
ÊÀØËß È ÌÒÓÀÐÈËÅÀ ÛÈÌÈ ÄÅÉÑÒAÈßÌÈ

ĐÀO CẨM

Ñ ñååðæàíèå ííëèñàðåðèåíâ áúëèí èññëåäíâàíí íà çàâíå äå ðåçííâèáíñòåé Mallow. Áúëèí íðåäåëåíû ôðåêöèííûå è ííñòèòòööè ííçû ííëèñàðåðèåíâ. Áúëèí íëëó÷åíû øèïó÷èå ðàáëåðèé íà íñííâå åíäíûô ðåçðåøèíûô ôðåêöèé, ó åí ðíðíé åñòü ñëèçèñòûå-litic è ñëèçèñòî-ñååðåòîðíûå åäéñòåèÿ. Èçó÷åí íåðöåíû ñòåííàðòèçàöèé øèïó÷èô òàåëåðòî.

გამოყენებული ლიტერატურა:

XI. საიუნილერი მილოცვები, ინფრარამაციები... პეტრე დუნდუა - 80



ოთხმოცი წელი შეუსრულდა სა-
ტყეო მრეწველობის დაწყლოსილ მუ-
შაკს, საქართველოს დამსახურებულ ინ-
ჟინერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქ-
ტორს, დარგობრივ მეცნიერებათა აკადე-
მიის ვიცე-პრეზიდენტს, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატს, საქართველოს ტექ-
ნიკური უნივერსიტეტის პროფესორს,
ბატონ პეტრე დუნდუას.

ბატონმა პეტრე დუნდუამ თავიდანვე
ცხოვრების წესად აირჩია მართალი კა-
ცის ცხოვრება და თავისი მოღვაწეობის
დიდ გზაზე არასდროს გადაუხვევია ამ
ფუძემდებლური პრინციპიდან.

ბატონი პეტრე დაიბადა 1931 წელს
თბილისში. 1954 წელს წარჩინებით და-
ამთავრა თბილისის სასოფლო-სამეცურ-
ნეო ინსტიტუტის სატყეო-საინინრო ფა-
კულტეტი და ამავე წელს განაწილებით
იწყებს მუშაობას საქართველოს ცელუ-
ლოზა-ქადალდისა და ხის დამამუშავე-
ბელი მრეწველობის სამინისტროს, ჯერ
კიდევ მშენებარე, თბილისის საავეჯო
კომბინაციის მშენებარე საშრობ-საგამომჭრელო სამქროში ცხრა
ახალი, მაღალმწარმოებლური ექვე-
ციური ტიპის საშრობი კამერების სამ-
შენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხელ-
მძღვანელობა, მათი გამართვა და ექს-
პლუატაციაში გაშვება.

ამ პირველი, მეტად საპასუხისმგებლო
დავალების შესრულებაში ახალგაზრდა
24 წლის სპეციალისტმა გამოამჟღავნა
შესანიშნავი ორგანიზაციული უნარ-ჩვე-
ვები და მაღალი შრომისუნარიანობა, რა-
მაც ხელმძღვანელობის ყურადღება
მიიპყრო. 1956 წელს იგი ინიშნება მის
მიერ აშენებული საშრობ-საგამომჭრე-
ლო სამქროს უფროსად, შემდგომში მთ-
ვარ ინჟინრად.

1964 წელს საქართველოს სახალხო
მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით,
თბილისის საავეჯო კომბინაციის შემად-
გენლობაში მექანიკურად იქნა შეყვა-
ნილი თბილისის სხვადასხვა უწყებების
ავეჯისა და ხის დამუშავების პრიმიტი-
ული კუსტარული საწარმოები. ამ, ეგრეთ
წოდებულმა „რეორგანიზაციაშ“ როული
პრობლემების წინაშე დააყენა კომბინა-
ციის ხელმძღვანელობა. ამ ურთულეს სი-
ტუაციაში სახალხო მეურნეობის საბჭოს
გადაწყვეტილებით ბ-ნი პეტრე ინიშნება
ახლადორგანიზებული თბილისის საავე-
ჯო-საწარმო გაერთიანება „განთიადის“
გენერალურ დირექტორად.

ამჯერად ათწლიანი საწარმოო სტა-
უს გამოცდილებით გაკაუებულმა ბ-მა
პეტრემ გვერდში დაიყენა თავისი ერთ-
გული თანაკურსელი მეგობრები (შოთა
ჯავახვილი, გიორგი თორაძე, გიორგი
გიორგობიანი, ნოდარ ქვარაია, ელგუჯა
ძიძიგური, აკაკი ლიპარტიანი, ირაკლი
ჩიხუა, ნოდარ ბებიაშვილი, შოთა ბალ-
შვილი, ბუდუ ლორია) და მისი ჩვეული
ოპტიმისტური განწყობა-შემართებით
ენერგიულად შეუდგა გაერთიანების
ათასეუთასკაციანი კოლექტივის ხელმ-
დვანელობას.

გაერთიანების თითოეულ წევრთა ერთსელოვნებამ თავისი გაიტანა და 1968 წლის შედეგებით გაერთიანება „განთოადი“ თბილისის მოწინავე საწარმოთა რიგში ჩადგა.

დირექტორად მუშაობის 14 წლის პერიოდში მისი პირადი ინიციატივით და საქართველოს ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის ბატონი შოთა დოლიძის აქტიური მხარდაჭერით და ხელისშეწყობით არაერთხელ განხორციელდა „განთიადის“ სათაო წარმოების (თბილისის საავეჯო კომბინატის) გაფართოება, ტექნიკური გადაიარაღება და რეკონსტრუქცია. 1972 წლისათვის აშენებული და შეკვანილი იქნა ექსპლოატაციაში დამატებით 18 ათასი კვ. მეტრი საწარმო ფართი, რომელიც დაკომპლექტდა იმპორტული მაღალმწარმოებლური დაზგა-დანადგარებით და ავტომატიზირებული ხაზებით. მარტო ამ ტექნიკური ბაზის გაფართოებით „განთიადის“ საავეჯო წარმოების სიმძლავრე 7 მლნ. მანეთიდან გაიზარდა 25 მილიონამდე.

შრომითი კოლექტივის საქმიანობის უნარიანმა წარმართვამ, კერძოდ, თანამედროვე ტექნიკის დანერგვამ, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფამ, ახალი პროგრესული მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებამ, შიდადარგობრივი კოპერაციის გაფართოებამ საავეჯო დეტალების უნიფიკაციამ და სხვა, „განთიადის“ სათაო წარმოება 1977 წლის მდგრმარეობით ხე-ტყის მრეწველობის თანამედროვე ტიპის მძლავრ ინდუსტრიულ საბაზო წარმოებად წარმოაჩინა.

წარმოების ტექნიკური ბაზის გაფართოებასთან ერთად ასევე მზარდი ტემპით უმჯობესდებოდა მომუშავეთა სოციალური და საკონფიდენციალური მომენტების მდგრმარეობით ხე-ტყის მრეწველობის თანამედროვე ტიპის მძლავრ ინდუსტრიულ საბაზო წარმოებად წარმოაჩინა. 1971-1977 წლებში „განთიადის“ მიერორაიონში აშენდა ოთხი 54-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მოვალებულ თრსართულიან საერთო საცხოვრებელს, სადაც უმძიმეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება 48 ოჯახს, ჩატტარდა გაფართოებული რეკონსტრუქცია. ამავე პერიოდში აშენდა 140 ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღი კეთილმოწყობილი ეზოთი, აშენდა სამსართულიანი კულტურის სახლი – კინო-კლუბი, სპორტული დარბაზი და კეთილმოწყობილი სასადილო,

2-სართულიანი სასწავლო კორპუსი პროფესიული სასწავლებლისათვის, რომელიც პირადად ბ-6 პეტრეს ინიციატივით იქნა შექმნილი 1967 წელს. ეს იყო სასწავლებელი საშუალო სკოლის განათლების უფლებამოსილებით, სადაც სწავლობდა 300-მდე ახალგაზრდა – მომავალი პროფესიონალები სატყეოსამრეწველო კომპლექსისათვის.

ასეთი იყო პეტრე დუნდუას მშობლიურ „განთიადში“ 24 წლის მანძილზე თავდადებული და კეთილსინდისიერი შრომით მიღწეული სასიკეთო შედეგები.

მთავრობის განკარგულებით – სატყეო მრეწველობის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დარგობრივი საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს, გამოთვლითი ცენტრის და თბილისის ექსპერიმენტალური საავეჯო ფაბრიკის ბაზაზე 1978 წელს შეიქმნა სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „მერქანი“, რომლის გენერალურ დირექტორად დაინიშნა ბ-6ი პეტრე დუნდუა. გაერთიანება „მერქანში“ ხელმძღვანელად 26 წლის მუშაობის პერიოდში ბ-მა პეტრემ დიდი ძალისხმევა მოახმარა სამეცნიერო და საპროექტო ერთიანი ძლიერი კომპლექსის ჩამოყალიბებას. ბ-ნი პეტრეს თეორიულმა ცოდნამ, მდიდარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, მაღალმა ერუდიციამ, პროფესიონალურმა აღღომ და ხელმძღვანელობის უდიდესმა გამოცდილებამ თავისი ნაყოფი გამოიღო საქართველოს სატყეო მრეწველობის დარგის საწარმო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებაში.

ბ-ნი პეტრეს ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და განხორციელდა როგორც მოქმედი, ასევე დარგის ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა საქართველოს სატყეო კომპლექსის კონცეფცია 1996-2005 წლებისათვის. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა დაინერგა დარბის საწარმოებში მთელი რიგი პროგრესული ტექნოლოგიები, ნორმატიული აქტები, ხე-ტყის ნედლეულის ხარჯვის ნორმატივები, დარგობრივი სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები და ტექნოლოგიური რეჟიმები. მას განხსაკუთრებით დიდი დგაწლი მიუძღვის ხელის შრომატევადი საწარმო პროცესების მექა-

ნიზაციისა და ავტომატიზაციისათვის
მაღალმწარმოებლური მოწყობილო-
ბების შექმნასა და დანერგვაში.

1982-1988 წლებში გაერთიანება „მერ-
ქანში“ დამუშავდა და თბილისის ავეჯის
ექსპერიმენტალურ ფაბრიკაში დაინერგა
მხატვრული ჭრის სივრცით მექანიზმით
და მექანიკური პროგრამირებით აღჭურ-
ვილი ავტომატური ჩარხი. აღნიშნული
ჩარხის 200 კომპლექტი 1989-1992 წლებში
სერიულად იქნა დამზადებული მოსკოვის
ხის დამამუშავებელ ექსპერიმენტალურ
ქარხანაში. ამ ჩარხის შექმნაზე ავტორთა
ჯგუფთან ერთად ბ-ნ პეტრეს მიენიჭა
საქართველოს სახელმწიფო პრემია მეც-
ნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1990 წელს ბ-მა პეტრემ დაიცვა საკან-
დიდატო, ხოლო 2000 წელს საღისებრო
დისერტაცია ოქმაზე: „მერქნის დამზადე-
ბის და მისი ღრმად გადამუშავებისათვის
რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და
მანქანათა კომპლექსების დამუშავება“.
მას მიღებული აქვს 26 საავტორო მოწ-
მობა და პატენტი. იგი ავტორია ასზე
მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრო-
მისა, მათ შორის ოთხი მონოგრაფიისა
და სამი სახელმძღვანელოსი. მისი დი-
რექტორად მუშაობის 40 წლის პერიოდში
აღიზარდა და დაწინაურდა ხეტყის მრე-
წველობის დარგის მრავალი მუშაკი.

სატექნიკურო გენერაციის დარგში მიმ-
დინარე რეფორმების გატარებაში, მა-
დალმწარმოებლური მოწყობილობების
შექმნასა და დანერგვაში შეტანილი პი-
რადი დიდი წვლილისათვის, მაღალი
პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სა-
მეცნიერო-საწარმოო საქმიანობისათვის,
ბ-ნი პეტრე 2001 წელს საქართველოს
პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილ-
დოვდა „დირსების ორდენით“.

ხანდაზმულობის მიუხედავად ბ-ნი
პეტრე გამოიჩინა სადი აზროვნებით
და საოცარი მეხსიერებით. 2003 წლიდან
იგი მუშაობს საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტში და პროფესორის რანგში
წარმატებით ეწევა სამეცნიერო-პედა-
გოგიურ მოდგაწეობას.

არ შეიძლება, რომ ბ-ნი პეტრეს ბი-
ოგრაფიაში არ მოვიხსენიოთ მისი შე-

სანიშნავი და ერთგული მეუღლე ქნი
ნინო ჩაგუნავი, რომლის მოულოდნელმა
გარდაცვალებამ დიდი ტკივილი დაუ-
ტოვა ბ-ნ პეტრეს და მის ოჯახს.

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ-
ნი ნინო 30 წელიწადი ხელმძღვანელობ-
და სატექნიკურო გენერაციის სამეცნიერო-
კალეგითი, ტექნოლოგიური ინსტიტუტის
ქიმიის განყოფილებას. მას უდიდესი
დვაწლი მიუძღვის დარგის საავეჯო
საწარმოებში, მოპირკეთებისა და შეწებ-
ვის ახალი მასალებისა და პროგრესული
ტექნოლოგიების დანერგვაში. ქ-მა ნინომ
თავის საყვარელ, ერთგულ მეუღლეს
დაუტოვა შესანიშნავი, მყარად ფეხზე
დამდგარი ქალ-ვაჟი და ხუთი ბრწყინ-
ვალე შვილიშვილი, რომლებიც ამაყობენ
თავისი ოთხმოცი წლის კეთილი და ად-
ვილად დამთმობი საყვარელი ბაბუით.

ასეთია ბ-ნი პეტრე დუნდუას როგორი
და მრავალფეროვანი შემოქმედებითი
ცხოვრების გზა, რომელმაც მყარი საძირ-
კებელი შექმნა მისი მკაფიოდ გამოკვე-
თილი მაღალი დირსებული პიროვნების
წარმოქნას.

ბატონო პეტრე, „სატექნიკური მოამბის“ სა-
რედაქციო კოლეგია, შპს „საქტემრეწვი“,
სს „განთიადი“, სს „კალასი“, სს „კედარი“,
სს „ოპიზარი“, თქვენი კოლეგები და მე-
გობრები, დიდი სიყვარულით გილოცავთ
დაბადების 80 წლისა და საწარმოო, სა-
მეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო-
ებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს. თქვე-
ნი არაჩვეულებრივი ადამიანური თვი-
სებებით, მრომისმოყარებით, საქმისადმი
კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით,
მაღალი პროფესიონალიზმით. ხელ-
მძღვანელობის იშვიათი უნარ-ჩვევებით,
მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით,
ქართული სიდარბაისლითა და საოცარი
კეთილშობილებით, თვალსაჩინო ადგილი
დაიმკიდრეთ ქართულ საზოგადოებაში.

გისურვებო ხანგრძლივ, ჯანმრთელ
სიცოცხლეს თქვენ საყვარელ ოჯახთან
ერთად. სიკეთე, სითბო, ბედნიერება, სუ-
ლიერი სიმშვიდე, სიხალისე, ოპტიმიზმი
და საქართველოს უკეთესი მომავლის
რწმენა ყოფილიყოს თქვენი ხანგრძლივი
სიცოცხლის მეგზური.

შოთა ჯარშვილი, ბოგი თორაძე, ტრისტან ჩერქეზიშვილი,
გაბრატ მიტრეველი, გორის გოგოლიშვილი, რევაზ რგოლაძე,
ელდარ ლობშანიძე, ზაურ გალამზალი, ედვარდ ლობშანიძე,
გერიკა გინდელი, ელგუჯა მიმიბური, გიორგი გიორგიშვილიანი.

თემატიკური პანდელაპი - 70

დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა სატყეო ეკონომიკის თვალსაჩინო მკვლევარს, სრულ პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თემურაზ განძელაკს.

დაიბადა 1941 წელს ქ. თბილისში. 1958 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ბრიანსკის ტექნილოგიური ინსტიტუტის სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე; 1962 წ. გადმოვიდა საქართველოს სახოფლო სამეურნეო ინსტიტუტში, იგივე სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1964 წელს.

როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული დატოვებულ იქნა იმავე ინსტიტუტში, სატყეო ეკონომიკის ტაქსაციის და ხეტყის დამზადების კათედრაზე, სადაც განვლო გზა უფროსი ლაპორანტიდან კათედრის გამგემდე, 1969-74 წ.წ. მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მერქნის ტექნილოგიის კათედრაზე და სამთო მეტყველების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1974-83 წ.წ. იყო სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო სექტორის უფროსი. 1972 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1985 წ. ლენინგრადის სატყეო ტექნიკურ აკადემიაში – სადოქტორო დისერტაციები. 1978 წ. ხდება დოკუნტი, 1988 წ. – პროფესორი, 2009 წ. – უნივერსიტეტის სრული პროფესორი. 2006 წ. – სატყეო ფაკულტეტის დეკანი, 2007 წ. – უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი და სატყეო დარგში სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა, 1997-2000 წ.წ. მუშაობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ,



საქართველოში FAO-ს ეროვნულ კორესპონდენტად სატყეო საკითხებში, 1997 წ. იყო მეტყველეთა საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, 1996 წელს აირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. გამოქვეყნებული აქვს 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფიები, დამსმარე სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, ამჟამად ხელმძღვანელობს დოქტორანტებს.

1999 წ. დაჯილდოვდა დირსების ორდენით, 2000 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყველის საპატიო წოდება.

ვუსურვებთ ბატონ თემურაზს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ელდარ ლობანიძე, რევაზ ობოლაძე, ლევან ბგაზავა, აგთანდილ ზედგინიძე, ბიძინა თავაძე


ვულოცავი!

მეცნიერის აღიარება

პროფესორი ელდარ ლობჟანიძე წლების მანილზე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და მერქანმცოდნეობის განვითარების გამოყიდების გამგედ. მეცნიერების ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 2009 წელს გამოცემული ფუნდამენტალური მონოგრაფია „კამბიუმის აქტივობისა და მერქნის ჩამოყალიბების ეკოლოგია“.

გასულ წელს მერქანმცოდნეობის თანამედროვე პრობლემების რეგიონალურმა საკოორდინაციო საბჭომ (მოსკოვის სახელმწიფო სატყეო უნივერსიტეტი) საბჭოს სამი წევრი და მათ შორის პროფ. ე. ლობჟანიძე წარადგინა კალიფორნიის უნივერსიტეტში (აშშ) მერქანმცოდნეობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატად. არჩევნებში გაიმარჯვა ჩვენმა თანამემამულებ და ა.წ. იქნის ში მიიღო აკადემიის პრეზიდენტის, ფრანკ ბეილის მოლოცვა:

„ძვირფასო პროფესორო ლობჟანიძე, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ არჩეული ხართ მერქანმცოდნეობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოკოსად. ეს ითვლება დიდ პატივად დარგის მეცნიერთა საზოგადოებაში და წარმოადგენს ოქვენს მიერ მეცნიერების ამ სფეროში შეტანილი წვლილის აღიარებას. მოხარული ვართ, რომ არჩევნებმა ოქვენთვის წარმატებით ჩაიარა. დღეიდან ოქვენი ქვეყანა წარმოდგენილი იქნება



ამ დირსშესანიშნავ სამეცნიერო დაწესებულებაში. კვლავ გილოცავთ წარმატებას“.

ფრანკ ბეილი. აკადემიის პრეზიდენტი.

აღნიშნული საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემია დაარსდა ამერიკაში 1966 წელს. პროფ. ე. ლობჟანიძე ამ აკადემიის რიგით მეოთხე წევრია პოსტსაბჭოთა სივრციდან, რაც ნიშნავს ქართული სატყეო-ბიოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო აღიარებას.

(დიპლომის ასლი თან ერთვის).



*International Academy
of Wood Science*

has elected

Prof. Dr. Eldar Lobzhanidze

as

Fellow

in the year 2011

Frank C Beall

Frank C Beall
President

ვულოცავი დოქტორის აპადემიური ხარისხის მოპოვება:

1. მადონა ხშეპივაძეს, რომელმაც ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დია სხდომაზე 2010 წლის სექტემბერში დაიცვა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი თემაზე: „მცირებიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამმუშავებელ მრეწველობაში“ (ოპონენტები: ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გია მალაშვილი; ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გოჩა მანველიძე).

2. გიორგი შავიარაძეს, რომელმაც 2011 წლის 28 აპრილს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დია სხდომაზე დაიცვა სატყეო საქმის დოქტორის აკადემიური ხარისხი თემაზე: „პავლოვნიას ბიოეკოლოგიური თავისებურებანი და ფერმერულ მეურნეობაში მისი გაშენების პერსპექტივები“ (ხელმძღვანელი – სრული პროფესორი – თემურაზ კანდელაკი).

ჩიტივით გაფრენილი ნახევარი საუბანი (სატყეო ფაკულტეტის 1960 წლის კურსდამთავრებულთა შეხვედრის შესახებ 2010 წლის ნოემბერში)

ნახევარსაუკუნოვანი დროის ათვლა 1960 წლის 18 ივნისიდან დაიწყო, როცა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეცნიერო ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარებელ – რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობისა და ნაკრძალების მთავარი სამსართველოს უფროსმა, იოსებ ჩოდრიშვილმა და ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა იასონ აბაშიძემ თცდაჩვიდმეტ ახალგაზრდას, ინსტიტუტის დამთავრება და მეტყვევა ინჟინრის პვალიფიკაციის მინიჭება მოგვილოცეს.

როცა ამ ცერემონიალის შემდეგ ინსტიტუტის წინ მდებარე პარკში გამოვეფინეთ, ყველანი გვიხმო კურსის უხუცესმა, მეორე მსოფლიო (სამამულო) ომის მონაწილემ ვახტანგ სამხარაძემ და ჩამოგირიგა თითოეულს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათები, რომელმიც ოქროსფრად იყო ჩაბეჭდილი ყველა კურსდამთავრე-

ბულის გვარ-სახელები და თხოვნა (მიწვევა): ამავე ადგილას შევხვედროდით ერთმანეთს ათი წლის შემდეგ – 1970 წლის პირველ სექტემბერს. ვახტანგმა ისიც დაყოლა, რომ შეიძლება მე ამ ხანობამდე ვერც მივალწიო, მაგრამ ხომ მომიგონებთ; ჩემთვის ესეც საკმარისია.

ეს შეხვედრა მართლაც შედგა საღსალამათი ვახტანგ სამხარაძის მონაწილეობით ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად და შემდგომში ტრადიციად დამკვიდრდა. დრო კი თავის მდინარეებით მიედინებოდა. ჩვენც ცხოვრებისეული გამოცდილება გვემატებოდა, ვიცვლებოდით, ვდგინდებოდით, ვჭარმაგდებოდით.

თავიდან კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი განაწილებით გაიგზავნა საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის ტყების მოწყობის საწარმოში და ჩაბენენ ტაქსატორთა რთულ საქმიანობაში. იქ მუშაობის ხანგრძლივი დროის (წლების) განმავლობაში მათ

მიერ შექუმავებულ იქნა ტყეების მართვის ხანგრძლივებიდანი გეგმები (პროექტები) არა მარტო საქართველოს, არამედ ასევე ჩრდილოეთ-კავკასიის, ურალის, ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის რეგიონებისათვის. სპეციალისტთა გარკვეული ოდენობა გაიგზავნა უშავლოდ სატყეო მეურნეობაში, სადაც ათეული წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდნენ ადგილებზე ტყის რესურსების ათვისების, ტყეების აღდგენის და დაცვის სამუშაოებს. რამდენიმე თანაცურსელმა სამეცნიერო-სასწავლო სფეროშიც გაიკვალა გზა და სამეცნიერო ხარისხები და წოდებები დაიმსახურეს.

ასე, შორმით და გარჯით, მივაღწიეთ ნახევარსაუკუნოვან მიჯნამდე (თუმცა, სამწუხაროდ, არა ყველამ).

2010 წლის 18 ნოემბერს ამ თარიღი-სადმი მიძღვნილ თანაცურსელთა შეხვედრაზე მოვიგონეთ ჩვენგან გამოკლებული თანაცურსელები:

– ნოდარ ჭერაშვილი – ტრაგიულად დაღუპული პირველი გამოკლებული მეგობარი (1962 წ.), ნამდვილი ქართველი ვაჟაცი, რომელიც თავისი სახიერებით და ფიზიკური აღნაგობით თვით პოლივუდსაც კი დაამშვენებდა;

– ვაჟა ლოლობერიძე – ნაღდი, ალალი კაცი; ბუნებით გამორჩეული, ნამდვილი ბიზნესმენის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელსაც არ დასცალდა სრულად ფრთხების გაშლა;

– ნოდარ ლომინეიშვილი – კურსის უცვლელი სტაროსტა და წინამდობლი, ყველას დამკვალიანებელი და ჭკუის დამრიგებელი;

– სეზარ თელია – ალალი ვაჟაცი, უნიჭიერესი კაცი; ჭაბუკობაში ცხობილი ფალავანი;

– ანზორ ხურცილავა – მუდამ სიკეთის მოესველი, თბილისის „დინამოზე“ ფანატიკურად შეეგარებული;

– შოთა რესაძე – ყველასათვის საყვარელი პიროვნება; წლების მანძილზე „ტყეპროექტის“ უფროსი;

– შოთა სანოძე – ნაღდი ხონელი, უწყინარი პიროვნება, ხელყის გადამუშავების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი;

– რამაზ შიშნიაშვილი – დიდი მიხეილ ჯავახიშვილის შვილიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი, წლების მანძილზე რესპუბლიკის ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი (დეპარტამენტის თავმჯდომარე);

– გურამ ბაშარაძე – გულწრფელი პიროვნება, თანაცურსელებზე უზადოდ შეყვარებული და ყველას პატივისმცემელი;

– ემანუილ ჭანტურია – ბუნებით პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, თანაცურსელთა საკუთარი ლექსებით შემაგრძელი. ვერაგი მტრის ტყვიით განიგმირა, მეუდღესთან ერთად, აფხაზეთის ავადმოსაგონარ ომში;

– რეზო კვიტაშვილი – გამორჩეული პიროვნება, წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში;

– გურამ მჭედლიშვილი – ნაღდი ქალაქელი, გულწრფელი ადამიანი. გამორჩეულად, მოდურად ჩამცმელი, რის გამოც მეტსახელად „სტილნი“ შევარქვით და ასე იცნობდნენ თითქმის ყველგან;

– რობერტ უშვერიძე – ტყეპროექტში „პატარა დათიკო პაპავად“ წოდებული, იუმორით აღსავსე, კარგი მოპურმარილე;

– ლილი მანუჩარაშვილი – მთელი კურსის სათაყვანებელი არსება;

– გურამ გაჩეჩილაძე – უპატიოსნესი კაცი, უერთეულესი მუშაკი. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროში მინისტრის თანაშემწედ და თითქმის სამსახურში აღამებდა და ათენებდა;

– იოსებ მანველიშვილი (ჩვენი „იოსეკა“, სიკეთით აღსავსე, უანგარო პიროვნება (წლების მანძილზე მუშაობდა ახალციხის სატყეო მეურნეობაში).

საიუბილეო შეხვედრის დაწყების წინ ერთობლივი სამახსოვრო ფოტოსურათი გადავიდეთ. ჩვენს გვერდით კვლავ ბერმუბასავით ჩადგა ხანდაზმული, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ვახტანგ სამხარაძე, რომელიც ბოლო ათეული წლები ირკუტსკში მოღვაწეობდა და ამიტომ თანაცურსელებმა

მეტსახელად „ციმბირელი პაპა“ შეარქება.

შემდეგ, როცა მაგიდას მივუჯექით, სუფრის თამაღამ, ლევან გვაზავაშ სიამაყით წარმოთქვა, „მე ადრევე ვუთხარი ვახტანგს: „შენ ისე იზამ, რომ ბოლოს მარტოს მოგიწევს მოსვლა შეკრებაზე, რადგან იმხანად ალბათ დანარჩენები ადარც ვიქნებითო“. თან თავის სურათი უსახსოვრა ვახტანგისათვის წარწერით: „სახსოვრად ჩემს ადამის ასაკის მეგობარსო“. ვახტანგი ახლაც, მეგობრულ წრეში, იუმორნარევი დიმილით გვიჩვენებს ამ სურათს: „ხედავთ? ჩემი ახლანდელი ასაკი რა მოსატანია, როცა ადამმა 979 წელი იცოცხლა. მასთან შედარებით მე ჯერ ყრმობის ასაკშიც

არ შემიდგამს ფეხიო. ერთი ძლიერი არგუმენტიც გააჩნია: ბაბუამისი თურმე 110 წლის რომ ეთხოვებოდა წუთისოფელს, შვილიშვილისთვის დაუბარებია: ჩემს ასაკს მიგეღწიოს და გადაგებიჯგბიოს.

ვუსურვებდით ბატონი ვახტანგისათვის 110 წლის იუბილე მიგეღლოცოს. ასე ერთობით, ამინ!

P.S. წერილი ასეთი შემართებით გვინდოდა დაგვეხრულებინა, რომ არა ერთი არასასურველი გარემოება: ამ შეცვლის გასვლიდან სამი თვის შემდეგ კვლავ გამოგვეცალა თანაკურსელთა რიგებიდან შეხანიშხავი პიროვნება – ჯიმი არაბიქ. ნათელში ამჟოფოს მიხი სული სამუდამო განსასვენებელში.

საიუბილეო შეხვედრის საინიციატივო ჯგუფის სახელით: ლევან ბგაზაპა, რევაზ ობოლაძე



ଓয়াকে দেখিলে আমি তুম্হার পুত্ৰ হোৱা চাই।

XII. საზემო მაურნეობის და ტყის მრანველობის დარგების ლვანლემოსილ აღამიანია ხერვნა


**გერონტი ხარაიშვილი
(1925-2011)**

**ქართული სატყეო მეცნიერების
დიდი დანაკლისი**

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერონტი იოსების ძე ხარაიშვილი.

გერონტი ხარაიშვილი დაიბადა 1925 წლის 3 მაისს ლაგოდეხის რაიონის სოფელ კავშირში. მან მეტად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახ. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1942-1946 წლებში მუშაობდა ამავე რაიონის რეაწლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1950 წელს წარჩინებით ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატუეო-სამეურნეო ფაკულტეტს ტყის მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაციით და ინიშნება რიწის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორად. 1954 წელს ამთავრებს საქართველოს პიდროტენიკის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურას სამთო მელიორაციის განხრით. აქედან იწყება მისი საინტერესო და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. მან აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ოქმაზე – „თბილისის მიდამოების ფერდობების მელიორაციის საკითხისათვის“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გერონტი ხარაიშვილი 1954-1959 წლებში მუშაობდა საქართველოს პიდ-



როტექნიკის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ნიადაგის ეროზისა და სელური ღვარების საწინააღმდეგო სატუეო-სამელიორაციო დონისძიებების დასადგენად. 1960 წლიდან იგი სამუშაოდ გადადის ვ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყველების ინსტიტუტში. 1975 წლამდე იყო უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1976-1988 წლებში – სატყეო მელიორაციის, ხოლო 1989-2006 წლებში – ტყის

ადდგენისა და სატყეო მელიორაციის ლაბორატორიის გამგე; შემდეგ კი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

გერონტი ხარაიშვილი, როგორც მეცნიერი და მკვლევარი, აღიზარდა იმ მდიდარ ტრადიციებზე, რაც საქართველოში დაამკვიდრა ქართველ მეტყევე-მეცნიერთა სახელოვანმა პლედამ სოლომონ ქურდიანის და ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობით. იგი დიდი წარმატებით, ღრმა ერუდიციითა და კეთილსინდისიერებით ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ლონისძიებების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისა და მათი წარმოებაში დაწერგვის კეთილშობილურ საქმეს.

პროფესორ გერონტი ხარაიშვილს გამოქვეყნებული აქვს 141 სამეცნიერო შრომა, მათ შორის ათი მონოგრაფია. მისი მეცნიერული კვლევების სფერო მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათისაა. მის შრომებში ძირითადად განხილულია აგროსატყეო მელიორაციის, ტყის ადგენის, ტყის პიდროლოგიის, ნიადაგის ეროზიასთან და ღვარცოფებთან ბრძოლის პრობლემატური საკითხები. იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და თათბირებში, რითაც ოვალსაჩინო წვლილი შეიტანა სატყეო მელიორაციის მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტასა და პოპულარიზაციის საქმეში. მან, 1980 წელს ქ. ვოლგოგრადში (სტალინგრადი), საკავშირო აგროსატყეო მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალიზირებული საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საღოქტორო დისერტაცია თემაზე – „ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ლონისძიებების მეცნიერული საფუძვლები საქართველოში“, რისთვისაც მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გერონტი ხარაიშვილს 1964 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშავის სამეცნიერო წოდება „ტყეთმცოდნეობის“ სპეციალობით; 1992 წელს – პროფესორის წოდება აგროსატყეო მელიორა-

ციისა და დაცვითი ტყის გაშენების სპეციალობით; 1992 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; 1995 წელს – საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 2000 წელს – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

გერონტი ხარაიშვილის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში მოცემულია ტყისა და გარემოს ურთიერთკავშირის ღრმა მეცნიერული ანალიზი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ წყლისმიერ ეროზიასთან ბრძოლის მიზნით მან პირველმა სრულყოფილად შეისწავლა სხვადასხვა კონსტრუქციის ბუნებრივი ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების პიდროლოგიური და მელიორაციული როლი. სტაციონარული დაკვირვებებით დაადგინა ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების ოპტიმალური კონსტრუქციები და შეიმუშავა ზოლების გაშენების წესები. მის მიერ საქართველოში პირველად იქნა შესწავლილი ერთნაირი (მაღალი) სიხშირის სხვადასხვა ფორმაციის მთის ტყების გავლენა თხიერ ზედაპირულ ჩამონადენსა და ეროზიულ პროცესებზე. მნიშვნელოვანია გ. ხარაიშვილის გამოკვლევის შედეგები სელური ხასიათის მდინარეთა აუზებში ღვარცოფების რეგულირებისათვის. მან შეისწავლა სუბალპური ტყისა და ალპურ მდელოთა ნიადაგების თავისებურებანი, გამოავლინა მათი როლი ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებაში და შეიმუშავა სუბალპური ტყეების და ალპურ მდელოთა დაცვა-აღდგენის ფიტომელიორაციული ღონისძიებები.

გერონტი ხარაიშვილის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭალის ტყეებისა და მდინარისპირა ტყეების დაცვითი როლის შესწავლას. მან საქართველოს მდინარეებისათვის დაადგინა მდინარისპირა ტყის ზოლების ზღვრული პარამეტრები და დასახა მათი გაშენების პრინციპები. მან დაადგინა აგრეთვე მთის ტყეების დადებითი როლი მთის წყალსაცავების მოლამევისაგან დაცვის საქმეში და შეიმუშავა მათი

დაცვის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.

გერონტი ხარაიშვილმა მრავალი კელება ჩაატარა თბილისის მიდამოების ფერდობების გატყევების ხერხების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისათვის. თეორიულ საკითხებთან ერთად გააანალიზა ჩატარებული სამთო-სატყეო-სამელიორაციო სამუშაოების ეფექტიანობა და დასახა თბილისის შემოგრენის ფერდობების ფიტომელიორაციის სწორი გზები. ასევე, წალკის რაიონის მაგალითზე აწარმოა სამხრეთ საქართველოს ნიადაგეროზიული გამოკვლევა და ეროზირებული ნიადაგების დამაგრებისა და აღდგენის მიზნით დასახა კონკრეტული სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.

გერონტი ხარაიშვილმა საქართველოს კლიმატური რაიონების მიხედვით პირველად შეისწავლა მინდორსაცავი ტყის ზოლების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ათწლიანი დაკვირვებების საფუძველზე დაადგინა მინდორსაცავი ტყის ზოლების მელიორაციული გავლენით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ნამატის ნორმატივები. აღსანიშნავია, რომ გ. ხარაიშვილმა სტაციონარული გამოკვლევებით არა მარტო დაადგინა წყლისმიერ ეროზიაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების (ფერდობების დაქანების, სიგრძის, ნალექების რაოდენობის, მისი ინტენსივობისა და მცენარეული საფარის) მნიშვნელობა, არამედ მოგვცა კავშირი ამ ფაქტორებს შორის და გამოავლინა მათი შეფარდებითი როლი მოცემული მოვლენის განვითარებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გერონტი ხარაიშვილმა საქართველოს მთის ტყებისათვის დაადგინა მდგრადი კორომების ოპტიმალური სტრუქტურები ვერტიკალური სარტყ-

ლიანობის მიხედვით, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთის ტყების წყალდაცვითი ფუნქციების გაძლიერების, ეროზიული პროცესების აღმცენისა და მდინარეთა წყლის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის.

გერონტი ხარაიშვილის შრომებს აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მის მიერ შედგენილი რეკომენდაციები წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიასთან ბრძოლის სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებებზე, შეტანილია საქართველოს ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების გენერალურ სქემებში და საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძლიერებისათვის შემუშავებულ ყველა რეკომენდაციებში. მათმა უმრავლესობამ უკვე პპოვა პრაქტიკული განხორციელება.

გერონტი ხარაიშვილი ნაყოფიერ შრომას ეწეოდა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების მხრივ. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: წლების მანძილზე იყო ვ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყველების ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, სამთო მეტყველების სეკციის სწავლული მდივანი ამიერკავასიის რესპუბლიკების მასშტაბით, სელური ნაკადებისა და წყალდიდობების წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივი კომისიის წევრი, დაცვითი ტყის გაშენებისა და აგროსატყეო მელიორაციის საკავშირო საპრობლემო კომისიის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი და სხვა.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით შემკობილი პიროვნება, გულისხმიერი მეგობარი, კარგი მეუღლე და მამა, რომელმაც მის ახლობლებს, კოლეგებსა და მეგობრებს დიდი სევდა დაუტოვა.

ვ. გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტის კოლექტივის სახელით რევაზ ჩაბეჭიშვილი, ელდარ ლობჟანიძე, ბიძინა თაგაძე, ლაშა დოლიძე

რომან მამალაძე (1940-2006)

საქართველოს დამსახურებული მეტყვევე, ღირსეული მამულიშვილი და მოქალაქე

რომან ბესარიონის ძე მამალაძე დაიბადა 1940 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბდაში, პედაგოგის ოჯახში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატექ-სამეურნეო ფაკულტეტზე (დაუსწრებელ განყოფილებაზე). სწავლის პარალელურად 1958-1960 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის სატექო მეურნეობაში მუშად, ტყის მცველად, მეტყვევე-ტექნიკოსად. 1960 წელს ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილებიდან დღის დასწრებულ განყოფილებაზე გადადის და 1965 წელს წარჩინებით იცავს დიპლომს ტყეომოწყობაში პროფესორ ნიკოლოზ მარგველაშვილის ხელმძღვანელობით. მისი სადიპლომო შრომა, როგორც გამორჩეული, შეტანილი იქნა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში.

ინსტიტუტის განაწილებით რ. მამალაძე 1966-1967 წლებში მუშაობს ამიერკავკასიის ტყეომოწყობის საწარმოში ჯერ რიგით, შემდეგ უფროს ტაქსატორად. 1967-1969 წლებში იყო ამიერკავკასიის ტყის ჯიშთა თესლების საკონტროლო სადგურში უფროსი ინჟინერი. 1969 წლიდან მუშაობას განაგრძობს საქართველოს სატექო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრში ინჟინერად. 1974 წლის დეკემბრიდან 1977 წლის იანვრამდე მუშაობდა საქართველოს სატექო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საკონტროლო-სარევიზოო სამმართველოს უფროს ინჟინერ-რევიზორად. 1977 წლიდან ტყის კულტურების აღდგენის სამმართველოს უფროსი ინჟინერია. 1980 წლიდან კი გადაყვათ ტყის დაცვის სამმართველოში უფროსი ინჟინერის თანამდებობაზე. იყო ამავე სამმართველოს



უფროსის მოადგილე. 1997 წლიდან აწინაურებენ სატექო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსად. იყო ამავე დეპარტამენტის კოლეგიის წევრი.

1969-1972 წლებში სწავლობდა ვასილ გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყველეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი.

მასში, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველში, მომადლებული იყო პოეტური ნიჭი და მგზებარება. აღსანიშნავია, რომ მისი ლექსები და მოთხოვები წლების მანძილზე ქვეყნდებოდა სხვადასხვა ქურნალ-გაზეთებში.

2004 წელს სატექო საქმის დრმადგანსწავლულმა სპეციალისტმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მეტყვევემ, ტრისტან ჩერქეზიშვილმა გამოაქვეყნა

მოგონებათა წიგნი „ის რაც მეხსიერებას შემორჩა“. წიგნის რედაქტორი გახდათ რომან მამალაძე. შთამბეჭდავია წიგნის შესავალში (რედაქტორისეულ მიძღვნაში) ქართველი კაცის ცხოვრებაში ტყეების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, მის მიერ გამოთქმული აზრები:

„ქართველი კაცი უძველესი დროიდან დიდი გულისყურით და რუდენჯბით ეკიდგბოდა ტყეებს, ცდილობდა მის მოვლას, დაცვას, აღდგენას, რასაც მოწმობს საქართველოს ტყეებში არსებული კულტურულ სახეობათა ფართო სპექტრი, ის ხელუხლებელი ტყეები, რომლებიც შემორჩენილია ეკლესიების, დაცული ტრიტორიების ადგილებში, თვით ისეთ ადგილთა სახელწოდებებიც კი, როგორიცაა „საეკლესიო ტყეები“, „ხატის ტყეები“, „სამეფო ტყეები“ მიუთითებს იმ დიდ ტრადიციებზე, რაც ქართველ კაცს ჩამოუყალიბდა ტყეების მიმართ“.

ბატონ რომანს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ადამიანებთან, სადაც კი მას უმოღვაწია. აი, რას გვიამბობს თვითონ ბატონი რომანი თავის პირველ შეხვერდაზე გამოჩენილ ქართველ მეტყევესთან იოსებ ჩოდრიშვილთან, რომელიც 1954-1970 წლებში ხელმძღვანელობდა რესაუბლიკის სატყეო მეურნეობას:

„ბატონ იოსებთან ჩემი გაცნობა მოხდა 1969 წელს მაისის თვეში. ვემზადებოდი ბიჭვინთის ნაკრძალში მთავარი მეტყევის ადგილის დასაკავებლად. ყველა საბუთი გამზადებული მქონდა და შეთანხმებულიც. მეგობრის სანახავად შემთხვევით შევიარე მთავარ სამმართველოში, მან მირჩია სამუშაოდ თბილისში დაკრჩენილიყავი, რადგან იმ დროს მთავარ სამმართველოში გაიხსნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრი და ერთი ადგილი კიდევ არის დარჩენილი. უკელაფერი ავტონ-დაგვტონე და იოსებ ჩოდრიშვილის კაბინეტს მივადექი სრულიად უცნობი. კაბინეტის კარები დიასიფო, მოვიკრიბე ძალები, გამბედაობა და კაბინეტში შევედი. ჭადარა სიმპატიური კაცი თავაზიანად მომეხსალმა და სკამისკენ მიმითოთა – „რა გაგჭირვებიაო“ – შემეკითხა, „იოსებ ივანიჩ! გავიგე ინჟინ-

რის ადგილი გქონიათ, იქნებ დამნიშნოთ მეთქი. ამხედ-დამხედა, ვინაობა გამომკითხა, მდივანს მოუხმო – ეს ემაწვილი მომწონს, წაიყვანე და გააფორმე ვაკანტურ ადგილზე. განცვიფრებულმა მადლობა გადაუჟხედე. ასე დაიწყო ჩემი შრომითი საქმიანობა მთავარ სამმართველოში ბატონი იოსების წყალობით, რომელმაც ყოველგვარი პროტექციისა და შეუამაგლის გარეშე ახალგაზრდა სპეციალისტი სამსახურში მიმიღო და ხუთ წუთში კაცობისა და პუმანურობის ისეთი ბრწყინვალე გაკვეთილი ჩამიტარა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ანთებული ლამპარივით დამყვებოდა“.

რომან მამალაძე თანაავტორია საქართველოს სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარების 1997-2007 წლების სახელმწიფო პროგრამისა.

მისი უშეუალო მონაწილეობით შემუშავდა და გამოიცა სხვადასხვა კანონქვემდებარე ხორმატიული აქტები, რომლებიც სატყეო ურთიერთობებს არეგულირებენ.

სატყეო მეურნეობის დარგის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის 2000 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება.

სამწუხაროდ, ნაადრებად დატოვა წუთისოფელი ბატონმა რომანმა. იგი ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შედეგად 2006 წლის 4 დეკემბერს გარდაიცვალა. 66 წელი არც ისე ბევრია და არც ისე ცოტაა, მაგრამ ბატონი რომანის მიერ განვლილი გზა მრავლისმთქმელია, მკაფიო მაგალითია კაცური კაცობისა, პროფესიული დაღვინებისა, მეტყევე მამალაძეების ახალგაზრდული დინასტიის დამკვიდრებისა. მისი ორივე ვაჟი – ლიმიტრი და ბესარიონი მეტყევეები არიან; მეტყევეა მისი დისშვილიც, შესანიშნავი პიროვნება გია ჩაჩანიძე. სიცოცხლე გრძელდება, ერთი შვილიშვილი დატოვა, ახლა კი სამნი არიან. ლმერთმა ამრავლოს და ბეჭნიერი ამყოფოს რომან მამალაძის შთამომავლობა.

ჯონი ბევრიმე, ბურამ ორჯონი-პიმე, ტრისტან ჩერქეზიშვილი, ამირან ტაბათაძე, რევაზ ობრლაძე

ტრისტან ჩერქეზიშვილი

იოსებ ჩოდრიშვილი (1901-1993)

**საქართველოს ტყევების დიდი ამაგდარი,
მწვანე განის დიდოსტატი, გამოჩენილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი...**

ბატონმა იოსებმა მთელი თავისი შეგნებული და ხანგრძლივი სიცოცხლე (დაიბადა 1901 წელს და გარდაიცვალა 1993 წელს, 92 წლის ასაკში) ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირა ბუნებასა და მის გვირგვინს – ტყეს. 1924 წელს დაამთავრა თბილისის კულტურის ტექნიკური საშუალო სასწავლებელი – სატყეო განხრით, ხოლო 1930 წელს საქართველოს სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი და ახალგაზრდა მეტყველე სპეციალისტი დატოვებული იქნა სატყეო ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ფაკულტეტის დეკანი იყო დიდი ქართველი მეტყველე, მსოფლიოს ერთერთი პირველი მეტყველე სელექციონერი და გენეტიკოსი ბატონი სოლომონ ქურდიანი.

ბატონი იოსები 1933-1935 წლებში მუშაობს თბილისის გაერთიანებული მუშაფაქის დირექტორად. 1935 წელს იგზავნება და გამოცდებს აბარებს ქ. მოსკოვში ე.წ. საკავშირო წითელი პროფესორების აგრარულ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ – 1938 წლიდან ინიშნება საკავშირო მინისტრთა საბჭოში სატყეო მეურნეობის საკითხების მთავარ კონსულტაციონერად და შემდგომში უშუალოდ, აქტიურ მონაწილეობას დებულობს „ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის“ შემუშავება-განხორციელებაში.

1953 წელს, საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტრო გაუქმდა და შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. 1954 წლამდე ბატონი იოსების საქართველოში დაბრუნებამდე, ჩვენში სატყეო მეურნეობა დამოუკიდებელ ერთეულს არ წარმოადგენდა. ბატონი იო-



სებ ჩოდრიშვილი ფაქტობრივად არის საქართველოში სატყეო მეურნეობის აღორძინებისა და დარგის მოღვაწეობის გაფურჩქნის მოთავე. მისი ინიციატივით იქმნება ჯერ სატყეო სამმართველო, შემდეგ – სატყეო, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, და ბოლოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი – სამინისტროს სტატუსით.

ბატონი იოსები 1954-1970 წლებში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობას: ამ პერიოდში სრულიად გამოვლინდა, როგორც მეტყველისა და დიდი შემოქმედის უნარი.

მისი ინიციატივით და დაუდალავი შრომით ათასობით ჰექტარზე გაშენდა ახალი ხელოვნური ტყეები. მწვანით შე-

იმოსა თბილისის შემოგარენის ადრე გა-
დახრიოკებული ფერდობები, აშრიალდა
ახალი ჭალის ტყეები მდინარეების:
მტკვრის, ალაზნის, იორის, არაგვის, ქსნის
და სხვათა კალაპოტების ასეულობით
ჰქექტრებზე. დიდი მოაზროვნისა და
ქართველთა გენიალური პოეტის შოთა
რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის
იუბილეს მიეძღვნა: კახეთის გზატკეცი-
ლის მთელ სიგრძეზე გამწვანების სა-
მუშაოები, მწვანით შეიმოსა ხაშური-ტა-
შისკარის, ქუთაისი-წყალტუბოს და რიგი
რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები.
იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას
ანიჭებდა ტყეპარკების გაშენებას. ამ პე-
რიოდში გაშენდა: ფოთთან მალთაყვის
პარკი, რომელიც შემდეგ იქცა საერთა-
შორისო მნიშვნელობის წყალჯომარდო-
ბის ობიექტად, ოზურგეთთან – ექადოს,
ახალქალაქის – ამირანის გორას, თბი-
ლისსა და რუსთავს შორის, ყოფილი
ნაგავსაყრელის 350 ჰექტარზე – კრწანი-
სის ტყეპარკი და სხვა. გატყვევდა და
დასასვენებელ კერად იქცა შავი ზღვის
პირა ერთკილომეტრიანი სიგანის ზოლი,
ზღვისპირეთის თითქმის მთელ სიგრძე-
ზე.

და მაინც, პატონი იოსების შრომის
გვირგვინს წარმოადგენს – თბილისის
დენდროლოგიური პარკი, „თბილისის
ზღვის“ მიმდებარე უტყეო, გვალვებისაგან
გადატრუსული 300 ჰექტარზე მეტ ფარ-
თობზე, მისი უშუალო ხელმძღვანელო-
ბით და მონაწილეობით გაშენებული პა-
რკი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან
შემოტანილი 600 სახეობაზე მეტი ხე და
ბუჩქი. აქ მიმდინარეობდა ეგზოტიკური
ძვირფასი სახეობების გამრავლება-აკლი-
მატიზაცია და საქართველოს სხვა რეგი-
ონებში გამწვანება-გატყვევების ობიექ-
ტებზე გატანა.

რაოდენ დასანანია, რომ ენერგოკრი-
ზისის მსახურალი ხელი მასაც შეეხო.
უმოწყალოდ განადგურდა ქართველ
მეტყველთა დიდი სხის შრომის შედეგი.
აქვე მინდა გავიხსენო ამ პარკის უკანასკ-
ნელი დირექტორი და ბატონ იოსების
ლირსეფული მოწაფე, აწ განსვენებული
თამაზ სულთანიშვილი, რომლის ძალის-
ხმევა რომ არა, დღეს დენდროპარკში

ალბათ ადარაფერი იქნებოდა შემორჩე-
ნილი.

ბატონი იოსები აქტიურ საზოგადო-
ებრივ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა
სამეცნიერო მუშაობასაც. მისი წიგნები
„კაკლი საქართველოში“, „კაკლის გაშე-
ნების აგროწესები“ და „ვერხვის გაშე-
ნება და მისი სახალხო-სამეცნიერო მნიშ-
ვნელობა“ ერთ-ერთ მაღალმეცნიერულ
ნაშრომებადა მიჩნეული.

ბატონი იოსები იყო: პრაქტიკოსი
მეტყვევე, რესპუბლიკის დამსახურებული
ინჟინერი, რესპუბლიკის სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი, მრავალი ორდენისა
და მედლის კავალერი, სოფლის მეურ-
ნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ბავ-
შვების საყვარელი პოეტი, დიდი მამუ-
ლიშვილი და როგორც მას პოეტმა თე-
ოდურაზ ჯანგულაშვილმა ხატოვნად
უწოდა „მწვანე განძის დიდოსტატი“.

ბატონი იოსების საბავშვო ლექსები,
რომლებშიც თავისი სპეციალის სული ჰქო-
ნდა ჩადებული, ქვეწნდებოდა იოსებ
ჩოდრიშვილისა და იოსებ დურგლი-
შვილის სახელით.

ბედნიერი ვარ, რომ ბატონ იოსებთან
10 წელი ვიმუშავე. 1960-64 წლებში, რო-
გორც სიღნალის და გურჯაანის სატყეო
მეურნეობათა დირექტორმა და 1964 წლი-
დან 6 წელი უშუალო საქართველოს
მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის,
ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურ-
ნეობის მთავარ სამმართველოში. ამიტომ
ბატონ იოსებზე უამრავი რამ მაქვს გასახ-
ენებელი, მაგრამ ვიტყოდი მხოლოდ
ერთს, რომ მისი მუშაობის წესი, სხვა
უფროსებისგან განსხვავებული იყო. მას
მიღდისა თუ საუბრის რეგლამენტირე-
ბული დრო არ გააჩნდა. მართალია, კაბი-
ნეტში შესვლა და საუბარი ყველას შე-
ეძლო ნებისმიერ დროს, როგორც თანა-
მშრომლებს, ისე უცხო პირს. შესვლა
მაშინაც კი შეიძლებოდა, როცა სხვას
ესაუბრებოდა. კარი გაიღებოდა თუ არა,
მისი პირველი სიტყვა „შემოდი“ იყო.
მექმნება შთაბეჭდილება, რომ მას მოსა-
რიდი თუ სხვათან დასაფარი არა ჰქო-
ნდა. საკითხს მაშინვე წყვეტდა, მირითადად
დადგებითად.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხ-

სენო საქართველოს დამსახურებული მეტყევის ბატონ რომან მამალაძის ნათებამი. „მთავარ სამართველოსთან 1969 წელს შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრი და გავიგე, რომ ინჟინრის ერთი ადგილი თავისუფალი იყო... კაბინეტში შევედი, სიმპათიური კაცი თავაზიანად მომესალმა და სკამისკენ მიმითითა – რა გაგჭირვებიაო, იოსები ივანიჩ, გავიგე ინჟინრის ადგილი გქონიათ, იქნებ დამნიშნოთ-მეთქი. ამხედ-დამხედა, კინაობა გამომქითხა, მდივანს მოუხმო – ეს ყმაწვილი მომწონს, წაიყვანე და ვაკანტურ ადგილზე გააფორმეო... ასე, რომ ყოველგვარი შუამავლისა და პროტექციის გარეშე დავიწყე მუშაობა“.

1962 წელს, თბილისში მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა მეღვინეობის მე-10 საერთაშორისო კონგრესი. ვაშლიიჯვარში, კვლევითი ინსტიტუტის კეთილმოწყობა ბატონმა იოსებ ბოდრიშვილმა ითავა. სხვა ბოან ერთად მეც მივიღე დავალება, სიღნაღიდან უნდა ჩამომეტანა მსხმოიარე, არა ნაკლებ, 2,5 მეტრის სიმაღლის კომში და ბროწეულის ნერგები. კომში სოფელ ვაქირში მოსახლისაგან, ხოლო ბროწეული ხირსის მეურნეობიდან წამოვიდეთ. ნერგების ფესვები მიწიანად დიდ ყუთებში შევგარით. ორი ყუთი ძლივს დავ-

ტიეთ სატვირთო მანქანაზე. ტოტები თოკებით შევკარით, რომ ნაყოფები არ გასცივნოდათ. ძარაზე ორი თუ სამი კაცი დავდექით და ნელი სვლით ჩამოვედით თბილისში. ბატონმა იოსებმა საათზე მიმითითა, დაგაგვიანდათო. ვუთხარი, რომ ნაყოფების გაცვენას ვუფრთხილდებოდით და ნელა ვმოძრაობით-მეთქი. ყუთები ჩამოვიდეთ და ბატონმა იოსებმა რამოდენიმე ჩამოცვენილი ნაყოფი დაინახა და გაცეცხლებული მომვარდა და მადლობის ნაცვლად ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ სად წავსულიყავი აღარ ვიცოდი.

როცა ბატონ იოსებზე ესაუბრობდო, მთავარი მისი ღირსება, უმწიკვლო პატიოსნებაა. იგი ვაკეში, ჭავჭავაძისა და ქავსაძის კუთხის შენობის ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, მაშინ, როცა სხვები სახლებსა და სასახლეებს იშენებდნენ. ისე გარდაიცვალა, რომ მან თავის ხელფასით ოროთახიანი ბინის გარემონტებაც კი ვერ შეძლო.

ბატონი იოსები მოსკოვში გარდაიცვალა შვილთან ყოფნისას და ვერ შევძელით მისი საბოლოო სურვილის ასრულება, რომ იგი დაგვეკრძალა თბილისის დენდროლოგიურ პარკში, რომლის გაშენებას თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია.

ზაქარია ჩხერიანიშვილი
(1903-1980)

საქართველოს სატყეო მრეწველობის
დიდი ამაგლარი, გამოჩენილი სახელმწიფო
მოღვაწე, ცნობილი მაცნიერი და პედაგოგი

ცხოვრების მძიმე და რთული გზა განვლო ზაქარია ჩხერიანიშვილმა. იგი დაიბადა 1903 წელს ოქლავის მაზრის სოფელ რუისპირში, დარიბი გლეხის ოჯახში. სულ პატარას დაეხოცნენ მშობლები. „მამაზე წარმოდგენაც არ მაქვს“, – წერს იგი ავტობიოგრაფიაში – ხოლო დედა ერთადერთი სურათით მახსოვეს“, მამის დედა – ბებია მელანია შემორჩა ობოლ ბაგშვების პატრონად. იგი ცდოლობდა ობლობა არ ეგრძნობინებინა ბაგშვისათვის, რაც ესოდენ მძიმედ აჩნდება ხოლმე ადამიანის სულს. იქნებ მართლაც ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ცხოვრების მთელ მანძილზე მისი თვალებიდან სევდა გამოკრთოდა.

შვიდი წლის ზაქარია ბებია მელანომ თელავის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. იგი მონდომებული იყო შვილიშვილი მდგრელი გამოსულიყო. სასულიერო სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სასულიერო საეკლესიო საგნებოან ერთად ასწავლიდნენ გალობასაც, რომლის ხელმძღვანელი იყო კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. შემოწმებისას ზაქარიას მუსიკალური სტენა და კარგი ხმა აღმოაჩნდა, იგი ჩარიცხეს მოსწავლეობა საექლესიო გუნდში. ბეჭითი მოსწავლე იყო, ყველაფერს ასწრებდა და ყველას პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა, მაგრამ ეკონომიურად უჭირდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა რაიმე ხელობა ესწავლა, ერთი წელი გიორგი ჩხერიანიშვილთან ფეხსაცმელების კერვას სწავლობდა, მუდამ



მაძიებელი ახალ ცხოვრებას მაღეულებს ალდოს და 1923 წელს შედის კომკავშირის რიგებში, რის შემდეგ ნიჭიერ ახალგაზრდას რევკომში ტექნიკურ მდივნად ნიშნავენ. „ერთბაშად დიდი კაცი გავხდი, ყოველთვიურად 18 მანეთს და სამ ფუთ ხორბალს მაძლევდნენ“ – სიცილით იტყოდა ხოლმე. შემდეგ წლებში მუშაობდა ქოხსამკითხველოს გამგედ, დარიბ გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარედ. ქ. ოქლავში იმუშავა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილში მდივნად, ხოლო მოსკოვის პროფესიული მოძრაობის უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ რამოდენიმე წელიწა-

დი იმუშავა საქართველოს პროფსაბჭოს აპარატში.

ზ. 6. ჩხებიანიშვილი პარტიის რიგებში შედის 1928 წელს. წარმატებით ამთავრებს ერთწლიან პარტიულ სკოლას და აქტიურ მოღვაწეობას ეწევა კომკავშირულ და პროფგავმირულ ორგანიზაციებში – თელავის და ბორჯომის რაიონებში. ნიჭიერ ახალგაზრდას სწავლის სურვილი არ უნდღებოდა. იგი სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქაც მოწინავე და აქტივისტია, მალე მას ირჩევენ ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნად. ჯერაც არ ჰქონდა აღებული ინსტიტუტის დიპლომი და შეკვენიშნავენ საქართველოს სსრ სატყეო ტრებში ექსპორტის ინსპექტორად, ხოლო სულ მალე აწინაურებენ საწარმოო ტექნიკური სამართველოს უფროსად, საიდანაც გადაჰყავთ ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობისა და ტრანსპორტის ინსტიტუტის დირექტორად. ამავე დროს ეწევა პედაგოგურ მოღვაწეობას – ლექციებს კითხულობს საფანერო წარმოების ტექნოლოგიაში. სახელმძღვანელო წიგნიც აქვს გამოცემული სტუდენტებისათვის „საფანერო წარმოება“, თბილისი 1937 წ. სასიამოვნოდ და მიმზიდველად კითხულობდა ლექციებს – იგონებები მისი ყოფილი სტუდენტები.

ზ. 6. ჩხებიანიშვილი ამთავრებს კოროვის სახელობის ლენინგრადის სატყეო ტექნიკური აკადემიის ასპირანტურას, მაგრამ დრო არ რჩება სამეცნიერო მუშაობისათვის, მაშინვე ნიშნავე თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორად. შემდეგ კი საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარად.

1940 წლიდან ზ. 6. ჩხებიანიშვილი გადაჰყავთ პარტიულ სამუშაოზე. ირჩევენ საქართველოს კა სიღნაღის რაიონმის პირველ მდივნად, ხოლო ერთი წლის შემდეგ – საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის მდივნად მრეწველობის დარგში. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1944 წლის დეკემბრამდე; შემდეგ ირჩევენ საქართველოს კა თბილისის კომიტეტის მდივნად. ახლა მნელია იმ წლების ტიტანური შრომის შეფასება, სწორედ მაშინ,

ომის მძიმე წლებში, გამოვლინდა მისი ორგანიზაციული უნარი. მთელ ძალაში ახმარდა ჩვენს გამარჯვებას. მეორე მსოფლიო (სამამულო) ომის დამთავრების შემდეგ 1946 წელს ზ. 6. ჩხებიანიშვილს ირჩევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1952 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

ზ. 6. ჩხებიანიშვილი იყო მიმზიდველი პიროვნება დახვეწილი გემოვნებით. ადამიანებთან ურთიერთობაში ტკილმოუბარი, აღმზრდელობით და ხელმძღვანელის ნიჭით დაჯილდოებული.

ზ. 6. ჩხებიანიშვილი იყო ტყის მრეწველობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი საქართველოში. 1959 წლიდან ინიშნება იყო სატყეო მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, სადაც საშუალება მიეცა სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებისა. 1961 წელს დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომელიც წიგნად გამოიცა („მურყნის მერქნის გამოყენების შესაძლებლობა ცელულოზა-ქადალდის წარმოებაში“). მიზანი იყო მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული მიღწევები დანერგილი სატყეო მრეწველობაში. ამავე მიზანით მისი შემდგები სამეცნიერო შრომა გახლდათ „სწრაფმზარდი მერქნიანი ჯიშების გამოყენება ცელულოზა-ქადალდის წარმოებაში“. ესევ წიგნად გამოიცა. ახალგაზრდებს ხელს უწყობდა სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შესრულებაში. მისივე ხელმძღვანელობით დავიცავი ტექნიკურ მეცნიერების კანდიდატის ხარისხი თემაზე: „აღმოსავლეთის ნაძვის და კავკასიური სოჭის მერქნის გამოყენების შესაძლებლობა მუსიკალურ წარმოებაში“. ზ. 6. ჩხებიანიშვილი იყო ავტორი მრავალი სამეცნიერო შრომის.

დვაწლმოსილი ადამიანი დაჯილდოებული იყო 5 ორდენით და მრავალი მედლით, მრავალი მრეწველისას იყო არჩეული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

შეუძლებელია სრულად შეაფასო ზაქარია ჩხუბიანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ამ პატარა ნარკვევში მის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა (მოღვა-წეობა, შემოქმედება).

მიგვაჩნია, რომ ცალკე გამოკვლევას საჭიროებს ზ. ჩხუბიანიშვილის მოღვა-წეობა სატყეო მრეწველობის სამეცნი-ერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც მის მიერ იქნა დაარსებული და ჩამოყა-ლიბებული. რომ იტყვიან მან აღაშენა და მართლაც დაამშვენა ეს შემდეგ თა-ვისი საქმიანობით გამორჩეული სამეც-

ნიერო დაწესებულება და მის განმტკი-ცებას და გაძლიერებას შეალია თავისი შეგნებული ცხოვრების ათეული წლები. იქნებ შეგძლოთ და წარმოვაჩინოთ ახლო მომავალში ზ. ჩხუბიანიშვილის ეს დიდი დვაწლი საქართველოს სატყეო მრეწვე-ლობის განვითარების ისტორიაში. მით უფრო, რომ მის ბაზაზე შემდეგში ორგა-ნიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერ-თიანება „მერქანი“ კარგა ხანია აღარ ფუნქციონირებს და ეს მაინც დარჩეს მომავალ თაობებს.

ანდრია ალექსის ძე იაცენპო-ხმელევსკი (1909-1987 წ.წ.)

გუბრეგი ჩემი დიდი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას

სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის ასპირანტურაში მერქანბულების სპეციალობით. მეცნიერებლებიდან დამინიჭნებს ცნობილი მერქანბულებნე ანატომი, პროფესორი ანდრია ალექსის ძე იაცენპო-ხმელევსკი, რომელიც იმ დროს (1955-1956 წ.წ.) მუშაობდა თბილისის ქიმიკო-ფარმაცევტულ ინსტიტუტში ფარმაკო-ბოტანიკის განყოფილების გამგედ.

ბატონი ანდრია დაიბადა 1909 წლის 30 ოქტომბერს აზერბაიჯანის ქ. ელიზავეტპოლში (კირვაბადი, ამჟამად განჯა) მეტყვევის ოჯახში.

1925 წელს ქ. თბილისში დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ – სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი. 1928 წლიდან მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში ცნობილი ანატომის ა. ტიმოფეევის ხელმძღვანელობით. აქტიურად მონაწილეობდა პროფ. დ. სოსნოვსკის ექსპედიციებში კავკასიის დენდროფლორის შესასწავლად.

1931-37 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის სამეცნიერო კვლევით სატყეო ინსტიტუტში ლაბორატორიაში, მეცნიერ მუშაკად, ანატომია-ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგედ. შემდეგ სამუშაოდ გადადის თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის ანატომია-ფიზიოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ მუშაკად.

1934 წელს იელის უნივერსიტეტის პროფესორ ს. რეკორდის რეკომენდაციით გახდა მერქანბულებნე ანატომთა საერთაშორისო ასოციაციის (IAWA) წევრი.



1944 წლიდან აკად. ა. ტახტაჯიანის რეკომენდაციით ინიშნება ერევნის ბოტანიკურ ინსტიტუტში ანატომიის ლაბორატორიის გამგედ, სადაც მოღვაწეობს 1955 წლამდე. 1957 წლიდან ლენინგრადის ქიმიკო-ფარმაცევტიული ინსტიტუტის ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის კათედრის პროფესორია. ამ პერიოდში გამოიცა მისი შესანიშნავი სახელმძღვანელო “შესანიშნავი სახელმძღვანელო შესანიშნავი სახელმძღვანელო” (1958). მანამდე კი, 1954 წელს მოსკოვში გამოიცა მისი ფუნდამენტალური მონოგრაფია: „მერქნის ანატომიური კვლევის საფუძვლები და მეთოდები“ და ერევანში „კავკასიის მერქნები“ (1954).

1958 წლიდან 30 წლის მანძილზე, სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ლენინგრადის სატყეო-ტექნი-

ქური აკადემიის ზოგადი ეკოლოგიისა და მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის კათედრას, სადაც შექმნა მერქნის ანატომთა სამამულო სკოლა. ამ დარგში მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დოსტერტაცია. არჩეული იყო საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადამიის წევრად (1973).

სამცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არჩეული იყო საკავშირო ბოგანიკური საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი და ხელმძღვანელობდა ამავე საზოგადოების ლ. ივანოვის კომისიას, კორდინირებდა რა მეცნიერულ გამოკვლევებს მერქნიან მცენარეთა ანატომია – ფიზიოლოგიისა და ეკოლოგიის დარგში. მეცნიერების ამ სფეროში მისი ხელმძღვანელობით ქ. ლენინგრადში ყოველწლიურად, თებერვალში, ტარდებოდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციები, – ე.წ. „Èåàññàññèå ÷ðåíéý“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ანდრია იყო შესანიშნავი ორგანიზაციორი, პრაქტიკოსი. გასული საუკუნის ორმოციან წლებში თბილისში მისი ინიციატივითა და თანამშრომლობით ჩამოყალიბდა და დიდხანს ფუნქციონირებდა თბილისის „მერქნის დაცვის საწარმო“, სადაც დასხურებით ამჟავებდნენ დახერხილ ხე-ტყეს სახლის სოკოებისა და მღრღნელი ენტომოფაუნისაგან დასაცავად. ბეტონის ავზებში ხანდარსაწინააღმდეგო სითხით იქდინთეობოდა საპასუხისმგებლო ობიექტებზე გამოსაყენებელი ხის კონსტრუქციები, რაც ზრდიდა მერქნის სამსახურის ხანგრძლოვობას, იცავდა მას მავნე ფიტო და ენტომოფაუნისაგან და ხანძრებისაგან, რისი მოწმეც მე თვითონ გავხდი და მისი სიკეთე ჩემს თავზე გამოვცადე.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1946-47 წლებში, მასხაოვს, თბილისში ამჟავებდნენ გერმანელ და იაპონელ ტყვებს. მე ვცხოვობ ფალიაშვილის ქუჩაზე, წარსულში გარმანული ტყვების მიერ ტუფის ქვით აშენებული სახლის მეოთხე სართულზე. ჩემი ბინის ზევით, სხვენში, მე „პარტიზანულად“ მოვაწყვე ჩემი ე.წ.

„კაბინეტ-ლაბორატორია“. ავიტანე კარადები, ზედმეტი წიგნები, მიკროტომი, მიკროსკოპი... მოვიწყვე ფოტოლაბორატორიაც. დავდგი ჰაერის კონდიციონერი, რომელმაც უყურადღებობის გამო სხვენში ხანდარი გააჩინა. დამეწვა ნივთები, წიგნები, კარადები ... დროულად მოსულმა სახანძრო დაცვამ აყარა გადახურვის თუნექის ფურცლები და სულ მალე უპრობლემოდ ჩააქრო ხანდარი, რადგან მერქნის დაცვის საწარმოს მიერ ხანდარსაწინააღმდეგო სითხით დამუშავებული გადახურვის ხის კონსტრუქციები არ დაიწვა, მხოლოდ შეიძოლა. ასე გადამარჩინა თბილისის მერქნის დაცვის საწარმომ. სამწუხაროა, რომ ეს მეტად საჭირო დაწესებულება დაიხურა.

ბატონი ანდრია ერუდიტი იყო, პოლიგლოტი. ფლობდა ევროპულ ენებს, ქართულსაც. დედანი კითხულობდა დასავლეთის კლასიკოსებს. იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, სასიამოვნო თანამოსაუბრე და გულუხვი მასპინძელი იყო. თბილისელ კაცს ახსოვდა ქართული სუფრის მადლი, ტყბილად იგონებდა, ხარობდა თბილისური მოგონებებით, ენატრებოდა საქართველო, თბილისი და თბილისელები... ლენინგრადში ჩასულ ქართველებს ქართულად გავადღეარდებდა, თან დიმილით ჩაიდიღინებდა ხოლმე „მინდორში, ბალახ-ბულახში“....

ბატონი ანდრია გარდაიცვალა ლენინგრადში 1987 წლის 13 სექტემბერს 78 წლის ასაკში. დარჩა ქალიშვილი, – მარგარიტა, მეცნიერი ქიმიკოსი და პაპის მოსახლე შვილიშვილი.

2009 წლის 24-26 ნოემბერს, მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, მისმა მადლიერმა მოწაფეებმა მის ხსოვნას ქ. ლენინგრადში მიუძღვენით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უმაღლეს მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიისა და ეკოლოგია-ეკოლუციის სფეროში, რომლის განვითარებაში თავის დროზე უდიდესი წელილი შეიტანა ბატონმა ანდრიამ.

მის მრავალეროვან მადლიერ მოწაფეთა ხსოვნაში მარად იცოცხლებს დიდი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნათელი სახე.



სურათზე: ბოტანიკის ინსტიტუტის ანატომია – ფიზიოლოგიის განყოფილების თანამშრომლები, საქართველოში მერქნის ანატომიის ფუძემდებლები. მარცხნიდან: აკად. ლევან ჯაფარიძე მეუღლესთან თამარ კეთელთან ერთად, მარჯვნივ: იოსებ ჩხებიანიშვილი (შემდგომში სატყეო ფაქულტეტის დეკანი), ქვევით შუაში: ანდრია იაცენკო-ხმელევსკი. მარცხნიდან მესამე (ზევით) პიროვნების ვინაობა ვერ დავადგინეთ, იქნებ მკითხველი დაგვეხმაროს მის ამოცნობაში.

სურათი გადაღებულია მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში.

XIII. საინტერაციო ამავალის სამყაროში

ი) მარკაზილი

დათვი მსსელად მოევლინა

(ნამდგილი ამბავი)

ამბავი, რომელზეც ამ პატარა ნარკვეში მოგითხობთ, ათეული წლების წინათ თავს გადახდომია ერთ ჩვენს ახლობელს. თავის დროზე ამის შესახებ მცხეთის ადგილობრივ რაიონულ გაზეთშიც გამოქვეყნებულა პატარა სტატია, ხოლო იმ სკოლის ქართულის მასშავლებელს, სადაც მაშინ პატარა ექა* სწავლობდა, კარგა მოზრდილი მოთხოვდა შეუთხავს ამ უჩვეულო, სახიფათო თავგადასავალზე. მაგრამ მისი გამოცემა ვერ მოხერხებულა. ერთი ხელით გადაწერილი ეგზემპლარი მოთხოვდის გმირისთვის უჩვეულებია და ამით ეს პატარა „ოდისეაც“ დასრულებულა. ამ ხელნაწერით დავინტერესდით, მაგრამ 80 წელს მიახლოებულმა ქალბატონმა მისი მოძიება ვეღარ შეძლო და ჩვენი დაუინებული თხოვნით გვიამბო ის, რაც და როგორც გაიხსენა.

გვიანი შემოდგომა იდგა. დილით პატარა ეკამ (ალბათ ასე 8-9 წლის თუ იქნებოდა) საგურამოდან ზედაზნისაკენ მიმავალი ბილიკით ოჯახის პირუტყვი გარეკა საძოვარზე.

ირგვლივ მიმდებარე ბორცვები და ფერდობები სავსე იყო მრავალგვარი, ნაყოფით დახუნდლული გარეული ხილ-კენკროვნებით.

ეკამ ერთხანს ზღმარტლის შეგროვება გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ რატომ-დაც გადაიფიქრა და ე.წ. „კლდის გადასახელის“ სანახებისაკენ გაუწია გულმა. იქ წაბლის პატარა ტევრი ეგულებოდა და მისი აზრით წუხანდელ ქარს ნაყოფი ძირს ბლომად უნდა ჩამოქარა. გუმანძაც არ უმტკუნა. მართლაც, წაბლის გაფარხეული გარჯების ქვეშ მიწა გადაფარული იყო ბუძგებით და მისგან გამორჩეული კაკლებით. ეკამ სასწრაფოდ ჩაიმუხლა და სანამ კარგა მოზრდილი კალათა პირამდე არ აავსო, თავი მაღლა

არ აუწევია. ბოლოს, როცა წამოიმართა და მზეს გახედა, ცოტა შეიშმუშნა. მნათობი უკვე, როგორც იტყივან, თოხის ტარზე იდგა გორაკების თავზე და ჩასასვლელად ემზადებოდა. ახლა კი შეცბა ეკა. სოფლამდე თითქმის საათზე მეტი სავალი იყო და შებინძებამდე როგორმე ტყის გავლა უნდა მოესწრო. კალათა სასწრაფოდ მოიგდო მხარზე და ქვევით დაეშვა. ტყეში გზა აებნა და ვიდრე სოფლისკენ სავალ ბილიკს გაარჩევდა, ჩამობნელდა კიდეც. უცბად მყუდროება რაღაც უცნაურმა კივილმა დაარღვია, რომელიც მალე საზარელმა ყმუილმა ჩაანაცვლა. აშკარა იყო მგლები უახლოვდებოდნენ. ბავშვს ბევრი აღარ უფიქრია, კალათა ძირს დააგდო და იქვე მდგომი ხისაკენ გაქანდა, რომლის ერთი ქვედა, კარგა მოზრდილი ტოტი თითქმის მიწას ებჯინებოდა. იგი მთელი ძალით ტოტს მოეჭიდა, ცოტათი მაღლა შეკუვა და ძლივძლივობით ზედ განერთხო.

ამასობაში მტაცებლები უკვე ხეს გარს შემოერტყნენ და იმ ტოტისაკენ

* სახელები პირობითია

გაიწიეს, რომელზეც ეკა იყო შემოსკუპული. ბავშვმა თავს შეუძახა, რომ შიშს ენა არ წაერთმია და რაც ძალ-ღონე გააჩნდა ყვირილი მორთო, მშველელს მოუხმო. ერთი მტაცებელი ხროვას გამოეყო, ბავშვის ძირს ჩამოწვდილ ფეხს მიუახლოვდა და ცოტაც და უნდა მიწვდენოდა, რომ ამ დროს სულ ახლოს ტოტების ძლიერი მტვრევის ხმა გაისმა. მთვარის შუქზე ეკამ კარგად გაარჩია, თუ როგორ გამობაჯბაჯდა ბუჩქებიდან კეებერთელა დათვი, ერთი საზარლად დაიღრიალა, მგლების ხროვას დაერია და ირგვლივ მიმოფანტა; ხოლო ერთსაც რომ წასწვდა და თათით ძლიერ ჩატორა, დანარჩენები ძუნძულით გაშორდნენ იქაურობას. დათვს ადგილიდან ფეხი აღარ მოუცვლია. იქვე ხის ძირში წამორდა და გაიტრუნა.

წმინდა იოანე ზედაზნელის სახელობის ეკლესიის წინამდღვარმა, მამა ელიოზმა ის-ის იყო დამის ლოცვები ჩაამთავრა და სარკმელი გამოაღო, რომ უეცრად ბავშვის შემზარავი ყვირილის, თუ კივილის ხმა შემოესმა. ჯერ იფიქრა მომენტენაო, მაგრამ როდესაც კივილი პვლავ განმეორდა, აღარ შეყოვნებულა. ხელის ფარანი მოიმარჯვა, თოფს ხელი წამოავლო და ტყისაკენ ჩამავალი ბილიკით თავქვე დაეშვა. გამოხმაურებაც სცადა, თოფი მაღლა აღმართა და ჰაერში

გაისროლა. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, საიდანაც ხმა მოისმოდა, ფარნის შუქზე ხის ტოტზე შემომჯდარი მტირალი გოგონა გაარჩია. მის თვალს არ გამოპარვია ისიც, ადამიანის მიახლოებისას თუ როგორ წამოიმართა ფეხებზე ბანჯგვლიანი, კარგა მოზრდილი დათვი და თავისებური ბურდღუნბურდღუნით იქვე ბუჩქებში გაუზინარდა (მან ხომ თავისი მისია შეასრულა და იქ უკვე აღარაფერი ესაქმებოდა).

მამა ელიოზმა ტირილ-ყვირილით დაოსხებული ბავშვი ფრთხილად ჩამოსვა ტოტიდან, დააწყნარა და დაამშვიდა. აბა ამ ყიამეთში სოფლამდე როგორ ჩააღწევდნენ. სხვა გზა არ იყო. გოგონას ხელი ჩასჭიდა და თავისთან აიყვანა ეკლესიაში.

მხოლოდ გამოენისას მიადგნენ ზედაზნის წმინდა სალოცავს ეკას მამა და ახლობლები. მთელი დამე უძებნიათ ბავშვი; ჩირაღდნებით ხელში მოუვლიათ ახლომახლო ადგილები, მაგრამ რომ ვერაფრისათვის მიუკვლევიათ, უკანასკნელი იმედად ისდა დარჩენიათ: „თუ ცოცხალი გადარჩა, იქნებ ეკლესიას შეაფარა თავიო“.

ბავშვი უვნებელი და საღსალამათი რომ იხილეს, დიდად გაიხარეს; სანთლები დაანთეს და უფალს მადლობა შესწიოდეს.

XIV. ახალი წიგნები

ელფარ ლობჟანიძე

ტრისტან ჩერქეზიშვილი: ტყე და აღამიანი

წიგნი „ტყე და აღამიანი“, ეკუთვნის ქართული ტყისა და ქართველ მეტყველთა პლეადის მემატიანის, საქართველოს დამსახურებული მეტყველ პატრიარქისა და მეცნიერის, ბატონი ტრისტან ჩერქეზიშვილის მადლიან კალამს. ეს მისი მეცნიერე წიგნია და წარმოადგენს ეკოლოგიური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელოს, როგორც ახალგაზრდობისათვის, ისე ბუნებით, ტყით და ჯასნაღი გარემოთი დაინტერესებულ პიროვნებებისათვის.

წიგნის იდეა ეკუთვნის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს.

წიგნი დაბეჭდილია 344 გვერდზე და ერთვის ინგლისურენოვანი რეზიუმე, დაიბეჭდა საქართველოს ბანკის მეშვეობით.

ნაშრომი ენციკლოპედიური ხასიათოსაა, ილუსტრირებულია ფაუნისა და ფლორის შესანიშნავი ფოტომასალით, ტყეებთან დაკავშირებული საცნობარო ხასიათის ინფორმაციით, სამთ-სატყეო კურორტების, მერქნიან სახეობათა გამოყვანა-აღზრდისა და ტყის გაშენების პრობლემებთან დაკავშირებით.

ვისაც წაუკითხავს სულით ხორცამდე ნაღდი მეტყველისა და ბუნების ქომაგის – ბატონ ტრისტან ჩერქეზიშვილის თავანებით ქართულით დაწერილი წიგნები, საგაზეთო სტატიები და მოუსმენია მისი ინტერვიუები საპატრიარქოს რადიოთი, დამეთანხმება, რომ მას მუდამ სტკიოდა „მკერდში დაჭრილი“ (ნ. კეცხოველი) ქართული ბუნების, ქართული ტყისა და თუნდაც რუსთაველის გამზირზე მოჭრილი ჭაღრების ტკივილი, რომელთაგან ერთი დიდი გალაკტიონის სახელს ატარებდა. ამიტომაც ბატონი ტრისტანი დღენიადაგ ფიქრობდა ქართული ტყის აღდგენა-გაშენებაზე. სწორედ ამ ფიქრთა

ტრისტან ჩერქეზიშვილი



თარიღისი
2009

ნაყოფია მისი შესანიშნავი დიდტანოვანი წიგნები: „ტყის გაშენების წესები საქართველოში“ (1996), „სატყეო სელექციური მეთესლეობის საფუძვლები“ (2005) და სხვა, რომელთაც დღეიდან მხარს დაუმშვენებს მისი ახალი წიგნი „ტყე და აღამიანი“.

ტრისტან ჩერქეზიშვილის ნაშრომები მისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილების შედეგია, ქართველ მეტყველ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა სამაგიდო წიგნებია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და თვითოვეული მათგანი იმსახურებს აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. თუმცა, ეს უპრეტენდიო პიროვნება ათეული წლების მანძილზე

უმწიკვლოდ ემსახურებოდა დარგს სატყეო სისტემის ცენტრალურ პარაგზი წამყვან ადმინისტრაციულ-სამეურნეო პოსტებზე და სამწუხაროდ, სამეცნიერო ხარისხზე არ უფიქრია.

ადნიშნული წიგნის გამოცემა საქართველოს თანამედროვე ეკოლოგიურ ფონზე ღროული და მიზანშეწონილია, რადგან დიდია ტყის გარემოს დაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური და რეკრეაციული მნიშვნელობა. ტყე ტექნოგენური ნარჩენებით გაჭუქრიანებული გარემოს ბუნებრივი „მწვანე ფილტრი“ და დასახლებული ობიექტების „ფილტრებია“.

ტყე უდიდესი წყაროა უანგბადის წარმოებისა, ურომლისადაც წარმოუდგენელია სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე. „ტყე აჯანსაღებს ჰაერს, ხელს უწყობს ხალხის ჯანმრთელობას, ჯანმრთელი ხალხი კი სულიერადაც ძლიერია“, – გვმოძღვრავდა დიდ ერისკაცი და ბიოლოგი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

„ტყის სიმრავლე ერის სიმდიდრის მაჩვენებელია, ხოლო მათი მოვლა და მოხმარება – ერის კულტურისა“, – ვითხულობით ქართული სატყეო მეცნიერების ფუძემდებლის, პროფესორ სოლომონ ქურდიანის შრომებში.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა მცენარეები მეოთხე დღეს შექმნა, ხოლო ადამიანი – მეშვიდე დღეს და მას დააკისრა ბუნებრივი რესურსების გონივრული მოვლა-გამოყენება, მაგრამ ადამიანმა, რომელიც თავის თავს „გონიერ ადამიანსა (*Homo sapiens*) და „ბუნების გვირგვინს“ უწოდებს, დაივიწყა, რომ ბუნების ნამდვილი გვირგვინი ტყეა და ნაცვლად მისი მოვლა-პატრონობისა და გაფრთხილებისა, დაიწყო მისი უგუნური ხელყოფა-გაჩანაგება. უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში დედამიწაზე ტყები ორჯერ შემცირდა. ოფიციალური მონაცემებით მსოფლიოში ტყეების ფართობები უმცირდდიურად 15 მლნ. ჰექტარით მცირდება. ტყეების გაჩეხვა-განადგურება და ნამარხი საწვავის გამოყენება გარემოში ნახშირორჟანგის მატებისა და კლიმატის დათბობის გამო კაცობრიობა გაუდაბნოების, გრიგალების, მოუსავლი-

ანობის, მთის მყინვარებისა და ყინულოვანი ოკეანეების გაქრობის საშიშროებისა და სასმელი წყლის გარეშე შეიძლება აღმოჩნდეს.

ამ ფონზე ავტორი ეხება საქართველოს ტყეების წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობას და ადნიშნავს, რომ ქართული მუხა და ქართული ტყე ისეთივე სათავანოა ქართველი კაცისათვის, როგორც შვილივით ნაზარდი გაზი და ვენახი. ამიტომაც უმველესი დროიდან უფრთხილდებოდა ქართველი კაცი ბუნების ამ სიკეთეს. ცნობილია, რომ XII საუკუნეში თამარ მეფის სამეფო კარზე მსახურობდა „ტყეოუხუცესი“, „მონადირეოუხუცესი“, „ტყისმცველოუხუცესი“, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სტრატეგიული და სამონადირეო ტყეების დაცვასა და გამოყენებას.

საქართველოს ტყეების მოვლა-პატრონობას დიდი უურადღება ექცეოდა საბჭოთა პერიოდშიც. 20 წლის წინ ყოველწლიურად 8-10 ათას ჰექტარზე წარმოებდა ხელოვნური ტყეებისა და დაბალი ლირსების ტყე-ბუნებრივის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსებაზარება. ამჟამად კი ამ დონისძიებათა შესრულება კეთილ და სანუკვარ მოგონებადაა დარჩენილი. იმავე პერიოდში, რუსეთიდან საქართველოში მიღიონობით კუბური მეტრი ხე-ტყე შემოდიოდა, რითაც ჩვენი დაცვითი-ეკოლოგიური ფუნქციის ტყეები დაუზიანებლად ინახებოდა.

რა ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში, უკანასკნელ წლებში შექმნილმა ურთულებამ სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ საშინელი დაღი დაასვა ჩვენს ბიოლოგიურ რესურსებს, განსაკუთრებით ტყეებს, რომელიც მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო და სათბობი გახდა. დაიწყო ტყის უმოწყალო, განუკითხვით ჩეხება, გაჩანაგდა ქარსაფარი ზოლები, გამეჩხერდა ბაღ-პარკები. სატყეო დარგმა და მეტყევე ინჟინერმა დაკარგა ფუნქცია. საქართველოდან საზღვარგარეთ ყოველწლიურად ათასობით კუბური მეტრი ძვირფასი მერქანი გადაინება. ტყის მოსაობა კი გაუდაბნოებულ საქართველოში ცხოვ-


რების პერსპექტივას გვიქმნის. მთის ტყეების გაჩანაგებას საქართველოში შედეგად მოჰყვა სტიქიური კატასტროფები და მთიანი რეგიონების მოსახლეობის ფართომასშტაბიანი ეკომიგრაცია.

მიგაბანია, რომ ტრისტან ჩერქეზიშვილის წიგნი „ტყე და ადამიანი“ ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს გარემოს დაცვის, ქვეყნის ეკოლოგიური განათლებისა და ქართული ტყის აღდგენა-გაშენების მამულიშვილურ, კეთილშო-

ბილურ საქმეში. ეჭვგარეშეა, რომ ეს წიგნი სამაგიდო წიგნად იქცევა ქართველი მეტყველე მეცნიერების, პრაქტიკოსების, ბუნების მოყვარულთათვის და რაც მთავარია, შეასრულებს ძირითად მიზანს, რომ გაადვივოს მომავალ თაობაში ქვეყნის ბუნების სიყვარული და ლტოლვა მის გადასარჩენად და ასაღორძინებლად.

დაგეგმილია ამ წიგნის დიდი ტირაჟიანი ინგლისურენოვანი გამოცემა.

ლეგან გვაზავა



„ხე-ტყის დამზადება“, ნაწ. 1. 2007 წ; ნაწ. 2. 2009 წ.

სახელმძღვანელო გამოიცა პირველად ქართულ ენაზე და განკუთვნილია სატყეო დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

საგანი „ხე-ტყის დამზადება“ სამი განყოფილებისაგან შედგება: პირველი – ტყეკაფის სამუშაოები; მეორე – ხე-ტყის ტრანსპორტი; მესამე – ქვედა საწ-

ყობი. ეს სამივე განყოფილება განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამავე დროს ტექნოლოგიურად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი ცალკეულად წარმოდგენა მიზანშეუწონელია, რის გამოც ავტორის მიერ სახელმძღვანელო მომზადდა და გამოიცა ორ ნაწილად; კერძოდ, პირველში – განხილულია ტყეკაფის სამუშაოთა ტექნოლოგია ეკოლოგიური საფუძვლებით, ხოლო მეორე ნაწილში – ხე-ტყის ტრან-

სპორტი და ქვედა საწყობის სამუშაოები.

სახელმძღვანელოში დღევანდელი პრობლემებიდან გამომდინარე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახლებურადაა

გაანალიზებული მთის ტყეებში მეურნეობის წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხები, რის გამოც მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.



„მოგონებები ბავშვობის ცის ქვეშ“. 2010 წ. (თავმაღალას უფლების ისტორია და კაზროდები).

მასში ავტორი, თანმიმდევრობით

იხილავს მის მიერ განვლილ გზას, დაწყებული ბავშვობიდან, სკოლის და სტუდენტობის წლები, ასევე საინტერესოდაა წარმოდგენილი დაოჯახების ისტორია, შვილიშვილებისა და შვილების ურთიერთობის ეპიზოდები და სხვა. განსაკუთრებით ყურადსალებია მისი მოღვაწეობის სფერო, როგორც პედაგოგის – მეცნიერისა და პრაქტიკოსის, მისი კავშირი საზოგადოების ცნობილ პიროვნებებთან და სხვა მრავალი ეპიზოდები, ცხოვრებისეული გზის, ქრისტესმიერი შეგონებების ბოროტებასთან სიკეთით ბრძოლის პრინციპების საფუძველზე. წიგნი ფართო საზოგადოების გარდა, განსაკუთრებით საინტერესო იქნება ახალგაზრდებისათვის, რადგანაც მისი წაკითხვის შემდგომ მათ გაუქრებათ ყოველგვარი ეჭვი ცხოვრების ქრისტესმიერი გზის არჩევის სისწორის, ჭეშმარიტებაში, რაც სიკეთისა, სიყვარულისა, მეგობრობისა და მიტევებაში აისახება. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტევით, რომ წიგნი დაწერილია მაღალმხატვრული ენითა და საინტერესოდ იკითხება. ეს აზრი მკითხველთა უმრავლესობამ დიადგამოხატა, რასაც ჩვენც ვუერთდებით.

0% ჩუთლაშვილი

I წიგნი. „სატყეო-ტექნიკური და მერქნის დამუშავების განმარტებითი ლექსიკონი“.

II წიგნი. სატყეო-ტექნიკური და მერქნის დამუშავების რუსულ-ქართული ლექსიკონი“.

წიგნებში მოცემულია მერქანმცოდნეობის, ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის, ამ ოპერაციების მექანიზაციის, მერქნის ქიმიური და მექანიკური დამუშავების, მერქნული მასალების (მერქნის ბურბულების და ბოჭკოს ფილები, სალურგლო ფილები, მერქნის პლასტიკები, შეწებილი ფანერა და სხვა) და მერქნის ნაკეთობების (ავეჯი, პარკეტი, თხილამურები, ტარა, სამშენებლო დეტალები, დეტალები გემთ, ვაგონთ, მანქანათ და

თვითმფრინავთმშენებლობისათვის და სხვა), აგრეთვე მომიჯნავე დარგების და ფართოდ გამოყენებაში ტექნიკური ტერმინები და ტექნოლოგიური გამოთქმები.

პირველ წიგნში მოცემულია ოვითული ამ გამონათქმების ახსნა-განმარტება, ძირითადი თვისებები, მაჩვენებლები და სხვა სახის მონაცემები. იგი შეიცავს დაახლოებით 19300 ერთეულს.

მეორე წიგნში კი მოცემულია დაახლოებით 20 800-მდე ტერმინი და გამონათქმამი რუსულ და შესაბამისად შესატყვისი თარგმანი ქართულ ენაზე.

წიგნების შეძენა შეიძლება თბილისის წიგნის მაღაზიებში და ასევე ავტორთან. ტელ 899 33 01 91.

ისა ჩუთლაშვილი

საზოგადო-ტექნიკური და
მასალების დამზადების
ჩანარიზებითი
ლექსიკონი



0% ჩუთლაშვილი

საზოგადო-ტექნიკური და მასალების
დამზადების
ჩანარიზებითი ლექსიკონი

